TU
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI TEACHING UNIVERSITY

# მეცნიერება და ცხოვრება

ISSN 1987-9377

1 (17)
თბილისი 2018

TU
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI TEACHING UNIVERSITY

# მეცნიერება და ცხოვრება

# Metsniereba da Tskhovreba

# Мецниереба да Цховреба

№ 1[17]

თბილისი - Tbilisi – Тбилиси
2018

UDC (უაკ) 001.1+001.5](051.2
მ-621

**საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი "მეცნიერება და ცხოვრება" - გამოდის თბილისის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით**

**International, refered and reviewed scientific journal «Metsniereba da Tskhovreba» - published by the decision of Tbilisi University's academic council**

**Международный, рецензированный и реферированный журнал «Мецниереба да Цховреба» - выходит по решению академического совета Тбилисского Университета**

**ჟურნალი გამოდის 2010 წლიდან წელიწადში ორჯერ**
**ჟურნალის დამფუძნებელი - დავით ჯანგულაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე**

**Published since 2010 twice a year**
**Founder of the journal - David Jangulashvili, Doctor of Economic Sciences, Professor, Academician of the Georgian Academy of Business Sciences, Chairman of the Management Board of Tbilisi Teaching University**

**Журнал выходит с 2010 года два раза в год**
**Основатель журнала - Давид Джангулашвили, доктор экономических наук, профессор, академик Академии Наук Бизнеса Грузии, председатель управленческого совета Тбилисского Учебного Университета**

**უნივერსიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, ეგ. ნინოშვილის ქ. №55**
**ვებ-გვერდი: www.tu.edu.ge**
**ელ.ფოსტა: info@tu.edu.ge**
**ტელ: 2969044**

**University address: Tbilisi, Eg. Ninoshvili st. №55**
**WEB-page: www.tu.edu.ge**
**E-mail: info@tu.edu.ge**
**Tel: 2969044**

**Адрес университета: г. Тбилиси, ул. Эг. Ниношвили №55**
**Веб-страница: www.tu.edu.ge**
**Эл-почта: info@tu.edu.ge**
**Тел: 2969044**

**გამომცემლობა „მწიგნობარი"**

# სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო

**ლევან ჯანგულაშვილი** – პროფესორი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
**რევაზ ჯავახიშვილი** – მთავარი რედაქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
**ლია მენთეშაშვილი** – პასუხისმგებელი მდივანი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებატა აკადემიის აკადემიკოსი
**დავით ჯანგულაშვილი** – პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**სოლომონ პავლიაშვილი** –პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
**ავთანდილ სილაგაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
**ირაკლი ასლანიშვილი** – საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
**გაიოზ ნადირაშვილი** – პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
**მიხეილ ჯიბუტი** – პროფესორი, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი
**რამაზ აბესაძე** – პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი
**გედევან ხელაია** – პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
**დავით გუბელაძე** – პროფესორი, ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი
**დავით ვეკუა** – პროფესორი
**თამარ ჯანგულაშვილი** – პროფესორი
**არჩილ ცერცვაძე** – პროფესორი
**გიორგი ცაავა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
**შოთა ვეშაპიძე** – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი
**დევი ხვედელიანი** – პროფესორი
**ალექსანდრე ჭულუხაძე** – ქართული უნივერსიტეტის პროფესორი
**ნინო სანაია** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
**ელენე გვენცაძე** – ასოცირებული პროფესორი

**ნადეჟდა გრაჟევსკაია** – პროფესორი (უკრაინა)
**დომინიკ კოლენ** – პროფესორი (საფრანგეთი)
**რეიმონდ გიუზო** – პროფესორი (საფრანგეთი)
**ჟან ბარლუა** – პროფესორი (საფრანგეთი)
**ანტონიო ბოჯია** – პროფესორი (იტალია)
**იოანა ბალანი** – ასოცირებული პროფესორი (რუმინეთი)

კომპიუტერული უზრუნველყოფა – **ხათუნა ჩაჩხიანი**

## SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

**Levan Jangulashvili**– Professor, Rector of Tbilisi Teaching University, Head of Scientific-editorial Board

**Revaz Javakhishvili** – Editor-in-Chief, Professor, Academician of the Georgian Academy of Business Sciences

**Lia Menteshashvili** –Executive Secretary, Professor, Academician of Georgian Academy of Education Sciences

**David Jangulashvili** – Professor, Academician of the Georgian Academy of Business Sciences

**Solomon Pavliashvili**–Professor, Vice -President of the Georgian Academy of Economic Sciences

**Avtandil Silagadze –** Academician of the Georgian National Academy of Sciences

**Irakli Aslanishvili -** Executive Director of Business Association of Georgia

**Gaioz Nadirasvili –** Professor, Academician of the Georgian Academy of Business Sciences

**Mikheil Jibuti** –Professor, President of Economists Association of Georgia

**Ramaz Abesadze _** Professor, Director of P. Gugushvili Institute of Economists

**Gedevan Khelaia** – Professor , Academician of the Academy of the Economic Sciences of Georgia

**David Gubeladze** – Professor, Academician of the International Academy of Ecology and Nature

**David Vekua** – Professor

**Tamar Jangulashvili** – Professor

**Archil Tsertsvadze** – Professor

**Giorgi Tsaava** – Professor, Georgian Technical University

**Shota Veshapidze** – Professor, David Aghmashenebeli National Defense Academic of Georgia

**Devi Khvedeliani** – Professor

**Aleqsander Chulukhadze -** Professor, Georgian University

**Nino Sanaia** – Associate Professor, Sokhumi State University

**Elene Gventsadze** –Associate Professor

**Nadejda Grajevskaya** – Professor (Ukraine)
**Dominique Colin** – Professor (France)
**Raymond Guillouzo** – Professor (France)
**Jean Barloy** – Professor (France)
**Antonio Bogia** – Professor (Italy)
**Ioana Balan** - Associate Professor (Romania)

Computer Service **– Khatuna Chachkhiani**

# НАУЧНО РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

**Леван Джангулашвили –** профессор, ректор Тбилисского учебного университета, председатель научно-редакционного совета
**Реваз Джавахишвили –** главный редактор**,** профессор, академик Академии Наук Бизнеса Грузии
**Лия Ментешашвили** – ответственный секретарь, профессор, академик Академии Наук Просвещения Грузии
**Давид Джангулашвили –** профессор, академик Академии Наук Бизнеса Грузии

**Соломон Павлиашвили** - профессор, вице - президент Академии Экономических Наук Грузии
**Автандил Силагадзе -** академик Национальной Академии Наук Грузии
**Иракли Асланишвили –** исполнительный директор Бизнэсс-ассоциации Грузии
**Гаиоз Надирашвили -** профессор, академик Академии Наук Бизнеса Грузии
**Михеил Джибути -** президент Ассоциации экономистов Грузии, профессор
**Рамаз Абесадзе -** директор Института экономики им. П. Гугушвили, профессор
**Гедеван Хелая –** профессор, академик Академии Экономических Наук Грузии
**Давид Губеладзе –** профессор, академик Международной Академии Экологии и Природопользования
**Давид Векуа –** профессор
**Тамар Джангулашвили –** профессор
**Арчил Церцвадзе –** профессор
**Гиорги Цаава -** профессор Технического университета Грузии
**Шота Вешапидзе –** профессор Академии Национальной Обороны Грузии им. Давид Агмашенебели
**Дэви Хведелиани –** профессор
**Александр Чулухадзе** – профессор Грузинского университета
**Нино Саная -** ассоциированный профессор Сухумского государственного университета
**Елене Гвенцадзе -** ассоциированный профессор

**Надежда Гражевская –** профессор (Украина)
**Доминик Колен –** профессор (Франция)
**Реймонд Гюзо –** профессор (Франция)
**Жан Барлуа –** профессор (Франция)
**Антонио Боджиа –** профессор (Италия)
**Иоана Балан** - ассоциированный профессор (Румыния)

Компьютерное обеспечение: **Хатуна Чачхиани**

# სარჩევი

## ეკონომიკის მეცნიერებანი


არჩილ ცერცვაძე - ავტოდაზღვევის ძირითადი თავისებურებანი ..... 12

დავით ვეკუა - საქართველოს ეკომომიკის „აქილევსის ქუსლი“ და მისი დაძლევის გზები ..... 15

ჩარიტა ჯაში, თამარ ჯანგულაშვილი - შრომითი მიგრაციის გენდერული ასპექტები ..... 21

მაია თეთრუაშვილი - საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური კონცეფცია და რეალური მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ..... 26

ვახტანგ სვანაძე, შოთა გულბანი - საქართველოს საფინანსო სექტორის ასიმეტრიული განვითარების მიზეზები ..... 31

მერაბ ვანიშვილი, ნინო ვანიშვილი - საინვესტიციო-საბანკო საქმიანობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და ეროვნული თავისებურებები ..... 38

ლარისა დოლიკაშვილი - სამუშაო გარემოს უსაფრთხო ორგანიზება სასტუმროში ..... 43

თამარ ზირაქაშვილი - კომერციული ბანკები და საგადასახადო სისტემის სფეროები ..... 47

გიორგი ნატროშვილი - კორპორაციული მართვა როგორც კომპანიათა საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ..... 51

გივი მაკალათია - სახელმწიფოს საბიუჯეტო ფინანსების თანაბარზომიერი გახარჯვის ტენდენციები და ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა საქართველოში ..... 56

ლია ოტიაშვილი - საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები ..... 59

ოთარ სოსელია - თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ოპტიმიზაცია ჰეის პროფილური ცხრილების მეთოდის გამოყენებით ..... 53

დიმიტრი ჯავახაძე - ღია და ელექტრონული მმართველობის ძირითადი ასპექტები ..... 68

დავით ცისკარიძე - მაგისტრალური მილსადენებით ტრანზიტის როლის და გავლენის დადგენა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე კორელაციის მოდელის საშუალებით ..... 73


## აბრარული მეცნიერებანი


მურად გარუჩავა, გიორგი ფარულავა - საკვები რაციონის შემადგენელი მცენარეული კულტურების ბიოქიმიური დახასიათება და კვებითი ღირებულება ..... 80

მანანა ცინცაძე - სირაქლემის მოშენება, შენახვა და კვების თავისებურებანი ..... 84

ნათია ნატროშვილი - ხოხბის მოშენება-შენახვა და კვება ..... 88


## ინჟინერია


დავით გუბელაძე - ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სანდოობის გაუმჯობესება ..... 92

ოლდა ხარაიშვილი, მაია ლომიშვილი, მაია კიკაბიძე, ნინო მებონია - სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენების მიზნით ნიადაგის ფიზიკურ-წყლოვანი თვისებების დადგენა ..... 97

ლალი ბაიდაური, ოლდა ხარაიშვილი, ნინო მებონია - რწყვის სხვადასხვა რეჟიმის პირობებში ახალქალაქის ცერცველას მწვანე მასის მოსავლიანობა მუხრან-საგურამოს ველის პირობებში ..... 101

## იურიდიული მეცნიერებანი

ელენა ბენდელიანი - საქართველოში ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი ..... 104

თინა ქაჩიბაია - სამკვიდრო მოწმობის გაცემის კოლიზიური საკითხი ..... 110

## ჰუმანიტარული მეცნიერებანი

მაია თევზაძე - გენდერული სტერეოტიპები და ენაში მათი გამოხატვის კომუნიკაციური სტრატეგიები ..... 116

მაია თევზაძე - ფრაზეოლოგიზმები, როგორც სტერეოტიპული აღქმის მარკერები ენაში ..... 121

კობა წურწუმია - უილიამ სომერსეტ მოემის ლიტერატურული სივრცე ..... 125

ნანა სოლოღაშვილი - კახეთის მეფეთა ტიტულატურა XVI –XVIII საუკუნეებში ..... 134

ვალერიან დოლიძე, ავთანდილ ტუკვაძე - რუსეთი, როგორც განსაკუთრებული აქტორი მსოფლიო პოლიტიკაში ..... 140

ეკატერინე გოგიაშვილი - შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა და დასავლური რენესანსი ..... 145

ლეილა გოზალიშვილი - რთული წინადადების გამოყენების საკითხი მიხეილ ჯავახიშვილის ენაში ..... 150

ოლღა ცისკარიშვილი-სოსელია - ინდივიდის განწყობა და მედია ..... 154

ნათია იაშვილი - ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ ინგლისურ ენაზე ..... 158

## განათლების მეცნიერებანი

ნოდარ ბასილაძე - ვასილ სუხომლინსკი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის შესახებ ..... 162

ირინე არჯევანიძე - სოციალური აზროვნების პრობლემატიკის მიმოხილვა ..... 167

ზოია სიდოროვიჩი - საგნის “ მეტყველების ეტიკეტი: ისტორია და თანამედროვეობა” შესწავლის ასპექტები ..... 172

იაგორ ბალანჩივაძე - სკოლამდელი ასაკის ბავშვის განმავითარებელი საქმიანობები ..... 176

ნათელა ნატროშვილი - ეკონომიკური კულტურა და ჰუმანიზმი ..... 181

მაია მემარნიშვილი - ინტერაქტიული სწავლების მნიშვნელობა უმაღლეს სკოლაში ..... 186

ნინო ყანჩელი - ჯონ დიუის დიდაქტიკური სისტემის განვითარების ეტაპები ..... 189

ნინო ჭოხონელიძე - ბავშვის ასაკობრივი პერიოდიზაცია მარია მონტესორის მიხედვით ..... 194

# Contents

## Economic Sciences

**Archil Tsertsvadze - The main peculiarities of auto insurance** ..... 12

**David Vekua -Achilles' heel of the Georgian Economy and the Ways of overcoming it** ..... 15

**Charita Jashi, Tamar Jangulashvili - Some Aspects of Labor Migration in Georgia** ..... 21

**Maia Tetruashvili - Georgia's long-term Economic Conception and Real Macroeconomic Indicators** ..... 26

**Vakhtang Svanadze, Shota Gulbani - The Reasons of Asymmetric Development of the Georgian Financial Sector** ..... 31

**Merab Vanishvili, Nino Vanishvili - Key Trends and National Peculiarities of Investment Banking Activity** ..... 38

**Larisa Dolikashvili - Safe Organizing of the Work Environment in the Hotel** ..... 43

**Tamar Zirakashvili - Commercial Banks and the Fields of Taxation System** ..... 47

**Giorgi Natroshvili - Corporate Governance as an Important Tool for Evaluation of Investment Attractiveness of Companies** ..... 51

**Givi Makalatia - Tendencies of Uniform Expenditure of State Budget Finances and Purchasing Ability of National Currency in Georgia** ..... 56

**Lia Otiashvili - The Problem of Deposit Insurance in Georgia and Ways to Solve Them** ..... 59

**Otar Soselia - Optimizing the Labor Remuneration of Employees by Using the Hay's Profile Spreadsheet Methods** ..... 63

**Dimitri Javakadze - Basic Aspects of Open and Electronic Governance** ..... 68

**David tsiskaridze - Role and Impact of Pipeline Energy Transit on Social-economic Development of Georgia by Model of Correlation** ..... 73

## Agrarical Sciences

**Murad Garuchava,Georgi Parulava - Biological Characteristic and Nutritional Value of the Crops Included in the Food Ration** ..... 80

**Manana Tsintsadze - Ostrich Breeding, Keeping and Feeding Habits** ..... 84

**Natia Natroshvili - Breading, Keeping and Feeding of Pheasant** ..... 88

## Ingineering

**David Gubeladze - Improving the Reliability of the Hydroelectric Power Station of Enguri HPP** ..... 92

**Olga Kharaishvili, Maia Lomishvili, Maia Kikabidze, Nino Mebonia - Selection of the Elements of Water Regime Considering the Features of the Soil's Physical-water Properties** ..... 97

**Lali Baidauri, Olga Kharaishvili, Nino Mebonia -Different Irrigation Regime of Akhalkalaki's Tsertsveli and it's Green Mass in the Valley of Muhran-Sagurgamo** ..... 101

## Legal Sciences

**Elena Bendeliani - Analysis of Legislative Base On Innovation Activities in Georgia to the Changes** .....104

**Tina Kachibaia - Conflict of Norms Regarding Issuance of Inheritance Certificate** .....110

## Humanitarian Sciences

**Maya Tevzadze - Gender Stereotypes and the Communication Strategies of their Expression in the Language** .....116

**Maya Tevzadze - Phraseologisms, as the Markers of Stereotypical Perception in the Language** .....121

**Koba Tsurtsumia - The Literary Space of William Somerset Maugham** .....125

**Nana Sologhashvili - The Title of Kings of Kakheti in XVI-XVIII Centuries** .....134

**Valerian Dolidze, Avtandil Tukvadze - Russia, as a Special Actor of World Politics** .....140

**Ekaterine Gogiashvili - Rustaveli's Worldview and the Western Renaissance** .....145

**Leila Gozalishvili - The question of a Complex Sentence Using in the language of Mikhail Javakhishvili** .....150

**Olga Tsiskarishvili-Soselia - Attitude of the Individual and Media** .....154

**Natia Iashvili - „ The Hermit "of Ilia Chavchavadze in English** .....158

## Education Sciences

**Nodar Basiladze - Vasil Sukhomlinsky about the Moral Education of Students** .....162

**Irine Arjevanidze - A Review of the Problem of Social Thinking** .....167

**Zoya Sidorovich - The Aspects of Studying the Discipline "Speech Etiquette: History and the Present Time"** .....172

**Iagor Balanchivadze - Developmental Works of Preschool Age Children** .....176

**Natela Natroshvili - Economic Culture and Humanism** .....181

**Maia Memarnishvili - The Importance of Interactive Learning at the University** .....186

**Nino Kancheli - The Developmental Stages of John Dewey's Didactic System** .....189

**Nino Chokhonelidze - Child's Age-related Periodization According to Maria Montessori** .....194

# Содержание

## Экономические науки

**Арчил Церцвадзе - Основные особенности автострахования** ..... 12

**Давид Векуа - Ахиллесова пята грузинской экономики и пути её преодоления** ..... 15

**Чарита Джаши, Тамар Джангулашвили - Гендерные аспекты трудовой миграции** ..... 21

**Майя Тетруашвили - Долгосрочная экономическая концепция Грузии и реальные макроэкономические показатели** ..... 26

**Вахтанг Сванадзе, Шота Гулбани - Причины асиметричного развития финансового рынка Грузии** ..... 31

**Мераб Ванишвили, Нино Ванишвили - Основные тенденции и национальные особенности инвестиционно-банковской деятельности** ..... 38

**Лариса Доликашвили - Безопасная организация рабочей среды в отеле** ..... 43

**Тамар Зиракашвили - Коммерческие банки и сферы налоговой системы** ..... 47

**Гиорги Натрошвили - Корпоративное управление, как значительный инструмент для привлечения инвестиций** ..... 51

**Гиви Макалатия - Тенденции равномерной траты бюджетных финансов государства и покупательная способность национальной валюты в Грузии** ..... 56

**Лия Отиашвили - Проблема страхования депозитов в Грузии и пути их решения** ..... 59

**Отар Соселия - Оптимизация заработной платы сотрудников с использованием метода профильных таблиц Хея** ..... 63

**Димитри Джавахадзе - Основные аспекты открытого и электронного управления** ..... 68

**Давид Цискаридзе - Установление роли и влияния транзита с помощью магистрального трубопровода на социально-эконоического развития страны на основе модели корреляции** ..... 73

## Аграрные науки

**Мурад Гаручава, Георгй Парулава - Биохимическая характеристика и питательная ценность культур, входящих в рацион питания** ..... 80

**Манана Цинцадзе - Страус - разведение, содержание и особенности кормления** ..... 84

**Натия Натрошвили - Разведение, содержание и кормление фазанов** ..... 88

## Инжинерия

**Давид Губеладзе - Улучшение надежности гидроэлектростанции Ингурской ГЭС** ..... 92

**Олга Хараишвили, Маиа Ломишвили, Маиа Какабадзе, Нино Мебония - Выбор элементов водного режима с учетом физико-водных свойств почвы** ..... 97

**Лали Байдаури, Олга Хараишвили, Нино Мебония - Различный режим орошения Ахалкалакского Церцвела и ее зеленой массы в долине Мухран-Сагурамо** ..... 101

## Юридические науки

**Елена Бендельяни - Анализ законодательной базы, связанной с инновационной деятельностью в Грузии** .....104

**Тина Качибая - Противоречивый вопрос о выдаче свидетельства о наследовании** .....110

## Гуманитарные науки

**Майя Тевзадзе - Гендерные стереотипы и коммуникативные стратегии их отражения в языке** .....116

**Майя Тевзадзе - Фразеологизмы, как языковые маркеры стереотипного восприятия**.....121

**Коба Цурцумия - Литературное Пространства Уильям Сомерсет Моэма**.....125

**Нана Сологашвили - Титули Кахетинских царей XVI-XVIII В**.....134

**Валериян Долидзе, Автандил Туквадзе - Россия, как особый актор мировой политики** .....140

**Екатерине Гогиашвили - Мировоззрение Шота Руставели и Западный Ренесанс** .....145

**Лейла Гозалишвили - Вопрос употребления сложноподчинённого предложения в языке Михаила Джавахишвили** .....150

**Ольга Цискаришвили-Соселия - Настрой индивида и медия**.....154

**Натия Иашвили - «Гандегили» Ильи Чавчавадзе на английском языке**.....158

## Науки Просвещения

**Нодар Басиладзе - В.А. Сухомлинский о нравстенном воспитании учащихся**.....162

**Ирине Арджеванидзе - Обзор проблематики социального мышления** ..... 167

**Зоя Сидорович - Аспекты изучения дисциплины «Речевой этикет: история и современность»**172

**Яагор Баланчивадзе - Развивающая деятельность детей дошкольного возраста** .....176

**Натела Натрошвили - Экономическая культура и экономика**.....181

**Майя Мемарнишвили - Значение интерактивного обучения в вузе**.....186

**Нино Канчели - Этапы развития дидактической системы Джона Диуи**.....189

**Нино Чохонелидзе - Возрастная периодизация ребенка по Мария Монтессори** .....194

# ეკონომიკის მეცნიერებანი

**არჩილ ცერცვაძე**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი**

## ავტოდაზღვევის ძირითადი თავისებურებანი

ავტოდაზღვევა არის საკმაოდ გავრცელებული და მნიშვნელოვანი დაზღვევის სახეობა.

ავტოდაზღვევა აერთიანებს:

- ავტომობილის დაზღვევას;
- ავტომობილის ექსპლოატაციის შედეგად მესამე პირის წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევას;
- მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევის დაზღვევას.

ეს სახეობები ავტოდაზღვევის პოლისში სექციების სახით არის წარმოდგენილი. თუ პოლისის მიხედვით განხორციელებულია სამივე სახის დაზღვევა, მაშინ საქმე გვაქვს კომლექსურ დაზღვევასთან.

ავტოდაზღვევა ფარავს ავტომობილის დაზიანების, სრული განადგურების ან დაკარგვის (აგრეთვე მისი რომელიმე ნაწილის დაკარგვის) შემთხვევებს, რომლებიც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკებით, კერძოდ:

- სტიქიური მოვლენებით;
- ავტოსაგზაო შემთხვევით;
- ხანძრით ან აფეთქებით;
- ძარცვით, ქურდობით, ყაჩაღობით, ვანდალიზმით;
- უცხო სხეულის ვარდნით.

როგორც წესი, რისკების დაფარვასთან ერთად სადაზღვევო კომპანია სთავაზობს კლიენტს ე.წ. დამატებით სერვისებს. ეს შეიძლება იყოს:

- ევაკუატორით უზრუნველყოფა;
- საჭიროების შემთხვევაში ტექნიკური დახმარების აღმოჩენა;
- დაზღვეული ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში დროებით სანაცვლო ავტომობილით უზრუნველყოფა.

ავტომობილის დაკარგვის შემთხვევაში სადაზღვევო ღირებულება განისაზღვრება ავტომობილის საბაზრო ღირებულებით.

ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში ანსხვავებენ ე.წ. ნაწილობრივ დაზიანებას და კონსტრუქციულ სრულ განადგურებას. დაზიანება არის ნაწილობრივი, თუ შესაბამისი აღდგენის ან შენაცვლების ღირებულება არის ავტომანქანის საბაზრო ღირებულების 70-80%-ზე ნაკლები (ან რამდენიც ხელშეკრულებით არის განსაზღვრული). დაზიანება არის სრული, თუ შესაბამისი აღდგენის ან შენაცვლების ღირებულება არის საბაზრო ღირებულების 70-80%-ის ტოლი ან მეტი (ან იმ ოდენობის, რამდენიც ხელშეკრულებით არის განსაზღვრული).

ავტომობილის დაზღვევის დროს სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა:

- ავტომობილის მარკა და მოდელი;

- ავტომობილის ასაკი;
- ავტომობილის გამოყენების მიზანი;
- მძღოლების ასაკობრივ – სქესობრივი მონაცემები;
- არსებული სადაზღვევო და ზარალების ისტორია.

ავტომობილის დაზღვევაში ფართოდ გამოიყენება როგორც ზოგადი, ასევე სპეციალური ხასიათის გამონაკლისები. კერძოდ:

- არ იფარება ზარალი, თუ აღმოჩნდა, რომ მძღოლი იყო ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ;
- თუ ზარალი მოხდა მოძრაობის წესების უხეში ან განზრახ დარღვევით;
- თუ აღმოჩნდა, რომ ზარალის დადგომის მომენტში ავტომობილი კომერციული მიზნებისათვის გამოიყენებოდა;
- თუ ავტომობილის გატაცება მოხდა მისი მფლობელის ხელშეწყობით ან უხეში დაუდევრობით.

თუ დაზღვევით იფარება გატაცების რისკი, მაშინ, როგორც წესი, ავტომობილის მფლობელს მოეთხოვება ავტომობილზე დამცავი სისტემის დამონტაჟება. ასეთ შემთხვევაში, უხეშ დაუდევრობად ჩაითვლება ის, რომ ავტომობილი იყო დატოვებული გამორთული ან გაფუჭებული დამცავი სისტემით.

ავტომობილის დაზღვევის დროს იზღვევა, როგორც ფიზიკური პირების, ისე კორპორატიული კლიენტების ავტომობილები. კორპორატიული კლიენტები აზღვევენ არა ერთ და ორ, არამედ ერთდროულად მრავალ ავტომობილს (ავტომობილების პარკს). ამგვარი კონტრაქტი ძალზე ხელსაყრელი და მიმზიდველია სადაზღვევო კომპანიისათვის, ამიტომ ის მზად არის, რომ ამგვარ კორპორატიულ კლიენტს მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შესთავაზოს.

ავტომობილი წარმოადგენს მომატებული ხიფათის მატარებელს სხვა ავტომობილებისათვის, მათი მგზავრებისათვის, ფეხით მოსიარულეებისათვის, შენობებისათვის და სხვ. ამიტომ, სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ავტომობილის ექსპლუატაციისას ზიანი ადგება მესამე მხარეების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ქონებას. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, წარმოიქმნება ავტომობილის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რის შედეგადაც მას მოუწევს საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარჯის გაწევა. სწორედ ამ ხარჯის დაფარვა წარმოადგენს **ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის საგანს**.

**მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევის დაზღვევა** ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების (ფულადი კომპენსაციის) გაცემას უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლის და|ან მისი მგზავრების გარდაცვალებისას ან ჯანმრთელობის დაზიანებისას. თავის მხრივ, **უბედური შემთხვევა** გულისხმობს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის, ხანძრის/აფეთქებისა და სტიქიური უბედურების შედეგად უფლებამოსილი მძღოლისა და/ან მისი მგზავრების სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. კალანდაძე ლ., სადაზღვევო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2011.
2. ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ., სადაზღვევო საქმე, თბ., 2016.
3. Peter Koch, Hubert Holthausen, Werner Cristofolini, Matthias Gebhardt. //insurance business\ chapter II. 2000.


**არჩილ ცერცვაძე**

**ავტოდაზღვევის ძირითადი თავისებურებანი**

**რეზიუმე**


ავტოდაზღვევა აერთიანებს ავტომობილის დაზღვევას, ავტომობილის ექსპლოატაციის შედეგად მესამე პირის წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევას და მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევის დაზღვევას. ავტოდაზღვევა ფარავს ავტომობილის დაზიანების, სრული განადგურების ან დაკარგვის (აგრეთვე მისი რომელიმე ნაწილის დაკარგვის) შემთხვევებს, რომლებიც გამოწვეულია: სტიქიური მოვლენებით; ავტოსაგზაო შემთხვევით; ხანძრით ან აფეთქებით; ძარცვით, ქურდობით, ყაჩაღობით, ვანდალიზმით; უცხო სხეულის ვარდნით.

ავტომობილი წარმოადგენს მომატებული საფრთხის მატარებელს სხვა ავტომობილებისათვის, მათი მგზავრებისათვის, ფეხით მოსიარულეებისათვის, შენობებისათვის და სხვ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ავტომობილის ექსპლუატაციისას ზიანი ადგება მესამე მხარეების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ქონებას. სწორედ ამ ზიანის დაფარვა წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის საგანს.

მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევის დაზღვევა ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების (ფულადი კომპენსაციის) გაცემას უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლის და|ან მისი მგზავრების გარდაცვალებისას ან ჯანმრთელობის დაზიანებისას.


**Archil Tsertsvadze**

**The main peculiarities of auto insurance**

**Summary**


Auto Insurance incorporates insurance of cars, insurance of liability arising before the third person as a result of vehicle exploitation and accidental insurance of the driver and passengers. Auto insurance covers the damage, complete destruction or loss of the car which are caused by: Natural disasters, auto accidents, fires or blades, looting, stealing, robbery, item falling.

The car is an increased risk of other vehicles, their passengers, pedestrians, and other buildings. Occasional cases when the car's exploitation causes damage to the lives of third parties, health and property. This damages are the subject of insurance of the civilian liability of vehicle owners.

Driver's and Passenger Accident Insurance provides insurance compensation for the death of a driver or his passengers in case of accident or health loss.

**Арчил Церцвадзе**

**Основные особенности автострахования**

**Резюме**

Автострахование обьединяет страхование автомобиля, страхование ответственности перед третьим лицом при эксплуатации автомобиля и страхование водителей и пассажиров от несчастного случая. Автострахование покрывает Повреждение или уничтожение застрахованного автомобиля вследствие стихийного бедствия, пожара, взрыва, кражи, вандализма, падения на транспортное средство посторонних предметов.

Автомобиль является источником повышенной опасности для других автомобилей, пассажиров, пешеходов, зданий и др. Часты случаи, когда вред причиняется третьим лицам, именно покрытие таких случаев является предметом страхования ответственности владельцев автотранспортных средств .

Страхование водителей и пассажиров от несчастных случаев предусматривает выплату страховой суммы в результате смерти или повреждения здоровья при наступлении несчастного случая.

**დავით ვეკუა**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი**

## საქართველოს ეკომომიკის „აქილევსის ქუსლი“ და მისი დაძლევის გზები

ალექსანდრე მაკედონელი ერთ-ერთ წერილში თავის დიდ მასწავლებელს არისტოტელეს წერდა: „მე მირჩევნია აქილევსი ვიყო და სხვამ მაქოს, ვიდრე ვიყო ჰომეროსი და სხვა ვაქოო“ (8). ვფიქრობ, ბოლო სამი ათწლეულია საქართველშიც მაკედონელის ეს ლოგიკა აქტუალურია. ჯერ სხვა ქვეყნების გამოცდილებას ვიშველიებდით და მათ ქებაში ვიყავით, ხოლო ბოლო წლებია, თავს ვიწონებთ როგორც რეგიონის რეფორმატორები და ლიდერები. უკანასკნელი წლების წარმატებები ნაწილობრივ მართლაც სახეზეა, რაც პოზიტიურად აისახა ჩვენს ურთიერთობებზე ევროკავშირის ქვეყნებთან, გავხდით ევროკავშირის ასოცირებული წევრი, მივიღეთ ევროპასთან უვიზო რეჟიმი, გაიზრდება ქართული პროდუქციის ექსპორტი, ქვეყანაში მნიშვნელოვნად მატულობს ტურისტული ნაკადი, სტაბილურია ფისკალური, სახეზეა სხვა ეკონომიკური ინდიკატორების გაუმჯობესების ტენდენცია.

თუმცა, მუდმივად უნდა ვიყოთ თვითკრიტიკულები და მიუხედავად ბევრი პოზიტივისა გავაცნობიეროთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი არის გასაკეთებელი, რომ ჩვენი განვითარება გახდეს შეუქცევადი და სტაბილური, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკა უფრო პროგნოზირებადი. ისევ ალექსანდრე მაკედონელის ცნობილ გამონათქვამს მოვიშველიებ „იქნებ არც ისე დიდი იყო აქილევსი, მაგრამ დიდ მაქებარს შეხვდა ჰომეროსის სახით“ (8). ამაზე ჩვენც უნდა დავფიქრდეთ, ეს ქება რიგ შემთხვევაში, ხომ არ არის მომავალისათვის განსაზღვრული ავანსი. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და სტაბილერად სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება იძლევა ამ ოპტიმიზმის საფუძველს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქვეყანაში ჯერ კიდავ დაგროვილია ბევრი პრობლემა, რომლის გადაჭრაც უახლოეს წლებში უნდა განხორციელდეს, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი ნამდვილ „აქილევსის ქუსლად“ იქცა ჩვენი ეკონომიკისათვის.

რა არის საქართველოს ეკონომიკის „აქილევსის ქუსლი“? ეს არის კითხვა, რომელზედაც პასუხს არ უნდა გავექცეთ სტატისტიკური ინდიკატორების ცალმხრივი

ინტერპრეტაციით, რადგან ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბებული არადივერსიფიცირებული ეკონომიკური სისტემა ადარ ტოვებს განვითარების პერსპექტივას, იგი მიდრეკილია მონოპოლიზმისაკენ, ბაზრის სეგმენტიზაციისაკენ და მსხვილ ბიზნეს ჯგუფებში კაპიტალის კონცენტრაციისაკენ.

საქართველოში ეკონომიკის დემონოპოლიზაციის დინამიკა რომ არ არის პოზიტიური 2015-2011 წლებში გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურული ანალიზიც გვიჩვენებს. სტატისტიკის სამსახურის მაჩვენებლებით სამწუხარო ტენდენცია ისეთია, რომ მთლიანი გამოშვებული პროდუქციის 80%-ი როგორც 2011 წელს, ასევე 2015 წელსაც მოდის მსხვილ ბიზნესზე, ხოლო საშუალო ბიზნესის წილი 2015 წელს 10,9%-ია, მცირე ბიზნესის წილი კი შეადგენს მთლიანი პროდუქციის მხოლოდ 9,7%-ს (7).

ბიზნესში მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხის მაჩვენებელია ძირითადი კაპიტალის სტრუქტურაც. 2015 წლის მონაცემებით კაპიტალის 86.8%-ი მსხვილი ბიზნესის ხელშია (7). ცხადია ისინი არ არიან დაინტერასებული ეკონომიკური სისტემის დივერსიფიკაციით და მოქმედებენ ვიწრო კარტერული ინტერესებით, რითაც ზღუდავენ საქართველოს ბაზარზე ახალი სუბიექტების გაჩენას. ამავე დროს მათი უმრავლესობა იმპორტის შემომტანი მონოპოლისტებიც არიან და ფასებზე შეთანხმებების გზით მცირე და საშუალო ბიზნესს არ აძლევენ შესაძლებლობას ქვეყანაში ჩაანაცვლონ იმპორტი ადგილობრივი პროდუქციით. ამ მხრივ მართლაც საგანგაშო მდგომარეობაა. 2016 წელს ექსპორტ-იმპორტის სალდომ შეადგინა 5182 მილიონი დოლარი (7), რაც ქვეყნიდან ვალუტის გადინების თვალსაზრისით თვითმკვლელობის ტოლფასია. აქედან გამომდინარე, ალბათ, საჭიროა გარკვეული რეგულაციები მით უმეტეს, რომ ასეთი რეგულაციები თავისუფალი ვაჭრობის დროს ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკაში. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებაზე, მათ შორის უნდა წავახალისოთ მცირე და საშუალო ბიზნესი, რათა ქვეყანაში ჩამოყალიბდეს მეწარმეთა ფენა და საქართველო არ დარჩეს დაბალგანვითარებულ აგრარულ ქვეყნად.

ევროკავშირის ქვეყნებში შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი მცირე და საშუალო ბიზნესშია ჩართული, რაც ამ ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას, მაღალი დასაქმების გზით, შეინარჩუნოს სოციალური სტაბილურობა. ევროკავშირის 6 ქვეყანაში (ესპანეთი, ნიდერლანდები, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია) მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი 40-70%-ის ფარგლებში მერყეობს. ამ ქვეყნებში მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები შეადგენენ საწარმოთა საერთო რიცხვის 90%-ს და აწარმოებენ მთლიან პროდუქციის მოცულობის 35-71%-ს (1,2).

დღეს კორპორაციები ერთდროულად წარმოგვიდგებიან როგორც მასშტაბური ქონებრივი კომპლექსური ბრენდების მწარმოებლები, იურიდიული პირები, უზარმაზარი ფინანსური და მატერიალური რესურსების მფლობელები, რაც თავის მხრივ შედეგია საერთშორისო ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებისა და გაფართოების. კორპორაციებს ადარ აქვთ შეზღუდული კაპიტალის თავისუფალი მოძრაობისა და გადაადგილების შესაძლებლობა ერთი რეგიონიდან მეორეში, ერთი დარგიდან მეორეში, ერთი კორპორაციიდან მეორეში. ვიქრობ, საქართველოში ბოლო წლები არაპროფილურ ბიზნესებში საფინანსო სექტორის კაპეტალის გადადინება ამის ნათელი მაგალითია.

საერთაშორისო კორპორაციები, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე, გახდნენ მსოფლიო ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი ელემენტი. მათი მდგრადი განვითარება წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის, საერთაშორისო სამეურნეო კავშირების გლობალიზაციის პროცესს ასახავს. დღეს კორპორაციები მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთბების მთლიანი სპექტრის განვითარებას უკავშირდება და ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მსოფლიო ეკონომიკის თავისებური „ლოკომოტივი“, რომელიც გზაზე თავისთვის იხვეჭს და სახვისთვის ანადგურებს ყველაფერს.

საერთაშორისო კორპორაციები ერთი მხრივ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სწრაფად განვითარებადი პროდუქტია და მეორე მხრივ კი თვითონ წარმოადგენს ამ ურთიერთობებზე ზემოქმედების მძლავრ მექანიზმს. პირდაპირი ინვესტიციების სწრაფი ზრდა, ყველა მიმართულებით სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ტექნიკური დონე და პროდუქციის ხარისხი, წარმოების ეფექტიანობა, მენეჯმენტის ფორმების სრულყოფა ყველა ის თემაა, რომელიც კორპორაციების მართვას და მის შემდგომ სრულყოფის საკითხებს უკავშირდება. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი და თუ ბოლო წლების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების დინამიკას დავაკვირდებით დავინახავთ, რომ მათი სამიზნე მსხვილი ბიზნესია. 2016 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელდა 1565 მლნ დოლარი, მათ შორის ლომის წილი მსხვილ ბიზნესში, აქედან 42% ტრანსპორტში, 8,3% შენებლობაში, 8.2% საფინანსო საქტორში (7).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემებით, მცირე ბიზნესში დასაქმებულია ქვეყანაში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 27%(7) და მისი ზრდის დინამიკა წლების მიხედვით არ არის პოზიტიური.

ეს გლობალიზაციის რეციდივებია. ამიტომაც ეკონომოკის დივერსიფიკაციის მომავალი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თავისუფალი ბაზრის რეგულირებაზე. რაც, პირველ რიგში თავისუფალი მეწარმეობის ხელშეწყობას, სახელმწიფო რეგულაციების შემცირებას და ლიბერალური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობს. ამ გზით ქვეყნებში უმჯობესდება საინვესტიციო გარემო, მოიზიდება ეკონომიკაში დამატებითი კაპიტალი, შეიქმნება სამუშაო ადგილები, და სოციალური კეთილდღეობის წინაპირობები.

ეკონომიკური რეგულაციის ეს ფილოსოფია ეფუძნება ეფექტიან საბიუჯეტო ხარჯებს და დაბალანსებულ სახელმწიფო და ადგილოდრივ ბიუჯეტებს, მცირე და საშულო ბიზნესის ხელშეწყობას, მონოპოლიების შეზღუდვას და ეკონომიკური აქტიურობისათვის თანაბარი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას. ყოველივე ეს კი ადამიანებს უქმნის პერსპექტივას მისთვის საინტერესო ეკონომიკის სეგმენტში მოახდინონ ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების კაპიტალიზაცია.

დღეს, როდესაც ყველაფერი მთელ მსოფლიოში ბრუნავს მარკეტინგისა და ბრენდინგის გარშემო, საჭირო საქართველოში ნაცარი თვალებში არ შეგვაყარონ და გიგანტომანიის ფუჭი ილუზიებიდან დროზე გამოვიდეთ, საღი გონებით ღრმად გავაცნობიეროთ ეკონომიკის დივერსიფიკაციის მნიშვნელობა.

დემონოპოლიზებული ეკონომიკა არის ბაზისი სამოქალაქო საზოგადოების, სადაც ხალხი ზრუნავს ქვეყანაზე და ქვეყანა ხალხზე.

ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით გასული ოცდაათი წელი არასათანადოდ ანალიზირდება. მაკროეკონომიკური ანალიზის დროს მეტი აქცენტი კეთდება გარე რისკებზე და გამოწვევებზე, ვიდრე შიდა პრობლემებზე.

გამზადებული მოდელების გადმოტანა და მათი მორგება, ხშირ შემთხვევაში წარუმატებლად მთავრდება, რადგან ასეთ დროს სწორად არ ხდება ქვეყნის ბუნებრივი, ადამიანური, ინტელექტუალური, მატერიალური რესურსული პოტენციალის სწორედ შეფასება.

ეკონიმიკას, როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებას აქვს საკუთარი ისტორიული მეხსიერება, რის ცოდნაც მომავლის სწორი პროგნოზირებისათვის მნიშვნელოვანია, რადგან ეკონომიკა პირველ რიგში მომავლის მეცნიერებაა და ამიტომაც ის მომავალში სწორ პროგნოზირებასა და რისკების ნეიტრალიზაციაზე უნდა იყო ორიენტირებული. რადგან რაც იყო, იყო მას ვეღარ შეცვლი. იცვლება მხოლოდ მომავალი. წარსულზე

ზემოქმედება შეუძლებელია, ისევე, როგორც მისი გადაწერა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მომავალზე ზემოქმედება.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი, ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანა უნდა გახდეს. განვითარების ეს იმპერატივი განპირობებულია მთელი რიგი გარემოებებით, რომელიც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ბიზნეს გარემოს, სპეციფიკას და გეოპოლიტიკურ ამოცანებს. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ასევე მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიგრაციის პროცესის შემცირებას და ქვეყანაში სოციალური სტაბილურობის დამყარებას.

მცირე ბიზნესის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა მისი რისკებისგან დაცვა. ამ რისკების ნეიტრალიზაციის გამოცდილება კი ჩვენს ქვეყანაში სამწუხაროდ ნაკლებია.

ეკონომიკის მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხი მცირე ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ბარიერია. საქართველოს ხელისუფლება ძალზე ინერტულად ეკიდება ქართული ეკონომიკის დემონოპოლიზაციის საკითხს, რის გამოც ფერხდება ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნა და არათანაბარ პირობებში დგება მცირე და დიდი ბიზნესი. დემონოპოლიზაცია უნდა შეეხოს ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა სფეროს, რის შედეგადაც მივიღებთ დივერსიფიცირებულ ეკონომიკურ სისტემას, სადაც მცირე ბიზნესი შეძლებს ნორმალურ ფუნქციონირებას და განვითარებას. დივერსიფიკაციის შედეგად შესაძლებელი გახდება ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენება, მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა ეკონომიკის რესურსული ბაზა, რაც შესაძლებელს გახდის შევამციროთ იმპორტის ხვედრითი წილი ეკონომიკაში. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკისათვის.

ვინაიდან მთავრობა ქვეყნის ინსტიტუციონალური სივრცის შემომქმედია, მის მიერ ამ სფეროში შექმნილი სამართლებრივი გარემო, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მცირე ბიზნესის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, უმთავრესი ინსტრუმენტი, რომლითაც სახელმწიფომ მცირე ბიზნესის ხელშეწყობაზე შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს, არის კანონმდებლობა. სწორედ კანონმდებლობის ლიბერალიზაცია და ხელშეწყობა სჭირდება მცირე ბიზნესს, რათა ამ სფეროში შესაძლებელი გახდეს ახალი ინვესტიციების მოზიდვა და მთლიანობაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

რადგან საქართველოს მთავრობამ საგადასახადო მიმართულებით დაიწყო მცირე ბიზნესის დახმარება, საჭიროა ამ მიმართულებით გაგრძელდეს შემდგომი მხარდაჭერა. ამ მხრივ უნდა განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებები, რისთვისაც აუცილებელია ფისკალური თვალსაზრისით ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ასეთი მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან, ერთი მხრივ არ დაარღვევს ქვეყანაში დაბეგვრის სამართლიანობის პრინციპს და მეორე მხრივ, ეს იქნება მცირე ბიზნესისადმი მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა.

შესაძლოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტმა დაკარგოს გარკვეული შემოსავლები მცირე და საშუალო ბიზნესიდან, მაგრამ სამაგიეროდ მას აღარ დასჭირდება ამ ბიზნესის სუბსიდირება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ირიბი მულტიპლიკაციური ეფექტი, რომელიც ასეთი ხელშეწყობის პირობებში ინვესტიციების ზრდის შედეგად არის შესაძლებელი. ბევრი ინვესტორისათვის მსგავსი ხელშეწყობა უდავოდ მნიშვნელოვანი იქნება და ისინი შეეცდებიან დამატებითი მოგების მიღების მიზნით გაზარდონ საინვესტიციო აქტიურობა და ამ სეგმენტში შემოვიდეს უფრო მეტი კერძო კაპიტალი.

მცირე ბიზნესი თავისი იმანენტური ბუნებით ინოვაციურია, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის ისეთით, როგორიცაა მცირე ბიზნესის უნარი, იყოს თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე მოქნილი, მობილური და ინოვაციური ქმედებისაკენ მოტივირებული. ამიტომაა, რომ ბევრ ქვეყანაში მისი მისიაა, შეასრულოს ეკონომიკის მთავარი საყრდენის როლი. დღეს, როდესაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების

ერთ-ერთი ვექტორი ხდება სოფლის მეურნეობა და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამუშავება, ამ სფეროში სწორედ მცირე ბიზნესი უნდა გახდეს ეკონომიკური განვითარების მთავარი ხერხემალი, ხოლო სახელმწიფომ კი ამ ბიზნესს ხელი უნდა შეუწყოს, უცხო ქვეყნების ბაზრებზე გასვლასა და ნდობის მოპოვებაში.

ზემოთ ვისაუბრეთ სახელმწიფოს როლზე მცირე ბიზნესის დახმარებისა და ხელშეწყობის მიმართულებით, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო იყოს წარმატების გარანტორი, ძალზე მნიშვნელოვანია, თვითონ მცირე ბიზნესში დასაქმებულმა ადამიანებმა იგრძნონ პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებთან დაკავშირებით, ხოლო ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან მათ მიერ არ უნდა იქნეს გაგებული როგორც მაამებლობა, ისინი როგორც ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტი, სახელმწიფოსა და კრედიტორების მიმართ უნდა აგებდნენ პასუხს ქონებით და საკუთარი აქტივებით.

ვფიქრობ, რომ უდავოდ პოზიტიური იქნება ე.წ. „სტარტაფების“ სისტემა, რომელიც საქართველოს მთავრობამ შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისა და დახმარების მიზნით. მათ შეეძლებათ მცირე ბიზნესს პირველ ეტაპზე აღმოუჩინონ ქმედითი დახმარება და ხელი შეუწყონ მეწარმეობის დაწყებაში.

დღეს, ჩვენმა ქვეყანამ, ხშირ შემთხვევაში მტკივნეული რეფორმის გზით, თავი დააღწია პოსტტრანსფორმაციული ეკონომიკის სოციალურ რეციდივებს და მეტ-ნაკლებად ნორმალური ფუნქციონირების რეჟიმზეა გადასული. საზოგადოებრივი ცხოვრების პოსტკომუნისტური მემკვიდრეობის ტრანსფორმაციის გზა ბევრი სპეციფიკური პრობლემითა და სირთულით ხასიათდებოდა. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა, დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. ეს პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების პოლარიზაციის ფონზე, გამრავლდა ქონებრივი მდგომარეობისა და შემოსავლების მიხედვით საზოგადოების დიფერენციაცია და ქვეყანაში ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა სოციალური უთანხმოებისა და უკმაყოფილებისათვის. ეკონომიკური რეფორმების ეფექტი, როგორც წესი, მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდება თვალსაჩინო და ხელშესახები, რაც მოქალაქეებისათვის ძნელი აღსაქმელია. ასევე, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს კვლავ მოჰყვება ნოსტალგია წარსულისადმი, რაც მთლიანობაში აძლიერებს აპათიურ განწყობილებებს საზოგადოებაში.

ვგონებ ესეც არის „აქილევსის მეორე ქუსლი“, რომელიც ნამდვილად ქართული ეკონომიკისათვის „გორდიას კვანძად“ გადაიქცა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბერიშვილი ხ., მცირე ბიზნესის განვითარების მასშტაბები საზღვარგარეთ და საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ინოვაციები ბიზნესში“, 2010.
2. ვეკუა დ. გ., თავართქილიძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერი შრომათა კრებული 5, საქართველოს მიკრო ეკონომიკური პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები, თბ., 2015.
3. ვეკუა დ. გ., თავართქილიძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერი შრომათა კრებული 7, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პარადიგმა, თბ., 2017.
4. ვეკუა დ., ჯანგულაშვილი ლ., ეკონომიკის მოდერნიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების მიმართულებები და პერსპექტივები საქართველოში,

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში“, თბ., 2013.
5. საქართველოში სოციალური დაზღვევის სისტემის მაკროეკონომიკური რეგულირების გზები და მიმართულებები, თბ., 2013.
6. Разумов И. Мелкие фирма в США, журнал „Экономика и управление”, М. 2007, №12.
7. http: geostat.ge
8. wikipedia.org

**დავით ვეკუა**

**საქართველოს ეკომომიკის „აქილევსის ქუსლი“ და მისი დაძლევის გზები**

**რეზიუმე**

ნაშრომში პოზიტიურადაა შეფასებული ის ძვრები, რომლებიც უკანასკნელი წლებია ეკონომიკის მიმართულებით საქართველოში მიმდინარეობს და გამოკვეთილია ჩვენი ქვეყნის განვითარების შემაფერხებელ პრობლემათა სპექტრი.

საქართველოს ეკონომიკის „აქილევსის ქუსლი“ არის არადივერსიფიცირებული ეკონომიკური სისტემა, რომელიც აღარ იძლევა განვითარების შესაძლებლობებს, იგი მიდრეკილია მონოპოლიზმისაკენ, ბაზრის სეგმენტიზაციისაკენ და მსხვილ ბეზნეს-ჯგუფებში კაპიტალის კონცენტრაციისაკენ.

ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ მიმართულებად განხილულია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანა უნდა გახდეს. ეს განპირობებულია მთელი რიგი გარემოებებით და უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ბიზნეს-გარემოს სპეციფიკას და გეოპოლიტიკურ ამოცანებს.

ეკონომიკის დემონოპოლიზაციისა და საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებით შემოთავაზებულია წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიგრაციის პროცესის შემცირებას და ქვეყანაში სოციალური სტაბილურობის დამყარებას.

**David Vekua**

**Achilles' heel of the Georgian Economy and the Ways of overcoming it**

**Summary**

The academic work gives a positive evaluation to the changes that have been taking place in the Georgian economy in the recent years and highlights the range of problems impeding the country’s development.

This Achilles’ heel of the Georgian economy is the undiversified economic system that provides little opportunities for development due to its tendency towards monopolism, segmentation of market and concentration of capital within large business groups.

One important solution to the problem is seen in the development of small and medium businesses that should become one of the country’s strategic tasks. This is determined by a number of circumstances associated with the peculiarities of business environment in our country and Georgia’s geopolitical goals.

The research provides suggestions and recommendations on demonopolization of the economy and development of small and medium enterprises that should create new jobs, reduce outmigration of the active segment of population and bring social stability to the country.

**Давид Векуа**

**Ахиллесова пята грузинской экономики и пути её преодоления**

**Резюме**

Работа даёт положительную оценку изменениям, которые происходят в экономике Грузии впоследние годы, и выделяет спектр проблем мешающих развитию страны.

Ахиллесовой пятой грузинской экономики является недиверсифицированная экономическая система, которая ограничивает возможности развития из-за её склонности к монополизму, сегментации рынка и концентрации капитала в пределах больших бизнесс-групп.

Рассматривается развитие малого и среднего бизнеса как одно из решений проблемы и как одна из стратегических задач развития страны. Это обусловливается рядом обстоятельств, связанных с обенностями бизнесс-среды в стране и геополитическими задачами Грузии.

В работе даются предложения и рекомендации по демонополизации экономики и развитию малого и среднего бизнеса, что должно способствовать созданию новых рабочих мест, уменьшению миграции экономически активной части населения из страны и установлению социальной стабильности.

**Charita Jashi**
**professor of Tbilisi State University**

**Tamar Jangulashvili**
**PHD student of Tbilisi State University**

**Gender Aspects of Labor Migration in Georgia**

Global labor migration trends are changing and more women now tend to migrate autonomously for economic reasons. According to UN's report 2016, in 101 countries, more than half of migrants are women. The Labor migration from Georgia has reached as unprecedented scale since 1995 years. External labor migration has become the most important factor of the country's socioeconomic system. The impacts of migration pose considerable problems for Georgian society. The scale and nature of labor migration have a negative influence on the demographic development of Georgia, which runs counter to Georgia`s development goals. The lack of job opportunity at home, unsatisfactory wage and career prospects and the need to improve living standards became main causes for the migration. Feminization of migration is considered to be a new stage in the development of working emigration and is regarded as a big progress on the road of achieving gender equality. (Castles and Miller,1993),(Gender, Remittances and Development, 2007). These new migration trends and the differences between women and men as senders and recipients of remittances can greatly affect remittance patterns and need to be acknowledged in order to maximize the potential impact of remittances on development.

The globalization process has considerably influenced the structure of employment. In the international market, the demand for women's work as a relatively cheap labor source has greatly increased. Therefore, the number of women and their share among labor emigrants has become quite substantial. Obviously, trade liberalization has opened up the new opportunity for educated and younger women with professional skills

in developing countries and has led to access to new,better paying in employment and opportunities previously unavailable to women.

From the economic point of view, massive drain of labor resources from Georgia is justified by the fact that remittances sent by the labor migrants to their families in Georgia is the only source of their daily subsistence, and plays a vital role in overcoming poverty. The remittances from migrant workers constitute to one of the world's most substantial financial flows. These women usually work in different labor sectors than male migrants, with varying levels of job security and wages, and independently send remittances home to support their families left behind. Those funds are spent on the livelihood of their families. Meanwhile, they create additional demand for national currency and constitute a significant part of GDP. Unless stimulating conditions for repatriation of national labor force are created and the local resources (the real economic sector) are activated, those people will become estranged from their homeland, where the circle of their relatives will reduce (Personal Remittances in the Post-Soviet Countries(Mekvabishvili and Atanelashvili, 2017).

The exact amount of money Georgia receives from labor migrants is impossible to calculate, as majority uses informal ways to transfer money back home, but there are no doubts that many families are able to secure their subsistence only through remittances. The volume of remittances is increasing with each year. In 2007 it amounted to USD 837 million, which exceeds 15 times the corresponding indicator in 2000 (National Bank of Georgia, 2007). Remittances from workers living abroad have declined since the beginning of 2008 due to the economic slowdown, in Russia particular, which still accounts for two-thirds of the source of remittances.

In April 2010 the volume of money transfers from abroad constituted 74.7 million USD, which is 14.1 million USD or 23.2 percent more than the same amount for April 2009. /(National Bank of Georgia, 2009 /. According the information of National Bank remittances to Georgia in 2016 is a total $1.15 Billion. It should be noted that money transfers are an important source of foreign currency income in Georgia, which is well influence for regulation currency policy in the country.




**Source: Georgia remittance 2014-2017, National Bank of Georgia**

According the National Bank of Georgia reported that in January –February period of 2017 remittances **amounted 270 million USD, which is 19 % higher compared to the same period in 2016.** Women and men migrants act differently as both remittance senders and recipients. Globally, women are the most frequent recipients of remittances sent either by their spouse or by a relative working abroad. They tend to use these remittances for basic household consumption, consumer durables, housing, and debt repayment. As remittance senders women tend to transfer smaller amounts of money more regularly than men.

Worth noting that the number of female migrants has grown and women migrate became the main providers for their families. In Georgia remittances improve household economic well-bing. Remit-

tance fosters the formation of social capital by increasing the amount of money that households are given as gifts to other household (Gerber and Petrosyan, 2013).

There is an urgent need for a systematic and complex study the remittance analyze from gender aspect. Unfortunately, gender data remittance in Georgia does not exist, only study interviews with remittance service providers, migrants give not efficient information regarding to this issue. The remittances in Georgian economy play an important role in smoothening household consumption. They provide a social insurance and sources of income to jobless households in Georgia. At the same time, remittances should not be viewed as an official development aid they are not a cure for low income countries, migrant transfers can ease the immediate budget constraints by increasing spending on needs of food, health care, and schooling expenses, although due to their unpredictability they cannot be viewed as a substitute of domestically generated income (Economic Policy Center, 2011). As remittances become crucial for the family life, it is more and more difficult to consider returning back home. Unfortunately, there are no studies in Georgia allowing us to analyze the issues related to the impact of migration on the women left behind, their families, their behavior and their position in an extended family, on emotional well-being and personal problems.(Ferry, 2013), Very interesting project has been implemented in Georgia, aimed at improving access to remittances for migrant-sending families in Georgia by diversifying remittance transfer services for Georgians in Greece and enhancing the development impact of remittances by offering to migrants and their families new investment opportunities (IMO, 2009).

South Caucasus Women Congress conducted the survey in 2016 in Tbilisi and Kutaisi. Target group of the survey was members of female migrant families. The majority of respondents approved the hypothesis, that remittances sending from the female migrants remain an essential factor for the family survive. On the question how frequently does your family member send you money? The answer was: once a month - 37%, every two or three months 32%, every six months 17 %, about one year 14%. On the question how many years you are receiving money from female labor migrant, the answer was: Two or five years was 37 %, more than 5 years was 45% , less 3 years was 18%. How much money – on average – does your family member send you each time? Average remittance to the family in month about 100-180 EU. The remittance recipients spend approximately 70 % on basic needs such as food and medicine, 20% of education costs. 14 % of the respondents answered for buying a house or car, only 6 % answered to start a small business. All the respondents highlighted that the transfer home of migrant earnings perceived as the most significant activity of female labor migrants.

Despite that, women are already considered as the bread winner of the family, their economic dominance is less in Georgian household, because men is remained the ruler of the family. Different women`s perceptions exist, when women are abroad of the country. Labor migrant women have more control over the remittance, they are able to manage the money they earned according to their own opinions. In common women`s feeling of more security while living abroad, increase their self confidence and self esteem. It is worth to mention there are significant proportions of labor migrant women in the foreign labor market, they face many difficulties in accessing jobs. The constant growth of international trade requires a cheap labor force and women were given priority mostly in the spheres of trade and services, though it has to be emphasized that they do not possess any mechanisms for protecting their labor rights and therefore, often fall victim to trafficking. The above-mentioned study confirmed that the migration of married women is caused by extremely dire socioeconomic conditions, which have a negative impact on the family and demographic development. Women are more sensitive and vulnerable to living away from their families than are with men. It often happens that migrant women with small children are obliged to take care of children from other families, whereas their own children are taken care of by relatives in their home country. Georgian female migrants try hard to justify their separation from the family and in particular their children by sending more money more frequently. In order to be able to contribute more to the financial support of their family members, women: deprive themselves of basic needs. (Zurabishvili,2010) The re-emigration potential of married women is considerably higher than that of men. As for unmarried labor emigrants, the chance of staying in the foreign country is higher for women than for men. The increase in the number of

women working abroad has considerably changed the structure of the family and the role functions of its members. Cases of family violence have also increased. The moral influence of the family over the children and young people has been weakened; oppressive economic and social factors have caused the spread of different undesirable phenomena in the country, such as begging, trafficking, prostitution and other criminal activities, women being the majority of victims of such violence.(Jashi,2005). Migration, and subsequently the flow of remittances, can increase women's economic opportunities by giving them greater control over household finances and, therefore, greater decision-making power. This is true of migrant women who, by sending remittances, acquire a role as the primary earner for their families, as well as women who remain in the country of origin and, by receiving remitted money, gain greater responsibility over household expenditures (Jain, 2015). In some cases, women labor migrants are perceived as constantly self-sacrificing for the well –being of their families and their related idealization as reliable remitters, better managers, not only feeds on this gendered construction of women, but can also lead to their instrumentalization by community development interventions that are often built around women`s role as remitters or as remittance managers (Feminization of Migration 2007) In our opinion this view is a bit exaggerated. Obviously, labor migration of women influence on changing status of women in local and international labor market. Researchers highlight that in many countries, structural changes of labor markets have resulted in feminization of labor migration: single or married women, with mostly better educated than men, despite their ages are trying to find employment abroad to improve their living standards. Georgia is not an exception in this regard. There are lack of studies in this filed to analyze the issues related to the impact of migration on the women left behind, their families, their behavior and their position in an extended family, on emotional well-being and personal problems (Badurashvili, 2012). A large proportion of female labor migration occurs illegally, aided and abetted by a clandestine and often criminal industry. Increasingly, governments of both sending and receiving countries should develop regulatory mechanisms to manage labor migration. These include selective recruitment policies by countries needing labor, and strong marketing and overseas employment strategies by countries supplying labor. There is an urgent need for a systematic and complex study the remittance analyze from gender aspect. Unfortunately, gender data remittance in Georgia does not exist, only study interviews with remittance service providers, migrants give not efficient information regarding to this issue.

**Reference:**


1. Badurashvili, I. (2012). The Socio-Political Impact of Labor Migration on Georgia. CARIM-East Research Report 2012/21.
2. Castles S and Miller J.,(1993) The Age of Migration, International Population, Movements in the Modern World, London, Castles S: Comparing the Experience of Five Major Emigration Countries. 2007, Oxford International Migration Institute.
3. Ferry M.,(2013) Female Migrants from Georgia: Profiles and Migratory Projects, Caucasus analytical digest No: 57, 3.
4. Gender, Remittances and Development (2007) INSTRAW, *www.renate-europe.net/wp-content* .
5. Gerber,T.and Torosyan, K.,(2013) Correlates, Economic Impact, and Social Capital Formation Gerber and Journal Demography (2013) 50: 1279,1301.
6. International Organization for Migration – Remittances, 2016 http://www.iom.int/jahia/Jahia/pid/538
7. International Migration Report 2015. (2016). United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division.
8. Jashi,Ch.,(2011) Gender Paradigms of labor Migration in Georgia, *http://phds.ge/data/image_db_innova /Charita%20Jashi.pdf*
9. Jashi, Ch. (2005) Gender Economic Issue, UNDP Georgia.
10. Jain S.(2015) Remittances: A Tool for Women's Economic Empowerment, The Georgetown Institute for Women, Peace and Security

11. Labadze, l. and Tukhashvili M., (2013) Georgia Country Study, ENPI - Costs and Benefits of Labor Mobility between the EU and the Eastern Partnership Partner Countries.
12. Mekvabishvili, E. Atanelashvili, T.(2017) Personal Remittances in the Post Soviet Countries Bulletin of the Georgian National Academy of Sciences 11(3):157-163.
13. National Bank of Georgia. (2016, 2017). National Bank of Georgia. Retrieved from: www.nbg.gov.ge
14. Selm, I. (2005) Georgia looks West, But Faces migration Challenges at Home, Migration Policy Institute (MPI)
15. Tokmazishvili, M., (2007): Socioeconomic and Institutional Aspects of Labor Market Development in Georgia, Georgian Economic Trends: Quarterly Review, pp.49-57. Tbilisi, Georgian-European Policy and Legal Advice Centre.

**Charita Jashi, Tamar Jangulashvili**

**Some Aspects of Labor Migration in Georgia**

**Summary**

The article deals with external labor migration and its impact on Georgia's socioeconomic system. Feminization of migration is considered to be a new stage in the development of working emigration and is regarded as a big progress on the road of achieving gender equality. These new migration trends and the differences between women and men as senders and recipients of remittances can greatly affect remittance patterns and need to be acknowledged in order to maximize the potential impact of remittances on development. From the economic point of view, massive drain of labor resources from Georgia is justified by the fact that remittances sent by the labor migrants to their families in Georgia is the only source of their daily subsistence, and plays a vital role in overcoming poverty. The earned remittances of migrant workers constitute to one of the world's most substantial financial flows.

A large proportion of female labor migration occurs illegally, aided and abetted by a clandestine and often criminal industry. Increasingly, governments of both sending and receiving countries should develop regulatory mechanisms to manage labor migration. Governments should provide labor processed in the country according to the international. There is an urgent need for a systematic and complex study of migration processes, the correct definition of migrant women's role in these processes.

**ჩარიტა ჯაში, თამარ ჯანგულაშვილი**

**შრომითი მიგრაციის გენდერული ასპექტები**

**რეზიუმე**

სტატია ასახავს შრომითი მიგრაციის გავლენას სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე საქართველოში. შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია მიჩნეულია მიგრაციის განვითარებისა და პროგრესის ახალ ეტაპად. მიგრაციულმა პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მიგრანტ ქალსა და მამაკაცზე, როგორც ფულადი გზავნილების გამგზავნელსა და მიმღებზე. ეკონომიკური თვალსაზრისით, შრომითი რესურსების მასობრივ მიგრაციას დიდი მნიშვნელობა გააჩნია, ფულადი გზავნილები მიგრანტთა ოჯახებისათვის სიღარიბისაგან დაღწევის ძირითადი საშუალება გახდა. მიგრანტების მიერ ფულადი გზავნილები მეტად საჭირო მნიშვნელოვან ფინანსურ ნაკადს წარმოადგენს ქვეყნისათვის. ქალები წარმოადგენენ შრომითი მიგრანტების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მუშაობენ არალეგალურად, კრიმინალური სამყაროს მხარდაჭერით. ქვეყნის მთავრობებმა უნდა მოახდინონ შრომითი პროცესების სათანადო რეგულირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე აუცილებელია

მიგრაციული პროცესების სისტემატიური და კომპლექსური კვლევა, მიგრანტ ქალთა როლის სწორი დეფინიცია ამ პროცესებში.

**Чарита Джаши, Тамар Джангулашвили**

**Гендерные аспекты трудовой миграции**

**Резюме**

В статье освещена тема влияния трудовой миграции на социально-экономические процессы в Грузии. Феминизация миграции рассматривается, как новый этап развития и прогресса миграционных процессов. Эти процессы оказали важное влияние на мигрантов женьщин и мужчин, как на отправителей денежных переводов и их получателей. С точки зрения экономики массовые трудовые миграции играют важную роль. Денежные переводы для семей мигрантов на сегодняшний день превратились в основной способ в преодолении нищеты. Денежные переводы мигрантов важны и для страны. Женьщины являются основной частью трудовой миграции. В большинсве случаев они работают нерегулярно и при поддержке криминального мира. Правительство должно регулировать трудовые процессы в соответсвии с международными стандартами. Также необходимо изучать, систематически и комплексно исследовать трудовые миграционные процессы, а также правильно определить роль женьщин в этом процессе.

**მაია თეთრუაშვილი**

**თბილისის საწავლო უნივერსიტეტის პროფესორი**

## საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური კონცეფცია და რეალური მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია მოიცავს 2014-2020 წლებს და მიმართულია სწრაფი ეკონომიკური ზრდისაკენ, რასაც უზრუნველყოფს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება რეგიონში. სტრატეგიის მიზანია 2020 წლისათვის გავხდეთ საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყანა. კერძოდ, საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2020 წლის ბოლოსათვის უნდა შეადგენდეს 8500 აშშ დოლარზე მეტს.

2012 წლის მონაცემით საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე არის 3520 აშშ დოლარი, ეკონომიკური სიმდიდრის გადანაწილების კოეფიციენტი (ჯინის ინდექსი) - 0.41.

სტრატეგია ემსახურება საქართველოს ჩამოყალიბებას ქვეყნად, რომელიც არის: რეგიონში კონკურენტუნარიანი, ექსპორტზე ორიენტირებული, თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე, მაღალი ხარისხის განათლების სისტემისა და ევროპული ღირებულებების მატარებელი.

სტრატეგიის მიზნებისათვის, რეგიონში იგულისხმება ის გეოგრაფიული არეალი, რომელიც, თავისი მოცულობით, წარმოადგენს მიმზიდველ ბაზარს ინვესტიციებისათვის, როგორც ადგილობრივი, ისე, მულტინაციონალური კომპანიებისთვის. რეგიონი მოიცავს 13 ქვეყანას შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზებიდან. ესენია: აზერბაიჯანი, ბულგარეთი, თურქეთი, თურქმენეთი, ირანი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, უზბეკეთი, უკრაინა და ყაზახეთი. საქართველო ამ რეგიონში შეასრულებს

მიზიდულობის ცენტრის ფუნქციას და გააააქტიურებს მიზანმიმართულ ეკონომიკურ საქმიანობას.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდა რეგიონში მიიღწევა ხუთი სტრატეგიული ამოცანის მეშვეობით. ეს ამოცანებია: ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, საქართველოს ჩამოყალიბება რეგიონული მიზიდულობის ცენტრად, შრომის სრულფასოვანი ბაზრის შექმნა, ინოვაციური პოტენციალის გაუმჯობესება და ინფრასტრუქტურის განვითარება.

აღნიშნული ხუთი სტრატეგიული ამოცანა, ასევე, პასუხობს გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას საქართველო კონკურენტულობის თვალსაზრისით.

სტრატეგია წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შვიდწლიან გეგმას, სადაც ჩამოყალიბებულია ეკონომიკური ხედვის განსახორციელებლად გადასაჭრელი ამოცანები. ეს სტრატეგია უნდა გადაიხედოს ყოველწლიურად, შეფასდეს ამოცანის გადაჭრის გზების შესაბამისობა არსებულ რეალობასთან და, საჭიროებისამებრ, შევიდეს ცვლილებები მოცემული წლის სამოქმედო გეგმაში.

აღნიშნული სტრატეგიის მესამე თავში საუბარია ეკონომიკურ მიზნებზე – 2020 წლისთვის. ეკონომიკური განვითარების წინამდებარე სტრატეგია ინკლუზიურ ზრდაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას ისე, რომ პროცესში მონაწილეობას მაქსიმალურად თანაბრად იღებდეს საზოგადოების ყველა წევრი. სტრატეგიის ამოცანაა, 2020 წლის ბოლოსათვის საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა ერთ სულ მოსახლეზე შეადგინოს 8500 აშშ დოლარზე მეტი, რაც საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების მონაცემია (მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით). მშპ-ის ამ მაჩვენებლის მისაღწევად საჭიროა, ეკონომიკის საშუალო რეალურმა წლიურმა ზრდამ შეადგინოს მინიმუმ 7%. სიმდიდრის გადანაწილების კოეფიციენტმა (ჯინის კოეფიციენტი) არ უნდა გადააჭარბოს 0.4-ს. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მოქალაქეებისათვის თანაბარი საგანმანათლებლო და პროფესიული შესაძლებლობების შექმნით.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა სტრატეგიით დასახული ეკონომიკური მიზნების მიღწევის ფუნდამენტია. ის უზრუნველყოფს როგორც ინვესტორების, ისე, მოსახლეობის ნდობას ქვეყნის ეკონომიკისადმი, რაც აისახება მოკლევადიან და გრძელვადიან ბიზნესგადაწყვეტილებებში, ხოლო საბოლოოდ კი დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდაში. 2014-დან 2020 წლის ჩათვლით მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად წინამდებარე სტრატეგიით შემდეგი პარამეტრები უნდა იქნეს დაცული:

1. მთავრობის საგარეო ვალი არ აღემატებოდეს მშპ-ის 45%-ს ამ ფარგლების დაცვით ქვეყანა ნაკლებმგრძნობიარე იქნება გლობალური რისკების მიმართ. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს ქვეყნის რისკის შემცირებას და დადებითად აისახება ისეთ პარამეტრებზე, როგორიცაა ქვეყნის სუვერენული საკრედიტო რეიტინგი.

2. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი არ აღემატებოდეს მშპ-ის 7%-ს წინამდებარე სტრატეგია მიზნად ისახავს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ეტაპობრივად შემცირებას ისეთი ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც ეფუძნება თავისუფალ საბაზრო პრინციპებს და არა პროტექციონიზმს. მთავრობის ამოცანაა ბაზრის ყველა მოთამაშისათვის მაქსიმალურად თავისუფალი და თანასწორი საბაზრო პირობების შექმნა.

3. ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა არ აღემატებოდეს მშპ-ის 25%-ს. საქართველოს ხელისუფლება მინიმალურ საგადასახადო და ბიუროკრატიულ წნეხს უნდა უქმნიდეს ბიზნესგარემოს და, ასევე, მაქსიმალურად ეფექტურად იყენებდეს ადმინისტრაციულ რესურსებს. იმ პირობებში, როდესაც ქვეყანა მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად რეგიონში კონკურენტული პოზიციების გამყარებას

გეგმავს და მიზნად სწრაფ ეკონომიკურ ზრდას ისახავს, უმნიშვნელოვანესია, შეიქმნას მაქსიმალურად მიმზიდველი ბიზნესგარემო.

4. ბიუჯეტის დეფიციტი არ აღემატებოდეს მშპ-ის 3%-ს ბიუჯეტის დეფიციტის დაბალ დონეზე შენარჩუნება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ინვესტორებმა შეინარჩუნონ ნდობა ქვეყნის ეკონომიკის მიმართ. აუცილებელია, რომ ბიუჯეტის დეფიციტის მართვა მოხდეს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივიდან და ხელისუფლებამ იგივე ტემპით განაგრძოს ინვესტირება ინფრასტრუქტურაში.

5. ინფლაცია შენარჩუნდეს 4%-5%-ის ფარგლებში. მაღალი ინფლაცია იწვევს არაპროგნოზირებად გარემოს, მოსახლეობას და ბიზნესს უჩენს უნდობლობას მომავლის მიმართ და ეს ყველაფერი, ცხადია, ნეგატიურად აისახება ინვესტიციებზე და ეკონომიკურ ზრდაზე. სწორედ ამიტომ დაბალი ინფლაციის შენარჩუნება არსებითია სტაბილური, ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ბიზნესგარემოს ჩამოსაყალიბებლად.

6. შენარჩუნდეს თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსი. ფიქსირებული სავალუტო კურსი არახელსაყრელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, რადგან ის ზრდის საქართველოს დამოკიდებულებას სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე და გარე ინფლაციის ქვეყანაში შემოტანის რისკს, ამცირებს ეფექტური და დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას. თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსი კი იძლევა საშუალებას, განხორციელდეს წინამდებარე სტრატეგიით განსაზღვრული ეკონომიკური ამოცანები.

7. სუვერენული საკრედიტო რეიტინგი ამაღლდეს (BB)-დან (BB+)-მდე ქვეყნის სუვერენული რეიტინგი განაპირობებს როგორც ფინანსური რესურსის ფასს, ისე, საერთაშორისო ინვესტორების ნდობას ქვეყნის ბიზნესკლიმატის მიმართ. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ხელისუფლებამ ინტენსიურად იმუშაოს, რათა 2020 წლის ბოლოსათვის საქართველოს სუვერენული რეიტინგი გაიზარდოს BBB-მდე.

8. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დახვეწა სახელმწიფოს, როგორც ბაზარზე ყველაზე მნიშვნელოვან და დიდი ძალაუფლების მქონე მყიდველს, აქვს ბერკეტები, რომ მის მიერვე დაწესებული პირობებით, ხარისხის მიმართ მაღალი მოთხოვნებით ხელი შეუწყოს და ბიძგი მისცეს ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების შემოსვლას და წაახალისოს ინოვაციური მიდგომები. სახელმწიფო გვევლინება მსხვილ შემსყიდველად ისეთ დარგებში, სადაც დიდია განვითარების პოტენციალი, მაგალითად, სამშენებლო, საინფორმაციო ტექნოლოგიები, კომუნიკაციები და ასე შემდეგ, მაგრამ ბაზრის ჩავარდნის გამო ეს დარგები არ გადადის განვითარების შემდეგ ეტაპზე, რაც ნეგატიურად აისახება როგორც დარგების კონკურენტუნარიანობაზე და საექსპორტო პოტენციალზე, ისე, თავად ქვეყნის პროდუქტიულობაზე. განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების კვლევა ქვეყანაში არსებულ ბევრ დარგს აქვს საექსპორტო პოტენციალი, თუმცა ამ დარგების ზრდა–განვითარება არ ხდება მათში სუსტი კონკურენციისა და პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებლის გამო.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების განვითარებისათვის საჭიროა, ჩატარდეს საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგებში კონკურენციისა და ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორების კვლევა. კვლევის მიზანი იქნება ისეთი ბარიერების გამოვლენა, რომელთა აღმოფხვრაც სახელმწიფოს ფუნქციაა. მოპოვებული ინფორმაცია დაეხმარება ხელისუფლებას, დაინახოს დარგებში არსებული დაბრკოლებები და გაატაროს მათ გადასაჭრელად საჭირო ღონისძიებები.

9. კონკურენციის რეგულირების ეფექტური პოლიტიკის ჩამოყალიბება სახელმწიფოს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ერთი მხრივ, არ დაუშვას ბაზარზე კონკურენციის შემზღუდველი პრაქტიკა და ქმედებები, მეორე მხრივ, კი ზედმეტი რეგულაციებითა და ბიუროკრატიით ხელი არ შეუშალოს ბიზნესის განვითარებას, ხელოვნურად არ შეაფერხოს კომპანიების ზრდა. აღნიშნულ გამოწვევასთან

გასამკლავებლად აუცილებელია კონკურენციის ხელშეწყობის პოლიტიკის იმგვარად ფორმირება, რომ კანონის აღმასრულებელს საშუალება მიეცეს, ერთი მხრივ, ეფექტურად ებრძოლოს კონკურენციის შემზღუდველ ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა კარტელური გარიგებები, დემპინგი და, მეორე მხრივ, არ შეუშალოს ხელი ბაზრიდან სუსტი კონკურენტების გაქრობას ან განდევნას, როდესაც ეს პროცესი მიმდინარეობს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში. თავად პოლიტიკის რეალიზაციის ფარგლებშიც არ უნდა მოხდეს ბაზრის ძლიერი მოთამაშეების წინააღმდეგ რაიმე ტიპის ქმედებების განხორციელება მხოლოდ იმის გამო, რომ მათ უკავიათ დომინირებული მდგომარეობა.

10. სტაბილური და გამჭვირვალე საგადასახადო გარემოს უზრუნველყოფა საგადასახადო გარემოს სტაბილურობა და გამჭვირვალობა ფუნდამენტური საკითხებია. ამიტომ, წინამდებარე ეკონომიკური სტრატეგია ითვალისწინებს, 2020 წლისათვის ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საგადასახადო დავების საბჭოს საფუძველზე შეიქმნას სპეციალიზებული საგადასახადო სასამართლო (მოსამართლეები) ერთიანი სასამართლო სისტემის ფარგლებში.

11. საპენსიო რეფორმა: მეორე პილარის დანერგვა საქართველოში. ამჟამად მოქმედი კერძო საპენსიო სისტემა ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკაში „მესამე სვეტად“ (Pillar III) ცნობილ მოდელს, რომელიც მთლიანად ნებაყოფლობითია, არ მოიცავს სახელმწიფოს მიერ რაიმე წამახალისებელ მექანიზმებს და შედარებით დარეგულირებულია. აღნიშნული მოდელი, ერთი მხრივ, ნაკლებად პოპულარულია მოსახლეობაში, რადგან არ ითვალისწინებს რაიმე ტიპის საგადასახადო შედავათს, ხოლო, მეორე მხრივ, შედარებით სუსტად არის რეგულირებული, რის გამოც თან ახლავს მაღალი რისკები დანაზოგების მფლობელთათვის. შესაბამისად, არსებული მოდელი ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიანი, უფრო ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსის აკუმულირებას. წინამდებარე სტრატეგიით ახალი კერძო საპენსიო სისტემა უნდა შეიქმნას „მეორე სვეტის“ (Pillar II) მოდელის შესაბამისად. ამ მოდელის მიხედვით: კერძო საპენსიო ფონდებში ხდება მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადიდან გარკვეული პროცენტული ნაწილის მიმართვა ისე, რომ მათი საგადასახადო ტვირთი საერთო ჯამში არ იზრდება.

ახლა ამ სტრატეგიის მიმოხილვის ფონზე საინტერესოა განვიხილოთ მიმდინარე ეკონომიკური მაჩვენებლები:

საქართველოს ეკონომიკრმა ზრდამ 2016 წელს 2,6 პროცენტს მიაღწია, რაც ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებელია. ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირაა დამოკიდებული საბიუჯეტო სახსრების მობილიზების მასშტაბები. ეკონომიკური ზრდის ყოველი 1 პროცენტი უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით 90 მილიონი ლარის მობილიზების შესაძლებლობას.

მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში წარმოებული მშპ მხოლოდ 400 დოლარია (10000 ლარი) ამ მაჩვენებლით ჩვენი 186 ქვეყნიდან მხოლოდ 113-ე ადგილს ვიკავებთ.

2016 წელს საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 9350 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 11,6 პროცენტით ნაკლებია.

შარშანდელი მონაცემებით წლიური ინფლაცია 2, 1 პროცენტი იყო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის რეალური მონაცემების გათვალისწინებით ინფლაციის წლიური მაჩვენებელი გაცილებით იქნება გაზრდილი.

ბოლო წლებში საქართველოში მცირდება უმუშევრობა და მან 12 პროცენტი შეადგინა, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტენდენციას ხელს უწყობს შრომითი მიგრაციაც, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებას განაპირობებს.

აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს რეალური ეკონომიკა და მისი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება და აცდე-

ნილია ეკონომიკური განვითარების კონცეფციას, რომელიც 2020 წლისათვის იყო დაგეგმილი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. არჩვაძე ი., საქართველოს მოსალოდნელი ეკონომიკური მდგომარეობა, 2016-2017 წლის მოსალოდნელი განვითარება ზოგიერთი ასპექტის შესახებ. გლობალური კვლევების ცენტრი, 2017.
2. ბიზნეს ასოციაცია. საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – 2013.
3. საქართველოს მთავრობა – საქართველოს სოციალურ-ეკონომკური განვითარების სტრატეგია, თბ., 2020.


‘

**მაია თეთრუაშვილი**

**საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური კონცეფცია და რეალური მაკროეკონომიკური მაჩვენებლები**

**რეზიუმე**


სტრატეგია ემსახურება საქართველოს ჩამოყალიბებას ქვეყნად, რომელიც არის: რეგიონში კონკურენტუნარიანი, ექსპორტზე ორიენტირებული, თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე, მაღალი ხარისხის განათლების სისტემისა და ევროპული ღირებულებების მატარებელი.

სტრატეგიის მიზნებისათვის, რეგიონში იგულისხმება ის გეოგრაფიული არეალი, რომელიც, თავისი მოცულობით, წარმოადგენს მიმზიდველ ბაზარს ინვესტიციებისათვის, როგორც ადგილობრივი, ისე, მულტინაციონალური კომპანიებისათვის. რეგიონი მოიცავს 13 ქვეყანას შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზებიდან. ესენია: აზერბაიჯანი, ბულგარეთი, თურქეთი, თურქმენეთი, ირანი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, უზბეკეთი, უკრაინა და ყაზახეთი. საქართველო ამ რეგიონში შეასრულებს მიზიდულობის ცენტრის ფუნქციას და გააააქტიურებს მიზანმიმართულ ეკონომიკურ საქმიანობას.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდა რეგიონში მიიღწევა ხუთი სტრატეგიული ამოცანის მეშვეობით. ეს ამოცანებია: ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, საქართველოს ჩამოყალიბება რეგიონული მიზიდულობის ცენტრად, შრომის სრულფასოვანი ბაზრის შექმნა, ინოვაციური პოტენციალის გაუმჯობესება და ინფრასტრუქტურის განვითარება.


**Maia Tetruashvili**

**Georgia's long-term Economic Conception and Real Macroeconomic Indicators**

**Summary**


The economic strategy serves to establish Georgia as a country capable of implementing a high-quality education system and European values based on the principles of a competitive, export-oriented, free market in the region.

For the purposes of the strategy, the region is a geographical area, which in its capacity is an attractive market for investments for both local and multinational companies. The region consists of 13 countries in the basin of the Black and Caspian Seas. These include: Azerbaijan, Bulgaria, Turkey, Turkmenistan, Iran, Moldova, Romania, Russia, Georgia, Armenia, Uzbekistan, Ukraine and Kazakhstan. Georgia will act as a center of attraction in this region and will activate targeted economic activity.

The growth of the country's competitiveness in the region is achieved through five strategic goals. These tasks are: improving the business environment, creating Georgia as a center of regional attractiveness, creating a full trade mark, improving innovation capacity and developing infrastructure.

**Майя Тетруашвили**

**Долгосрочная экономическая концепция Грузии и реальные макроэкономические показатели**

**Резюме**

Экономическая стратегия служит тановлению Грузии как страны, способной осуществлять высококачественную систему образования и европейские ценности, основанные на принципах конкурентного, ориентированного на экспорт, свободного рынка в регионе.

Для целей стратегии регион является географическим районом, который в своем качестве является привлекательным рынком для инвестиций, как для местных, так и для многонациональных компаний. Регион состоит из 13 стран бассейна Черного и Каспийского морей. К ним относятся: Азербайджан, Болгария, Турция, Туркменистан, Иран, Молдова, Румыния, Россия, Грузия, Армения, Узбекистан, Украина и Казахстан. Грузия будет выполнять функцию центра притяжения в этом регионе и активизирует целевую экономическую деятельность.

Рост конкурентоспособности страны в регионе достигается с помощью пяти стратегических целей. Этими задачами являются: улучшение деловой среды, создание Грузии как центра региональной привлекательности, создание полной торговой марки, улучшение инновационного потенциала и развитие инфраструктуры.

**ვახტანგ სვანაძე**
**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

**შოთა გულბანი**
**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

**საქართველოს საფინანსო სექტორის ასიმეტრიული განვითარების მიზეზები**

საფინანსო სექტორი წარმოადგენს ბიზნესის დაფინანსების ძირითად წყაროს. განასხვავებენ ბიზნესის დაფინანსების ორ ალტერნატიულ მიმართულებას – საბანკო სფერო და კაპიტალის ბაზარი. ბიზნესის დაფინანსების კუთხით მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ორი სექტორი იმყოფებოდეს მუდმივ ჯანსაღ და თანასწორუფლებიან კონკურენციაში. ასეთ შემთხვევაში მიიღწევა ბიზნესისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ოპტიმალური პირობები, ვინაიდან ორივე სექტორი ცდილობს მომსახურების მრავალფეროვნებისა და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იაფი საფინანსო რესურსის მიწოდებით მოიზიდოს ფინანსური მომსახურების პოტენციური კლიენტურა. რაც უფრო ჯანსაღი კონკურენციაა ამ ორ სეტქორს შორის, მით უფრო დაბალია ბიზნესის საფინანსო მომსახურების საპროცენტო განაკვეთები, საკომისიოები და მით უფრო ხელმისაწვდომია ის სერვისები, რასაც საფინანსო სექტორის წარმომადგენლები სთავაზობენ ბიზნესს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების საფინანსო ბაზრები, რომელზეც კაპიტალის ბაზრისა და საბანკო სექტორის წარმომადგენლებს შორის ადგილი აქვს

ჯანსაღ და თანასწორ კონკურენციას, შედეგად ორივე სექტორი იძულებულია კლიენტისათვის კონკურენტულ ბრძოლაში მაქსიმალურად დასწიოს მომსახურების საფასურები და საფინანსო რესურსების სარგებლობის საპროცენტო განაკვეთები. სწორედ ამიტომ მიილტვის მსოფლიოს ძირითადი საინვესტიციო რესურსი ასეთი მაღალკონკურენტულობით გამორჩეული ბაზრებისაკენ, სადაც მეწარმე დაცულად გრძნობს თავს არა მარტო სახელმწიფო რეგულირების თვალსაზრისით, არამედ მონოპოლისტურ ჯგუფებთან დაკავშირებული საფრთხეებისგანაც.

საფინანსო სექტორის ასიმეტრიული განვითარების საკითხები მრავალ სამეცნიერო კვლევაშია განხილული. როგორც ფრანკლინ ალენისა და დუგლას გეილის მიერ, 2001 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში - „შედარებითი ფინანსური სისტემები“ ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ფინანსური სისტემები არარეგულირებული ბაზრებით და შუამავალი კომპანიებით, როგორც ეს იყო დამახასიათებელი მე-19 საუკუნის აშშ-ს ფინანსური ბაზრებისათვის, ხშირად განიცდიან ფინანსურ კრიზისს. ამ კრიზისების აღმოფხვრისა და მასთან გამკლავების ბუნებრივმა სურვილმა მრავალი მთავრობა იძულებული გახადა აქტიური ინტერვენციები განეხორიციელებინა საფინანსო სექტორში. როგორც წესი ცენტრალური ბანკები და ასევე სხვა მარეგულირებელი ორგანოები არიან ვალდებულნი არეგულირონ და ზედამხედველობა გაუწიონ, როგორც საბანკო სექტორს, ასევე საფინანსო სისტემის ისეთ სხვა მოთამაშეებს, როგორებიცაა სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, საფონდო ბირჟები და ა.შ. ასე, რომ მრავალ ქვეყანაში, მთავრობები მნიშნელოვან როლს ასრულებენ ფინანსური სისტემების გამართულად ოპერირებაში. ეს ინტერვენციები ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური სისტემა, რომელიც განსაზღვრავს მთავრობას და მის პოლიტიკას, არის რელევანტური და მნიშვნელოვნად დაკავშირებული ქვეყნის ფინანსურ სისტემასთან. კვლევაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მარეგულირებელი კანონი, ფინანსური სისტემის გამართულად ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამასთან კვლევის ავტორების მიერ ფინანსური სისტემა განმარტებულია როგორც ადგილი, სადაც თავს იყრიან ფინანსური აგენტები ჭარბი ფინანსური რესურსებით და აგენტები, რომლებიც ფინანსების დეფიციტს განიცდიან, ხოლო მისი არსებობის მიზანს, ამ აგენტების ერთმანეთთან დაკავშირება წარმოადგენს.

საბანკო სექტორისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეკონომიკის განვითარებასთან კავშირის საკმაოდ საინტერესო მიგნებებია აღწერილი ასლი დემირგუქ-ქანტის, ერიკ ფეიენისა და როს ლეინის ნაშრომში - „ბანკებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებადი მნიშვნელობა“. კვლევის შედეგად ავტორები ასკვნიან სამ ძირითად გარემოებას: 1) რამდენადაც ქვეყნის ეკონომიკა ვითარდება, საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრების ზომაც იზრდება ეკონომიკის ზრდის კვალდაკვალ; 2) ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, კავშირი ეკონომიკურ ზრდასა და საბანკო სექტორის განვითარებას შორის მცირდება; 3) ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში კავშირი ეკონომიკურ ზრდასა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას შორის იზრდება. აგრეთვე, რამდენადაც ეკონომიკები ვითარდებიან, ის სერვისები რასაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი მომხმარებლებს სთავაზობს, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ეკონომიკური აქტივობისათვის, მაშინ როცა ბანკების მიერ შეთავაზებული სერვისები ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება.

ყურადღებას იპყრობს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ 2017 წლის იანვარში გამოქვეყნებული მოხსენება - „ადგილობრივი კაპიტალის ბაზრების მნიშვნელობა, განვითარების დაფინანსებაში“, სადაც ნათქვამია, რომ მზარდი ეკონომიკა, რომელიც ახალახალი ფინანსური შუამავლების აუცილებლობის წინაშეა, რაც თავის მხრივ გრძელვადიანი ან საკმაოდ სარისკოა კომერციული ბანკებისათვის, არის მთავარი მამოძრავებელი სტიმული კაპიტალის ბაზრების განვითარებისა. სტატიაში განხილულია კაპიტალის ბაზრების უპირატესობები განსხვავებული ტიპის ეკონომიკური სუბიექტებისათვის. კომპანიისათვის, რომელსაც ფინანსების მოძიება სჭირდება, კაპიტალის ბაზრები უზრუნველყოფენ დაფინანსების ალტერნატიულ შესაძლებლობას. ისინი აგრეთვე სთავაზობენ უკეთეს ფასებს და გრძელვადიან ინსტრუმენტებს, ისევე როგორც ინვესტორთა საკმაოდ ფართო ბაზაზე წვდომას. კაპიტალის ბაზრები უფრო სარისკო აქტივებში ინვესტირებას სთავაზობენ მომხმარებლებს, რითაც უფრო მეტად უწყობენ ხელს ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებას, რისგანაც ტრადიციულად ბანკები თავს იკავებენ. მაშინ, როცა ქვეყნის მთავრობებს აქვთ წვდომა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე, ადგილობრივი კაპიტალის ბაზრების განვითარებას შეუძლია ადგილობრივი ვალუტით დაფინანსებაზე წვდომა გაზარდოს, რითაც სავალუტო რისკებსა და ინფლაციას უკეთესად გაა-

კონტროლებს. მთავრობებისათვის ეს საკმაოდ ღირებული ბენეფიტია, რამდენადაც ის შესაძლებლობას იძლევა ფისკალური დეფიციტი დაფინანსდეს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის მეშვეობით ადგილობრივი ვალუტით, რაც გამორიცხავს სავალუტო რისკებს.

ამასთან, მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ინვესტორებისათვის და დანაზოგის მფლობელთათვის კაპიტალის ბაზრები არის ძალიან მიმზიდველი იმ კუთხით, რომ ის მათ სთავაზობს ინვესტირების შესაძლებლობების ფართო სპექტრს უკეთესი უკუგების მაჩვენებლებით, ვიდრე საბანკო დეპოზიტები, რაც თავის მხრივ დამკიდებულია რისკის ხარისხზე, ლიკვიდურობის მოთხოვნაზე და სხვა ფაქტორებზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინსტიტუციური ინვესტორებისათვის, მაგალითად საპენსიო ფონდებისათვის და სადაზღვევო კომპანიებისათვის, ამ კუთხით კაპიტალის ბაზრებს აქვთ უფრო ღრმა ეფექტი საზოგადოებაზე. ამასთან, მსოფლიო ბანკის კვლევამ აჩვენა, რომ 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის დროს, იმ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ობლიგაციების ბაზარი იყო ძლიერი, კრიზისს უკეთესად გაუმკლავდა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში ხელისუფლება უზრუნველყოფს საფინანსო სფეროს ორი კონკურენტი სექტორის: კაპიტალის ბაზარსა და საბანკო სექტორს შორის ჯანსაღ კონკურენციას, იზიდავს ქვეყნის ეკონომიკაში სულ უფრო და უფრო მეტ კაპიტალს და მეორე მხრივ რეგულირების ტვირთი საპროცენტო განაკვეთების მონოპოლისტური ზემოქმედებისაგან დაცვაში გადააქვს საბაზრო კონკურენციის ბერკეტებზე, რითიც თავისუფლდება უზარმაზარი ადმინისტრაციული რესურსი. ყოველივე ამისათვის კი ერთადერთი რაც ხელისუფლებას ევალება, საკანონმდებლო და რეგულირების ბერკეტების გამოყენებით უზრუნველყოს ზემოხსენებული ორი საფინანსო სექტორის მაქსიმალურად თანაბარი განვითარება, რათა გამოირიცხოს საფინანსო სფეროში მონოპოლიზმი და მასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგები. საინტერესოა რამდენად უზრუნველყოფდა და უზრუნველყოფს საქართველოს ხელისუფლება ასეთ თანაბარზომიერ განვითარებას. განვიხილოთ ეს საკითხი ისტორიულ ჭრილში.

დამოუკიდებელი ქართული ეკონომიკისა და საფინანსო სექტორის წარმოშობამდე არსებობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ფინანსური ინსტიტუტები. ფინანსური მომსახურების სექტორიდან საბჭოოთა კავშირში ერთადერთ არსებულს წარმოადგენდა საბანკო სისტემა, რომელსაც გააჩნდა გარკვეული მატერიალურ-ტექნიკური და ნორმატიული ბაზა, ტექნოლოგიები და საბანკო სისტემაში დასაქმებული კადრები. განსხვავებით საბანკო სისტემისაგან, საბჭოთა კავშირში საერთოდ არ არსებობდა ფასიანი ქაღალდების ბაზარი და მისი ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები. შესაბამისად, მე-20 საუკუნის ბოლოს საბჭოთა კავშირისა და მისი ცენტრალიზებული ეკონომიკის რღვევის პირობებში საბანკო სექტორი და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფტასტუქტურა აღმოჩნდნენ არათანაბარ მდგომარეობაში. თუ საბანკო სექტორს მიეცა შესაძლებლობა ყოფილი სახელმწიფო ბანკების პრივატიზების შედეგად მიეღო გამზადებული საოპერაციო სისტემები, მატერიალურ-ტექნიკური და ნორმატიული ბაზა, კვალიფიცირებული კადრები, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუტები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ასეთ მემკვიდრეობითობას, იძულებულნი იყვნენ ძირითადი ინსტიტუტების: საფონდო ბირჟის, დეპოზიტარების, საბროკერო კომპანიების, რეგისტრატორების, საინვესტიციო ფონდებისა და სხვათა მშენებლობა დაეწყოთ ნულიდან.

ასეთმა არათანასწორმა სასტარტო პირობებმა გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოიწვია საქართველოში ბანკების სწრაფი და წარმატებული განვითარება, რასაც ობიექტურად ვერ უწევდა კონკურენციას პირველი ბირჟები და საბროკერო კომპანიები. წარმატებულად განვითარებულ საბანკო სექტორში კი თანდათანობით მოხდა უზარმაზარი საფინანსო რესურსის კონცენტრირება და ბიზნესი აღმოჩნდა მონოპოლისტი საფინანსო სექტორის მომსახურების უალტერნატივობის საშიშროების წინაშე. ქართულმა საბანკო სექტორმა სწრაფად აუღო ალღო ასეთი მონოპოლიზმისა და უალტერნატივობის შედეგად გაჩენილი ზემოგების შესაძლებლობას და თანდათანობით დაიწყო ზომების მიღება, რომ უალტერნატივობას არაფერი დამუქრებოდა, ამის საუკეთესო საშუალებას კი წარმოადგენდა თეორიულად კონკურენტი სფეროს - ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის ყოველგვარი შეზღუდვების შექმნა, რაც პირველ რიგში კანონმდებლობაში აქტიური ჩარევით გახდა შესაძლებელი. მძლავრმა და ფინანსებით კარგად უზრუნველყოფილმა საბანკო ლობმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მე-20 საუკუნის ბო-

ლომდე საქართველოს ფაქტობრივად არ ჰქონოდა არა მარტო კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელი სისტემა, არამედ თვით კანონმდებლობაც კი, რომლის გარეშეც ნებისმიერი დარგის განვითარება წარმოუდგენელია. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ ის უზარმაზარი სპრედი, რომელიც გაჩნდა საბანკო სექტორში მოზიდული და დაბანდებული ფინანსური რესურსების პროცენტებს შორის გასული საუკუნის 90-იან წლებში, რაც კიდევ უფრო ამდიდრებდა ქართულ ბანკებს და სულ უფრო მეტ პრობლემებს უქმნიდა ბიზნესის განვითარებას ქვეყანში.

ასეთ პირობებში საბანკო სექტორისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ქვეყნის გარედან საფინანსო სექტორის განვითარებაში ჩარევა, ვინაიდან შიდა პოლიტიკურ და საკანონმდებლო სიტუაციას ისინი სრულად აკონტროლებდნენ. იგულისხმება ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოში ბანკების კონკურენტი სფეროს - კაპიტალის ბაზრის განვითარების პროექტის წამოწყება. 1998 წელს საქართველოში დაიწყო აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა:

- ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემნას;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის დამოუკიდებელი მარეგულირებელი სახელმწიფო ინსტიტუტის - ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის შემნას;
- საფონდო ბირჟისა და მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური და თვითრეგულირების სისტემის შექმნას;
- ფასიანი ქაღალდებთ ოპერაციების ცენტრალური კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემის - ცენტრალური დეპოზიტარის შემნას;
- ფასიან ქაღალდებზე საკუთრების აღრიცხვის არასახელმწიფოებრივი ინსტიტუტების - რეგისტრატორების შექმნას;
- კომერციული ბანკების პირდაპირი კონკურენტების - საბროკერო კომპანიების შექმნას, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს პროექტი, უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა და უკვე ერთ წელიწადში, ამერიკელი და ქართველი სპეციალისტების თავდაუზოგავი შრომის შედეგად, ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებიდან ფაქტობრივად ყველა რეალიზებული აღმოჩნდა. ამან კი თავის მხრივ ზეგავლენა მოახდინა საფინანსო ბაზარზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სექტორი თავიდანვე სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა ალტერნატიული საფინანსო სექტორის გაჩენას ქვეყანაში. თითქმის ერთი წელიწადი ამერიკელი სპეციალისტების მიერ მომზადებული კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ იბლოკებოდა პარლამენტში და საფინანსო სექტორის დამოუკიდებელი რეგულატორის ნაცვლად ხდებოდა ეროვნული ბანკისათვის ამ სექტორის რეგულირების ფუნქციის ინიცირება. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ამერიკის მთავრობისა და ამერიკელი სპეციალისტების ავტორიტეტმა უზრუნველყო კანონის იმ ვერსიის დამტკიცება პარლამენტში, რომელიც მომზადებული იქნა ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში.

ამერიკელი სპეციალისტები სიღრმისეულად მიუდგნენ საქართველოში არსებული საფინანსო სექტორის განვითარების ასიმეტრიულობის პრობლემას და მისი ლიკვიდაციისათვის კანონში ჩადეს სამი ძირითადი ქვაკუთხედი:

1. კაპიტალის ბაზრის ინსტიტუტების დამოუკიდებლობა კონკურენტი საბანკო სფეროსაგან, რისთვისაც კანონში ჩადებული შემზღუდავი ნორმების საფუძველზე საბანკო სექტორს არ შეეძლო ცალ-ცალკე და ერთობლივად საკუთრებაში ჰქონოდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ისეთი ინსტიტუტების 50%-ზე მეტი, როგორებიცაა საფონდო ბირჟა და ცენტრალური დეპოზიტარი.
2. კაპიტალის ბაზარს უნდა ჰყოლოდა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო - ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომელიც პირდაპირ დაინტერესებული და პასუხისმგებელი ხდებოდა საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე.
3. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად კანონში ჩადებულ იქნა ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა, რომ თუ ფასიანი ქაღალდი სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, იგი შეიძლება ივაჭრებოდეს მხოლოდ ამ საფონდო ბირჟაზე.

ზემოხსენებულმა საკანონმდებლო ნორმებმა შედეგი ძალიან მალე გამოიღო და კანონის მიღებიდან ერთ წელიწადში საქართველოს უკვე ჰქონდა დამოუკიდებელი ფასია-

ნი ქაღალდების მარეგულირებელი კომისია, ლიცენზირებული საფონდო ბირჟა, ლიცენ-ზირებული ცენტრალური დეპოზიტარი 40-მდე ლიცენზირებული საბროკერო კომპანია და ათამდე ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი. ეს უკვე წარმოადგენდა საკმაოდ კარგ სისტემას, რომელმაც თანდათანობით დაიწყო ფასიანი ქაღალდების ბაზ-რის პრაქტიკული ფუნქციონირება და მისი სრულყოფა. შედეგად ორიოდე წელიწადში საქართველში გაჩნდა საჯარო და კონკურენტული სავაჭრო პლატფორმა, რასაც მოჰყვა ლიკვიდური ფინანსური ინსტრუმენტების გაჩენა, რომელშიც სულ უფრო და უფრო მეტი ინვესტორი აბანდებდა საკუთარ სახსრებს, გრძნობდა რა ქართული საფონდო ბაზრის მდგრადობასა და პერსპექტიულობას. საფონდო ვაჭრობამ 2007 წლისათვის საქართველო-ში არნახულ შედეგებს მიაღწია, იხილეთ გრაფიკული გამოსახულება N1:

გრაფიკი 1. საქართველოს საფონდო ბირჟის კაპიტალიზაცია მშპ-სთან




გრაფიკზე ასახულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე წარმოდგენილი კომპანიების კაპიტალიზაცია მშპ-სთან 2000-2012 წლებში. ნიშანდობლივია, რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2007 წელს იყო, სანამ კანონში ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ ცვლილებები შევიდოდა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ასეთმა წარმატებებმა სერიოზულად შეაშფოთა საბანკო სექტორი, რომელიც დადგა საფინანსო სექტორში მონოპოლიზმის დაკარგვის საფრთხის წინაშე. კვლავ ამუშავდა მნიშვნელოვანი საფინანსო რესურსი და საბანკო ლობი პარლამენტში, სასწრაფოდ დაიწყო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ახალი შემოტევის ტალღა. ასეთი სიჩქარე განპირობებული იყო იმ გარემოებითაც, რომ საქართველოს საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის შეძენით დაინტერესდა მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი საბირჟო ოპერატორი NAZDAQ OMX-ი, რომელიც თუ მართლაც შეისყიდიდა ამ ინსტიტუტებს, ფაქტობრივად მათი წარმატებისა და განვითარების გარანტი გახდებოდა. ამიტომ საბანკო ლობის მიერ პარლამენტში 2007 წელს სასწრაფოდ იქნა გატანილი ცვლილებები ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში, რომლებმაც ყოველგვარი საფუძველი გამოაცალეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუტების განვითარების მდგრადობას, ვინაიდან ხელოვნურად გააქრეს სწორედ ის ძირითადი ქვაკუთხედები, რომელიც კანონმდებლობის შექმნის დროს ჩადებულ იქნა ამერიკელი სპეციალისტების მიერ და რომლებმაც უზრუნველყვეს ქართული საფონდო ბაზრის წარმატებული განვითარება რამდენიმე წელიწადში. კერძოდ, კანონმდებლობაში გაუქმდა:

1. შეზღუდვა, რომელიც ხელს უშლიდა კომერციულ ბანკებს დაპატრონებოდნენ საფონდო ბაზრის ინფრასტუქტურის ინსტიტუტებს.
2. ლიკვიდირებულ იქნა ფასიანი ქაღალდების ბაზრის დამოუკიდებელი რეგულატორი და მისი ფუნქციები გადაეცა კონკურენტი დარგის რეგულატორს - საქართველოს ეროვნულ ბანკს.
3. კანონიდან ამოღებულ იქნა საფონდო ბირჟაზე ლიკვიდურობის უზრუნველმყოფი მთავარი ნორმა, რამაც საფუძველი გამოაცალა ბირჟაზე კონკურენტულ და საჯარო გარემოში ფასწარმოქმნის პროცესს.

ამ დამანგრეველი ცვლილებების შედეგად, მომენტალურად გარიგებების ძირითადმა ნაწილმა საფონდო ბირჟიდან გადაინაცვლა ნაცრისფერ ბაზარზე, ხოლო კომერციულმა ბანკებმა ინტენსიურად დაიწყეს ადრე მათთვის შეზღუდული საფონდო ბირჟის აქციების შესყიდვა. მარტო საქართველოს ბანკის ხელში ძალიან მალე აღმოჩნდა საქართველოს საფონდო ბირჟის აქციათა 46%, ხოლო მთლიანად საბანკო სექტორი უკვე დაეპატრონა საფონდო ბირჟის 58%-ს. იხილეთ ცხრილი N1:

| ბაზრის სეგმენტი (2014 წლის მდგომარეობით) | საქართველოს ბანკის ჯგუფი | ყველა სხვა |
|---|---|---|
| საქართველოს საფონდო ბირჟის საკუთრება[53] | 44.00% | 56.00% |
| საბირჟო ბაზრის წილი | 77.39% | 22.61% |
| არასაბირჟო ბაზრის წილი | 98.79% | 1.21% |
| მხოლოდ რეგისტრატორის ბაზრის წილის | 69.63% | 30.37% |
| | | |

ასეთივე ინტენსივობით მოხდა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისა და საბროკერო კომპანიების ბიზნესების შთანთქმა ძირითადად საქართველოს ბანკის მიერ, რაშიც მას ხელს უწყობდა უკვე ახალი რეგულატორი - ეროვნული ბანკი. 2011 წელს იმისათვის, რომ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ბიზნესის საქართველოს ბანკის კუთვნილი რეგისტრატორის მიერ დაპატრონებისათვის ხელი შეეწყო, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებს დაუწესა 250 ათას ლარიანი კაპიტალის მოთხოვნა, რისი შეუსრულებლობის გამოც ბაზრიდან გაქრა 6 ლიცენზირებული რეგისტრატორი და ფაქტობრივად ყველა მათ მიერ წარმოებული რეესტრები საქართველოს ბანკის კუთვნილი რეგისტრატორის ხელში.

ზემოხსენებული ნათლად მიუთითებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არათუ ვერ შეძლო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, არამედ აქტიურადაც კი იყო ჩართული მის განადგურებაში, რასაც კვლავ მოჰყვა საბანკო სექტორის მონოპოლიისა და უალტერნატივობის უპრეცედენტო ზრდა. პარლამენტში ინიცირებული ბოლო საკანონმდებლო ცვლილებები კი ცხადყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლება არათუ არ განიხილავს კაპიტალის ბაზრის დამოუკიდებელი რეგულატორის აღდგენის საკითხს, არამედ კიდევ უფრო ამყარებს ეროვნული ბანკისაგან საფინანსო სექტორის მეგარეგულატორად ჩამოყალიბების პროცესს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Franklin Allen. Comparative Financial Systems: A Survey. New York University 2001.
2. International financial corporation. The importance of local capital markets for financing development. IFC, 2017.
3. Asli Demirguc-Kunt; Erik Feyen; Ross Levine. The Evolving Importance of Banks and Securities Markets. National Bureau of economic research. 2012.
4. Gse.ge
5. Economy.ge
6. Idfi.ge
7. Worldbank.org


**ვახტანგ სვანაძე, შოთა გულბანი**

**საქართველოს საფინანსო სექტორის ასიმეტრიული განვითარების მიზეზები**

**რეზიუმე**

სტატია ეძღვნება თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას, კერძოდ საბანკო სექტორის დომინირებას ფინანსური სერვისის მიმწოდებელ სხვა ინსტიტუტებზე. ხვადასხვა კვლევების მიერ შემოთავაზებული ანალიზი წარმოდგენას იძლევა თანამედროვე ტენდენციებზე ამ მიმართებით. სტატიაში მოცემულია ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების ბაზრის მნიშვნელობა და მისი განვითარების გზაზე ბოლო ოცი წლის განმავლობაში შექმნილ პრობლემათა არსი და გამომწვევი მიზეზების ანალიზი. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ფენანსურ სექტორში ეროვნული ბანკის მეგარეგულატორად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული რისკების ანალიზს.

**Vakhtang Svanadze, Shota Gulbani**

**The Reasons of Asymmetric Development of the Georgian Financial Sector**

**Summary**

The article is dedicated to one of the most important problems of the economic development of Modern Georgia. In particular, it concentrates on the issue of dominance of the banking sector over other financial service provider institutes. The analysis of different researches gives the impression about the tendencies in this direction. The article reviews the importance of liquid securities market and the essence of the problems, created on the path of its development for past 20 years, as well as analysis of the causes of these problems. A great attention is paid to the analysis of the risks, related to establishment of the National Bank as a mega-regulator in the financial sector.

**Вахтанг Сванадзе, Шота Гулбани**

**Причины асиметричного развития финансового рынка Грузии**

**Резюме**

Статья посвящается одной из важнейших проблем экономического развития Грузии, в частности доминированию банковского сектора над остальными финансовими институтами. Основные современные тенденции этой проблемы представлены с помощью анализа нескольких последних пувликаций. В статье рассмотрены вопросы значения ликвидного рынка ценных бумаг и проблемы его развития за последние двадцать лет. Серьёзное внимание в статье уделено рискам, связанным с постепенным превращением национального банка Грузии в мегарегулятор всего финансового сектора.

**მერაბ ვანიშვილი**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი**

**ნინო ვანიშვილი**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი**

## საინვესტიციო-საბანკო საქმიანობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და ეროვნული თავისებურებები

საინვესტიციო ბანკი, თავისი სახელწოდების მიუხედავად, პირდაპირი მნიშვნელობით არ მიეკუთვნება ტრადიციულ საბანკო ინსტიტუტს და, საკრედიტო სისტემის შესაბამისად, განისაზღვრება როგორც სპეციალიზებული საბანკო ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციების დაფინანსებასა და დაკრედიტებას. ასეთი ბანკები - საკრედიტო სისტემების (ანგლო-ამერიკული მოდელი) განუყოფელი ელემენტია, რომლებიც დაფუძნებულია საფონდო ბაზრის ინსტიტუტებსა და ინსტრუმენტებზე. მათში რესურსების მოზიდვის ძირითად ფორმად გვევლინება აქციების ემისია და სავალო ვალდებულებების განთავსება.

ფინანსური გლობალიზაციის გაძლიერებამ, ფინანსური ბაზრების სწრაფმა ზრდამ და რეგულირებამ, ახალი საბანკო ტექნოლოგიებისა და ფინანსური ინსტრუმენტების სწრაფმა განვითარებამ განაპირობა ეკონომიკის დაფინანსების აღნიშნული მოდელის აშკარა დომინირება საინვესტიციო ოპერაციებზე. სპეციალიზებული ფინანსური ინსტიტუტების განვითარება, მათი შეჭრა მოძველებულ საბანკო ნიშებში, მოგვიანებით კი შერწყმა, რომელიც ეხებოდა ფინანსურ და კორპორაციულ სექტორებს, დაგვირგვინდა საბანკო და არასაბანკო საბაზრო სექტორებს შორის საზღვრების წაშლით. რიგი ათწლეულების განმავლობაში საზღვარგარეთ ამგვარ პირობებში აღინიშნებოდა საინვესტიციო ბანკის პოზიციების გაძლიერება, რომელშიც შერწყმულია კლასიკური ბანკის, საინვესტიციო ფირმისა და ბროკერის ფუნქციები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტიპური საინვესტიციო ბანკისათვის დამახასიათებელია შემდეგი ფუნქციები: ანდერრაიტინგი და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა; კერძო და ინსტიტუციური ინვესტორებისათვის საბროკერო მომსახურეობათა შეთავაზება; კორპორაციული სტრუქტურებისათვის შერწყმასა და შთანთქმაზე მომსახურეობათა გაწევა; ფინანსური ანალიტიკა და კვლევები ინვესტორებისა და კორპორაციების ინტერესების შესაბამისად; მარკეტმეიკერების ფუნქციათა შესრულება ცალკეული სახის ფასიანი ქაღალდების მიხედვით. ამასთან, საინვესტიციო ბანკების საქმიანობა სხვადასხვა ქვეყნებში არაერთგვაროვანია გადასაჭრელი ამოცანების

სექტრისაგან დამოკიდებულებით, რაც დაკავშირებულია სასესხო კაპიტალის ბაზრის თავისებურებებთან და ცალკეული მრეწველურად განვითარებული ქვეყნების საბანკო კანონმდებლობის განსხვავებებთან (1).

საინვესტიციო ბანკის კლასიკური ტიპი ამერიკის შეერთებული შტატების საინვესტიციო ბანკია, რომლის ძირითადი ფუნქციაა ემისიური მოლაპარაკების წარმოება სავაჭრო-სამრეწველო კომპანიებთან ახალი აქციებისა და ობლიგაციების გამოშვების თაობაზე და ასეთი გამოშვებების ტექნიკური მომზადება ბაზარზე ფასიანი ქაღალდების განთავსებასა და მათი იმ ნაწილის შეძენაზე ვალდებულებების საკუთარ თავზე აღებით, რომელიც განთავსებული არ იქნება ხელწერილით. აშშ-ს საინვესტიციო ბანკების მიერ ფულადი კაპიტალის დაგროვების დამახასიათებელი თავისებურება არის მოსახლეობის არა მარტო მდიდარი ფენების, არამედ დაბალი შემოსავლების მქონე წვრილი ინვესტორების - მცირე მეწარმეების, ფერმერების, შედარებით კარგად ანაზღაურებადი მუშებისა და მოსამსახურეების - დანაზოგების მოზიდვა.

ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ასეთი მკვეთრი გამიჯვნა კომერციულ და საინვესტიციო ბანკებს შორის არ არსებობს. ასე, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში საინვესტიციო ოპერაციებით ტრადიციულად დაკავებული არიან სავაჭრო ბანკები, რომლებიც თავდაპირველად წარმოიქმნენ როგორც აქცეპტური სახლები და, რომლებიც მუდმივად აფართოებდნენ შესათავაზებელი საბანკო მომსახურების სპექტრს (საგარეო ვაჭრობის დაფინანსება, კორპორაციული მსესხებლების დაკრედიტება, ინვესტიციების მართვა, შუამავლობა დამაფუძნებელ საქმიანობაში, ოპერაციები სავალუტო ბაზარსა და ძვირფასი ლითონების ბაზარზე).

საფრანგეთში კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებასა და დაკრედიტებას ახორციელებენ საინვესტიციო ბანკები, როგორც სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტები. ამ კატეგორიის ბანკებს მიეკუთვნებიან: (1) კერძო ბანკები, რომლებიც სპეციალიზებული არიან ფინანსურ კონსულტაციებზე, ქონების მართვაზე, კაპიტალების საერთაშორისო გადანაცვლებაზე, რომელთა შორის წამყვანი ადგილი მიეკუთვნება La Banque Eropeenne de Paris; (2) სამრეწველო ბანკები, რომლებიც იყოფა სამრეწველო კომპანიების საქმიანობაში მონაწილე საქმიან ბანკებად და საშუალო და გრძელვადიანი კრედიტის ბანკებად, რომლებიც გასცემენ სესხებს და მოიზიდავენ დანაზოგებს ანაბრებში, ასევე, ანაწილებენ სახელმწიფო სუბსიდიებს და გასცემენ კრედიტებს 7-15 წლის ვადით, იძლევიან გარანტიებს სესხებზე.

გერმანიაში საინვესტიციო ბანკებმა, როგორც დამოუკიდებელმა ინსტიტუტებმა ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება. აქ უნივერსალურ ბანკებში შერწყმულია როგორც ხანმოკლე, ისე გრძელვადიანი საინვესტიციო ოპერაციები. ამასთან წამყვანი ადგილი ქვეყნის სასესხო კაპიტალის ბაზარზე უკავია გროს-ბანკებს (Deutsche Bank, Commerzbank, Dresdner Bank), რომელთაგან თითოეული სათავეში უდგას ქვეყნის უმსხვილეს სამრეწველო კონცერნებთან შეზრდის საფუძველზე წარმოქმნილ საფინანსო-სამრეწველო ჯგუფს.

იაპონიაში გრელვადიანი სესხების გაცემას ახორციელებენ როგორც სახელმწიფო სპეციალიზებული, ისე კერძო ბანკები. ასე, მაგალითად, მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის დაკრედიტებით დაკავებულია იაპონიის განვითარების ბანკი (Japan Bank of Development), რომელიც გაცემული სესხების მოცულობის მიხედვით იკავებს მეორე ადგილს ქვეყნის სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტებს შორის. დაკრედიტების ობიექტად, როგორც წესი, გამოდის მოწყობილობის შეძენა, განახლება და შეკეთება. ამ ბანკს ეკისრება ეკონომიკის დარგების შეღავათიანი დაკრედიტება (დაბალი პროცენტებით და არანაკლებ ერთი წლის ვადით), რომლის დაკრედიტებაში კერძო ბანკები რიგი მიზეზების (ათვისების რისკი, დიდი კაპიტალტევადობა, კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივობა, წარმოების წამგებიანობა და ა.შ.) გამო ნაკლებად არიან დაინტერესებული. მნიშვნელოვანი სხვაობა ბანკის კრედიტებზე საპროცენტო

განაკვეთებსა და სასეხო კაპიტალის ბაზარზე უფრო ხელსაყრელ განაკვეთებს შორის იფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საინვესტიციო მიმართულების კერძო ბანკების კატეგორიას მიეკუთვნება გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკები, რომლებიც უპირატესად აფინანსებენ იმ კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ მაღალრისკიან ინოვაციურ საქმიანობებს (Industrial Bank of Japan, Long Term Credit Bank, Nippon Credit Bank).

საინვესტიციო ბანკების საქმიანობას საფუძვლად უდევს ფინანსური შუამავლობის თეორია, რომლის საგანს წარმოადგენს ფინანსური შუამავლების ფუნქციები, მიზნები და მუშაობის მექანიზმები. ეკონომიკაში რესურსების ეფექტური განაწილების იდეა ინვესტირების შედეგის განუსაზღვრელობის დაძლევის, დაბანდებათა რისკის შემცირებისა და ალტერნატიული სახის ფინანსური აქტივების რაოდენობის ზრდის საფუძველზე აღიარებულ იქნა ა. პიგუს მიერ და განვითარდა რ. გოლდსმიტის, ჯ. გერლის, ე. შოუს, უ. ზილბერის, ხ. პატრიკის, ბ. ფრიდმანის, ი. შუმპეტერის ნაშრომებში (2).

საინვესტრიციო საბანკო ინსტიტუტის შექმნის ისტორია დაკავშირებულია აშშ-ს საკრედიტო სისტემის განვითარებასთან, სადაც ფინანსური შუამავლები, რომლებიც მოგვიანებით ჩამოყალიბდნენ საინვესტიციო ბანკებად, დასაბამს იღებენ 1840 წელიდან. ცნება „investment banking“ წარმოიქმნა მოგვიანებით – მე-19 საუკუნის 80-იან წლებში. ახალი სახის ბიზნესის წარმოქმნა დაკავშირებულია აშშ-ში განხორციელებულ სამრეწველო რევოლუციასთან. მე-18–მე-19 საუკუნების მიჯნაზე ამერიკული საწარმოები ტრადიციულად ფინანსდებოდნენ დაფარული ხელწერილით, ამიტომ შუამავლები არ იყო საჭირო. შემდგომში, დაფინანსებაზე მოთხოვნილების გაფართოებამ, სამრეწველო ბუმთან და ტრანსპორტის განვითარებასთან დაკავშირებით, იმპულსი მისცა ახალი ტიპის ფინანსური შუამავლების წარმოქმნას, რომელთა საქმიანობის ძირითად სახედ იქცა ანდერრაიტინგი – ფასიანი ქაღალდების გარანტირებული პირველადი განთავსება, მათ შორის, უცხოელი ინვესტორების საშუალებათა მოზიდვით.

სამრეწველო რევოლუციის მსვლელობაში მსხვილი ფინანსური შუამავლების წარმოქმნისკენ დასახული ტენდენციის განმტკიცებამ და მათი მხრიდან ვიწრო სპეციალიზაციაზე უარის თქმამ, 1861–1865 წლების სამოქალაქო ომმა განაპირობა ვრცელ გეოგრაფიულ რეგიონებში სამთავრობო სესხების სწრაფი განთავსების უზრუნველმყოფი საფინანსო სააგენტოების – თანამედროვე საინვესტიციო ბანკთა პროტოტიპების ქსელის განვითარება. იყენებედნენ რა სინდიცირების მექანიზმს და იმ დროისათვის არსებულ კომუნიკაციის საშუალებებს, საინვესტიციო ბანკებს შეეძლოთ ფასიანი ქაღალდების გამოშვებათა დიდი მოცულობების წარმატებული განთავსების გარანტირება (2).

მე-20 საუკუნის დასაწყისში საინვესტიციო საბანკო საქმიანობამ მიიღო პრაქტიკულად თანამედროვე ფორმები: იქმნება საინვესტიციო ბანკების ასოციაცია, ყალიბდება საინვესტიციო ბანკების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებისა და რეგლამენტაციის საფუძვლები. 20-იან წლებში ამერიკული საფონდო ბაზარი ვითარდებოდა იმდენად დინამიურად, რომ საინვესტიციო ბანკების საქმიანობის მთავარ სახედ და მათი შემოსავლის წყაროდ იქცა სპეკულაციები ფასიანი ქაღალდების მზარდ ბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო ბანკების თანამედროვე მოდელი ჩამოყალიბდა აშშ-ში საკრედიტო ინსტიტუტების კომერციულ და საინვესტიციო ინსტიტუტებად გაყოფისას დიდი დეპრესიის დაძლევის მიზნით. 1933 წელს გლას-სტიგალის აქტით, რომელმაც იარსება 1999 წლამდე, აშშ-ს საკრედიტო სისტემაში ოფიციალურად განმტკიცდა საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტი. კომერციული ბანკებისათვის აკრძალული იყო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების ჩატარება, ხოლო საინვესტიციო ბანკებისათვის შემოღებულ იქნა შეზღუდვები კომერციული საბანკო ოპერაციების ჩატარებაზე, რაც, მთლიანობაში, მიმართული იყო საბანკო საქმის რისკების შემცირებაზე პასიურ და აქტიურ ოპერაციებს შორის დამოკიდებულების დადგენის გზით, როდესაც

ფულადი საშუალებების მოზიდვის წყაროს ტიპი განსაზღვრავს მიმართულებებსა და ინვესტიციების რისკიანობის დონეს. ამ ცვლილებების შედეგად აღმოფხვრილ იქნა ინტერესების ერთ-ერთი ფუნდამენტური კონფლიქტი, რომელიც დღემდე წარმოიქმნება უნივერსალური ბანკების გარემოში, როდესაც ისინი გამოდიან ერთდროულად ინვესტორადაც და კრედიტორადაც ერთი და იგივე მსესხებლის (ინვესტიციების რეციპიენტის) მიმართ.

საინვესტიციო ბანკებმა გადამწვეტი როლი ითამაშა ამერიკის ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაში მე-20 საუკუნის 70–80-იანი წლების მიჯნაზე. 1990-იანი წლების დასაწყისიდან აშშ-ს ადმინისტრაცია ატარებდა ეკონომიკური ზრდის სტიმულირების სახელმწიფო პოლიტიკას – „იაფი ფულის“ პოლიტიკას, რაც, შესაბამისად, ახდენდა ანდერრაიტინგის მომსახურეობებზე მოთხოვნის სტიმულირებას და უზრუნველყოფდა საინვესტიციო ბანკების შემოსავლების ზრდას.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან საინვესტიციო ბანკების შემდგომ განვითარებას ასტიმულირებდა: ევროკავშირის ქვეყნების სამრეწველო კორპორაციათა გამსხვილება; ფასიანი ქაღალდების ევროპული ბაზრის ლიკვიდურობის გაზრდა ევროს შემოღებისა და გარკვეულ ბირჟებზე ვაჭრობის შემდგომი კონცენტრაციის შედეგად; საინვესტიციო ბანკების კლიენტური გაფართოება განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე; საპენსიო ფონდების აქტივებისა და პირადი დანაზოგების მართვასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა.

აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, საინვესტიციო საბანკო ბიზნესი აშშ-ში მნიშვნელოვნად განამტკიცა ინსტიტუციურმა ცვლილებებმა: 2000 წელს გრემ-ლიჩ-ბლაილის კანონის მიღებამ და საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის სისტემაში ბაზელის კომიტეტის მიერ მომზადებული „ბაზელ-2“ შეთანხმების გავრცელებამ. გრემ-ლიჩ-ბლაილის კანონმა მოახდინა საბანკო სფეროში შერწყმების პროცესების ლიბერალიზება და შექმნა საინვესტიციო ბანკების პოზიციათა განმტკიცების იმპულსი საბანკო ჰოლდინგური კომპანიების ფორმირების ხარჯზე. „ბაზელი-2“ პირდაპირ ეხება ომს არასახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საბანკო ოპერაციების რეგულირების ორ – ლიბერალურ ევროპულ და ამერიკულ – მოდელს შორის. „ბაზელ-2“-ის ვერსიით, თუ ბანკი იძენს სამრეწველო საწარმოს აქციების პაკეტს, მაშინ ზუსტად ამ პაკეტის ღირებულებით შემცირდება ბანკის სარეგულაციო კაპიტალი, რომელსაც აკონტროლებენ საზედამხედველო ორგანოები.

გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში და, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, საინვესტიციო ბანკები დამაჯერებლად ამტკიცებენ თავიანთ, როგორც კაპიტალის მოზიდვასა და ბიზნესის რესტრუქტურიზაციაზე ყველაზე ეფექტური ფინანსური ინსტიტუტის როლს. საქართველოს ეკონომიკის მწვავე მოთხოვნილება ინვესტიციებზე აქტუალურს ხდის ასეთი ინსტიტუტის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. საინვესტიციო ბანკების წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელია ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, სპეციფიკური რისკების გათვალისწინება, საკანონმდებლო ბაზის დახვეწა. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკაში მიღწეული წარმატებების შენარჩუნება, საბანკო სექტორის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოს საფინანსო-საბანკო სექტორის დაჩქარებულ განვითარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Общая теория денег и кредита: Учебник / Под. ред. Е.Ф. Жукова // http: //www.bibliotekar.ru, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 23.11.2017.

2. Берездивин В.В. Управленческий учет в инвестиционном банке // Аудит и финансовый анализ. 2000. № 2 // http: ||www.cfin/ru, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 23.11.2017.
3. საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები / ცნობარი საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ. – თბ., საქართველოს ეროვნული ბანკი, 2006. https://www.nbg.gov.ge/uploads/ publications/thematicpublications/nbg7.9directorysupervisiongeo.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 23.11.2017.
4. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“: https://www. nbg.gov.ge/uploads/legalacts/nbglow/new/komerciuli_bankebis_shesaxeb_kanoni.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 23.11.2017.

**მერაბ ვანიშვილი, ნინო ვანიშვილი**

**საინვესტიციო-საბანკო საქმიანობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და ეროვნული თავისებურებები**

**რეზიუმე**

სტატიაში, უახლესი წყაროების შესწავლის საფუძველზე, განხილულია ეკონომიკური მეცნიერებისა და სამეურნეო პრაქტიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა საინვესტიციო საბანკო საქმიანობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და ეროვნული თავისებურებები.

საინვესტიციო საბანკო საქმიანობის ცნებითი აპარატის დაზუსტების საფუძველზე განხორციელებულია აშშ-ს, საფრანგეთის, გერმანიისა და იაპონიის საინვესტიციო ბანკების მუშაობის გამოცდილების სისტემური ანალიზი და გაკეთებულია შესაბამისი განზოგადებები.

საინვესტიციო საბანკო საქმიანობის საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოში საინვესტიციო ბანკების წარმატებული ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებას და ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განმტკიცებას.

**Merab Vanishvili, Nino Vanishvili**

**Key Trends and National Peculiarities of Investment Banking Activity**

**Summary**

In this article, on the basis of the study of the latest literary sources, an important issue of economic science and economic practice is considered, such as the Main Trends and National Features of Investment Banking.

On the basis of clarifying the conceptual apparatus of investment banking, a systematic analysis of the experience of investment banks in the US, France, Germany and Japan was carried out, and appropriate generalizations were made.

Based on the study of foreign experience in investment banking, it was concluded that for the successful operation of Georgia's investment banks, the improvement of their organizational structure and the strengthening of the regulatory and legal framework are crucial.

**Мераб Ванишвили, Нино Ванишвили**

**Основные тенденции и национальные особенности инвестиционно-банковской деятельности**

**Резюме**

В статье, на базе изучения новейших источников, рассмотрен такой важный вопрос экономической науки и хозяйственной практики, как основные тенденции и национальные особенности инвестиционно-банковской деятельности.

На основе уточнения понятийного аппарата инвестиционной банковской деятельности, осуществлен системный анализ опыта работы инвестиционных банков США, Франции, Германии и Японии и сделаны соответствующие обобщения.

На базе изучения зарубежного опыта инвестиционной банковской деятельности сделан вывод о том, что для успешной деятельности инвестиционных банков Грузии решающее значение имеет улучшение их организационной структуры и укрепление нормативно-правовой базы.

**ლარისა დოლიკაშვილი**
**საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## სამუშაო გარემოს უსაფრთხო ორგანიზება სასტუმროში

უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნის აუცილებლობაზე უნდა იზრუნოს ყველა საწარმოს ხელმძღვანელმა, რასაც საქართველოს შრომის კოდექსიც ითვალისწინებს. ეს კოდექსი დამსაქმებელს ავალდებულებს შრომის პირობების დაცვას, რაც გულისხმობს: დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.

სასტუმროს უსაფრთხოების კომპლექსური სისტემა მოიცავს ნორმატიულ-სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სამედიცინო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

ყოველ სასტუმროს უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების კონცეფცია შემუშავებული, ცალკე განყოფილებად კი უსაფრთხოების სამსახური, შემუშავებული უნდა ჰქონდეს ასევე უსაფრთხოების ინსტრუქცია სასტუმროს ცალკეული ქვეგანყოფილებებისათვის, საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში უსაფრთხოების სერვისებისა და სხვა მომსახურების გაწევის პროცედურა.

სასტუმროში შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის საკითხებს კონკრეტულად დიასახლისის სამსახურში უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, ამ სამსახურის მენეჯერი გენერალურ მენეჯერთან ერთად ქმნის პირობებს პერსონალის შრომისა და დასვენებისათვის. შხაპის, გასახდელისა და დასასვენებელი ოთახები უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სანიტარულ მოთხოვნებს. ყველა პერსონალს უნდა ეცვას უნიფორმა, დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლების სასადილოს. მენიუ უნდა იყოს სხვადასხვაგვარი,

მასში უნდა შედიოდეს დესერტი, ხილი და ორცხობილა, პერსონალის შესასვლელი უნდა იყოს სუფთა და მიმზიდველი. ამით ხაზი უნდა გაესვას, რომ სასტუმროსათვის თანამშრომლები სულ ერთი არ არის. კარგი სამუშაო პირობები, სხადასხვა ღონისძიების გამართვა, გამუდმებით სამუშაო პირობების გაუმჯობესება იცავს ტრავმებისაგან თანამშრომლებს და ამაღლებს სამუშაოს ეფექტიანობას. სამუშაო უსაფრთხოების წესების დაცვა ყველა თანამშრომლის მოვალეობაა. მაღალი კლასის სასტუმროებს შემუშავებული აქვთ უსაფრთხოების ნორმები, რომლის დაცვა ნებისმიერი თანამშრომლის მოვალეობაა. ისინი ასრულებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- ყურადღება უნდა მიექცეს ყოველთვის უსაფრთხოების ნორმებსა და მათ ცოდნას განსაკუთრებულ შემთხვევებში;
- მოახლეებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ სუპერვაიზერთან, თუ რაიმე გაუგებრობაა;
- დაუყოვნებლივ აცნობოს ხელმძღვანელს დანადგარების გაუმართაობის შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს უსიამოვნების მიზეზი.

პერსონალმა უნდა იცოდეს, სხვადასხვა ზედაპირების დამუშავებისას რა ქიმიურ ნივთიერებასთან გვაქვს საქმე და რომელი ითვლება სახიფათოდ ჯანმრთელობისათვის, ამიტომ ისინი უნდა იყოს მარკირებული. რაც გულისხმობს: ნივთიერების დასახელებას; ინგრედიენტების დასახელებას; შეტყობინებას ფილტვებისა და თვალების უსაფრთხოებაზე; დახმარების ხერხებს; ხანძრის ჩაქრობის მეთოდებს თუ ნივთიერება აალებადია; დასახელება, მისამართი ვისაც მოაქვს ქიმიკატი; გაფრთხილება კონტეინერის გაუმართაობის შესახებ, თუ იგი გამართული არ არის; გაფრთხილება, ხელახლა არ იყოს გამოყენებული კონტეინერი ისეთი ქიმიკატებისათვის, რომლებიც იმავე მარკირებით არაა გათვალისწინებული.

აუცილებელია ყველა ქიმიკატისათვის იყოს წარმოდგენილი ფურცელი მისი უსაფრთხოების შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: ქიმიური იდენტიფიკაცია; პროდუქტის დასახელება; ინგრედიენტები; ფიზიკური მონაცემები; სახიფათო კომპონენტები; პირველი სამედიცინო დახმარება; ქიმიკატებთან კონტაქტის დრო; საშიში ქიმიური რეაქციები; პირადი დამცავი ეკიპირება; სხვა ინფორმაცია. ყველა თანამშრომელს, რომელსაც აქვს ურთიერთობა ქიმიკატებთან, გავლილი უნდა ჰქონდეთ სწავლება მათ შესახებ. თანამშრომელი მოვალეა: გამოიყენოს მხოლოდ ის ქიმიკატები, რომელსაც გასცემს დიასახლისის სამსახური. საჭიროების შემთხვევაში წაიკითხოს ეტიკეტი და თანდართული დოკუმენტები; უზრუნველყოს უსაფრთხო მუშაობა, დაადგინოს საშიში რეალობა და გამოიყენოს შესაბამისი მოწყობილობა; არ აურიოს ერთმანეთში ქიმიკატები, მისთვის სპეციალური მითითებების გარეშე; თუ ქიმიკატმა მოახდინა უარყოფითი რეაქცია, აუცილებლად შეატყობინოს სუპერვაიზერს.

სასტუმროებში მიმდინარეობს სწავლება იმ პირველადი დახმარების შესახებ, რომელიც უნდა გაეწიოს ადამიანს სხეულის ქიმიკატებით დაზიანების შემთხვევაში.

ელექტრო ტექნიკის მოხმარებისას პერსონალს წაეყენება შემდეგი სახის მოთხოვნები: არ დატოვოს მეთვალყურეობის გარეშე ელექტრო ინსტრუმენტები და ელექტრო დანადგარები; არ შეაკეთოს დამოუკიდებლად ელექტრო ტექნიკა; არ ჩართოს ელექტრო დანადგარები, რომელიც იყო ბლოკირებული და რომელთაც ჰქონდათ აღნიშვნა საშიშია; მიმართოს საინჟინრო–ტექნიკურ სამსახურს თხოვნით, შეაკეთონ ელექტრო დანადგარები.

ახალი თანამშრომლები სამსახურში დაიშვებიან უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟის სწავლების შემდეგ. ასეთი ინსტრუქტაჟი ტექნიკის უსაფრთხოების შესახებ ტარდება რეგულარულად, რომლის შესახებაც აღნიშნულია შესაბამის ჟურნალში.

უცხოეთის ქვეყნებში არსებობს შრომის უსაფრთხოდ ორგანიზების მთელი რიგი ღონისძიებები:

- ნორმატიულ-სამართლებრივი ღონისძიებები - ეს არის კანონების სისტემა, კანონქვემდებარე აქტები, ნორმები, წესები, რომელიც არეგულირებს და რეგლამენტირებს უსაფრთხოებას, განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნებს.

- ორგანიზაციული ღონისძიებები - ეს არის სამუშაო ზონისა და სამუშაო ადგილის ორგანიზება, სამუშაო რეჟიმის, დასვენებისა და სამუშაო დღეების ხანგრძლივობის განსაზღვრა.
- ეკონომიკური ღონისძიებები - ეს ეკონომიკური მექანიზმია, ახდენს უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების სტიმულირებას (მატერიალური პასუხისმგებლობა მათი შეუსრულებლობისათვის, უსაფრთხო პირობების ორგანიზების მატერიალური წახალისება და ა.შ.).
- ტექნიკური ღონისძიებები - შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ტექნიკური მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება.
- სანიტარული და ჰიგიენური ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს სანიტარიისა და ჰიგიენის უზრუნველყოფას.
- სამედიცინო პრევენციული ღონისძიებები - პრევენციული სამედიცინო გამოკვლევები, სამედიცინო და კვების პრევენციის და ა.შ.

შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპებია:

ტექნოლოგიური პროცესების დახვეწა; უსაფრთხო საწარმოო მოწყობილობების შემუშავება და მოდერნიზაცია; საფრთხის წყაროებისა და მათი გავრცელების ზონების აღმოფხვრა ან შეზღუდვა; ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების დახვეწა. დამსაქმებელთა და მუშაკთა სოციალური პარტნიორობა შრომის დაცვის სფეროში; შრომის დაცვის გარანტიის პირობები უნდა შეესაბამებოდეს შრომის დაცვის მოთხოვნებს; მძიმე, მავნე და(ან) საშიში სამუშაო პირობების შესრულებისათვის დამატებითი კომპენსაცია; სოციალური დაზღვევა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების წინააღმდეგ; სამედიცინო, სოციალური და პროფესიული რეაბილიტაცია სხვადასხვა სამუშაოზე დაზარალებულთათვის.

ზემოთ განხილული ღონისძიებები, ჩვენს სასტუმროებში უპირობოდ გამოყენების აუცილებლობას გულისხმობს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Denney G. Rutherford, Ph.D.; Michael J .Hotel management and operations, United States of America 2007.
2. Accounting and Financial Analysisin the Hospitality Industry. JONATHAN A. HALES; USA, 2005.
3. Introduction to Hospitality Management, John R. Walker, Pearson Education Inc.,NJ, USA, 2004.
4. (https://sites.google.com/site/758huw/.../Introduction-to-Hospitality-Management.pdf).
5. Hotel management. I. Rutherford, Denney G. CHA, 2007.
6. (ftp://71.4.232.212.ptr.us.xo.net/HotelManagement.pdf)


**ლარისა დოლიკაშვილი**

## სამუშაო გარემოს უსაფრთხო ორგანიზება სასტუმროში

### რეზიუმე

ნაშრომში საუბარია იმის შესახებ, რომ ყველა სასტუმროში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაო გარემოს უსაფრთხო ორგანიზებას. ყოველ სასტუმროს უნდა ჰქონდეს შემუშავებული უსაფრთხოების კონცეფცია. ცალკე განყოფილებად კი

უსაფრთხოების სამსახური. საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში უსაფრთხოების სერვისებისა და სხვა მომსახურების გაწევის პროცედურა. სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს და დახვეწოს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტები, რაც დაეხმარება დამქირავებლებს და დაქირავებულებს წარმატებით განახორციელონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. ფორსმაჟორულ სიტუაციაში კი ზიანი არ მიადგეს სტუმრებს და პერსონალს.

**Larisa Dolikashvili**

**Safe Organizing of the Work Environment in the Hotel**

**Summary**

The paper discusses how much attention should be paid to organize safe working environment of the hotels. It is based on the hotel complex security system. It includes normative, legal, organizational, economic, technical, sanitary-hygienic and medical prophylactic measures. Each hotel should have a security concept and also an individual department of security as well. Security service should have a safety guideline for individual sectors of the hotel. In term of emergencies, security services and other services must be provided. The government should develop and refine the relevant legal documents which will help employers and hired employees carry out their dutiessuccessfully. In the force majeure situation guests and the persons will not be harmed as wll.

**Лариса Доликашвили**

**Безопасная организация рабочей среды в отеле**

**Резюме**

В статье обсуждается, какая часть внимания должна быть уделена безопасности рабочей среды отеля, что основано на комплексе безопасности отеля. Он включает нормативные, юридические, организационные, экономические, технические, санитарно-гигиенические и медико-профилактические мероприятия. Каждый отель должен иметь концепцию безопасности. В отдельном разделе служба безопасности должна также иметь руководство по безопасности для отдельных секторов отеля. В случае чрезвычайных ситуаций предоставляются службы безопасности и другие услуги. Правительство должно разработать и усовершенствовать соответствующие юридические документы, которые помогут работодателям и наемным работникам успешно выполнять свои обязанности, чтобы в форс-мажорной ситуации гостям и работникам не было нанесено вреда.

**თამარ ზირაქაშვილი**
**ინფორმატიკის დოქტორი**

## კომერციული ბანკები და საგადასახადო სისტემის სფეროები

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური რეფორმების წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ სახელმწიფო რამდენად შეძლებს საგადასახადო შემოსავლების პრობლემების სრულად გადაწყვეტას. ეს პრობლემა საკმაოდ მრავალწახნაგოვანია და ამიტომ მისი გადაწყვეტა ვფიქრობთ, შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების ფართო მასშტაბიან გადახედვაში.

საგადასახადო პროცესის საბანკო მომსახურება საგადასახადო დაბეგვრის სფეროში მუშაობის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელმაც ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში სათანადო ყურადღება არ მიიპყრო და იმყოფება ჩრდილში. მასზე ბევრადაა დამოკიდებული შეძლებს თუ არა სახელმწიფო აკრიფოს მისი კუთვნილი გადასახადები. ამ მიმართულებით დაგროვდა პრობლემების უამრავი ოდენობა, რომლის გადაწყვეტასაც მივყავართ კომერციული ბანკების ბიუჯეტთან ურთიერთობების გაუმჯობესების საკითხამდე.

საგადასახადო განაკვეთების შემცირებასთან და ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის განვითარებასთან ერთად მცირე ბიზნესზე ზემოქმედების ერთ-ერთ ეფექტურ ფორმად გვევლინება მისი მხარდაჭერა დაკრედიტების გზით. საწარმოთა დაკრედიტება ხორციელდება არასაკმარისი მოცულობით.

მომსახურების ერთ-ერთი სახე, რომელსაც ბანკი უსრულებს თავის კლიენტებს, გვევლინება ფაქტორინგული ოპერაციები. ფაქტორინგი (ინგ. ფაცტორ- შუამავალი) – არის სავაჭრო-საკომისიო ოპერაციების სახესხვაობა, რომელიც დაკავშირებულია საბრუნავი სახსრების დაკრედიტებასთან.

ფაქტორინგული ურთიერთობანი (დაფინანსება ფულადი მოთხოვნის დათმობის ქვეშ) მოიცავს სესხის ხელშეკრულების ზოგიერთ ელემენტებს, ხოლო ზოგჯერ გაწეული ფინანსური მომსახურების ანაზღაურებად ელემენტებს. ფაქტორინგის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კლიენტის მუდმივი მოთხოვნილება – მაგალითად, საწარმო – დამამზადებლის – კრედიტზე, ხელშეკრულებით მის მომსახურე ბანკმა შეიძლება თავის თავზე აიღოს ვალდებულება კლიენტებისათვის სესხის მიცემის შესახებ შესაბამისი ფულადი მოთხოვნილებების დათმობის ხარჯზე, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით ერთდროულად გაუწიოს სხვადასხვა ფინანსური მომსახურება, უპირველესად ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და მიღებულ ფულად მოთხოვნილებებზე ანგარიშების გახსნასთან დაკავშირებით.

ეკონომიკისათვის ფაქტორინგის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზაციებს შევუმსუბუქოთ ურთიერთშორის ანგარიშსწორება და დავეხმაროთ შესაძლო ფინანსური რისკების (ჩვეულებრივ დაკრედიტებასთან შედარებით) შემცირებაში: ბანკი კონტროლს უწევს თავისი კლიენტის ოპერაციებს, მათ შორის თავისი კლიენტის სავაჭრო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის განხორციელების გზით.

დაფინანსების ვალდებულება დათმობილი ფულადი მოთხოვნილებების ქვეშ ატარებს განსაკუთრებით სახელშეკრულებო ხასიათს. დათმობილი მოთხოვნილება უნდა იყოს მხოლოდ ფულადი ე.ი. მოთხოვნილება – მოწოდებული საქონლის, შესასრულებელი სამუშაოების, გაწეული მომსახურების გასანაღდებლად ფულის გაცემასთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, ორგანიზაციას არ შეუძლია გადასცეს ბანკს მოთხოვნილება სავაჭრო ორგანიზაციის კრედიტის „გასანაღდებლად“ მასალების მიწოდებისას, რომლებიც პროდუქციის წარმოებისათვის გამოიყენება.

ფაქტორინგის ხელშეკრულების გაფორმებისას ერთ-ერთი მხარე (ფინანსური აგენტი) გადასცემს ან იღებს ვალდებულებებს გადასცეს მეორე მხარეს (კლიენტს) ფულადი სახსრები, კლიენტი ამ სახსრების სანაცვლოდ უთმობს ან იღებს დათმობის ვალდებულებას ფინანსურ აგენტს დაუთმოს მისი ფულადი მოთხოვნილება მესამე პირს (მევალეს), რომელიც გამომდინარეობს ამ პირის მიერ კლიენტებისათვის საქონლის მომსახურებას ან სამუშაოების შესრულებაში.

ამავე დროს, სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ (მათი ლიცენზირების წესის განსაზღვრისას), ფაქტორინგის ოპერაციების განვითარების განხორციელებით სახელმწიფო ფაქტორინგს მიაკუთვნებს საბანკო გარიგებებს (ბანკების არაძირითადი საქმიანობა) და ამ ოპერაციებიდან შემოსავლები გავუთანაბროთ სესხებზე პროცენტებს ეკონომიკურად გაუმართლებელია. მხოლოდ სპეციალიზებული ორგანიზაციები მათი საქმიანობის სტიმულირების პირველ ეტაპზე, საჭიროებენ არსებით ფინანსურ რესურსებს, რომლებიც ფაქტობრივად იქნებიან საკრედიტო ინსტიტუტების სტრუქტურული ქვედანაყოფები. გარდა ამისა, ბანკებს ექნებათ იმის საშუალება, რომ თავი აარიდონ ფაქტორინგზე დღგ-ს გადახდას.

თავისი ეკონომიკური შინაარსით საკრედიტო ოპერაციების აქტიურ სახედ გვევლინება სალიზინგო ოპერაციები. ლიზინგი ეს არის ქონებრივი ურთიერთობების კომპლექსი, რომელიც ძირითადში მოიცავს და ეფუძნება საინვესტიციო ოპერაციების კრედიტებზე, რომელიც მოიცავს აქტივის შესყიდვას და მის შემდგომ იჯარას. სალიზინგო ოპერაციები, როგორც საინვესტიციო საქმიანობის ფორმა წარმოადგენს გრძელვადიანი დაკრედიტების ალტერნატივას და ხასიათდება რიგი უპირატესობებით. ლიზინგის მიმცემი, რომელიც არსებითად კრედიტორია, არ უნდა ამტკიცებდეს თავის უფლებას უზრუნველყოფილ ობიექტზე, რადგანაც ეს ობიექტი იმყოფება ლიზინგის მიმცემის განკარგულებაში და რჩება კრედიტორის საკუთრებად. ამიტომ მოცემული გამოკვლევის მიზნისათვის ლიზინგი განიხილება, როგორც სასესხო ოპერაციების ნაირსახეობა.

მსოფლიოში ზოგადად მიღებულია, რომ საწარმოთა ძირითად კაპიტალში სახსრების ინვესტირებას ერთ-ერთ შედარებით ეფექტურ ფორმად გვევლინება ლიზინგი – მანქანებისა და მოწყობილობების გრძლევადიანი იჯარა ორი ძირითადი მიზეზის გამო: პირველი, საგადასახადო შეღავათები, რომელიც დაკავშირებულია დაჩქარებული ამორტიზაციის გამოყენების შესაძლებლობებთან, და მეორე – სალიზინგო გარიგებების სრული გამჭვირვალობა, რომელიც სრულად გამორიცხავს რესურსების არამიზნობრივად გამოყენების რისკს.

ლიზინგის ოპერაციებმა სამრეწველო განვითარებულ ქვეყნებში ფართო გამოყენება ჰპოვა. ლიზინგის განვითარება ბანკების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია, ერთი მხრივ, კომერციული ბანკები შეიძლება გამოვიდნენ ლიზინგის მიმცემებად, მეორე მხრივ, ბანკებმა შეიძლება არაპირდაპირი მონაწილეობა მიიღონ სალიზინგო ოპერაციებში, როდესაც ისინი განათავსებენ რესურსებს და შეიძენენ სალიზინგო კომპანიების კაპიტალის წილებს.

საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის დროს ლიზინგის გამოყენებისას შედარებით მეტი ეფექტურობა მიიღწევა, როდესაც სალიზინგო კომპანიები მუშაობენ საინვესტიციო–საბანკო ჯგუფების ჩარჩოებში. ამ დროს შესაძლოა სრულად გავაკონტროლოთ ფინანსური ნაკადების მოძრაობა, რადგანაც ისინი გაივლიან ბანკების ჯგუფს. ჯგუფის ძირითადი მიზანია – ფინანსური და სამრეწველო კაპიტალის ინვესტიციისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობების ფორმირება. ხშირად სტრუქტურები, რომლებიც შედიან ჯგუფებში, შედარებით მისაღები პირობებით ღებულობენ დამატებითი დაფინანსების წყაროს, ამ დროს სამრეწველო საწარმოებისათვის სრულიად ხელმისაწვდომი ხდება ჯგუფის რესურსები: ჯგუფის კომპანიების მეშვეობით გასაღების განხორციელება, მათ შორის ექსპორტის, მათი

ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო ბაზის გამოყენება, ჯგუფის გარანტიით მიზნობრივი უცხოური კრედიტების მიღება, პლუს დამატებითი ნაკრები საინვესტიციო–საბანკო მომსახურებისა. სალიზინგო გარიგებათა ჩარჩოებში შეიძლება ავამოქმედოთ მექანიზმების მთელი კომპლექსი, რომელიც მოწოდებულია მაქსიმალურად გამოვიყენოთ ამ სახეობის ინვესტიციების უპირატესობები.

საკრედიტო ორგანიზაციები, როგორც წესი, უშუალოდ არ ახორციელებენ სალიზინგო ოპერაციებს, რამდენადაც ბანკებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ დღგ-ს ჩათვლის წესი ხელსაყრელია ლიზინგის გამცემი სპეციალიზებული კომპანიებისათვის. სალიზინგო მომსახურების ფასი, რომელსაც ახორციელებს ბანკი, უმეტესი პოტენციური კლიენტებისათვის, ლიზინგის მიმღებისათვის არაკონკურენტუნარიანია იმ სალიზინგო მომსახურების ფასთან, რომელსაც უსრულებს სალიზინგო კომპანიები და არა ბანკები. ამით სახელმწიფომ ფაქტობრივად შეზღუდა ბანკების მიერ ასეთი ოპერაციების განხორციელება.

ამ შემთხვევაში სახეზეა ლიზინგის ოპერაციების სტიმულირების ორი ასპექტი: **პირველი**, მათი სტიმულირების განხორციელება ბანკების მიერ და **მეორე**, ბანკების მიერ სპეციალიზებული კომპანიების დაფინანსების სტიმულირება.

პირველ რიგში, შესაბამისი საამორტიზაციო პოლიტიკის გარდა, ბანკზე შეიძლება გავავრცელოთ დამატებითი შეღავათი მოგების გადასახადზე შემოსავლების იმ ნაწილში, რომელიც მიღებულია სალიზინგო ოპერაციებიდან. შეღავათი უნდა მივცეთ იმ ბანკებს რომლებიც ახორციელებენ ლიზინგის ოპერაციებს იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც ეკონომიკისათვის მიიჩნევენ პრიორიტეტულ დარგებად, ჩვენი აზრით, ასეთი შემოსავლები დავბეგროთ შემცირებული განაკვეთებით. ამის აუცილებელი პირობა არის, **ჯერ ერთი,** სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის პრიორიტეტების დამტკიცება; **მეორე,** ბანკის კონტროლი მოწყობილობის გადაცემაზე ან მის შესაძენად გათვალისწინებული სახსრები და **მესამე,** მოწყობილობისა და რესურსების განსაზღვრული ვადით გადაცემა. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოები საშუალებებს გამოიყენებენ არამიზნობრივად ბანკების მხრიდან ვადაზე ადრე შეწყვეტენ ხელშეკრულებას, მოგების გადასახადზე შემოსავლების თანხა გადაირიცხება შეღავათის გათვალისწინების გარეშე, ხოლო, ბანკის მიერ შეღავათის მიღების მომენტიდან, სხვაობა მოგების გადასახადში კორექტირდება ინფლაციაზე და მოხდება დამატებითი დარიცხვა ბიუჯეტში გადასახდელად. სახელმწიფოს დანაკარგები ამ შემთხვევაში მინიმალურია და მიისწრაფის ნულისაკენ, რამდენადაც ნებისმიერ შემთხვევაში, რომ არ დავუშვათ სამრეწველო საწარმოს გაჩერება, სახელმწიფოს მოუხდება სახსრები გამოყოს ბიუჯეტიდან. გარდა ამისა, აუცილებელია, გავათავისუფლოთ დღგ-ს გადასახადისაგან სალიზინგო ხელშეკრულებით მომუშავე ყველა ორგანიზაცია (ან მრეწველობის პრიორიტეტული დარგის საწარმოები).

სხვა შემთხვევაში თუ ჩავთვლით, რომ სახელმწიფოს მიზანია – ლიზინგის განვითარება სპეციალიზებული კომპანიების მეშვეობით, მაშინ აუცილებელია, ლიზინგის გადასახდელებზე (პროცენტებზე) გავავრცელოთ დღგ-ს შეღავათები მხოლოდ ასეთ კომპანიებზე, ხოლო ბანკებს მათ დასაფინანსებლად მივანიჭოთ შეღავათები.

ლიზინგის განვითარება ხელს შეუწყობს გამოშვებული პროდუქციის ოდენობისა და ხარისხის ამაღლებას, შესაბამისად გაზრდის მოთხოვნილებებს მასზე, აამაღლებს ასევე მის რეალიზაციას და აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველივე ეს ხელს შეუწყოს სამამულო ეკონომიკის განვითარებას და ბიუჯეტში საგადასახადო შემოსვლის ზრდას. ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარება, მისი შესაძლებლობები და სტაბილურობა დამოკიდებულია საწარმოთა განვითარებაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გამსახურდია გ., ლაფაჩიშვილი ა., საქართველოს საბანკო სისტემის ეფექტიანობის ამაღლების გზები. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა", თბ., 2003, N3.
2. გამსახურდია თ., საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ., 2003.
3. ზირაქაშვილი თ., საქართველოს კომერციულ ბანკებსა და საგადასახადო სისტემას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების გზები, თბ., სამაგისტრო ნაშრომი, 2009.


**თამარ ზირაქაშვილი**

## კომერციული ბანკები და საგადასახადო სისტემის სფეროები

### რეზიუმე


საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული დასაბუთება, არ გვაძლევს საშუალებას, მოვახდინოთ ეკონომიკის რეგულირების ბიუჯეტური პოტენციალის სრული მოცულობით რეალიზება. ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში ყოველთვის არ ხდება საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის მხედველობაში მიღება, სათანადოდ არ ფასდება მისი ზეგავლენა სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

მითითებული წინადადების დანერგვა ხელს შეუწყობს ორგანიზაციების ანგარიშსწორებაში გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით თამასუქების გამოყენების შეზღუდვას, საკანონმდებლო ბაზის მითითებულმა ცვლილებებმა, რადიკალურად უნდა შეცვალოს სიტუაცია უკეთესობისაკენ, რამდენადაც ზემოაღნიშნული წინადადებები ჩამოყალიბდა ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის პრაქტიკულად გამოყენების შედეგად. სამართლებრივი ბაზა არსებითია, მაგრამ არა ერთადერთი, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს კომერციული ბანკების ფინანსური შედეგების ფორმირებაზე. ტექნოლოგიები, რომელსაც ბანკები იყენებენ თავიანთ საქმიანობაში. აისახება ამ უკანასკნელთა საქმიანობის შედეგებში.


**Tamar Zirakashvili**

## Commercial Banks and the Fields of Taxation System

### Summary


The deficient scientific substantiation for the practical meaning of budget and taxation policy does not allow us to fully realize the potential of the budget for economic regulation. In carrying out the financial credit policy of the country, the taxation and credit policy of the country is seldom taken into consideration, nor properly evaluated its effect on the social and political condition.

The implementation of the above proposal will contribute to the restricted use of promissory notes in settling accounts by the entities for the purpose of evading taxes. The referred changes of the legislative base will significantly improve the situation, since the above proposals have been developed as the result of practical application of the legislation being in force at the moment. The legislative base is an essential, but not the only one to affect the financial results of commercial banks. The operational techniques used by the banks in their activities will be reflected in the results of the latter.

**Тамар Зиракашвили**

**Коммерческие банки и сферы налоговой системы**

**Резюме**

Слабое научное обоснование практического значения бюджетной и налоговой политики не позволяет нам совершить реализацию в полном объёме экономическое регулировае бюджетного потенциала. В проведениии финансово- кредитной политики страны не всегда принимают во внимание бюджетную и налоговую политику, надлежаще не оценивается его воздействие на социально- политическое состояние

Осуществление данного предложения позволит ограничить применение векселей, с целью уклонения организаций от налогов в счетах, указанные изменения в законодательной базе радикально должны изменить ситуацию к лучшему, поскольку вышеуказанные предложения обосновались вследствии практического применения ныне действующего законодательства. Правовая база существенна, но не единственная, которая повлияет на формирование финансовых последствий коммерческих банков. Технологии, которые банки применяют в своей деятельности, отразятся в итогах деятельности последних.

**გიორგი ნატროშვილი**
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

## კორპორაციული მართვა როგორც კომპანიათა საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

კორპორაციული მართვის მოდელს საქართველოში, გარდამავალი პერიოდის თავისებურებებიდან გამომდინარე, გააჩნია თავისი სპეციფიკა. ამასთან, სამწუხაროდ, კორპორაციული მართვის ქართული პრაქტიკა, რეალურად, მკვეთრად გამოხატული უარყოფითი იმიჯის მატარებელია, რაც ქმნის გარკვეულ სირთულეებს გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტირებისა და, მთლიანად, ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების სფეროში.

მომგებიანობისა და ფინანსური მდგრადობის გვერდით, ცალკეული საწარმოს საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასებისას და, მთლიანად, ქართულ ეკონომიკურ პრაქტიკაში ინვესტირების პრობლემის გადაჭრისას სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს კომპანიათა გახსნილობისა და აქციონერთა უფლებების დაცვის საკითხები. ამასთან, აქციონერთა უფლებები და მათი დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კორპორაციული მართვის საკითხის სათანადო დონეზე დაყენებით. მხოლოდ ასეთ პირობებში გახდება კომპანია საინვესტიციოდ მიმზიდველი და ინვესტორი, როგორც მესაკუთრე, მიიღებს დაბანდებათა უსაფრთხოებისა და საკუთარი უფლებების დაცვის გარანტიას.

საქართველოში კორპორაციული ქცევის სრულყოფა მნიშვნელოვანი პირობაა ეკონომიკის ყველა სფეროში ინვესტიციების მოსაზიდად როგორც ქვეყნის შიდა წყაროებიდან, ისე უცხოელი ინვესტორების მხრიდან. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, გაჩნდა საერთო წესების შემუშავებისა და დანერგვის სუბიექტური საფუძველი, რომელიც პოტენციურ ინვესტორებს საშუალებას მისცემს მიიღონ ნათელი სურათი იმის შესახებ, თუ რომელი მმართველობითი პრინციპების

საფუძველზე მოქმედებს ესა თუ ის კომპანია, ვინ არიან მისი მფლობელები, როგორია მისი მუშაობის ეფექტიანობის ხარისხი, რათა უმოკლეს დროში და უმნიშვნელო დანახარჯებით იქნეს მიღებული გადაწყვეტილება კაპიტალის ინვესტირების მიზანშეწონილობის შესახებ.

ასეთი წესების შემუშავების დროს ქვეყნების საქმიანი წრეები, გვევლინებიან რა ინვესტორების სახით, ეყრდნობიან საკუთარი მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურ მხარდაჭერას. ქვეყნების საქმიანი წრეებისა და მთავრობების წარმომადგენლები კი, როგორც ინვესტიციების რეციპიენტები, იწყებენ იმის აღიარებას, რომ იმ წესების არსებობა და დაცვა, რომელიც გასაგები და აღიარებულია უცხო ქვეყნების ინვესტორების მხრიდან, ეროვნული კომპანიების მიერ უმნიშვნელოვანესი უპირატესობაა კონკურენციაში კაპიტალის მოზიდვისათვის.

უკანასკნელ პერიოდში რიგ ქვეყნებში იზრდება იმის აღიარება, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე შეუძლებელია კორპორაციული მართვის ეფექტიანი პრინციპების გამოყენება, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შიდა ინვესტორების ნდობის განმტკიცებას და უფრო იაფი და სტაბილური ფინანსური წყაროების მოძიებას.

უკანასკნელ პერიოდში მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, შემუშავებულ იქნა კორპორაციული მართვის კოდექსები, რომლებიც არიან კორპორაციული ურთიერთობების წესრიგის დამდგენნი და მარეგულირებლები, წარმოადგენენ ნებაყოფლობით მიღებული სტანდარტებისა და შიდა ნორმების ერთობლიობას.

თანამედროვე მსოფლიოში კორპორაციული მართვის მოქმედ კოდექსთა რიცხვს შესაძლებელია მივაკუთვნოთ: „კოდექსი ქეთბერი“, მომზადებული 1991 წელს დიდ ბრიტანეთში ფინანსური ინფორმაციის საბჭოს, ლონდონის საფონდო ბირჟის, ბუღალტერთა პროფესიული კავშირის თანამშრომელთა მიერ, სერ ადრიან ქეთბერის ხელმძღვანელობით; თეზისები – „კორპორაციული მართვის ძირითადი მიმართულებები და პრობლემები“, რომელიც მომზადებულია 1994 წელს კომპანია „ჯენერალ მოტორსის“ დირექტორთა საბჭოს მიერ;

„კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები აშშ-ში“, რომელიც მომზადებულია 1998 წელს კალიფორნიის სამოქალაქო მოსამსახურეთა საპენსიო ფონდის მიერ; „არსებული პრაქტიკის კოდექსი“, რომელიც მომზადებულია 1999 წელს ბრაზილიის კორპორაციული მართვის ინსტიტუტის მიერ; „კორპორაციული მართვის კოდექსი“, რომელიც მომზადებულია 1999 წელს მალაიზიის უმაღლესი საფინანსო კომიტეტის მიერ; „სანიმუშო პრაქტიკის კოდექსი“, რომელიც მომზადებულია 1999 წელს მექსიკის მეწარმეთა საკოორდინაციო საბჭოს კორპორაციული მართვის კომიტეტის მიერ; „სანიმუშო პრაქტიკის“ კოდექსების ძირითადი შინაარსი წარმოდგენილია რეკომენდაციების სახით, ეხება დირექტორთა საბჭოების საქმიანობის ორგანიზაციას, პრინციპებსა და ტექნოლოგიას, განიხილება კორპორაციული მართვის ძირითად და მოქმედ მექანიზმად.

კორპორაციული მართვის კოდექსები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმ წესებისა და პროცედურების განმტკიცებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიათა აქციონერების ხელმისაწვდომობას კომპანიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე, ასევე ინფორმაციის გახსნას მასში კორპორაციული მართვის ფუნქციონირების მექანიზმის შესახებ. ამასთან, კოდექსებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა რეკომენდაციებს აქციონერთა კრებების მომზადებისა და ჩატარების შესახებ (საქართველოში 2009 წელს შემუშავებულ იქნა ჯერ-ჯერობით კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ადგენს და არეგულირებს კორპორაციული ურთიერთობების წესრიგს საბანკო სექტორში).

საგულისხმოა, რომ კორპორაციული მართვის კოდექსების დებულებები ყოველთვის შესასრულებლად სავალდებულო არ არის კომპანიებისათვის და ხშირად

სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. მაგრამ კორპორაციული მართვის წესების უგულებელყოფამ შესაძლებელია არა მარტო გაუფუჭოს კომპანიას იმიჯი, არამედ მნიშვნელოვანი ზეგავლენაც მოახდინოს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამიტომ საქართველოს რიგი მსხვილი კომპანიები, უპირველეს ყოვლისა, ემიტენტები, რომლებიც თავიანთი ფასიანი ქაღალდებით გავიდნენ დასავლეთის ბაზარზე, იღებენ კორპორაციული მართვის კოდექსებს, რომლის ძირითადი შინაარსიც ბიზნესის ღიად და პატიოსნად გაძღოლაა.

ინვესტორების ნდობის მოპოვების პრობლემა ქართული კომპანიების მენეჯერების მიერ თანდათანობით აღიქმება ბაზარზე წინსვლისა და წამყვანი პოზიციების დაკავების აუცილებელ პირობად. კომპანიის რეპუტაციაზე ზრუნვა აუცილებელია როგორც პარტნიორების, ისე ინვესტორების მოსაზიდად. ამასთან, ინვესტორი, უდარებს რა ობიექტების მიმზიდველობას ერთმანეთს კაპიტალის ინვესტირებისათვის, აფასებს მათ საინვესტიციო მიმზიდველობას, ანუ განსაზღვრავს დონეს, ზომავს მისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორების გავლენას და რისკებს, რაც მას აძლევს დასაბუთებული არჩევანის გაკეთების საშუალებას.

თანამედროვე საინვესტიციო გადაწყვეტილებებისათვის დამახასიათებელი თავისებურება არის ის, რომ ფინანსური მაჩვენებლები აღარ არის გადამწყვეტი ფაქტორი. ინვესტორები იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი კომპანია ეყრდნობა უფრო ფართო ინფორმაციას. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ კომპანიის გამჭვირვალობასა და გახსნილობაზე, კორპორაციული მართვის დონესა და ხარისხზე, რაც არის კორპორაციული მართვის რეიტინგების აგების საფუძველი.

ინვესტირების ობიექტის შერჩევისას ამ ფაქტორების მნიშვნელობის რაოდენობრივი შეფასებისათვის ნიუ-იორკის ერთ-ერთმა ცნობილმა ფირმამ („overnance Metrics international“) შემოგვთავაზა სტატისტიკური კრიტერიუმი, რომელიც გვიჩვენებს კომპანიის აქციების ქცევას ბაზრის მიმართ როგორც „კარგი“, ისე „ცუდი“ კორპორაციული მართვისას (2).

2000 წლიდან მოყოლებული „Governance Metrics“ წელიწადში ორჯერ ადგენს კომპანიათა კორპორაციული მართვის რეიტინგს, 600 კრიტერიუმის გამოყენებით - დაწყებული დამოუკიდებელი აუდიტორებიდან და დირექტორთა საბჭოს წევრებიდან ტოპ-მენეჯერთა ინტერესების კონფლიქტით და სააქციო კაპიტალით დამთავრებული. ფირმა აანალიზებს 1000-მდე მსხვილი ამერიკული კომპანიისა და 600-მდე სხვა ქვეყნების წამყვანი საფონდო ინდექსების მატარებელი ფირმების აქციების დინამიკას. „Governance Metrics“-ს დაკვირვებით ირკვევა, რომ კომპანიათა აქციებში განთავსებულ ინვესტიციათა შემოსავლები და მათი საინვესტიციო მიმზიდველობა მთლიანობაში დამოკიდებულია კომპანიის კორპორაციული მართვის რეიტინგებზე, რომელიც ახასიათებს მისი კორპორაციული მართვის ხარისხთან და დონესთან დაკავშირებულ ინვესტირების რისკს.

კორპორაციული მართვის რეიტინგების დადგენა მოიცავს კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის კვლევების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს. ამასთან დაკავშირებით, ბერნარდ ბლეკის მიერ რუსულ კომპანიებზე ჩატარებულ იქნა კორპორაციულ მართვასა და კომპანიათა საინვესტიციო მიმზიდველობას შორის კავშირის კვლევა (3). ამ კვლევაში ნაჩვენებია გარკვეული კორელაციური კავშირი ბანკ „Brunswick-Warburg“-ის მიერ შემუშავებულ კორპორაციული მართვის რეიტინგებსა და ფაქტიური კაპიტალიზაციის პოტენციურ ფარდობასთან შორის, რომელიც განსაზღვრულია საინვესტიციო ბანკ „Тройка-диалог-ის“ მიერ 21 რუსულ კომპანიაზე დაყრდნობით.

ბანკ „Brunswick-Warburg“-ის მიერ შემუშავებული სარეიტინგო სისტემის მიხედვით, ბერნარდ ბლეკმა თავის კვლევაში რუსული კომპანიები დაალაგა 0-დან 60 ბალამდე შკალით, სადაც ბალების დიდი რაოდენობა მიუთითებდა კორპორაციული მართვის

ხარისხის გაუარესებაზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რეიტინგების შეფასების არც ერთი ელემენტი უშუალოდ არ არის დაკავშირებული კომპანიის საბაზრო ღირებულების შეფასებასთან, ელემენტების უმრავლესობა მიეკუთვნება ობიექტურ ფაქტორებს. მაგალითად, „ახალი აქციების გამოშვების გზით განთავსების რისკი“, რომელიც თავის მხრივ მოიცავს უწყისში დაფიქსირებული, მაგრამ გამოუშვებელი აქციების არსებობას, აქციების გამოშვების უპირატესი უფლებისა და მინორიტარი ინვესტორების ხელში არსებული დაბლოკილი აქციების პაკეტის არსებობას. ბანკი „Brunswick-Warburg“ ასევე ამტკიცებს, რომ კომპანიის საბაზრო ღირებულება არ ახდენს გავლენას კორპორაციული მართვის რეიტინგზე.

ბერნარდ ბლეკის მიერ განხორციელდა კორპორაციული მართვის რეიტინგებსა და კომპანიის ღირებულებას შორის კორელაციური ურთიერთკავშირის მონიტორინგი, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა შემდეგი სახის მარტივი რეგრესია: ან (ღირებულების თანაფარდობა) = -0,176 + (-0,149) X (მართვის რეიტინგზე), სადაც ღირებულების თანაფარდობის ლოგარითმი გვევლინება დამოკიდებული ცვლადის როლში, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი კორპორაციული მართვის რეიტინგიდან. კომპანიათა ღირებულების კორელაციური თანაფარდობა მათი კორპორაციული მართვის რეიტინგებთან საშუალებას გვაძლევს გავზომოთ ქართული კომპანიებისათვის კორპორაციული მართვის პრაქტიკის ზეგავლენა მათ საბაზრო ღირებულებაზე და არსებითად შევაფასოთ ისინი.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვაღიაროთ, რომ „კარგი“ კორპორაციული მართვა ამცირებს ინვესტორთა რისკებს და ხელს უწყობს სახსრების მოზიდვას ეფექტურად მომუშავე კომპანიების განვითარებისათვის, მათი საინვესტიციო მიმ-ზიდველობის ამაღლებისათვის ეფექტიან კომპანიებსა და ეკონომიკის სექტორებში, ასევე იგი ქმნის სტიმულებს კომპანიათა მფლობელებისა და მენეჯერებისათვის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის და კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის.

ამავე დროს, „ცუდ“ კორპორაციულ მართვას მივყავართ კორპორაციის მდგომარეობის გაუარესებამდე; მენეჯერთა მხრიდან გადაწყვეტილებების მიღებისას „არასაბაზრო“ მოტივების დომინირებამდე; მმართველების, მესაკუთრეებისა და აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელთა მიერ უფლებამოსილებათა ბოროტად გამოყენებამდე, როგორც სამამულო, ისე უცხოელი ინვესტორების უფლებების დარღვევამდე. საბოლოო ჯამში, იგი ზრდის ინვესტირების რისკს და ამით ამცირებს კორპორაციათა საინვესტიციო მიმზიდველობას. ავტორთა უმრავლესობას გააჩნია საერთო აზრი იმის შესახებ, რომ ინვესტორთა ყველა რისკი ასახვას პოულობს კომპანიის კაპიტალის ღირებულებაში, რომელსაც ისინი ანდობენ რეციპიენტებს (4). რაც უფრო მაღალია რისკი, მით უფრო მაღალია ინვესტორთა მხრიდან შემოსავლიანობის მოთხოვნა და, შესაბამისად, მაღალია კაპიტალის ფასი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კორპორაციული მართვის რისკები დამახასიათებელია საკუთარი კაპიტალისათვის, რომლის ფასის განსაზღვრა სამამულო პირობებში არც თუ ისეთი იოლი ამოცანაა.

ჩვენი აზრით, საქართველოსათვის მისაღებია კაპიტალის შეფასების კუმულაციური მეთოდი, რომელიც ინვესტორის შემოსავლიანობის შეფასებას მიიჩნევს საპრემიო თანხად რისკისათვის, რომელიც დგინდება ექსპერტული გზით და მას მისაღებს ხდის იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ განვითარებული საფონდო ბაზარი (როგორიც, მაგალითად, საქართველოა).

მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესაბამისად, მოთხოვნილ დაბანდებათა შემოსავლიანობა (კაპიტალის ფასი) გათვალისწინებული და გაანგარიშებულ უნდა იქნეს როგორც თანხა: შემოსავალი ურისკო დაბანდებისათვის; პრემია განვითარებული საფონდო ბაზრის რისკისათვის; პრემია ქვეყნის პოლიტიკური რისკისათვის; პრემია კონკრეტულ კომპანიაში ინვესტირების რისკისათვის. ჩამოთვლილი საკითხებიდან

ჩვენთვის საინტერესოა საკითხი, რომელიც მოიცავს შიდა ხასიათის რისკს და მასში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კორპორაციული მართვის რისკს. ამ რისკისათვის პრემიის სიდიდე მერყეობს 10-15%-ის ფარგლებში.

აღნიშნულ საკითხებზე დაყრდნობით, აუცილებელია: 1) შემუშავდეს საკუთარი მიდგომა კორპორაციული მართვის დონის შეფასებისათვის (რეიტინგის შეფასებისათვის); 2) ჩატარდეს საერთო მდგომარეობის ექსპერტიზა და შეფასებული რისკების არსებული დონისაგან დამოკიდებულებით გაანგარიშდეს გადასახდელი თანხა მათთვის კორპორაციული მართვის ყოველი მდგენელის მიხედვით და მისი საერთო სიდიდე საანალიზო კომპანიის მიხედვით რისკისათვის გადასახდელი თანხის მიღებული სიდიდე (სხვა მდგენელებთან ერთად) შემდგომში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კომპანიის საკუთარი კაპიტალის ფასის გაანგარიშებისათვის, მაგრამ ამის განხორციელებამდე აუცილებელია კორპორაციული მართვის მოდელებისა და პრინციპების დამუშავება და მათი დახასიათების წარმოდგენა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. კორპორაციული მართვის კვლევა საქართველოს კომპანიებში, თბ., 2008.
2. კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო თბ., 2008.
3. კოოპერაციული მართვა, რისკი და ეთიკა, თბ., 2014.


**გიორგი ნატროშვილი**

**კორპორაციული მართვა როგორც კომპანიათა საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი**

**რეზიუმე**

სტატიაში გაანალიზებულია კორპორაციული მართვის სპეციფიკა, საინვესტიციო პოლიტიკის თავისებურებები და მოცემულია კორპორაციულ მართვაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები, რომელიც უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს კორპორაციული მართვის მოდელებისა და პრინციპების დამუშავებისა და მისი დახასიათების წარმოდგენით.

**Giorgi Natroshvili**

**Corporate Governance as an Important Tool for Evaluation of Investment Attractiveness of Companies**

**Summary**

The Article has analyzed the specifics of the corporate governance, features of investment policy and provides ways of eradication of existed failures in corporate governance, which has to be implemented first and foremost with elaboration of principles and models of corporative governance and representing its performance.

**Гиорги Натрошвили**

**Корпоративное управление, как значительный инструмент для привлечения инвестиций**

**Резюме**

В статье дан анализ корпоративной специфики, особенностей инвестиционной политики. Обозначены пути искоренения погрешностей, имеющих место в кооперативной корпорации. Это в первую очередь должно коснуться моделей корпоративного управления, принципов разработки и их характеристики. Корпоративная политика в Грузии представляет собой одно из главных условий привлечения инвестиций как внутри страны, так и из зарубежа.

**გივი მაკალათია**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

**სახელმწიფოს საბიუჯეტო ფინანსების თანაბარზომიერი გახარჯვის ტენდენციები და ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა საქართველოში**

დღესდღეობით ეროვნული ვალუტის დევალვაცია საქართველოსათვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. აღნიშნული მოვლენა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით. ერთ-ერთ აქტიურ როლს სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკა ასრულებს. ჩვენი კვლევის მიზანს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობაზე 2017 წლის საბიუჯეტო ფინანსების გახარჯვის ზეგავლენის შეფასება წარმოადგენს.

2017 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, გადასახდელები (მთლიანი ხარჯების) გეგმიური მაჩვენებელი 11 415 მლნ ლარითაა განსაზღვრული. საქართველოს ხაზინის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 10 თვის მონაცემების მიხედვით, გაწეული გადასახდელების მაჩვენებელი 9 121 მლნ ლარია. შესაბამისად, გეგმის მიხედვით, ნოემბერ-დეკემბერში საშუალო თვიურად 1 147 მლნ ლარი უნდა დაიხარჯოს . ეს კი გასული თვეების საშუალო მაჩვენებელთან (907.6 მლნ ლარი) შედარებით მაღალია, რაც ეროვნულ ვალუტაზე გარკვეულ ზეწოლას მიუთითებს სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან. დაგეგმილთან შედარებით ფაქტიურად გასახარჯი თანხის მეტობა იწვევს ბრუნვაში ფულის მასის ზრდას, რაც ერთობლივ მოთხოვნას მნიშვნელოვნად ასტიმულირებს. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გახარჯვა, გარკვეული დროის ინტერვალების მიხედვით, აბსოლუტურად თანაბარზომიერად ძნელი განსახორციელებელია პრაქტიკაში და განვლილი წლების გამოცდილების გათვალისწინებით ამ მხრივ დატვირთულია წლის ბოლო თვეები.

**2012-2017 წლებში 9 თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები მლნ ლარებში**

| წლები | 9 თვე | | | სამი კვარტლის მონაცემები წლიურთან |
|---|---|---|---|---|
| | საბიუჯეტო გეგმა | საკასო შესრულება | შესრულება %-ში | ფაქტიურის მიხედვით |
| 2017 | 8,514 | 8,168 | 95.9% | 71% |
| 2016 | 7,630 | 7,341 | 96.2% | 72% |
| 2015 | 7,208 | 6,912 | 95.9% | 72% |
| 2014 | 6,748 | 6,183 | 91.6% | 68% |
| 2013 | 5,474 | 5,327 | 97.3% | 61% |
| 2012 | 6,330 | 5,674 | 89.6% | 73% |

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2012წ.-დან 2013 წელს 9 თვის ფაქტიური მაჩვენებელი საშუალოდ წლიური გეგმის მიმართ 73%-დან 61%-მდე დაეცა. 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გარღვევა ნამდვილად შესამჩნევი იყო (ამ პერიოდში 400 მლნ. ლარით ნაკლები შემოსულობები დაფიქსირდა დაგეგმილთან შედარებით). აქედან გამომდინარე, თანაბარზომიერ საბიუჯეტო ფინანსების გახარჯვას აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა. 2014 წლიდან მოყოლებული კი 9 თვის ფაქტიური მონაცემები წლიურ გეგმასთან მიმართებით მუდმივად 70%-იან ნიშნულს ცდება, რაც ნიშნავს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური რესურსის ყოველთვიურად შედარებით თანაბარ გახარჯვას.

საბიუჯეტო გადასახდელები მოიცავს ხარჯებს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდას და ვალდებულებების კლებას. 2017 წელი გადასახდელების ათვისება, მათ შორის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლები, წლის ბოლო 4 თვის განმავლობაში თანაბარზომიერად არ მიმდინარეობდა და მკვეთრად იზრდებოდა დეკემბრის თვეში. შესაბამისად აუთვისებელი საბიუჯეტო ფინანსური რესურსები წლის ბოლოს არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვას გამოიწვევდა, რაც თავისთავად გულისხმობს ეროვნულ ვალუტაზე ნეგატიურ გავლენას. 2017 წლის 14 დეკემბრიდან ეროვნულმა ბანკმა მკაცრი მონეტარული პოლიტიკა განახორციელა (რეფინანსირების განაკვეთი 7%-დან 7,25%-მდე გაზარდა). საბიუჯეტო პოლიტიკის მიმართ ეროვნული ბანკის მხრიდან შემხვედრი ნაბიჯის გადადგმამ შესაბამისი შედეგი გამოიღო, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 14 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 2,62-დან 2,59-მდე შემცირდა. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის მოახლოებისას ტრადიციულად მოხმარების მკვეთრი ზრდაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ინფლაციურ პროცესებს, რაც აგრეთვე ლარის გაცვლით კურსზეც უარყოფითად აისახება. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ვალუტის დევალვაცია უარყოფით კონტექსტში განიხილება, რადგან საქართველო მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმპორტულ საქონელზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანალიზის მიხედვით იდენტიფიცირებულია საბიუჯეტო ფინანსური რესურსის მართვასთან დაკავშირებული 4 ძირითადი სახის სისტემური ხასიათის ნაკლოვანება, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ საბიუჯეტო თანხების თანაბარ გახარჯვაზე. ესენია:

1. ხარჯთაღრიცხვის ხშირი და მასშტაბური ცვლილებები;
2. საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების უკუპროცესი;
3. აუთვისებელი თანხების გადანაწილება სხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე;

4. დაუგეგმავი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრების გადანაწილება.

აღსანიშნავია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილების რაოდენობა და სიხშირე, მაგალითად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 2017 წლის 8 თვის განმავლობაში განხორციელდა ხარჯთაღრიცხვის 130 ცვლილება, საერთო თანხით 277,7 მლნ ლარი.

ამრიგად, ფაქტიური მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობაზე 2017 წლის სამი კვარტლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან მნიშვნელოვანი ზეგავლენა არყოფილა, ხოლო ბოლო 2017 წლის თვეების მანძილზე, განსაკუთრებით ნოემბერ-დეკემბერში კი ვალუტის გაუფასურებასა და ინფლაციურ პროცესში გარკვეული წვლილი მიუძღვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბლანშარი ო., მაკროეკონომიკა, თბ., 2010.
2. მექვაბიშვილი ე., თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები, თბ., 2012.
3. პაპავა ლ., საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები, თბ., 2015.
4. სახელმწიფო აუდიტის სამსახური - მოხსენება საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის ანგარიშზე, თბ., 2017.
5. www.geostat.ge
6. www.mof.ge
7. www.nbg.gov.ge
8. www.sao.ge


**გივი მაკალათია**

## სახელმწიფოს საბიუჯეტო ფინანსების თანაბარზომიერი გახარჯვის ტენდენციები და ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა საქართველოში


**რეზიუმე**

ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის ერთ-ერთ აქტიურ როლს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება წარმოადგენს. კერძოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური რესურსის არათანაბარზომიერი გახარჯვა დროის ერთი და იგივე ინტერვალში ეროვნულ ვალუტაზე ზეწოლას წარმოადგენს. მოცემული კვლევის მიზანია აღნიშნული მოვლენის არსებობის გამოვლენა და შეფასება მიმდინარე პერიოდში. ნაშრომში აგრეთვე აღნიშნულია საბიუჯეტო ფინანსების არათანაბარი გახარჯვის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები.

**Givi Makalatia**

**Tendencies of Uniform Expenditure of State Budget Finances and Purchasing Ability of National Currency in Georgia**

**Summary**

The purchasing ability of National Currency is based on several factors, in which the execution of the State Budget plays one of the active role. In particular, non-uniform spending of the Financial Resources of State Budget in the same time-interval represents the pressure on the national currency. The purpose of the given study is to identify the presence of this phenomenon and its assessment to the current period. Also, highlights alleged reasons causing non-uniform spending of the budget financing.

**Гиви Макалатия**

**Тенденции равномерной траты бюджетных финансов государства и покупательная способность национальной валюты в Грузии**

**Резюме**

Покупательная способность национальной валюты зависит от множества факторов, в том числе, одной из активных ролей является исполнение государственного бюджета. В частности, неравномерная трата финансовых ресурсов государственного бюджета за один и тот же интервал времени представляет собой давление на национальную валюту. Цель данного исследования – выявления наличия данного явления и его оценка в текущий период. В работе также освещены предположительные причины, вызывающие неравномерную трату бюджетных финансов.

**ლია ოტიაშვილი**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი**

## საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ევროკავშირის ერთ-ერთი უპირველესი მიზანია მიაღწიოს ინტეგრირებულ ბაზარს ფინანსური მომსახურებისათვის.

უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების თითქმის სამი მეოთხედი საბანკო სისტემაში კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ უმრავლესობას მიაჩნიათ, რომ დეპოზიტების დაზღვევით დაიცავენ საკუთარი ქვეყნის საფინანსო სისტემას. საბანკო სისტემას ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. კერძოდ, ბანკები ახორციელებენ ფულის გაცვლას, აკუმულირებას ახდენენ დეპოზიტორების მცირე და მსხვილი დანაზოგებისას, გასცემენ კრედიტებსა და კოორდინაციას უწევენ ფინანსურ ოპერაციებს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბანკი აუცილებლად უნდა იყოს ფინანსურად მყარი, ვინაიდან ბანკი, რომელიც კრედიტს გასცემს ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ კრედიტორმა შესაძლებელია დროულად ვერ უზრუნველყოს არსებული კრედიტის დაბრუნება, რომლის საფუძველზეც ბანკი უნდა იყოს ფინანსურად ისეთი ძლიერი, რომ არსებულმა სიტუაციამ პრობლემა არ შეუქმნას არსებული ბანკის დეპოზიტორს.

ბანკს ჩვეულებრივ არ შეუძლია უარი თქვას დეპოზიტების მიღებაზე, მაგრამ თუ რაიმე მიზეზების გამო მისი დეპოზიტორები ბანკის „სიჯანსაღის“ მიმართ ნდობას დაკარგავენ, მათ შეუძლიათ თავიანთი ფულადი სახსრები გადაიტანონ სხვა არსებულ საბანკო დაწესებულებაში.

ბანკებმა მოულოდნელი რისკებისაგან თავის დაცვის მიზნით მიმართეს დეპოზიტების დაზღვევის სისტემას. თუმცა ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ დარეგულირებული ფინანსური სისტემა ქვეყნის ეკონომიკისათვის საუკეთესოა და დეპოზიტების დაზღვევა გრძელვადიან პერსპექტივაში დააზარალებს დეპოზიტორებს და მსესხებლებს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თუ დეპოზიტორებს ეცოდინებათ, რომ მათი დეპოზიტები (დანაზოგები) დაცული არის, გაიზრდება მათი ნდობა საბანკო სისტემის მიმართ. თუ ერთ რომელიმე ბანკს შეექმნა ფინანსური პრობლემა, დეპოზიტების დაზღვევის ფონდი იძლევა იმის საშუალებას, რომ დეპოზიტორები არ ჩავარდნენ პანიკაში.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა სწრაფად ვითარდება განვითარებად ქვეყნებში.

მსოფლიოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა შექმნილია საბანკო სექტორის საიმედოობისა და სტაბილურობის გასაძლიერებლად, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოულოდნელი ფინანსური პანიკის შემცირება. დაზღვევის ხარჯები გარკვეულწილად იფარება სახელმწიფო და საბანკო სექტორის თანამონაწილეობით, რომლისათვისაც წინასწარ შექმნილი არის დეპოზიტების დაზღვევის ფონდი.

2017 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 620,5 მლნ ლარით (3.4 პროცენტით) გაიზარდა და 19.0 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2016 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 2.7 პროცენტით არის გაზრდილი.

საქართველოში ურთულეს პრობლემად დგას ისეთი საკითხი, როგორიც არის საბანკო დეპოზიტების საიმედო დაცვა, რომელიც მეტყველებს საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღების აუცილებლობაზე. უპირველეს ყოვლისა ბანკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ფულადი სახსრების მოზიდვის ისეთი მეთოდების შემუშავება, რომელიც გამოიწვევს ინტერესს საზოგადოებაში გარკვეული დანაზოგების რესურსების დაგროვებაში.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა თითქმის ყველა ქვეყანაში ფუნქციონირებს. უპირველესად დეპოზიტების დაზღვევის სისტემა დამკვიდრდა ჩეხოსლოვაკიაში. უფრო სერიოზულ ისტორიულ ეტაპს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო რეგულირების სისტემა. საგულისხმო არის ის გარემოება, რომ აშშ-ს მთავრობამ დეპოზიტების დაზღვევის ფონდის შესაქმნელად 30 მლნ კრედიტი დახარჯა, რომელიც 7-8 წელში იქნა დაფარული. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა მიზნად ისახავდა საბანკო კრიზისების პრევენციას, რომლის დროსაც თუ დეპოზიტორებს ეცოდინებათ, რომ სახელმწიფო აანაზღაურებს მათ დეპოზიტებს საბანკო ჩავარდნის დადგომისას, მაშინ ისინი არ შეეცდებიან შექმნან ე.წ. საბანკო პანიკა (Bank run). დეპოზიტების დაზღვევით შესაძლებელი ხდება საბანკო კრიზისების თავიდან აცილება.

1992-1993 წლებში რუსეთში შეიქმნა დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. 1995 წელს რუსეთშივე მიიღეს კანონი „მოქალაქეთა საბანკო ანაბრების სავალდებულო დაზღვევის შესახებ, რომლის მიხედვითაც ანაბრების დაზღვევა არის სავალდებულო. საბანკო ანაბრების დაზღვევის ფედერალური ფონდი თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი. სადაზღვევო შენატანების სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს და სადაზღვევო შენატანების გადახდა ხორციელდება წინასწარ, ხოლო სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ფონდი მოქალაქეს უნაზღაურებს ანაბრის 90%-ს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რუსეთში არსებობს ნებაყოფლობითი დაზღვევაც, რომლის დროსაც ფონდის საქმიანობაში ცენტრალური ბანკი და ხაზინა არ მონაწილეობს. კომერციული ბანკები თვითონ აფუძნებენ ფონდს და სწორედ ამ ფონდიდან ხდება თანხების გასტუმრებაც.

დღეისათვის, დეპოზიტის დაზღვევის სისტემა მსოფლიოს 106-ზე მეტ ქვეყანაშია (3, 66).

კერძო ანაბრების დაზღვევა საშუალებას იძლევა მოიზიდონ ბანკებში ფიზიკური პირების დიდი მოცულობის დანაზოგები, მაგრამ იგი არ ასრულებს სავალდებულო დაზღვევის მეორე მთავარ ფუნქციას, საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფას (1, 10).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბანკო დეპოზიტების დაზღვევა ითვალისწინებს, როგორც დადებით ისე უარყოფით მოვლენებს, ცუდად ორგანიზებულმა საბანკო დეპოზიტების დაზღვევამ შესაძლოა სავალალო მდგომარეობა გამოიწვიოს ქვეყნის ეკონომიკაში.

დეპოზიტების დაზღვევის განხილვისას გასათვალისწინებელია სტიმულები, რომელიც უნდა იქნეს ჩადებული შენატანის დაცვის სისტემაში. ეს უნდა ეხებოდეს როგორც წვრილ, ისე მსხვილ მეანაბრეს.

როგორც ცნობილია, საქართველოში 2018 წლის იანვრიდან ამოქმედდა დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რომლისთვისაც უკვე შემუშავებული არის დეპოზიტების დაზღვევის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

დაზღვევის ამოქმედება გაზრდის როგორც საბანკო სექტორის ისე მთლიანად საფინანსო სექტორის სტაბილურობას, საფინანსო კრიზისის დროს (Financial crisis-ის) ბანკს უფრო მყარი პოზიცია ექნება დაკავებული. ყოველი ბანკის ლიკვიდურობის დროს დეპოზიტორმა იცის, რომ მისი დეპოზიტის უკან არის გარანტია და არ გაუჩნდება სურვილი დეპოზიტზე არსებული თანხის გამოტანისა.

როგორც ცნობილია საქართველოში რეფორმის ეტაპზე დაიზღვევა 5000 ლარამდე დეპოზიტი, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში.

მეანაბრეებს ყოველთვიური საკომისიოს სანაცვლოდ დააზღვევს (0.067 %-ის საკომისიო ლარის დეპოზიტზე, 0.01 % საკომისიო უცხოური ვალუტის დეპოზიტზე). ეს ნიშნავს, რომ ლარში განთავსებულ დეპოზიტებიდან ბანკში არსებულ ნაშთს ყოველი თვის 15 რიცხვისათვის ჩამოეჭრება სადაზღვევო საკომისიო.

საბანკო დეპოზიტების დაზღვევას მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში ჰყავს ბევრი ოპონენტი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეკონომიკისათვის უფრო მიზანშეწონილია ფინანსური სისტემის დარეგულირება. მათი აზრით, დეპოზიტების დაზღვევა, საბოლოო ჯამში, ხელს უშლის საბაზრო ურთიერთობათა სრულყოფილად განვითარებას, იმდენად, რამდენადაც ასუსტებს საბანკო მენეჯერების, მეანაბრეების, იურიდიული და ფიზიკური პირებისა და პოლიტიკური მოღვაწეების სტიმულს ეროვნული ეკონომიკის წინსვლის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში (2, 67).

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევის სხვადასხვა მოდელებს გააჩნიათ ერთი მიზანი, დაიცვან ბანკების ინტერესები და მათი კლიენტების უფლებები.

მაგრამ გასათვალისწინებელი არის ის გარემოება, რომ თუ გადავხედავთ სტატისტიკურ მაჩვენებლებს (გრაფიკი 1 და 2) საქართველოში ბოლო ათწლეულების მანძილზე ვნახავთ, რომ იზრდება დეპოზიტების მოცულობა, რომელიც მეტყველებს იმ






გარემოებაზე, რომ მოსახლეობას ჯერ კიდევ გააჩნია ბანკების მიმართ მაღალი ნდობის ფაქტორი. ისმის კითხვა რატომ გახდა აუცილებელი შეიქმნას დეპოზიტების დაზღვევის ფონდი? დეპოზიტების დაზღვევის ამოქმედების შემდეგ ბანკს ეკისრება ვალდებულება ფონდში გარკვეული პროცენტის გადარიცხვისა. აქედან გამომდინარე, ლარში დეპოზიტების სარგებლის შემცირება არის ბუნებრივი პროცესი. ერთი მხრივ, საბანკო ანაბრები უფრო მეტად სტაბილური იქნება დეპოზიტების დაზღვევის ამოქმედების შემდეგ, თუმცა, მეორე მხრივ, ხელი შეუშალა მოსახლეობისათვის საპროცენტო სარგებლის მიღებას. დღეს დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევის საკითხი საქართველოს საბანკო სექტორისათვის არ არის აქტუალური.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბარბაქაძე ხ., საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში, თბ., 2008.
2. ბლიაძე მ., საბანკო დეპოზიტების დაცვის პრობლემები, თბ., 2008.
3. Сафронова Ю., Система страхования вкладов и ее влияние на доверие населения коммерческим банкам в России, М., 2004.
4. AEDWARD J., KANE LUC LEAVEN – DEPOSIT INSURANJE AROUND THE WORLD - 2008.
5. www.sabanko.com
6. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3679200


**ლია ოტიაშვილი**

**საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები**

**რეზიუმე**


დეპოზიტების დაზღვევის სისტემა განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. სხვადასხვა ნიუანსების მიუხედავად, დეპოზიტების სადაზღვევო სისტემა ყველა ქვეყანაში შეიქმნა ერთი და იგივე მიზნით. უპირველეს ყოვლისა ერთ-ერთი მიზანი იყო საბანკო სისტემის სტაბილურობის გაზრდა, რომელიც განაპირობებს საბანკო სექტორის კონკურენციას.

ნაშრომში განხილულია სადაზღვევო ბაზრის მდგომარეობის გავლენა მონეტარულ პოლიტიკაზე და ის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მის განვითარებაზე.

სტატიაში აღწერილია აგრეთვე საქართველოს სადეპოზიტო–სადაზღვევო სისტემა, რომელიც აანალიზებს მის გავლენას საინვესტიციო ქცევის, საზოგადოების ნდობისა და საბანკო სისტემის მიმართ.


**Lia Otiashvili**

**The Problem of Deposit Insurance in Georgia and Ways to Solve Them**

**Summary**


The Deposit Insurance System plays a special role in the country's economy. Despite various nuances, the Deposit Insurance System was created in all countries with the same goal. First of all, one

of the reasons was the growing stability of the banking system, which will lead to competition in the banking sector. The work discusses the impact of the situation of the insurance market on monetary policy and on the positive and negative factors that affect its development. The article also describes the Georgian Deposit Insurance System, which analyzes its impact on investment behavior and public confidence in the banking system.

**Лия Отиашвили**

**Проблема страхования депозитов в Грузии и пути их решения**

**Резюме**

Система страхования депозитов играет особенную роль в экономике страны. Несмотря на различные нюансы, страховая система депозитов была создана во всех странах с одной и той же целью. В первую очередь, одной из причин было возрастание стабильности банковской системы, которая обусловит конкуренцию банковского сектора. В работе обсуждается влияние положения страхового рынка на монетарную политику и на положительные и отрицательные факторы, которые влияют на ее развитие. В статье также описана депозитная страховая система Грузии, которая анализирует ее влияние на инвестиционное поведение и доверие общественности к банковской системе.

**ოთარ სოსელია**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

## თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ოპტიმიზაცია ჰეის პროფილური ცხრილების მეთოდის გამოყენებით

მომუშავეთა მოტივაციის მეთოდების კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ კომპანიებში ფინანსურ წახალისებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. დღეისათვის ფულადი ანაზღაურების მოდიფიკაციების გამოყენება პერსონალის მოტივაციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდად რჩება. ამასთან, სამწუხაროდ, წახალისების ბონუსური სისტემა ხშირად დამოკიდებულია არა მუშაობის ინდივიდუალურ შედეგებზე, არამედ ხელმძღვანელის სუბიექტურ აზრზე თანამშრომელთა მიმართ. პერსონალზე განპიროვნებული სამუშაოს მოცულობა ნორმატიულზე დიდია, ხოლო მისი შესრულებისათვის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების სიდიდე მცირე, რაც პერსონალის უკმაყოფილების მიზეზი ხდება.

ბოლო პერიოდში ორგანიზაციებში შრომის ანაზღაურებისათვის აუცილებელი კლასიკური სატარიფო ბადეები კარგავენ გამჭვირვალობასა და აგებულობის ლოგიკას. სულ უფრო რთულდება თანამშრომელთათვის სახელფასო პოლიტიკის ახსნა და სახელფასო ფონდის განვითარება და მართვა. ამგვარი პრობლემის გადასაჭრელად გამოგონილია შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სისტემის აგების მრავალი ტექნოლოგია. ერთ-ერთი მათგანია ჰეის პროფილური ცხრილების მეთოდი.

მრავალი უცხოური კომპანია აქტიურად იყენებს თანამშრომელთა შრომის შეფასების სტანდარტულ მეთოდოლოგიებს, რომლებიც ცნობილი ჰეის პროფილური

ცხრილების მეთოდის მოდიფიკაციებს წარმოადგენენ. აღნიშნული მეთოდი გასაჯაროვდა 1962 წელს და მას შემდეგ იგი მსოფლიოს 40 ქვეყნის დაახლოებით 8000 კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციაში გამოიყენება.

მეთოდის არსი შესრულებულ სამუშაოთა სამ ძირითად ფაქტორთა ჯგუფის მიხედვით შეფასებაში მდგომარეობს.

ფაქტორთა პირველი ჯგუფია – ცოდნა და გამოცდილება, რომელიც საჭიროა სამუშაოს შესასრულებლად. ამ ჯგუფში სპეციალისტები სამ ძირითად ელემენტს გამოყოფენ:

- პრაქტიკული პროცედურები, სპეციალური მეთოდები და ხერხები, პრაქტიკული ცოდნა;
- მმართველობითი ნოუ-ჰაუ (დაგეგმვის, ორგანიზების, შესრულების, მართვისა და შეფასების უნარები);
- კომუნიკაციის სფეროში უნარები (ადამიანებთან მუშაობის შესაძლებლობა, მათთან კონტაქტი და მათი მართვა).

მეორე ჯგუფია – პრობლემების გადაწყვეტის უნარები, რომელიც მოიცავს ორ ელემენტს:

- ანალიტიკური აზროვნება;
- შემოქმედებითი აზროვნება.

მესამე ჯგუფია – პასუხისმგებლობის დონე, რომელიც მოიცავს:

- ზღვრები, რომელშიც თანამშრომელს შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება;
- მთლიანობაში თანამშრომლის საქმიანობის ზღვრები;
- კომპანიის მუშაობაზე თანამშრომლის გავლენის/ზემოქმედების დონე.

თითოეული ფაქტორის მიხედვით ექსპერტების მიერ კეთდება დასკვნა, რომელიც აისახება ცხრილში რიცხვის ან პროცენტული მაჩვენებლის სახით. აღნიშნული შეფასებიდან გამომდინარე თანამდებობრივი პოზიციები ჩაიწერება ე.წ. გრეიდში, რომელიც გარკვეული ხელფასის და/ან სოციალური პაკეტის მიღების გარანტიას წარმოადგენს.

გრეიდების სისტემის აგების ანუ გრეიდინგის შინაარსი ორგანიზაციისათვის თანამდებობების შინაგანი მნიშვნელობის (შიდა ფასეულობა) ამავე თანამდებობების ბაზარზე არსებულ მნიშვნელობებთან (გარე ფასეულობა) შედარებაში მდგომარეობს.

გრეიდინგის მიზანს კომპანიაში სხვადასხვა თანამდებობის პერსონალის შრომის ანაზღაურების დონისა და მათი ღირებულების ურთიერთდამოკიდებულების გამჭვირვალე და ნათელი მეთოდიკის შექმნა წარმოადგენს.

გრეიდების სისტემა იქმნება ინდივიდუალურად კომპანიისათვის და შეფასების დომინანტ ფაქტორების შერჩევისას გათვალისწინებულია ორგანიზაციის მოქმედების სფერო. ასე მაგალითად, ვაჭრობაში მნიშვნელოვანია ფაქტორთა ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის კომუნიკაციურ უნარებს, ხოლო მრეწველობაში პრეროგატივა სამუშაოს სირთულესა და მუშაკის აუცილებელ კვალიფიკაციას ენიჭება.

როგორც აღინიშნა, კომპანია გრეიდების რაოდენობას საკუთარი სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრავს. მათი რაოდენობა თითოეული კლასის (მუშა, მოსამსახურე, სპეციალისტი) მიხედვით 10-16 ფარგლებში ვარირებს.

თუმცა ერთ გრეიდში მოხვედრილი თანამშრომლები აბსოლუტურად ერთნაირ ხელფასს ვერ მიიღებენ. თითოეულ სატარიფო განრიგში გამოითვლება მინიმუმი და მაქსიმუმი, რა ფარგლებშიც მერყეობს თანამშრომელთა ხელფასები. ასეთ ვითარებაში თანამშრომლებს საკუთარი გრეიდის ფარგლებში, გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის ზრდასთან ერთად მეტი ხელფასის მიღების შესაძლებლობა აქვთ. თუმცა, ეს გარკვეულ ნიშნულამდე ხდება, შემდეგ მათ შემოსავლის გასაზრდელად მორიგ გრეიდში მოუწევთ გადასვლა.

გრეიდინგი ორგანიზაციებში მრავალი ამოცანის ამოხსნას ემსახურება:

1. **შრომის ანაზღაურების სისტემის ოპტიმიზაცია და უნიფიკაცია.** გრეიდების გამოყენება ისეთი სიტუაციებიდან თავის დაღწევის საშუალებას იძლევა, როდესაც ერთი და იმავე პოზიციაზე მომუშავე თანამშრომლები განსხვავებულ ხელფასს იღებენ იმის გამო, რომ ერთ-ერთი მათგანი სამსახურში „ნაკლები ხელფასით“ მიიღეს ან ხელმძღვანელის პირადი სიმპატიით/ანტიპატიით სარგებლობს.
2. **ორგანიზაციის ეფექტიან საქმიანობაში თითოეული თანამშრომლის წვლილის სამართლიანი შეფასება**. თანამდებობის მრავალფაქტორიანი შეფასება ასახავს მის ე.წ. „წონას“ კონკრეტულ კომპანიაში. გრეიდინგი ყალიბდება ფირმის სტრატეგიიდან გამომდინარე და კომპანიის კონკურენტუნარიანობის ზრდის პროცესში კონკრეტული პოზიციებისა და თანამდებობების ზემოქმედების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ასეთი შეფასებისას თითოეულ მუშაკს ესმის, თუ რა ადგილი უკავია მის პოზიციას კომპანიის იერარქიაში, როგორ მოქმედებს მისი მოღვაწეობა კომპანიის საერთო წარმატებაზე, როგორია მისი კარიერული და ფინანსური ზრდის შესაძლებლობები და რა უნდა მოიმოქმედოს მან ამისათვის.
3. **შრომის ანაზღაურების სისტემის ლოგიკურობა და გამჭვირვალობა.** გრეიდირების დროს ჩნდება ხელფასისა და ბიზნესის არსის დაკავშირების საშუალება. ამ დროს ყველა თანამშრომელს ესმის, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავენ თანამდებობის რანგს და როგორ მოქმედებენ ისინი შრომის ანაზღაურების სიდიდეზე.
4. **კომპანიისათვის თანამდებობის მნიშვნელობის განსაზღვრა.** თანამდებობათა რანჟირების ჩატარების შედეგად შესაძლებელია გარკვეული პოზიციების შეფასება ქულების მეშვეობით, საიდანაც მენჯმენტს ექნება საშუალება ჩამოაყალიბოს პერსონალის აყვანის, ადაპტაციის, შეფასებისა და მოტივაციისათვის საჭირო რესურსების ხარჯვის პოლიტიკა.
5. **პერსონალის აყვანა და გადარჩევა.** თანამდებობათა რანჟირების სისტემა აადვილებს პერსონალზე განაცხადის გაფორმების, ასევე ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების ინტერვიუირებისა და ტესტირების პროცესს.
6. **საკადრო რეზერვების ფორმირება.** გრეიდირებისას გამოვლინდება ყველაზე პერსპექტიული თანამშრომლები, რომლებიც საკადრო რეზერვში ჩაირიცხებიან.
7. **სასწავლო პროგრამების შემუშავება.** შესაძლებელია გრეიდების სისტემის კომპანიაში პერსონალის სწავლების პროგრამების შემუშავების ძირითად წყაროდ გამოყენება.
8. **პერსონალის შეფასება.** კომპანიის კონკურენტუნარიანობა იზრდება მაღალი დონის სპეციალისტების მოწვევის საფუძველზე, რაც მის კაპიტალიზაციას ზრდის.

გრეიდების სისტემას შემდეგი უპირატესობები გააჩნია:

- იძლევა სახელფასო ფონდის მართვის საშუალებას და ხელფასის დაცვის სისტემას უფრო მოქნილს ხდის;
- პერსონალის უფრო შედეგიანი მუშაობის ხარჯზე სახელფასო ფონდის გამოყენების ეფექტიანობას ზრდის;
- გამოირიცხება შრომის ანაზღაურების დისბალანსი (ვინაიდან ხელფასის დარიცხვის „გამჭვირვალობის“ დროს წახალისდებიან მხოლოდ ეფექტიანი თანამშრომლები);
- გრეიდების სისტემის აწყობისას აქცენტის გაკეთება შეიძლება არა თანამდებობაზე (როგორც ასეთზე), არამედ თანამშრომლის კომპეტენციაზე, შე-

საძლებლობებსა და პირად თვისებებზე (ინტელექტუალური პოტენციალი, კრეატულობა);

- ხელფასის სტრუქტურის, მისი ძირითადი და ცვალებადი ნაწილების ანალიზისა და მათ დინამიკაზე დაკვირვების საშუალებას იძლევა;
- კარიერის ჰორიზონტალურად წარმართვა, როდესაც თანამშრომელი გადადის შემდეგ გრეიდში, ღებულობს მეტ ანაზღაურებას და ამავე დროს იგივე თანამდებობაზე რჩება;
- წარმოადგენს ეფექტიან ინსტრუმენტს ახალი თანამდებობის ხელფასის საბაზო განაკვეთის განსაზღვრისათვის;
- აადვილებს ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებში ხელფასების შეუსაბამობის გამოვლენას;
- კომპანიის სახელფასო განაკვეთების ბაზარზე არსებულ საშუალო ხელფასთან კორექცია/კორელაციის საშუალებას წარმოადგენს;
- გამოავლენს ხაზობრივი ხელმძღვანელების სუსტ მენეჯმენტს და ასევე გამოავლენს ფუნქციათა დუბლირებას;
- ორგანიზაციაში ნებისმიერი დონის თანამდებობის ხელფასის კალკულაციის საშუალებას იძლევა.

გრეიდირების მეთოდის ნაკლოვანებებს შორისაა:

- გრეიდის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის სიძვირე;
- ითხოვს გარე კონსულტანტებისა და შიდა ექსპერტების მონაწილეობას გრეიდირების დაგეგმვის, შემუშავებისა და მოქმედების სტადიებზე;
- ზოგიერთი თანამდებობის შეფასება საკმაოდ რთულია ისეთი ფაქტორების გამოყენებით, როგორიცაა ცოდნა, გამოცდილება, გადაწყვეტილების მიღების უნარი და ა.შ.

გრეიდების სისტემის დანერგვის შემდეგი ძირითადი ეტაპები შეიძლება გამოვყოთ:

1. მეთოდის შესწავლა და სამუშაო ჯგუფის მომზადება;
2. საჯარო დოკუმენტაციის შემუშავება (ინსტრუქცია, დებულება და ა.შ.);
3. თანამდებობათა შეფასება (ანკეტირება, ინტერვიუირება);
4. თანმდებობისადმი მოთხოვნების განსაზღვრა და ფაქტორების გამოვლენა;
5. ფაქტორების დონეების მიხედვით რანჟირება;
6. თითოეული დონის შეფასაბა;
7. ფაქტორის წონის შეფასება;
8. თითოეული თანამდებობისათვის ბალების რაოდენობის გამოთვლა;
9. გრეიდების მიხედვით ბალების განაწილება;
10. თანამდებობრივი სარგოებისა და მათი განშტოებების განსაზღვრა;
11. გრაფიკის შექმნა და შედეგების ანალიზი.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ გრეიდების სისტემის პრაქტიკაში გამოყენებამდე უპრიანია ე.წ. პროცესის პილოტირება, რა დროსაც სპეციალისტები მუშაობენ გრეიდების შემოყვანაზე ორგანიზაციის ერთ-ერთ ქვედანაყოფში/სტრუქტურულ ერთეულში და აკვირდებიან თუ როგორ ეწყობა სისტემის ყველა ელემენტი. შეცდომების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება გრეიდინგის გამოყენება მთელს ორგანიზაციაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. https://studme.org/81108/menedzhment/greydirovanie_dolzhnostey_metod
2. http://masters.donntu.org/2010/iem/bashmak/library/article9r.htm
3. https://www.kommersant.ru/doc/859659

4. Http://pravo.kulichki.com/dop/otdk/otdk0576.htm
5. https://www/hr-portal.ru/pases/htm/67sms01r.pdf
6. პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე., ქეშელაშვილი გ., ხარხელი მ., ტიელაძე შ., ჭურაძე გ., „ადამიანთა რესურსების მართვის გამოწვევები საქართველოში“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ., 2017, №2.

**ოთარ სოსელია**

**თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ოპტიმიზაცია ჰეის პროფილური ცხრილების მეთოდის გამოყენებით**

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია თანამედროვე ორგანიზაციებში შრომის ანაზღაურების სისტემის ფორმირების ერთ-ერთი ეფექტიანი მეთოდი. ჰეის პროფილური ცხრილების მეთოდი, რომელიც აგებულია ე.წ. გრეიდების სისტემის ჩამოყალიბებაზე, რაც კომპანიებში სხადასხვა თანამდებობის პერსონალის შრომის ანაზღაურების დონისა და მათი ღირებულებითი შეფასების ურთიერთდამოკიდებულების გამჭვირვალე და ნათელი მეთოდიკის შექმნას ისახავს მიზნად. აქვე განხილულია გრეიდების სისტემის დანერგვის ძირითადი ეტაპები, ასევე სისტემის უპირატესობები და ნაკლოვანებები.

**Otar Soselia**

**Optimizing the Labor Remuneration of Employees by Using the Hay's Profile Spreadsheet Methods**

**Summary**

The article reviews one of the most effective method of formation of labor remuneration system in modern organizations.

The Hay's profile spreadsheet method is built on the formation of so called grade system. This method is aimed to create a transparent and clear method of interaction between different positions of employees and their valuation assessment.

The article also reviews the main stages of introduction of grade system and the advantages and disadvantages of it.

**Отар Соселия**

**Оптимизация заработной платы сотрудников с использованием метода профильных таблиц Хея**

**Резюме**

В данной статье рассмотрен эффективный метод формирования системы оплаты труда в современных организациях. Метод профильных таблиц Хея основан на создании так называемой системе грейдов, которые ставят своей целью создание в компаниях прозрачных и ясных методик взаимосвязи уровня заработных плат и их стоимостных оценок разного должностного уровня персонала. Здесь же рассмотрены этапы внедрения системы грейдов, а так же превосходства и недостатки системы.

**დიმიტრი ჯავახაძე**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

## ღია და ელექტრონული მმართველობის ძირითადი ასპექტები

1980-იანი წლებიდან საზოგადოებაში ჩნდება პირველი იდეები ელექტრონული დემოკრატიის შესახებ, რომელიც მოიცავს მოქალაქეთა პოლიტიკურ და დემოკრატიულ პროცედურებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (2). ამ მოვლენების გათვალისწინებით, ასევე ელექტრონული მთავრობისა და ღია მთავრობის პროგრესის გათვალისწინებით, ელ-ჩართულობამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, უმაღლესი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის გახდა (1).

ღიაა მთავრობა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოსა და მთავრობის ადმინისტრაციის გახსნილობას ეკონომიკისა და მოსახლეობისთვის (8). ბოლო წლებში რაზეც ყურადღება გამახვილდა მეცნიერებისა და საზოგადოების მხრიდან, იყო საჯარო მმართველობაში ობამას ადმინისტრაციის ინიციატივა გამჭვირვალობისა და ღია მმართველობის შესახებ. მისი გლობალური მნიშვნელობა ხაზს უსვამს „ღია მმართველობის პარტნიორობის-OGP“ ორგანიზაციის შექმნას, რომელიც დაარსდა 2011 წელს და უკვე ითვლის 75 წევრ ქვეყანას. მისი თავმჯდომარეობა 2017 წლის სექტემბერში საფრანგეთიდან საქართველომ გადაიბარა, 2018 წლის 17-19 ივლისს კი საქართველო OGP-ის მე-5 გლობალური სამიტის მასპინძლობას გასწევს თბილისში, რაც უდავოდ დიდი მიღწევაა ქართული სახელმწიფოსათვის. ამ ინიციატივის ძირითადი მიზანი იყო საჯარო პოლიტიკისა და საჯარო ადმინისტრირების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ჩართვით გამჭვირვალე, მონაწილეობითი და ერთობლივი მთავრობის შექმნა. გარდა ამისა, ამ ცვლილებებს უნდა განეხორციელებინა უფრო ეფექტიანი და ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურები, და მოემზადებინა მთავრობა ციფრული გამოწვევებისთვის (6).

ღია იდეის მიღმა არსებული ძირითადი იდეა, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა საჯარო სექტორის მონაცემებით, არ არის ახალი და არც საფუძველი ღია მმართველობის პრინციპებისა, ეს მოსაზრებები წარსულში არსებობდა ინფორმაციის თავისუფლების კონტექსტში, ანტიკორუფციულ ან წინა გამჭვირვალობის ინიციატივებში (8). მაგალითად, აშშ-ს პრეზიდენტმა თომას ჯეფერსონმა, ჯერ კიდევ 1789 წელს გამოაცხადა, რომ საჭიროა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ღიაობა ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობის ასამაღლებლად (1). თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები უზრუნველყოფს „პარტნიორობისა და მოქალაქეების მონაწილეობის, ასევე ერთობლივი დიალოგის წარმოებას“, გვიჩვენებს მრავალფეროვან შესაძლებლობებს, როგორიცაა საჯარო პოლიტიკა, საჯარო მართვა, კარგი მმართველობა, ეკონომიკა და მეცნიერება. არსებობს ღია მთავრობის სხვადასხვა განმარტებები, მაგალითად: „ღია და რეაგირების უნარიანი ხელისუფლების ქმედებები გამჭვირვალეა, მთავრობის სერვისები და ინფორმაცია ხელმისაწვდომი და მთავრობა მზადაა ახალ შეხედულებებზე, იდეებზე, მოთხოვნებსა და საჭიროებებზე რეაგირებისთვის“ (1). „ღია მთავრობა ფართოდ არის გაგებული, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, რათა ხელი შეუწყოს მონაწილეობით, კოლაბორაციულ დიალოგს პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს შორის“ (7). „OECD ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია“ (2009) აღწერს ღია მთავრობას, როგორც საჯარო ინფორმაციის გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობისა და რეაგირების კონცეფციას.




წყარო: (6)

ღია მთავრობის კონცეფციის განმარტებითი ჩარჩო შედგება შიდა (სამი: ღია სამთავრობო სვეტების გამჭვირვალობა, მონაწილეობა და თანამშრომლობა) და გარე ნაწილისაგან (ანგარიშვალდებულება, ტექნოლოგია, მიღება და ნდობა მთავრობის და რეგულაციებისა და კანონისა).

გამჭვირვალობა ღია მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ასპექტია და შედგება სამი ელემენტური კომპონენტისაგან:

(1) ინფორმაციის სისტემატური და დროული გათავისუფლება.

(2) საკანონმდებლო აქტების ეფექტური როლი.

(3) სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური როლი მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები.

ამ კონტექსტში გამჭვირვალობა მოითხოვს ინფორმაციაზე ადეკვატურ ხელმისაწვდომობას და ამით არის გამჭვირვალობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი (4). შემდეგია მონაწილეობის მიღება, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ პოლიტიკაში ჩართული საჯარო დაინტერესებული მხარეების და საჯარო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღება ხდება ინფორმაციის გაცვლის გზით, რომელიც ღია მთავრობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

ღია მთავრობის მესამე ელემენტი მოიცავს თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ პროცედურებში საჯარო დაინტერესებული მხარეებისა და აღმასრულებელი უწყებების აქტიურად ჩართვას, ასევე ამ უწყებების ეფექტიან თანამშრომლობას საჯარო ადმინისტრირების ყველა დონეზე, მოქალაქეებთან და კერძო ორგანიზაციებთან, სადაც ტექნოლოგია გადამწყვეტი გარე ფაქტორია. ასევე მიღება და ნდობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება ღია მთავრობისათვის. ამ კონტექსტში, „მიღება“, როგორც ხარისხი, რომელსაც მოქალაქეები ეთანხმებიან როგორც ღია მთავრობის სტრატეგიას და მთავრობის ინსტრუმენტებით ამ სტრატეგიის განხორციელებას და „ნდობა“, როგორც ნდობა მოქალაქეებისა თავიანთ სამთავრობო საქმიანობაში. განსაკუთრებით გამჭვირვალობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მიიჩნევა პრიორიტეტად, ხოლო მხარდაჭერამ, მონაწილეობითობამ და თანამშრომლობამ

ნდობა უნდა გაზარდოს, რადგან ისინი საჯარო მონაწილეობით დაინტერესებულ მხარეებს ადმინისტრაციული ქმედებების ნაწილად ქცევის შესაძლებლობას აძლევენ.

რეგულაციებმა და შესაბამისმა კანონებმა საფუძველი ჩაუყარა წარმატებულ ღია მთავრობას, რადგან ყველა ადმინისტრაციული ქმედება მოითხოვს და განსაზღვრავს სპეციფიკური წესების დაცვას. იმის გათვალისწინებით, რომ ღია მთავრობა ტრანსნაციონალური თემაა და ყველა ქვეყანას აქვს საკუთარი კანონები, ღია მმართველობის კონცეფციები და სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებს შორის. ამ მიზეზით, რეგულაციები და კანონები არსებითი გარე ფაქტორებია.

რომ შევაჯამოთ ელექტრონული მმართველობა და ღია მმართველობა, უნდა ჩაითვალოს თავსებად კონცეფციებად. მიუხედავად იმისა, რომ ღია მთავრობა საკმაოდ ფილოსოფიური სტრატეგიაა და მოწოდებულია იმაზე თუ როგორ გაზარდოს საჯარო ფასეულობა მთავრობის მიერ გამჭვირვალე, მონაწილეობითი და ერთობლივი ქმედებებით, ელექტრონული მმართველობა კი შექმნილია ადმინისტრაციული პროცედურების ელექტრონული დამუშავების გზით, საჯარო მოვალეობების ეფექტური და ეფექტიანი მხარდაჭერისათვის.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ჩართულობა ხელს უწყობს სამოქალაქო ჩართულობის შესაძლებლობებს, მხარს უჭერს მდგრად განვითარებას და უზრუნველყოფს რამდენიმე პოლიტიკურ და სოციალურ სარგებელს. ის ქმნის შიდა ფასეულობებს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ დემოკრატიის გაღრმავება და მმართველობა უფრო გამჭვირვალე გახადონ. გარდა ამისა, ელექტრონული ჩართულობა ხელს შეუწყობს საჯარო პოლიტიკისა და მომსახურების მიწოდების ეფექტურობას, ახალი რესურსების, შესაძლებლობებისა და იდეების მობილიზებას (3).

არსებითად, ელექტრონული ჩართულობა შეიძლება მიღწეულ იქნეს სამი საზომის მეშვეობით: ელექტრონული საინფორმაციო უზრუნველყოფა, ელექტრონული კონსულტაცია და ელექტრონული გადაწყვეტილების მიღება (3). ეს ნიშნავს აქტიური მოქალაქის მონაწილეობას ელექტრონული ფორმით, რომელიც განისაზღვრება როგორც: „პარტნიორობის საფუძველზე დაფუძნებული ურთიერთობა, სადაც მოქალაქეები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკის შემუშავების პროცესსა და შინაარსის განსაზღვრაში. ეს აღიარებს მოქალაქეებისათვის თანაბარ პირობებს.

გაეროს საჯარო ადმინისტრირებისა და განვითარების მენეჯმენტის დეპარტამენტი განსაზღვრავს მონაწილეობას, როგორც „მონაწილეობითი, ინკლუზიური, გადაწყვეტილების მიღების პროცესის განხილვას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, საკონსულტაციო პროცესში სასარგებლო ინფორმაციის მიწოდების გაზრდისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით, გააძლიეროს კონსულტაციები და ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიღებას, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობას, მთავრობის მოქალაქეებისა და მოქალაქეების მთავრობასთან ურთიერთქმედების ფარგლებში. ანალოგიურად, ევროკომისიამ განიხილა ელექტრონული ჩართულობა, როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერილი სისტემა, რომელიც ეხმარება ადამიანებს პოლიტიკაში და პოლიტიკის შემუშავებაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის უფრო ადვილად აღქმაში“ (5).

ელექტრონული ჩართულობა მოითხოვს დაგეგმვას, კოორდინაციასა და მონიტორინგს, ეს პროცესი უნდა მომზადდეს სისტემატურად, რათა გაიზარდოს ელექტრონული ჩართულობის ინიციატივების წარმატება. ამ მიზნით ჩამოყალიბდა ინტეგრირებული სტრატეგიული ელექტრონული ჩართულობის ჩარჩო, რომელიც ემსახურება ელექტრონული ჩართულობის კონცეფციის განმარტების სახელმძღვანელოს, რაც ეხმარება საჯარო მოხელეებს შესაბამისი ელექტრონული ჩართულობის ფაქტორებისა და დრაივერების იდენტიფიცირებაში.

წარმოდგენილი ფაქტორები (ელექტრონული მიზნები, ფორმები, სტრატეგიები, ინსტრუმენტები და მოთხოვნის ჯგუფები) და დრაივერები (ანგარიშვალდებულება,

გამჭვირვალობა, დაინტერესებული მხარეები და ტექნოლოგიები) წარმოდგენილია კონცეპტუალურად ინტეგრირებული სტრატეგიული ელექტრონული ჩართულობის ჩარჩოში. ინტეგრირებული სტრატეგიული ელექტრონული საბაზისო ჩარჩო იწყება ელექტრონული მონაწილეობით, რომელიც იმართება ელექტრონული ჩართულობის ინიციატივით. საერთო ჯამში შეიძლება შეიცავდეს 6 ძირითად მიზანს: (1) გაზარდოს საერთო მონაწილეობა; (2) გაზარდოს საინფორმაციო უზრუნველყოფა; (3) საჯარო პოლიტიკის ხარისხის გაუმჯობესება; (4) საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერება; (5) გაზარდოს პასუხისმგებლობა პოლიტიკის შემუშავებაში; (6) საზოგადოების ცნობიერების ამაღლება პოლიტიკურ საკითხებში.

ელჩართულობის სამიზნე მომდევნო ნაბიჯი არის ელექტრონული მონაწილეობის ფორმის განსაზღვრა (1). მაგ.: (1) საზოგადოებასთან დაკავშირებული დაბალანსებული და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება; (2) კონსულტაციები, საზოგადოებრივი აზრისა და გამოცდილების გაცნობა; (3) ჩართულობა - საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და მისწრაფებების გათვალისწინება საჯარო და საზოგადოებრივი სექტორის უშუალო თანამშრომლობით; (4) თანამშრომლობა, საზოგადოების ჩართულობა საზოგადოების ინფორმირებისა და პარტნიორობის გზით; (5) უფლებამოსილება იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს საზოგადოებამ. ელჩართულობის სპეციფიკური სტრატეგიული მიდგომების გათვალისწინებით, ინტეგრაციის სხვადასხვა დონე განსხვავებული გარიგების ხარჯებს ფლობს, ინტეგრაციის სამი განმასხვავებელი ფორმა წარმოიშვება, საიდანაც შეიძლება წარმოვიდგინოთ სამი ტიპის სტრატეგია: (1) იზოლირებული ელექტრონული სტრატეგია; (2) კომბინირებული ელექტრონული მონაწილეობის სტრატეგია; (3) ინტეგრირებული ელექტრონული მონაწილეობის სტრატეგია. ეს სტრატეგიები, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ელექტრონული კომუნიკაციის ინტეგრაციისა და კოორდინაციის ინტენსივობით ელჩართულობის ინსტრუმენტებისაგან. **იზოლირებული ელექტრონული მონაწილეობის სტრატეგიას** ახასიათებს დაბალი ინტეგრაციისა და ინსტრუმენტების დამოუკიდებელი კოორდინაცია. ამდენად, ელექტრონული ჩართულობის ინსტრუმენტები დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად იმართებიან, მიუხედავად მათი ძლიერი, სუსტი თუ კომბინაციური ეფექტისა. ეს ხელს უშლის სინერგი ეფექტის გამოყენებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონკურენცია და კანიბალიზაციის ეფექტი ელექტრონულად მონაწილე ინსტრუმენტებსა და მისი მოთხოვნის ჯგუფებს შორის. **კომბინირებული ელექტრონული ჩართულობის სტრატეგია** უფრო დახვეწილი სტრატეგიაა, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული სინერგიით გამოყენებულ ინსტრუმენტებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ინსტრუმენტები ზოგადად ჯერ კიდევ ინდივიდუალურად იმართებიან, ისინი ნაწილობრივ მაინც არიან კორდინირებულნი და ამით ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

**ინტეგრირებული ელექტრონული მონაწილეობის სტრატეგია** ყველაზე დახვეწილი მიდგომაა. აქ ყველა ინსტრუმენტი არის კოორდინირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ინსტრუმენტების გამოყენება და მართვა ხორციელდება ურთიერთთავსებადობით.

ამრიგად, ინტეგრირებული ელექტრონული ჩართულობის სტრატეგია საშუალებას იძლევა სინერგიის ეფექტიანობის მაღალ ხარისხს. ელექტრონული ჩართულობის ჯგუფები არიან სამიზნე ჯგუფები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული და მონაწილეობენ ელექტრონული ჩართულობის ინიციატივაში. ესენი შეიძლება იყვნენ მოქალაქეები, ასევე შეიძლება იყოს კერძო ორგანიზაციები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამ შიდა ფაქტორებთან ერთად არსებობს გარე ფაქტორები (გამჭვირვალობა, დაინტერესებული მხარეები, ტექნოლოგია და ანგარიშვალდებულება), რომლებსაც გავლენა ექნებათ ელექტრონული ჩართულობის ინიციატივებზე. გამჭვირვალობა მნიშვნელოვანი ფაქტორია და დადებითი გავლენა აქვს დემოკრატიულ პროცესებზე, ის ზრდის საზოგადოებრივ ნდობას და ამცირებს სამთავრობო

გადაცდომის პოტენციალს (1). მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულებაც, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება გამჭვირვალობას და ისეთ ასპექტებს მოიცავს, როგორიცაა ბრალეულობა და პასუხისმგებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობა უნდა იყოს პასუხისმგებელი თავის ქმედებებზე (9).

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Bernd W. Wirtz & Peter Daiser 2017 "E-Government Strategy Process Instruments"
2. Kim 2008. E-Government Services Design, Adoption, and Evaluation
3. „ელ-მმართველობის ინდექსი", გაერთიანებული ერების კვლევები, 2008-2016.
4. dawes 2008 The Evolution and Continuing Challenges of E-Governance
5. Digital government - Europa EU 2015c
6. Wirtz Birkmeyer 2015 | Transparency (Behavior) | E Government
7. Evans and Campos 2012Proliferation of Open Government Initiatives and Systems
8. https://www.ras.org.uk/news-and-press/219-news-2012/2078-nam-2012-registration
9. Bovens 2006PUBLIC ACCOUNTABILITY


**დიმიტრი ჯავახაძე**

**ღია და ელექტრონული მმართველობის ძირითადი ასპექტები**

**რეზიუმე**

ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საჯარო ელსერვისების განვითარება საჯარო და კერძო მმართველობის კონცეფციებისათვის, რადგან გლობალურად მიმდინარე ციფრული რევოლუცია ბუნებრივად აჩქარებს და შესაძლებელს ხდის, „კარგი მმართველობის" ინოვაციური იდეების განხორციელებას.

**Dimitri Javakadze**

**Basic Aspects of Open and Electronic Governance**

**Summary**

With the development of technology, the development of public services in public and private governance has become increasingly important, since the global digital revolution is naturally accelerated and makes it possible to implement innovative ideas of good governance.

**Димитри Джавахадзе**

**Основные аспекты открытого и электронного управления**

**Резюме**

Вместе с технологическим развитием, развитие общественных услуг становится все более важным, для концепций государственного и частного управления, поскольку глобальная цифровая революция, естественно, ускоряется и позволяет внедрять инновационные идеи „хорошего управления“.

**დავით ცისკარიძე**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი**

## მაგისტრალური მილსადენებით ტრანზიტის როლის და გავლენის დადგენა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე კორელაციის მოდელის საშუალებით

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და კონკურენტული უპირატესობაა, რომელიც დღეისათვის სრულყოფილად არ არის ათვისებული. საქართველოზე გადის აზია-ევროპას შორის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, შესაბამისად სატრანზიტო გადაზიდვები აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ეკონომიკურად მომგებიანი უნდა იყოს.

ჩვენი ქვეყანა ყალიბდება კასპიის რეგიონის ნახშირწყალბადის რესურსების საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზრებზე მიწოდების, სატრანზიტო მარშრუტების მნიშვნელოვან კვანძად. ცნობილია, რომ საქართველოზე გადის ნავთობისა და გაზის ოთხი სატრანზიტო მაგისტრალური მილსადენი:

1. ბაქო-სუფსის მილსადენის საშუალებით აზერბაიჯანში კასპიის ზღვის ჩირაგის საბადოდან მოპოვებული ნავთობი, სანგაჩალის ტერმინალის გავლით, დასავლეთ საქართველოში სუფსის ტერმინალამდე მიდის. მილსადენის საექსპორტო სიგრძე 830 კმ-ია. აქედან, საქართველოს მონაკვეთი 376 კმ-ს შეადგენს.
2. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენი ნავთობის კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ტრანსპორტირების პირველი და უმოკლესი მარშრუტია.
მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მილსადენის სრული სიგრძე 1768 კმ-ია. აქედან, 443 კილომეტრი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, 249 კილომეტრი საქართველოს ტერიტორიაზე და 1076 კილომეტრი თურქეთში გადის. ნავთობსადენის დიამეტრი 42-46 დიუმია; აქვს 8 საქაჩი სადგური (2 აზერბაიჯანში, 2 საქართველოში და 4 თურქეთში).
3. ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი, რომელიც საქართველო-რუსეთის საზღვრიდან იწყება და საქართველო-სომხეთის საზღვრამდე გრძელდება (233 კმ), შესაძლებელია ბუნებრივი აირის მიწოდება საქართველოსა და სომხეთისათვის.
4. სამხრეთ-კავკასიური მილსადენით, რომელიც ცნობილია, როგორც ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, აზერბაიჯანში, შაჰ-დენიზის საბადოდან მოპოვებული გაზის თურქეთში ტრანზიტი ხორციელდება. გაზსადენის სიგრძე 692 კმ, საქართველოს მონაკვეთის სიგრძე კი - 249 კმ-ია. სამხრეთ-კავკასიური გაზსადენი უმეტესწილად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პარალელურად არის გაყვანილი (9).

მილსადენების დადებითი გავლენის რაოდენობრივი გამოსახვა ეკონომიკის ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია.

ეკონომიკურ მოვლენათა კვლევის პროცესში რაოდენობრივი ანალიზის გამოყენების ცდას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. დღეისათვის ეკონომიკაში მათემატიკური მოდელირების მეთოდები ფართოდ გამოიყენება. საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია თანამედროვე პირობებში, როცა ყველა ეკონომიკური პროცესი მოვლენათა განსაკუთრებული სირთულითა და სიმრავლით ხასიათდება. წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს მაგისტრალური მილსადენებით ტრანზიტიდან მიღებული სარგებლის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ამ რთული პრობლემის გადასაწყვეტად მიგვაჩნია მათემატიკური მეთოდების და კერძოდ, კორელაციურ-რეგრესული მეთოდის გამოყენება. აღნიშნული მეთოდი საშუალებას მოგვცემს ზუსტ მათემატიკურ ფორმებში გამოვიკვლიოთ იმ კავშირებისა და ურთიერთობათა კანონზომიერებანი, რომლებიც ასე მრავლად არსებობენ ეკონომიკურ ზრდაზე ტრანზიტიდან მიღებულ მოქმედ ფაქტორებს შორის. კორელაციურ-რეგრესული მეთოდის გამოყენებით ეკონომიკური ზრდის ფაქტორული ანალიზის მთავარი მიზანია თითოეული ფაქტორის გავლენის რაოდენობრივი გამოსახვა და ამის შედეგად გამოვლენილი ყველა რეზერვის სრული ამოქმედება. ამ მეთოდის დახმარებით შეიძლება გამოაშკარავებულ იქნეს ეკონომიკური ზრდის ისეთი რეზერვებიც, რომელთა გამოვლინება ჩვეულებრივი ანალიზით პრაქტიკულად შეუძლებელიც იქნება.

ეკონომიკური ზრდის ფაქტორული ანალიზის ეს მეთოდი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. ამოცანის ეკონომიკური დასმა და მისი მათემატიკური ფორმულირება;
2. უმნიშვნელოვანეს მოქმედ ფაქტორთა შერჩევა;
3. ამოსავალი ინფორმაციის ანალიზი და პირველადი დამუშავება;
4. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის აგება და გადაწყვეტა;
5. მიღებული შედეგების ანალიზი.

ამოცანის ეკონომიკური დასმა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ეტაპს, სადაც ჩამოყალიბდება პრობლემის არსი და განისაზღვრება მისი გადაწყვეტის გზები. ამოცანის ეკონომიკური დასმის საკითხებს მიეკუთვნება: კვლევის მიზანი, მონაცემები ეკონომიკური ზრდაზე ენერგოტრანზიტის მოქმედი ფაქტორებისა და პირველადი წყაროების ინფორმაციის შესახებ, შესასწავლი სფეროს ირგვლივ პროფესიული ცოდნის განზოგადება და ა.შ. საკვლევი ობიექტის ზოგადი ეკონომიკური ანალიზის შემდეგ საჭიროა ამოცანის მათემატიკური მოდელირება. ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს მოვძებნოთ დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ეკონომიკურ ზრდასა და მასზე მოქმედ ფაქტორებს შორის, ე.ი. აუცილებელია შემდეგი ფუნქციის პოვნა:

$y=f(x_1, x_2, \dots x_n)$

სადაც y - არის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ); $(x_1, x_2, \dots x_n)$ – მშპ-ზე მოქმედი ფაქტორები.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გამოვავლინოთ ფუნქციაზე არგუმენტების გავლენის ხასიათი და ხარისხი.

შემდეგი ეტაპი არის მშპ-ზე მოქმედი ენერგოტრანზიტის უმნიშვნელოვანეს ფაქტორთა შერჩევა. საჭიროა მოქმედ ფაქტორთა დიდი ჯგუფიდან შერჩეულ იქნეს ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ფაქტორები. მთავარი მიზანი ის არის, რომ ვიპოვოთ ფორმულა, რომელიც ფაქტორთა განსაზღვრული რაოდენობის დროს ყველაზე უკეთ გამოხატავდეს ფუნქციასა და არგუმენტებს შორის დამოკიდებულებას. მეცნიერების აზრით არ არის მიზანშეწონილი და შეუძლებელიცაა, რომ განტოლებაში ჩართულ იქნეს ფაქტორთა დიდი ჯგუფი. იგი ართულებს გამოთვლებს და ნაკლებად მოქმედებს შედეგის სიზუსტეზე. ფაქტორების შერჩევის მეთოდებია: ლოგიკური, თვისებრივი ანალიზი, სტატისტიკური დაჯგუფება, კორელაციის წყვილ კოეფიციენტთა შედარება და სხვ.

შერჩეული ფაქტორები უნდა გამოისახოს რაოდენობრივად და არ უნდა იყვნენ ერთმანეთთან ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში.

ზემოთ აღწერილი ორი ეტაპი ძირითადად ზოგად ხასიათს ატარებს და ცნობილია აპრიორული ანალიზის სახელწოდებით.

ამოსავალი ინფორმაციის შეკრება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია და მასზე დიდად არის დამოკიდებული კვლევის საბოლოო შედეგის სიზუსტე. მოპოვებული მაჩვენებლები უნდა იყვნენ გამოსახული რაოდენობრივად და უმჯობესია აბსოლუტურ სიდიდეებში, რადგანაც შეფარდებითი სიდიდეების დროს მაჩვენებლებს შორის კავშირი რთულდება, მონაცემები უნდა იყოს მდიდარი და მრავალრიცხოვანი, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დასკვნების საიმედოობასაც.

ეკონომიკური ზრდის ფაქტორული ანალიზის ყველაზე მნიშვნელოვანი და შრომატევადი ეტაპია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის აგება და გადაწყვეტა. კორელაციური ანალიზი, როგორც წესი იწყება ფუნქციასა და არგუმენტებს შორის კავშირის შესწავლით. ამისათვის შერჩეულ უნდა იქნეს ფუნქცია და არგუმენტი, შემოღებულ უნდა იქნეს მათემატიკური აღნიშვნები. შემდეგ უნდა დადგინდეს მათ შორის არსებული კავშირის ფორმა და გამოთვლილ იქნეს კორელაციის კოეფიციენტები.

იმ შემთვევაში, როცა კავშირი წრფივია და შესასწავლია დამოკიდებულება ეკონომიკურ ზრდასა და მასზე მოქმედ ფაქტორებს შორის და თუ ანალიზი მრავალფაქტორულია მაშინ განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$y = a_0 + a_1x_1 + a_2x_2 + \ldots + a_nx_n$$

სადაც y არის მთლიანი შიდა პროდუქტის საანგარიშო სიდიდე.

$a_0, a_1, a_2 \ldots a_n$ - განტოლების საძიებელი პარამეტრები

$x_1, x_2, x_3 \ldots x_n$ - შერჩეული ფაქტორები

**მშპ-ზე მილსადენების მაჩვენებელთა შესაძლო ფაქტორების რაოდენობრივი მაჩვენებლები**

**ცხრილი**

| წელი | მშპ | სამ.შემ. | ტრან.მშპ | საჭრ.ხ | FDI | დასაქ. | ადგ.კონ | ს.ი. | ექსპ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2012 | 22,505.30 | 7,058.20 | 296.2 | 116.9 | 17.83 | 41.91 | 125.5 | 3.63 | 278.94 |
| 2013 | 23,335.00 | 6,839.50 | 305.2 | 120.4 | 103.96 | 42.46 | 128.08 | 6.15 | 293.34 |
| 2014 | 25,095.70 | 7,434.60 | 293.00 | 115.6 | 528.89 | 45.49 | 127.14 | 5.83 | 329.71 |
| 2015 | 27,468.40 | 8,170.50 | 320.4 | 126.4 | 1254.29 | 57.15 | 113.51 | 2.89 | 326.83 |
| 2016 | 29,323.90 | 8,580.00 | 307.8 | 121.5 | 1296.36 | 61.38 | 118.34 | 2.3 | 318.76 |

მიზნის ფუნქციასა და ფაქტორებს შორის სიმჭიდროვე განისაზღვრება კორელაციის კოეფიციენტით.

$Г_{y_1y_2}$=0.98; $Г_{y_{1x_1}}$=0.59; $Г_{y_1x_2}$=0.59; $Г_{y_1x_3}$=0.98; $Г_{y_{1x_4}}$=0.98; $Г_{y_1x_5}$=-0.79; $Г_{y_{1x_6}}$=-0.66; $Г_{y_{1x_7}}$=0.74; $Г_{y_{1x_8}}$=-0.8

Г-კორელაციის კოეფიციენტი, რომელიც სიმჭიდროვეს განსაზღვრავს ითვლება, რომ $|Г| \geq 0.6$

მაშინ სიმჭიდროვეს აქვს მიზნის ფუნქციაზე გავლენა და საორიენტაციოდ გვექნება წრფივი ფუნქცია,

$$y_1 = a_0y_2 + a_1x_1 + a_2x_2 + a_3x_3 + a_4x_4 - a_5x_5 - a_6x_6 + a_7x_7 - a_8x_8$$

აღნიშნული ამოხსნა შესაძლებელია, მაგრამ ვინაიდან ჩვენ მოძიებული გვაქვს 5 წლის მონაცემები განტოლებათა სისტემა უნდა იყოს კვადრატული, ანუ უნდა ავირჩიოდ მხოლოდ 5 ფაქტორი, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია, შესაბამისად ამოვიღოთ $y_2$, $x_1$, $x_2$

მაშინ მიზნის ფუნქციას ექნება შემდეგი სახე

$$y_1 = a_3x_3 + a_4x_4 - a_5x_5 + a_7x_7 - a_8x_8$$

იმისათვის, რომ გამოვთვალოთ, $a_1$, $a_2$,...,$a_8$ სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, ვადგენთ წრფივ განტოლებათა სისტემას.

$$\begin{cases} y_1 = 18x_3 - 42x_4 - 126x_5 + 4x_6 - 279x_7 = 22.505 \\ y_2 = 104x_3 - 42x_4 - 128x_5 + 6x_6 - 293x_7 = 23.335 \\ y_3 = 529x_3 - 45x_4 - 127x_5 + 6x_6 - 330x_7 = 25.095 \\ y_4 = 1254x_3 - 57x_4 - 114x_5 + 3x_6 - 327x_7 = 27.468 \\ y_5 = 1296x_3 - 61x_4 - 118x_5 + 2x_6 - 319x_7 = 29.324 \end{cases}$$

ალგებრულ წრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნა მოვახდინეთ გაუსის მატრიცული და კრამერის მეთოდებით, რომელთა შედეგადაც მივიღეთ შემდეგი სახის ფუნქცია მშპ-თან მიმართებაში

$$y_1 = 10.5x_3 - 85.6x_4 + 331.9x_5 + 32.6x_6 - 57.5x_7$$

თუ დავუშვებთ შემდეგ აღნიშვნებს

$$x_1 = x_3;\ x_2 = x_4;\ \ldots\ x_5 = x_7$$

მივიღებთ

$$y_1 = 10.5x_1 - 85.6x_2 + 331.9x_3 + 32.6x_4 - 57.5x_5$$

სადაც - $x_1$ არის უცხოური ინვესტიციის მოცულობა მილსადენებში (მლნ ლარი).

$x_2$ - დასაქმებული თანამშრომლების ხელფასები (მლნ ლარი).

$x_3$ - ქვემოიჯარეებზე გაცემული თანხა (მლნ ლარი).

$x_4$ - სოციალური ინვესტიციები (მლნ ლარი).

$x_5$ - ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები (მლნ ლარი).

ტოლობამ ანუ მიზნის ფუნქციამ აჩვენა შემდეგი:

1. უცხოური ინვესტიციების განხორციელება სატრანზიტო მილსადენებში აისახება მშპ-სათვის დადებითად. უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები, როგორც პირდაპირი ინვესტიციების (FDI) კერძოდ: მილსადენების მშენებლობისა და კაპიტალური დაბანდებების სახით, აგრეთვე სოციალური ინვესტიციების. უდავოა, რომ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ყოველმხრივ უნდა გაძლიერდეს ძალისხმევა. ზემოთ აღნიშნული ტოლობა გვიჩვენებს, რომ 1 მლნ ლარით უცხოური ინვესტიციების ზრდა მილსადენების მშენებლობაში იწვევს მულტიპლიკაციურ ეფექტს მშპ-ში 10.5 მლნ ლარით.

2. ხელფასები უარყოფითად აისახა მშპ-ზე, ლოგიკურია ვინაიდან მომსახურება უცხოურ კომპანიაში და ხელფასები უმეტესად უცხოელებზე გაიცემა. ხელფასები დანახარჯებია და ამიტომაც აისახა უარყოფითად.
3. ყველაზე დიდი ეფექტის მქონეა ადგილობრივ კომპანიებზე გადახდილი თანხა ქვემოიჯარის წესით. ეს ნიშნავს, რომ BP მნიშვნელოვანი მასშტაბის სამუშაოებს ქართულ კომპანიებზე გასცემს, რაც იწვევს ერთი მხრივ საქართველოს მოქალაქეთა დასაქმებას, მეორე მხრივ ქართული კომპანიების შემოსავლების ზრდას და ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების ზრდას. ნიშანდობლივია, რომ მას სხვა ფაქტორებთან შედარებით ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მშპ-ზე. 1 მლნ ლარით შემოსავლების ზრდა იძლევა მშპ-ს მულტიპლიკაციურ ეფექტს 332 მლნ ლარით.
4. დადებითად აისახება ე.წ. სოციალური ინვესტიციების მოცულობა ქვეყნის მშპ-ზე. სოციალური ინვესტიციები: მოსახლეობისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემა, მშენებლობის პროცესში მოკლე და საშუალოვადიანი სამუშაო ადგილების შექმნა, სოციალური მხარდაჭერის პროგრამა „ადგილობრივი თემების განვითარებისათვის ინიციატივა (CDI)“, რომლის მთავარი მიზანია ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ზრდა, კერძოდ: ადგილობრივი თემების დახმარება, ბიზნეს გარემოს ხელშეწყობა, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა, განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარება, განათლების დონის გაუჯობესება, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი გარემოს დაცვა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ბუნებრივია მისი გავლენა დადებითად აისახება მშპ-ზე, კერძოდ 33-ჯერ.
5. ექსპორტიდან BP იღებს შემოსავლებს, რომელთა უმეტესი ნაწილი ხმარდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფინანსური ვალდებულებების შესრულებას, რაც უარყოფითად აისახება მშპ-ს მოცულობაზე.

ამრიგად, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი მიგვანიშნებს, რომ მშპ-ს მოცულობის ზრდა მიიღწევა უპირველესად ადგილობრივი კომპანიების დასაქმებით და მათი შემოსავლების ზრდით. აგრეთვე დადებითად მოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოცულობა და სოციალურ ინფრასტრუქტურაზე გაწეული ინვესტიციები.

აღნიშნული მეთოდით შესაძლებელია მილსადენების გავლენის გამოთვლა განზოგადებულ მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:


1. გოჩიტაშვილი თ., ჯავახიშვილი თ., საქართველოს მაგისტრალური ნავთობ და გაზსადენები, თბ., 2012.
2. ვარშალომიძე გ., გოგუაძე ი., მაგისტრალური ნავთობსადენები, გაზსადენები და მიწისქვეშა გაზსაცავები, თბ., 2009.
3. ჩომახიძე დ., საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება: სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, თბ., 2003.
4. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდი: http://www.energy.gov.ge/energy.php?id_pages=55&lang=geo
5. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია ვებ-გვერდი:

http://www.gogc.ge/ge/transporation-stats
6. BP Georgia ვებგვერდი https://www.bp.com/ka_ge/bp-georgia.html
7. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9A%D0%BE%D1%80%D1%80%D0%B5%D0%BB%D1%8F%D1%86%D0%B8%D1%8F
8. http://www.geostat.ge/
9. წყარო „ენერგოპლატფორმა“ საიტი: https://www.facebook.com/energyplatform/videos/922721211076520/?fallback=1. გადამოწმებულია 11.04.2018.

**დავით ცისკარიძე**

**მაგისტრალური მილსადენებით ტრანზიტის როლის და გავლენის დადგენა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე კორელაციის მოდელის საშუალებით**

**რეზიუმე**

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა განსაზღვრავს ქვეყნის, როგორც ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის სატრანზიტო კორიდორის მნიშვნელოვან როლს, რომელიც განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ და კონკურენტულ უპირატესობას. სამხრეთ კავკასია და კერძოდ საქართველო მუდმივად მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ინტერესსა და ყურადღებას იწვევდა. ხშირ შემთხვევაში, ამგვარი დაინტერესება მეტწილად დაკავშირებული იყო ნახშირწყალბადების ალტერნატიული წყაროების მსოფლიო ბაზრებზე მიწოდებასა და შესაბამის სატრანსპორტო გზებთან. პუბლიკაციაში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა მაგისტრალური მილსადენებით ენერგოტრანზიტის როლსა და გავლენას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, კერძოდ კორელაციის მოდელის საშუალებით გაანგარიშებულია მაგისტრალური მილსადენების ტრანზიტის ძირითადი პარამეტრების გავლენა მშპ-ზე და მისგან მიღებული სარგებელი. დასკვნითი ნაწილი ეთმობა აღნიშნული გავლენის ანალიზს.

**David tsiskaridze**

**Role and Impact of Pipeline Energy Transit on Social-economic Development of Georgia by Model of Correlation**

**Summary**

Geopolitical location of Georgia defines an important role of the country as a transit corridor for oil, natural gas and electric power contributing to its economic and competitive advantage too. South Caucasus, in particular Georgia, would constantly draw the interest and attention of many countries of the world. In most cases such an interest was associated with the supply of alternative hydrocarbon sources to the world's

markets as well as with the respective transit routes. Significant attention in the publication is paid to the role and impact of energy transit via the main pipelines on social and economic development of Georgia. In particular, an impact of the main parameters of the main pipelines transit on GDP and an obtained benefit are estimated based on a correlation model. The mentioned impact is analyzed in the summary section.

**Давид Цискаридзе**

**Установление роли и влияния транзита с помощью магистрального трубопровода на социально-эконоическое развитие Грузии на основе модели корреляции**

**Резюме**

Геополитическое расположение Грузии определяет важность роли страны как транзитного коридора нефти, газа и електричества и которое обусловливает её экономическое и конкурентное преимушество. Южный Кавказ и в частности Грузия перманентно привлекало внимание и интересы разных стран мирового сообшества. Чаше, подобный интерес был вызван в болшей степени предложением углеродных алтернативных источников мировых ринков и соответствуюшими транспортними путями. В публикации особое внимание уделяется роли и влиянию магистральных энерготрубопроводов на социально-экономическое развитие Грузии, в частности на основании модели корреляции расчитаны влияние основных параметров транзита магистрального трубопровода на ВВП и полученное отсюда блага. В заключителной части внимание уделяется анализу этого влияния.

# აგრარული მეცნიერებანი

**მურად გარუჩავა**
**საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

**გიორგი ფარულავა**
**ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

## საკვები რაციონის შემადგენელი მცენარეული კულტურების ბიოქიმიური დახასიათება და კვებითი ღირებულება

ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმი თვითგანახლებადი და თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელშიც მუდმივად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა (მეტაბოლიზმი). ის აერთიანებს ყველა იმ სასიცოცხლო რეაქციას, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზმისათვის საჭირო ნივთიერებების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები და სხვა მაღალმოლეკულური ნაერთები) სინთეზთან, მათ შეთვისებასა და გამოყენებასთან. ნივთიერებათა ცვლის საფუძველს ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათი წარმოადგენს. სწორედ სრულფასოვანი სასურსათო პროდუქტები უზრუნველყოფს ცოცხალი ორგანიზმის ნორმალურ ზრდა–განვითარებას, შრომისუნარიანობას, ჯანმრთელობას, სიცოცხლის ხანგრძლივობასა და სხვ. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით ჯანმრთელ ცხოვრებას განაპირობებს ცხოვრების ინდივიდუალური წესი (იხ. დიაგრამა).




კვების თანამედროვე თეორიების თანახმად, სწორად შერჩეული სურსათი არა მარტო აკმაყოფილებს ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელ ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს, არამედ ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დაავადების პრევენციისა და პროფილაქტიკისათვის. სწორი კვება და ცხოვრების ჯანმრთელი წესი ერთმანეთისაგან განუყოფელია. საკვები ნივთიერებები, თავიანთი კვებითი ღირებულებებიდან გამომდინარე, წარმოადგენენ ორგანიზმის ენერგეტიკულ წყაროს. ნივთიერებებიდან ენერგეტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნახშირწყლები. შეთვისების მიხედვით ნახშირწყლები იყოფა ადამიანის ორგანიზმის მიერ შეთვისებად და არაშეთვისებად ნახირწყლებად. შეთვისებადი ნახშირწყლებია: გლუკოზა, ფრუქტოზა, გალაქტოზა, საქაროზა, მალტოზა, დექსტრინები, სახამებელი. არაშეთვისებადი ნახშირწყლებია: საკვები ბოჭკო ან ბალასტი ნივთიერებები ცელულოზა, ჰემიცელულოზა და პექტინური ნივთიერებები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელები ექვემდებარებიან საკვებგადამამუშავებელი ფერმენტებით ჰიდროლიზს შესაბამის მონოზებამდე. საჭიროა აღინიშნოს ბალასტი ნივთიერებების სასარგელო დანიშნულება. ისინი აწესრიგებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში საკვების მოძრაობას, ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოყოფას და სხვ. საკვები რაციონი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ბალასტი ნივთიერებების გარკვეულ რაოდენობას. საკვებ რაციონში ნახშირწყლების ძირითადი წყარო არის მცენარეული კურკოვანი და კენკროვანი კულტურები. აქედან გამიმდინარე, კვლევის მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა საკვები რაციონის შემადგენელი, ნახშირწყლებით მდიდარი, კურკოვანი კულტურების ბიოქიმიური შედგენილობა და მათი

კვებითი ღირებულება. (გრანტი №NAR/94/10-160/13. საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი).

კვლევის ობიექტად გამოვიყენეთ კურკოვანი ხილი: ატამი, ქლიავი, ნექტარინი. საქართველოში ამ კულტურებზე დღეისათვის დიდი მოთხოვნილებაა მისი სამკურნალო და დიეტური თვისებების გამო. ამის გამო ამ კულტურებზე ყოველწლიურად მოთხოვნილება იზრდება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის წამყვან ქვეყნებში. შევისწავლეთ საკვლევი კულტურების ბიოქიმიური მახასიათებლები, ჟანგვა-აღდგენითი ფერმენტები და კვებითი ღირებულება. ჟანგვა-აღდგენითი ფერმენტების ხვედრითი აქტივობისა და ბიოქიმიური მახასიათებლების გამოსაანგარიშებლად გამოვიყენეთ ჩვენს მიერ ბრედფორდის მეთოდით აგებული ცილის საკალიბრო მრუდი. ნახ.1.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკვები კულტურების კვებითი ღირებულების შესწავლას. კვებითი ღირებულების ქვეშ მოიაზრება საკვები ნივთიერების ყველა ის დადებითი თვისება, რაც საკვები ნივთიერებებიდან გადადის ადამიანის ორგანიზმში, რის შედეგადაც ორგანიზმი იკმაყოფილებს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას ენერგიაზე, რაც მისი შემდგომი ცხოველმყოფელობის საფუძველია. შევისწავლეთ ჟანგვა-აღდგენითი ფერმენტების ხვედრითი აქტივობაც ცხრ.1. გამოკვლევებმა გვიჩვენეს რომ, პეროქსიდაზას მაღალი ხვედრითი აქტივობა 64,52 ახასიათებს ნექტარინის ნაყოფს. შედარებით დაბალი მაჩვენებელია ქლიავის ნიმუშში. ხოლო ფერმენტ ო-დიფენოლოქსიდაზას აქტივობა მაღალია ქლიავის ნაყოფში 88. ცხრ.1. უნდა აღინიშნოს, რომ სიმწიფის დონესთან მიმართებაში შესწავლილი ამ ორი ფერმენტის აქტივობა ერთმანეთის უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია. კერძოდ: პეროქსიდაზას აქტივობა სიმწიფის მეორე ვადის ნაყოფებში შემცირებულია პირველ ვადასთან შედარებით, ხოლო ო-დიფენოლოქსიდაზას აქტივობა მატულობს.




ნახ.1. ცილის საკალიბრო მრუდი (ბრედფორდის მეთოდით)

ცხრ.2. კურკოვანი კულტურების საკვები ნივთიერებების ქიმიური შედგენილობა და კვ.ღირებულება

| ნიმუშის დასახელება | კვებითი ღირებულება,კკალ | ცილა, გრ | ცხიმი, გრ | ნახშირწყალი, გრ | პექტინი, გრ | ნაცარი, გრ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატამი-ფეიმატი | 42-47 | 0.4 | 0.2-0.4 | 9.8-11.8 | 1.0 | 0.5-0.8 |
| ქლიავი-სტენლი | 49 | 0.8 | 0.3 | 9.6 | - | 0.5 |
| ნექტარინი-მაქსი-7 | 44 | 1.1 | 0.3 | 10.6 | - | - |

ცხრ.1. ჟანგვა-აღდგენითი ფერმენტების ხვედრითი აქტივობის ცვლილება სიმწიფის დონის მიხედვით

| № | კულტურა | პეროქსიდაზა.ხვედრითი აქტივობა | | ო-დიფენოლოქსიდაზა.ხვ.აქტივობა | |
|---|---|---|---|---|---|
| | | პირველივადა | მეორე ვადა | პირველივადა | მეორე ვადა |
| 1 | ქლიავი-სტენლი | 52 | 42 | 61 | 88 |
| 2 | ატამი-ფეიმტაიმი | 56 | 46 | 39 | 80 |
| 3 | ნექტარინი-მაქსი-7 | 64 | 52 | 41 | 65 |

ქიმიური შედგენილობის კვლევამ ცხრ.2 გვიჩვენა რომ, შედარებით დაბალი კვებითი ღირებულება გააჩნია ნექტარინს. ეს შეიძლება ავხსნათ საკვლევ კულტურებში მაკრო და მიკრონუტრიენტების ნაკლებობით. მაგ., "ბ" ჯგუფის ვიტამინებისა და რკინის ნაკლებობით, ან კიდევ კულტურების მოვლა-პატრონობის დროს სხვადასხვა აგრესიული მეთოდების (ქსენობიოტიკების, ჰერბიციდების, ზრდის რეგულატორების, რადიონუკლიდების) არასწორი გამოყენებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გარუჩავა მ., სურსათის უვნებლობის ეკოლოგიურ–სოციალური ასპექტები, ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება", თბ., 2015, №2(11).
2. Гаручава М.В., Парулава Г.К., Исследование токсических свойств метаболитов феноксиуксусных кислот в кормовых растениях. International Academy Journal -Web of Scholar. Warsaw, Poland, 1(19), Vol.1, January 2018.
3. Galloway, J. N., Zhao Dianwu, Xiong Jiling and G. E. Likens. 1997. Acid rain: a comparison of China, United States and a remote area. Science 236:1559–1562.

**მურად გარუჩავა, გიორგი ფარულავა**

**საკვები რაციონის შემადგენელი მცენარეული კულტურების ბიოქიმიური დახასიათება და კვებითი ღირებულება**

**რეზიუმე**

შესწავლილია საკვებ კურკოვან კულტურებში შემავალი შეთვისებადი და შეუთვისებადი ნახშირწყლები. გამოკვლეულია რთული და ბალასტი ნივთიერებების შედგენილობა. აღნიშნულია ბალასტი ნივთიერებების სასარგებლო თვისებისა და მათი აუცილებელი რაოდენობის შესახებ კვების რაციონში. დადგენილია კურკოვანი კულტურების ბიოქიმიური შედგენილობა და კვებითი ღირებულება.

**Murad Garuchava,Georgi Parulava**

**Biological Characteristic and Nutritional Value of the Crops Included in the Food Ration**

**Summary**

Studied assimilable and undigested carbohydrates of nutrients in the food ration. The composition of complex and ballast substances is examined. Are marked useful qualities of ballast substances and their substantial content in the food ration. Their biochemical composition and food value of stone fruit was established.

**Мурад Гаручава, Георгй Парулава**

**Биохимическая характеристика и питательная ценность культур, входящих в рацион питания**

**Резюме**

Изучены усвояемые и неусвояемые углеводы питательных веществ в рационе питания. Исследован состав сложных и балластных веществ. Отмечены полезные качества балластных веществ и их существенное содержание в пищевом рационе. Установлен биохимический состав и пищевая ценность косточковых культур.

**მანანა ცინცაძე**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## სირაქლემის მოშენება, შენახვა და კვების თავისებურებანი

პლანეტაზე სირაქლემა პირველად 12 მილიონი წლის წინ დინოზავრების ეპოქაში გამოჩნდა. სირაქლემის ფრთა – ბუმბულით ვაჭრობა ათასობით წელს ითვლის და გადადის ეგვიპტის ცივილიზაციაში. ძველ ეგვიპტეში სირაქლემის ფრთა ასოცირდებოდა როგორც სიმბოლო სიმართლისა და სამართლიანობის. მის ხორცსა და ტყავზე ძველთაგანვე ნადირობა იყო გაჩაღებული. ტყავისაგან მებრძოლები სამხედრო ტანსაცმელს ამზადებდნენ, ხოლო ძველ ასურეთში მის კვერცხს სითხის შესანახ ჭურჭლად იყენებდნენ.

გასულ საუკუნეში აფრიკის სირაქლემის ფრთა-ბუმბულის ექსპორტმა 370 ათასი კგ შეადგინა. 1913 წელს სირაქლემის სულადობამ მსოფლიოში 1 მილიონ ფრთას მიაღწია.

დღეისათვის სირაქლემის მოშენება მსოფლიოში ერთ-ერთ მომგებიან ბიზნესად ითვლება. ამჟამად ევროპის ქვეყნებში 600 სირაქლემის ფერმაა.

სირაქლემა საუკეთესო ხორცის მომცემი ფრინველია. აფრიკული სირაქლემა 215-240 კგ იწონის. ერთი მდედრი სირაქლემისაგან 80-94 კგ ხორცი მიიღება, ამასთან იგი 1,8-2,5 კგ ფრთას და 1,2-2 $მ^2$ ტყავს იძლევა. საფრანგეთში 1კგ სირაქლემის ხორცი 22 დოლარი, ხოლო 1 ცალი საინკუბაციო კვერცხი 400 დოლარი ღირს.

სირაქლემა 70 წელზე მეტხანს ცოცხლობს. ხოლო დედალს განაყოფიერების უნარი საშუალოდ 40 წელს უნარჩუნდება. ამგვარად, მთელ პერიოდში ერთი მდედრისაგან 72 ტ ხორცი, 2000$მ^2$ ტყავი და 1450 კგ ფრთა-ბუმბული მიიღება. ერთი სირაქლემის ტყავი (1,5$მ^2$ ) 240 დოლარი ღირს.

სირაქლემის ხორცი წითელი ფერისაა, გემოთი ძალიან წააგავს ძროხისა და ხბოს ხორცს. მასში ბევრია პროტეინი და მცირე-ცხიმი. ასევე მცირეა ქოლესტერინიც. მისი ხორცის გამოსავლიანობა არის 58,6%, ტყავის-8%, ხოლო ფრთა-ბუმბულის 1,8%.

სირაქლემის ტყავი ფუფუნების საგნად ითვლება. იგი ხარისხით ნიანგისა და გველის ტყავს უტოლდება. გამძლეა, მაგარია და ამასთანავე მეტად ნაზია; მისი გამძლეობა 30 წელია. სირაქლემის ტყავით ყველაზე მეტად ინტერესდებიან თანამედროვე მოდის მიმდევარი ისეთი ქვეყნები, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია, გერმანია, იაპონია და აშშ.

სირაქლემის ფრთა-ბუმბული გარდა იმისა, რომ დეკორატიულია, მას იყენებენ მანქანა-მოწყობილობების გასასუფთავებლად. არჩევენ ფრთა-ბუმბულის 9 კლასს, ესენია – 1. თეთრი ბუმბული – ძირითადად მამრშია წარმოდგენილი, 2. ფემინალური - მდედრის ბუმბული, 3. ორნამენტული ბუმბული, 4. შავი ბუმბული, 5. ნაცარი ბუმბული - წარმოდგენილია ორივე სქესში, 5. აბრეშუმის ბუმბული - მამრს აქვს შავი, ხოლო მდედრს - ნაცრისფერი, 7. კუდის ბუმბული, 8, ღინღლი, 9. ტანის ბუმბული-ძირითადად დამახასიათებელია ახალგაზრდა ფრინველისათვის. ყველა კლასის ბუმბულის ხარისხს განსაზღვრავს ბუმბულის სიგრძე, სიხშირე, ღეროს სიგრძე, ფორმა, ფერი და ა.შ. ხარისხიანი ბუმბულის სიგრძე 70 სმ-აღწევს, ხოლო სიმსხო 30 სმ.

სირაქლემის კვერცხი მთელი მასის 14 % შეადგენს. მასში ცილის ხვედრითი წილი არის 53%, ყვითრის 32%. კვერცხის მოხარშვას 75 წუთი სჭირდება. ერთი კვერცხი 10-12 კაცს ეყოფა. დადებული კვერცხის 20-25% გაუნაყოფიერებელია.

სირაქლემის ცხიმი ხასიათდება უნიკალური სამედიცინო თერაპიული თვისებებით. ის გამოიყენება კოსმეტოლოგიაში, როგორც ნაოჭების საწინააღმდეგო საშუალება. სირაქლემის მყესით შეიძლება ადამიანი მყესის შეცვლა, ხოლო სირაქლემის თვალს იყენებენ ოფთალმოლოგიაში რქოვანა გარსის შესაცვლელად.

ფერმერულ მეურნეობაში ძირითადად გამოიყენება აფრიკული სირაქლემა, რომელიც მორბენალთა რიგის ერთ-ერთ მსხვილ ფრინველად ითვლება. ფერმერულ მეურნეობებში ასევე იყენებენ ავსტრალიურ ემუს და ჩვეულებრივ კაზუარებს, რომლებიც ბინადრობენ გვინეის კუნძულზე.

ცნობილია აფრიკული სირაქლემის შემდეგი სახეობები:

1. შავი სირაქლემა;
2. ვარდისფერკისრიანი სირაქლემა;
3. ცისფერკისრიანი სირაქლემა..

სირაქლემას გრძელი ფეხები აქვს, შიშველია მისი ბარკალი და გვერდები. დიდ თითებს შორის მოთავსებულია მასიური სქელი აპკი. იგი საათში ანვითარებს 80 კმ-ს. ნაბიჯებს შორის მანძილი არის 8 მ.

მდედრი სირაქლემა კვერცხის დებას იწყებს 2-3 წლის ასაკიდან. მამრ სირაქლემას განაყოფიერების უნარი 4-5 წლის ასაკიდან აქვს. 15 თვის ასაკიდან მოზარდი უნდა შევინახოთ სქესგანცალკევებით, რაც ხელს შეუწყობს მათ დასვენებას. როდესაც მამრი მიაღწევს სქესობრივ სიმწიფეს, მას ნისკარტი და კისერი გაუწითლდება, რაც ნიშნავს მის სქესობრივ მომწიფებას.

აფრიკული სირაქლემის კვერცხი 2,2 კგ-ს იწონის. იგი ყოველ მეორე დღეს ნაშუადღევს დებს კვერცხს. კვერცხდების ციკლი ხანმოკლეა (18-20 ცალი). ინკუბაციის პერიოდი 42 დღე გრძელდება.

ბუნებრივი ინკუბაციისას შეწყვილების პერიოდში მამრი 3-4 მდედრს არჩევს. იგი სილაში თხრის ორმოს და აკეთებს ბუდეს. მდედრი დებს კვერცხს საერთო ბუდეში. ახალგამოჩეკილი მოზარდები ერთმანეთს ეკვრიან და ბუმბულის საფარველით იცავენ თავს სიცივისაგან.

ხელოვნური ინკუბაციისას გამოიყენებენ ინკუბატორებს. სირაქლემის გამოჩეკის პროცესი კვერცხის სქელი ნაჭუჭის გამო გაძნელებულია. იგი გამოჩეკისას ხვრეტს საჰაერო საკანს, რომლის დიამეტრიც 5-6 სმ-ია. მის შედეგად ნაჭუჭზე ჩნდება ნაპრალი. კვერცხში ჩანასახი $90^0$-ით ბრუნდება. ამ დროს ტენიანობა გამოსაჩეკ კარადაში უნდა გაიზარდოს 30%-მდე. გამოჩეკის პროცესში დახამრება არ შეიძლება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ემბრიონს ფილტვების სუნთქვა არ დაუწყია.

6 თვის ასაკამდე მოზარდი სირაქლემის გამოზრდა მეტად რთულია, შემდეგ იგი განსაკუთრებულ მზრუნველობას არ მოითხოვს. ახალგამოჩეკილი მოზარდის სიმაღლე ზურგზე 20 სმ შეადგენს. დღე-ღამეში ისინი 1 სმ-ით იზრდებიან, სანამ 150-180 სმ მიაღწევს. ახალგამოჩეკილი მოზარდი წყალსა და საკვებს 6-8 დღის განმავლობაში არ საჭიროებს.

მოზარდი კვებას იწყებს დაქუცმაცებული იონჯით, რომელიც ბევრ ცილას შეიცავს. მოზარდი კვებას რომ მიეჩვიოს, აძლევენ მოხარშულ კვერცხს. 3 თვის ასაკში მოზარდი შეიძლება სეირანზე შევინახოთ. სახორცე სირაქლემის გამოზრდას ახდენენ 10 თვის ასაკამდე. 8-9 თვის ასაკში მათი ცოცხალი მასა 110-120 კგ-ს აღწევს.

მესირაქლემეობაში იყენებენ შენახვის სამ სისტემას: ინტენსიურს, ნახევრადინტენსიურს და ექსტენსიურს.

სირაქლემა ძნელად იტანს სტრესულ სიტუაციას, ამიტომაც გამრავლების სეზონის დაწყებამდე აუცილებელია მდედრი და მამრი ფრინველის ერთმანეთთან ადაპტირება.

სირაქლემის მოვლას მუდმივად ერთიდაიგივე პერსონალი უნდა ახორციელებდეს. მომვლელი პერსონალის ტანსაცმლის შეცვლაც კი ფრინველისათვის სტრესია. სირაქლემას არაჩვეულებრივი მხედველობა აქვს, ამიტომაც მომსახურე პერსონალი ნელა და მშვიდად უნდა გადაადგილდეს. ზრდასრული მდედრი განსაკუთრებით აგრესიულია და კრუხობის დროს იგი ახლოს არ იკარებს უცხო პირს. თუ წყალი არ არის საწყურვებელში ან ძველია, სირაქლემა იწყებს სხვაგან ძებნას, რაც იწვევს სხვა სირაქლემის გაღიზიანებას და ერთმანეთში ჩხუბობენ.

სირაქლემის მოშენებისათვის პირველ რიგში საჭიროა დიდი სეირანი და სასირ-ბილო ფართობი, რომელიც ასაკის მიხედვით ერთ ფრთაზე ასეთია

| ასაკი | სეირანი მ | სასირბილო ფართი $მ^2$ |
|---|---|---|
| 2 თვემდე | 0,25 | 5 |
| 6 თვემდე | 2 | 30 |
| 14 თვემდე | 4 | 50 |
| 14 თვეზე უხნესი | 5 | 250 |

ახალგამოჩეკილი მოზარდი მაშინვე არ საჭიროებს კვებას, რადგან იგი ჯერ კიდევ ყვითრის პარკში მოთავსებული საყუათო ნივთიერებებით იკვებება, მაგრამ საკვები აუცილებლად უნდა იყოს მათ სიახლოვეს. სირაქლემის საკვებური მუდამ უნდა იყოს სავსე. საკვები შედგება მაღალი ხარისხის კონცენტრირებული საკვებისა და დაკუწული იონჯის ფოთლებისაგან. ნარევს აძლევენ თხიერ მდგომარეობაში. ასაკის ზრდასთან ერთად სირაქლემა ეჩვევა საკვებს უჯრედანის მაღალი შემცველობით, მაგრამ 4 თვემდე უჯრედანა უნდა შევზღუდოთ. დაუშვებელია სირაქლემის 4 თვის ასაკამდე იონჯის მინდვრებში გაშვება და ძოვება. სეირანზე 1-2 თვის ასაკიდან აუცილებელია ქვიშის დაყრა, რათა მათ თავისუფლად შეეძლოთ მისი მიღება, რაც ასტიმულირებს საჭმლის მონელებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზრდასრული სირაქლემის კვებას კვერცხდების პერიოდში. ამ დროს საჭიროა საკვები დაბალანსებული იყოს საყუათო ნივთიერებებით.

**სირაქლემისათვის მიმოცვლითი ენერგიისა და საყუათო ნივთიერებების ნორმა**

| მაჩვენებელი | სასტარტო | მოზარდი | ზრდასრული |
|---|---|---|---|
| მიმოცვლითი ენერგია, კკალ | 254,0 | 243,0 | 248,5 |
| ნედლი პროტეინი % | 18 | 19 | 20 |
| ნედლი ცხიმი % | 4 | 4,25 | 4,4 |
| ნედლი უჯრედანა % | 8 | 10 | 10 |
| მშრალი უჯრედანა % | 15 | 15 | 16 |
| კალციუმი % | 2 | 2 | 2,5 |
| ფოსფორი % | 1 | 1 | 1 |
| ლიზინი % | 1 | 1 | 1,2 |
| მეთიონინი % | 0,34 | 0,34 | 0,40 |
| ცისტინი % | 0,30 | 0,30 | 0,30 |

საკვები ულუფების საგემოვნებო თვისებები ასევე აუცილებელი მაჩვენებელია. მას ძალიან უყვარს წვნიანი საკვები (მწვანე მარცვლოვანი, ჭარხალი, ყაბაყი და სხვ.). კარგ შედეგს იძლევა საკვებში დაჭრილი მწვანე მასის დამატება, რაც საკვებს წვნიანსა და გემრიელს ხდის.

მწვანე საკვებიდან ძირითადი იონჯაა, მას აძლევენ როგორც თივის, ასევე მწვანე მასის სახით და უმატებენ კომბინირებულ საკვებს 1,5 კგ-ს ერთ ფრთაზე.

ინტენსიური შენახვისას გამოიყენება შემდეგი შემადგენლობა.

ასაკის შესაბამისად სირაქლემის საკვების ნორმა
(გ/კგ ცოცხალ მასაზე)

| ინგრედიენტი | 2 თვემდე | 2-4 თვე სასტარტო პერიოდი | 4-6 თვე ზრდის პერიოდი | 6-10 თვე ზრდის შემდგომი | 10-11 თვე ზრდის დამთავრების | 14-ზე ზევით ზრდა სრული |
|---|---|---|---|---|---|---|
| იონჯა | 227 | 260 | 428 | 812 | 884,6 | 420 |
| ყვითელი სიმინდი | 577 | 501,3 | 463,5 | 172,7 | 100 | 0 |
| სიმინდის ზეთი | 20 | 20 | 0 | 0 | 0 | 0232 |
| სოიოს ზეთი | 32 | 86 | 30 | 0 | 0 | 0 |
| თევზის ფქვილი | 12,0 | 1,06 | 5,9 | 0 | 0 | 8 |
| დიკალციფოსფატი | 5,3 | 7,4 | 11 | 11 | 11,72 | 15 |
| ცარცი | 17 | 12,3 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მეთიონინი | 1 | 2,23 | 1 | 1,4 | 1,7 | 1,6 |
| ვიტამინოვან-მინერალური პრემ-იქსი | 4,5 | 4,5 | 4,5 | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| ცინკის ბიო-ციტრატი | 0,5 | 0,5 | 0 | 0 | 0 | 0 |
| იონჯის თივა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 552 |

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გუგუშვილი პ., მეფრინველეობის მდგომარეობა საქართველოსა და ამიერკავ-კასიაში, თბ., ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ტ.34, თბ., 1948.
2. ნოზაძე რ., ხუციშვილი მ., ზავრაშვილი ვ., მეფრინველეობის პროდუქტების წარმოება და გადამუშავების ტექნოლოგია, თბ., 2007.


**მანანა ცინცაძე**

## სირაქლემის მოშენება, შენახვა და კვების თავისებურებანი


### რეზიუმე

სტატიაში გადმოცემულია სირაქლემის წარმოშობისა და მისი არსებობის ისტორიული წინაპირობა, განვითარების არეალი და მოთხოვნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები. ავტორს ზოგადად გადმოცემული აქვს მისი ექსტერიერული ნიშან-თვისებები, ასევე გამრავლების ბიოლოგიური თავისებურებანი და გაშუქებული აქვს სირაქლემის პროდუქციის დანიშნულება, შედგენილობა და მსოფლიოში მასზე გაზრდილი მოთხოვნილებანი, რაც საკმაოდ ნათელ და წარმატებულ ბიზნესად აისახება თანემედროვე მეცხოველეობის სფეროში.

ავტორს ასევე მოკლედ აქვს გადმოცემული სტატიაში სირაქლემის შენახვის, მოვლისა და კვების თავისებურებანი შენახვის სხვადასხვა სისტემის გამოყენების დროს.

**Manana Tsintsadze**

**Ostrich Breeding, Keeping and Feeding Habits**

**Summary**

The Article presents historical precondition of origin and existence of ostrich, area of development and required natural climatic conditions. The author gives general description of its exterior peculiarities and biological features of its reproduction and the products and assignment of products obtained from an ostrich, their composition; increase in demand of these products throughout the world thereafter is becoming as successful business among animals sphere.

The author presents brief course of description of peculiar properties of keeping, maintenance and feeding the ostrich while usage of different systems

**Манана Цинцадзе**

**Страус - разведение, содержание и особенности кормления**

**Резюме**

В статье рассмотренны исторические данные происхождения, ареал распространения, и требования к природно-климатическим условиям существования страуса. Автором в общих чертах описаны экстерьерные данные страуса, а также особенности размножения. В статье рассматривается использование продукции, получаемой от страуса, ее состав, а также данные о потребностях в этой продукции в мировом масштабе, что можно считать успешным бизнесом в животноводстве (птицеводстве). Автором статьи в краткой форме описаны особенности строения, содержания и ухода и кормления при применении различных систем.

**ნათია ნატროშვილი**

**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## ხოხბის მოშენება-შენახვა და კვება

ხოხობი აზაში, კავკასიასა და აღმოსავლეთ ჩინეთში მოაშინაურეს. კლიმატის შეცვლამ მისი გავრცელების არეალი შეამცირა. ამჟამად სხვადასხვა ადგილას ხოხბის რამდენიმე ქვესახეობა ბინადრობს. ისინი ერთმანეთისაგან ბუმბულის ფერით განსხვავდებიან. ეს სახეობებია: ბერძნული, ტაჯიკური, კავკასიური, მანჯურიის და ა.შ.

ხოხობი საბერძნეთში ძველი დროიდან იქნა შემოყვანილი, საიდანაც გავრცელდა ბალკანეთში, ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ჰავაიზე და ახალ ზელანდიაში.

ხოხბები ადამიანთან სიახლოვეს კარგად ეგუებიან, უყვართ მდინარისა და ტბის სანაპიროები. სილამაზის გამო მათ სამეფო ფრინველს ეძახიან. მათი ბუმბულის ფერი ოქროსფერი-ნარინჯისფერია. თავი მოლურჯო-მომწვანო ფერისაა ბრინჯაოსფერი ელვარებით. თვალის ირგვლივ წითელი უბუმბულო კანი შეიმჩნევა. დედალი ნაცარა ზოლიანი შეფერილობისაა და მოკლე კუდი აქვს.

ხოხბის ხორცი გემრიელი და წვნიანია. იგი მდიდარია ცილით (28,5%), ღარიბია ცხიმითა და ქოლესტერინით.

ხოხობი თავისი ცხოვრების წესით სამხრეთული ფრინველია. იგი ბუდობს სადაც ნაკლებია თოვლის საფარი (20-12 სმ). გარეულობაში კი ცხოვრების დიდ ნაწილს მიწაზე ატარებს, სადაც მუდმივად ეძებს საკვებს: ბალახის თესლს, მწვანე მცენარეულობას, მწერსა და ჭიანჭველას. იგი სპობს სოფლის მეურნეობისა და ტყის კულტურების მავნებლებს. გამრავლების ყველაზე კარგი პერიოდი ხოხბებისათვის გაზაფხულია. თე-

ბერვლის ბოლოს, ხშირად მარტში, იგი ბუდეს იკეთებს. პირველად მამალი ხოხობი ეძებს ადგილს ბუდის გასაკეთებლად. ამ დროს ხშირია მათ შორის ჩხუბი, რის შედეგად დამარცხებული გაეცლება ხოლმე. პირველად მამლები მარტონი კაკანებენ, დედლები განზე დგანან მცირე ჯგუფად (3-4-ინდივიდი). შემდეგ უერთდებიან მათ. შეწყვილების დროს მამლის თავზე უბუმბულო კანი ფუვდება და მკვეთრად წითლდება, ბუმბული ყურის ირგვლივ ყალყზე დგება. ბუდეს ხოხობი აწყობს ხშირ ბალახეულში ან მიწას მცირედ აღრმავებს. ბუდეს ამოაფენს ტოტებს, თივის ნარჩენებსა და ბუმბულს. დედლის ბუმბული ისეთი შეფერილობისაა, რომ ფრინველი ძნელი შესამჩნევია. მამალი კრუხობაში მონაწილეობას არ იღებს. კვერცხებზე ზის ძალიან მყარად. გარეულობაში ხოხობი 10-14 ცალ კვერცხს დებს. თუ მტაცებელმა კვერცხი შეუჭამა, იგი კვლავ აგრძელებს კვერცხის დებას. ინკუბაციის ხანგრძლივობა არის 24 დღე. ახალგამოჩეკილი დაფარულია ღინღლით და გამოჩეკიდან რამდენიმე საათში შეუძლია დედასთან მისვლა.

ხოხობი ადვილად შინაურდება. მისი შენახვა ხდება ვოლიერებში. ეს არის დიდი საფრინველე, რომელიც შედგება ხის კარკასისაგან. მას სამი მხრიდან შემოკრული აქვს მავთული. უკანა ნაწილი მთლიანია. ზემოთა ნაწილი გადახურულია მსუბუქი მასალით, რომ წვიმისაგან იყოს დაცული. იატაკზე მოთხრიან მიწას და 2 სმ-ის სიღრმეზე ჩაყრიან ჩამქრალ კირს, ზემოდან მოაყრიან სილას ან ქვიშას. ვოილიერი უნდა გაკეთდეს მზის მხარეს.

ფერმებში ხოხობს 2 გზით აშენებენ:

1. ოჯახობით შენახვა (ერთი მამალი, 4-7 დედალი);
2. ჯგუფური შენახვა (500 დედალი და 70-80 მამალი);

ასეთ შემთხვევაში კვერცხმდებლობა წელიწადში 30-40 ცალია, განაყოფიერება - 75-80%, გამოჩეკვა-60-70%.

ხოხბის მოშენება შესაძლებელია ხელოვნურად. პირველ რიგში უნდა მოხდეს მშობელთა გუნდის დაკომპლექტება.

მშობელთა გუნდის ძირითადი სულადობა კომპლექტდება 2 წელზე უხნესი დედლებისა და 3 წელზე უხნესი მამლებისაგან, აგრეთვე 1-2 წლიანი ხოხბით, რომელიც გამოირჩევა კარგი ექსტერიერული შესახედაობით. გუნდიდან იწუნებენ:

1. გამოკვეთილ ექსტერიერული მანკებით დახასიათებულ ფრინველს;
2. მამლებს, რომლებსაც სუსტი პოლიგამიური უნარი აქვთ;
3. დედლებს, რომლებიც წვრილ კვერცხს დებენ;
4. ქრონიკულად დაავადებულ და ტრავმირებულ ფრინველს;
5. აგრესიულ ფრინველს.

ხოხბის ხელოვნურად შენახვისას ზამთრის ბოლოს არჩევენ ოჯახებს და ათავსებენ ვოლიერის ცალკეულ განყოფილებაში. მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში ისინი იწყებენ შეწყვილებას და დედლები ემზადებიან კვერცხის დასადებად. კვერცხს პირდაპირ იატაკზე დებენ. კვერცხდების მაქსიმუმს ისინი აღწევენ მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისში.

საინკუბაციო კვერცხს აგროვებენ დღეში ორჯერ, მას ინახავენ 2-12 ტემპერატურამდე კვერცხის დადებიდან 5 დღის განმავლობაში. ხოხბის კვერცხის მასა მერყეობს 24-37 გრ-მდე. ნაჭუჭის ფერი შეიძლება იყოს მუქი-ნაცარა, ნაცრისფერი, ღია-ნაცრისფერი, მწვანე-ნაცრისფერი, მწვანე, ღია მწვანე და თეთრი. ნაჭუჭი თხელი, გლუვი და მბზინავია ძალიან წვრილი ფორმით.

ხოხბის კვერცხის ინკუბაციისას იყენებენ ჩეულებრივ ინკუბატორს. ხოხბის კვერცხის ინკუბაცია ასეთია: კარადაში $38,0^0$ C ტენიანობა 65-70%, გამოსაჩეკი $38,5^0$ C, ტენიანობა 80-90%.

ხოხბის კვერცხის ინკუბაცია შეიძლება ბუნებრივი გზითაც, როდესაც კვერცხს გამოსაჩეკად უწყობენ ქათამს ან ინდაურს.

ვოლიერული შენახვისას ხოხობი თავის დადებულ კვერცხზე გამოსაჩეკად არ ჯდება, ამიტომაც ამ მიზნით 5 წლამდე ასაკის ქათმის ჯიშებს იყენებენ.

ახალგამოჩეკილი მოზარდი ზრდის მაღალი ტემპით გამოირჩევა 10 დღემდე. შემდეგ ზრდის ტემპი ეცემა. 15 დღის ასაკში მამლები 85 გ-ს იწონის. 30 დღის ასაკში - 180 გ-ს; 90 დღის - 800-850 გ-ს; ოთხი თვის ასაკში 1000 გ-ს. ხუთი თვის ასაკში- 1100-1200 გ-ს. დედლების ცოცხალი მასა ასაკის შესაბამისად არის - 80,160,600,700 და 800,900 გ-ი.

ახალგამოჩეკილი მოზარდი დაფარულია რბილი და ნაზი ღია-ყვითელი ღინღლით, რომელსაც შავი და მუქი ზოლები გასდევს.

ორი თვის ასაკიდან იწყება პირველადი ბუმბულის შეცვლა ძირითადი ბუმბულით. განგური მთავრდება ოთხი თვის ასაკში. აქედან იწყება ბუმბულის შეფერილობით სქესობრივი განსხვავება. 5 თვის ასაკში ხოხობი ზრდა-განვითარებას მთლიანად ამთავრებს.

ახალგამოჩეკილ მოზარდს ერთ კვირას აძლევენ წვრილად დაქუცმაცებულ მოხარშულ კვერცხს, ერთი კვირის შემდეგ რძისაგან დამზადებულ სქელ ფაფას და წვრილად დაჭრილ მწვანე მასას. ვოლიერებში ნიადაგი უნდა ჰქონდეთ საკვებურებში ჩაყრილი მინერალური საკვები (დაქუცმაცებული ცარცი, ნიჟარა) და სუფთა წყალი. საკვებად იყენებენ ქათმის კომბინირებულ საკვებს ან მარცვლოვან ნარევს (ქერი, შვრია, ფეტვი, დაფქვილი ბარდა, სიმინდი). ცხოველური საკვებიდან - ხაჭოს, ხორცის ფქვილს, თევზის ფქვილს და სხვ. შემოდგომა ზამთრის პერიოდში ერთ ფრთაზე დღეში იხარჯება 75 გ საკვები. გაზაფხულზე კვერცხდების დროს საკვების ნორმა უნდა გაიზარდოს 80 გ-მდე. მას ემატება კოპტონი, სტაფილო, მოხარშული კარტოფილი.

შემოთავაზებულია კომბინირებული საკვების მრავალი რეცეპტი. მათ შორის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ხოხბის საკვების შემდეგი რეცეპტი:

| **საკვები** | **10 დღემდე ასაკის** | **10 დღეზე ზევით** |
|---|---|---|
| **დაღერღილი სიმინდი** | **17,7** | **22,7** |
| **დაღერღილი ხორბალი** | **9,0** | **10,0** |
| **ხორბლის ქატო** | **13,0** | **12,0** |
| **დაღერღილი სოიო** | **25,0** | **22,0** |
| **ბალახის ფქვილი** | **2,0** | **2,0** |
| **თევზის ფქვილი** | **14,0** | **12,0** |
| **ხორცის ფქვილი** | **13,0** | **13,0** |
| **მოხდილი რძე** | **1,0** | **1,0** |
| **მინერალური საკვები** | **3,0** | **3,0** |
| **ვიტამინიანი დანამატი** | **2,0** | **2,0** |
| **სუფრის მარილი** | **0,3** | **0,3** |

აღნიშნული საკვები 23% ნედლ პროტეინს შეიცავს. ვიტამინოვანი დანამატის შემადგენლობაში შედის A, $B_2$, PP, $D_3$, E ვიტამინები.

ხოხბის ცხოველმყოფელობის გაზრდის მიზნით ინტენსიური კვერცხდებისას აუცილებელია საკვებში C ვიტამინის დამატება. ერთი თვის ასაკამდე კომბინირებულ საკვებს ამატებენ ანტიბიოტიკს შემდეგი რაოდენობით: 20 დღის ასაკამდე 40 მგ ერითრომიცინს, 20-დან-30 დღემდე - ერთ ფრთაზე 60 მგ-ს, "ბიოვიტ-40"-ს სიცოცხლის პირველ 10 დღეს - 20 მგ-ს, 10-დან - 20 დღემდე - 25 მგ-ს, 20-30 დღემდე - 30 მგ-ს ერთ ფრთაზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ აღნიშნული რაოდენობის ანტიბიოტიკის საკვებზე დამატებისას ხოხბის ხორცში ანტიბიოტიკის არავითარი ნარჩენი არ შეიმჩნევა.

ხოხბის ვოლიერებში შენახვისას ხშირია კვერცხის ნაჭუჭის დეფექტები ან ხოხბის მიერ კვერცხის შეჭმის შემთხვევები. ამის თავიდან ასაცილებლად კარგ შედეგს იძლევა სასმელ წყალში ასკორბინის მჟავის გარევა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გუგუშვილი პ., მეფრინველეობის მდგომარეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ტ.34, თბ., 1948.
2. ნოზაძე რ., ხუციშვილი მ., ზავრაშვილი ვ., მეფრინველეობის პროდუქტების წარმოება და გადამუშავების ტექნოლოგია, თბ., 2007.


**ნათია ნატროშვილი**

**ხოხბის მოშენება-შენახვა და კვება**

**რეზიუმე**


სტატიაში ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ხოხბის წარმოშობის ისტორია, გავრცელების არეალი და ამჟამინდელი როლი მეცხოველეობის სფეროში, მისი წვლილი თანამედროვე ცხოველური პროდუქციის შესაქმნელად.

სტატიაში მოკლედ არის მიმოხილული ასევე ხოხბის ბილოგიური თავისებურებანი, ინკუბაციის რეჟიმი, მოშენების, შენახვის მეთოდები და კვების ფონი.


**Natia Natroshvili**

**Breading, Keeping and Feeding of Pheasant**

**Summary**


The Article presents the history of origin, area of spread of a pheasant and its current role in cattle breeding sphere; the contribution it makes to create the model animal products.

The article presents in brief review its biological features, incubation mode, methods of keeping, feeding and breeding as well.


**Натия Натрошвили**

**Разведение, содержание и кормление фазанов**

**Резюме**


В статье в доступной форме изложения описаны история происхождения, ареал распространения, современное значение и роль фазанов в животноводстве. Определена роль фазанов в производстве продукции животноводства.

В статье в виде краткого обзора представлены также биологические особенности фазана, режим инкубации, методы разведения и содержания, а также режим кормления.

# ინჟინერია

**Давид Губеладзе**
**Профессор Грузинского технического университета**

## Улучшение надежности гидроэлектростанции Ингурской ГЭС

Вопросы энергетической безопасности Грузии доминируют сегодня в повестке дня. Согласно общепринятому определению энергетическая безопасность страны подразумевает такие условия, при которых потребитель имеет надежный доступ к необходимой ему энергии, а поставщик — к ее потребителям. То есть речь идет не только о бесперебойных потоках, но и о стабильных и разумных ценах.

Энергетическая безопасность страны, однако, не может быть спонтанным результатом рыночного саморегулирования даже в случае высокой степени экономической либерализации, но является составной частью долгосрочной стратегии государства и реализуется посредством соответствующих политико-экономических инструментов. Рынки могут вносить свой вклад в достижение этой цели, но только наряду с другими инструментами, включая нерыночные регулирующие механизмы, — такие, как двусторонние и многосторонние соглашения, промышленная политика и регулируемые цены.

Другая особенность обеспечения энергетической безопасности состоит в том, что она должна рассматриваться в общем контексте национальной безопасности и обязательно с учетом региональных аспектов.

*Ингури ГЭС– крупнейшая гидроэлектростанция на Кавказе,* одна из самых высоких в мире арочных плотин высотой в 271 метр и часть туннеля, а в Гальском районе Абхазии - здание станции и четыре перепадины ГЭС расположены на реке Ингури. Ингури ГЭС была построена в 1970-х годах.

Рис 1 Общий вид Ингури ГЭС



Рис.2 Схема плотины

Мощность электростанции – 1300 МВт. Ежегодно станция вырабатывала около 4,2 млрд. КВт/Ч электроэнергии, что составляло 45% от всей электроэнергии, производимой в Грузии. Ингури ГЭС, установленная мощность которой составляет 1,3 тыс. МВт, была введена в эксплуатацию в

1978 году. Гидроагрегаты расположены на территории Абхазии, а плотина и водохранилище на территории, контролируемой Грузией. Ингури ГЭС, которая находится в собственности государства, производит более половины от всего объема электроэнергии в Грузии. Остальная часть производится на более мелких частных гидроэлектростанциях и нескольких тепловых электростанциях. В летнее время, когда уровень воды высокий, Грузии удается экспортировать электроэнергию в другие страны региона. Но общая зависимость от гидроэнергетики и покрытия сезонного дефицита Грузия вынуждена импортировать газ. Зимой, когда уровень воды в водохранилищах опускается до минимального уровня, значительную часть электроэнергии страна вынуждена импортировать из соседних стран. Хотя в стране, активно строятся новые электростанции, Ингури ГЭС все еще играет ведущую роль в системе энергетики Грузии.

На сегодняшний день из-за аварийного состояния станция работает на уровне 50% от проектной мощности. Из вырабатываемой электроэнергии на Ингурской ГЭС: 40% получает Абхазия, 60% - Грузия. Сегодня Ингурская ГЭС и входящая в комплекс Варднили ГЭС является единственным источником электроэнергии для Абхазии. Для остальной Грузии - это самая дешевая электроэнергия, которая покрывает около 20% потребления. Плотина Ингури ГЭС находится на территории Грузии, управляющий щит – в Абхазии Гальском районе. При этом 100 процентов акций АО "Ингури ГЭС" в Грузии.

В блежащем будущем в Грузии будет продолжаться прирост электроснабжения, во время ремонта Ингурской ГЭС, она сможет подавать в Абхазию электроэнергию, вырабатываемую на других грузинских электростанциях. В северо-западном регионе Грузии – Сванети планируется строительство еще одной мощной гидроэлектростанции. В этом случае у страны будут свои мощности снабжать Абхазию.

Сегодня потребление электроэнергии, как в стране, так и в Абхазии тоже стремительно растет, и распределение электроэнергии варьируется в зависимости от нужд Абхазии. Все расходы, связанные с генерацией электроэнергии, покрывает Грузия.

На сегодняшний день в Абхазию поставляется уже около половины вырабатываемой на Ингурской ГЭС электроэнергии. В зимний период практически, вся электроэнергия поступает в Абхазию. В зимний период Абхазия потребляет почти всю вырабатываемую электроэнергии Ингурской ГЭС. Причиной этому является отсутствие системы учета и соответствующего сбора за употребляемую электроэнергию в Абхазии. Высокий уровень потребления влияет и на уровень воды в водохранилище станции, создавая проблемы с электроснабжением региона. Проблему решить можно, если в Абхазии будет строгий учет электроэнергии, соответствующие тарифы и строгие меры по изъятию оплаты, эти 230 млн. КВт./Ч. потребления зимой существенно сократятся. О том, что потребление в Абхазии растет, в то время как собираемость платежей за электроэнергию низкая, показывает статистические данные энергетики. Сегодня тариф на электроэнергию в Абхазии для физических лиц составляет около 0,7 центов, тогда как в остальной Грузии жители платят от 5 до 9 центов за КВт./Ч. Электроэнергия, которую получает Абхазия, на самом деле намного дороже.

Кроме того, сейчас Ингури ГЭС не приносит большой прибыли, потому что 50% не платят за электроэнергию. Это проблема для поиска инвестора. Никакой инвестор не заинтересуется, если это убыточный актив. Если уровень платежей возрастет, то можно будет выгодно вложиться в ремонт этой ГЭС. Необходимо объяснить людям, что без ремонта будет коллапс всей энергосистемы региона. Надо сейчас начать платить за электроэнергию, чтобы потом вообще не остаться без света.

В вопросах функционирования объектов Ингурской ГЭС грузинская и абхазская стороны действуют согласованно. Ингури ГЭС требует ремонта, ее мощность падает из-за плохого технического состояния. Но на капитальный ремонт нужно время – примерно 2,5-3 года, по данным исследований «Института Гидропроект». На это время придется остановить всю гидроэлектростанцию мощностью 1300 МВт. То есть вся Абхазия останется без электричества. Чтобы смягчить последствия, предполагается за время до начала ремонта построить сопутствующую гидроаккумулирующую электростанцию мощностью 600 МВт, которая возьмет на себя нагрузку. Эти 2,5-3 года будет работать вторая маленькая станция.

За последние пятнадцать лет в виде займов международных финансовых организаций Грузия в Ингури ГЭС инвестировала более 100 млн. долларов. Это повысило производительность, а также надежность и безопасность станции.

Ремонт и реконструкция гидроэлектростанции обойдутся очень дорого, также возникает вопрос, как устранить потери энергии и обеспечить альтернативные источники питания на то время, пока будут выполняться работы. Это, в свою очередь, создает риски для энергетической безопасности региона.

В 2014 году, при финансировании международных доноров, была проведена масштабная реабилитация электротехнического и гидромеханического оборудования, а также были выполнены работы по повышению надежности основной арочной плотины. Эти работы были произведены поэтапно, что позволило не прерывать работу ГЭС.

На данный момент, главный вопрос заключается в ремонте напорно-деривационного тоннеля длиной 15,5 км, из-за чего станция прекратит работу на несколько месяцев. В настоящее время теряется почти половина объема воды, поступающего в тоннель. За секунду – 10 из 22 кубометров. Но для оценки и ремонта хотя бы самого аварийного участка длинной около 300 метров, надо будет остановить всю станцию. В 2018 году планируется остановить Ингури ГЭС зимой - на 4 месяца для осуществления ремонтных работ. Для оценки состояния тоннеля и проведения необходимых проектно-изыскательных работ для полного ремонта. Решение остановить Ингури ГЭС зимой связано с тем, что в этот период уровень воды в водохранилище снижается до критической отметки и объем вырабатываемой ГЭС электроэнергии невелик. При этом основная проблема возникает с энергоснабжением Абхазии, которая полностью зависит от этой электростанции.

Грузинская и абхазская стороны договорились, что в период остановки работы ГЭС и до начала паводка, предположительно, до 15 марта, как и в прошлом году, дефицит электроэнергии в Абхазии будет покрываться ее поставками из России в объеме до 200 млн. КВт./Ч.

В рамках четвертого этапа реконструкции Ингури ГЭС, который запланирован на 2018 год, Европейский банк реконструкции и развития (ЕБРР) и инвестиционный фонд программы соседства ЕС (NIF) планируют выделить Грузии в виде кредита и гранта 33 млн. евро.

Опыт показывает, чтобы провести такие реформы надо работать с населением, не изымать все долги, которые есть у населения и промышленности, а проводить гибкую политику. Люди должны понимать, что если они получают некую услугу, то должны за нее платить.

Рис 3.4 Состояние водонапорного туннеля



В прошлом году потребление Абхазии выросло на 24% по сравнению с 2012 годом. Всего, по данным министерства, Абхазия в 2016 году получила 1,9 млрд. кВт.ч, что составило 54% выработанной Ингурской ГЭС электроэнергии.

**Основные Выводы**

Обеспечение политической и социальной стабильности в регионе, в сфере энергетики может быть достигнуто путем решения технико-экономических и правовых аспектов проблем безопасности и сотрудничества в энергетической сфере региона. При этом следует проведение следующих мер, как:

- улучшение надежности гидроэлектростанции Ингурской ГЭС;

- улучшение качества энергоснабжения населения;

- повышение реальной платежеспособности в регионе;

- оптимизация и стабилизация тарифов на энергоресурсы для населения;

- законодательное и нормативное обеспечение защиты прав и интересов потребителей энергетических ресурсов, их взаимной ответственности с поставщиками энергии;

- сохранение и создание новых рабочих мест в энергетических отраслях путем реформирования системы обслуживания.

Все перечисленное не может быть реализовано в полной мере без понимания объединяющей перспективы энергетического сотрудничества, готовности принять и соблюдать правовой режим, который согласован с установленными нормами и не подвержен произвольному, одностороннему изменению. Синхронизация национальных интересов в энергетической политике минимизирует политические риски и тем самым повышает уровень сотрудничество в деловом пространстве, где впоследствии заключаются и реализуются бизнес-планы. Что, на самом деле исходит из самых насущных и реальных интересов партнеров.

**Литература:**


1. Сенчагов В.К. Экономическая безопасность: геополитика, глобализация, самосохранение и развитие (книга четвертая) / Ин-т экономики РАН. — М.: ЗАО «Финстатинформ»,2002.
2. Основы энергетической политики государств-членов Евразийского экономического сообщества: Утв. решением Межгоссовета ЕврАзЭС от 23 февраля 2003 г. № 103.
3. Energy Indicators for Sustainable Development: Guidelines and Methodologies: International Atomic energy Agency, United Nations Department of Economic and Social Affairs, International Energy Agency, Euro stat and European Environmental Agency, Printed by the IAEA, April 2005, 161 pages
4. http://www.m-economy.ru/art.php?nArtId=2680
5. http://eurasia.expert/vopros-inguri-ges-sozdaet-napryazhennost-na-kavkaze/


**Давид Губеладзе**

**Улучшение надежности гидроэлектростанции Ингурской ГЭС**

**Резюме**

Понятие энергетической безопасности представляется весьма сложным и неоднозначным, включающим в себя не только техhbческие, экономические, правовые и политические аспекты. Несмотря на то, что существует, един подход по различным показателям производства и потребления электроэнергии, эффективности и коммерциализации отраслей инфраструктуры, эти данные не дают сколько-нибудь отчетливого представления о содержании и уровне энергетической безопасности страны.

В статье анализируются технико-экономические и правовые аспекты проблем безопасности и сотрудничества Грузии в энергетической сфере. Особое внимание акцентируется на создании адекватных институциональных условий эффективного и устойчивого энергообеспечения. В этом контексте раскрываются особенности энергетической политики Грузии, ее вклад в обеспечение энергетической безопасности самой Грузии и региона

**David Gubeladze**

**Improving the Reliability of the Hydroelectric Power Station of Enguri HPP**

**Summary**

The concept of energy security is very complex and ambiguous, including not only technical, economic, legal and political aspects. Despite the fact that there is a single approach to various indicators of electricity production and consumption, efficiency and commercialization of the infrastructure sectors, these data do not give any clear idea of the content and level of energy security of the country.

The article analyzes techno-economic and legal aspects of the problems of Georgia's security and cooperation in the energy sector. Particular attention is focused on creating adequate institutional conditions for efficient and sustainable energy supply. In this context, features of Georgia's energy policy, its contribution to ensuring energy security of Georgia and the region.

**დავით გუბელაძე**

**ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სანდოობის გაუმჯობესება**

**რეზიუმე**

ცნება ენერგეტიკული უსაფრთხოებისა წარმოადგენს რთულ და ორაზროვან მიდგომას, მათ შორის არა მარტო ტექნიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტების მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურულ სექტორში ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების, ეფექტურობისა და კომერციალიზაციის მხრივ სხვადასხვა ინდიკატორების მიმართ ერთი მიდგომა არ არსებობს, არ იძლევა სრულ წარმოდგენას ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე.

სტატიაში განხილულია ენერგოსექტორში საქართველოს უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის პრობლემების ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ეფექტიან და მდგრად ენერგომომარაგებაზე ადეკვატური ინსტიტუციური პირობების შექმნაზე. ამ კონტექსტში, საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მახასიათებლებზე, მის წვლილზე საქართველოსა და რეგიონის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

**ოლღა ხარაიშვილი**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი**
**მაია ლომიშვილი**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი**
**მაია კიკაბიძე**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი**
**ნინო მებონია**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

# სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენების მიზნით ნიადაგის ფიზიკურ-წყლოვანი თვისებების დადგენა

რწყვის რეჟიმის დადგენა რწყვის შედეგად ნიადაგში გამოწვეული ცვლილებების გათვალისწინების გარეშე დიდ ცდომილებას იძლევა. ბუნებრივია, რომ ნიადაგის ფიზიკურ-წყლოვანი მახასიათებლები წყლის ხანგრძლივი მიწოდების შედეგად მკვეთრ ცვლილებას განიცდის, რაც სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული რეალური რწყვის რეჟიმის დასადგენად, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სარწყავი წყლის უქმი დანაკარგები, ფართობებზე მისი რაციონალურად განაწილების (დროსა და სივრცეში) მიზნით. ამიტომ, არსებული სარწყავი სისტემის გადასინჯვის ფონზე, აუცილებელია რწყვის რეჟიმის, ელემენტების შერჩევა, ნიადაგის ფიზიკურ-წყლოვან ცვლილებათა გათვალისწინებით, მათი შემდგომი დაკონკრეტებისა და მიკროობიექტების კორექტირება-დაზუსტებით. ყოველივე კი შესაძლებელია ადგილზე, ნატურალური დაკვირვების შედეგად მიღებული მასალების გაანალიზებით.

კვლევის ობიექტად შერჩეული იყო ქვემოქართლის სოფელ წერეთელის მასივი, რომელიც მოიცავს 500-530 მეტრს აბსოლიტური სიმაღლეებით.

აღნიშნული მასივის ნიადაგები ხასიათდება ორგანული ნივთიერებების საშუალო რაოდენობის შემცველობით. ნიადაგი მუქი–ყავისფერი ტიპისაა, ექვსი სახესხვაობით. მექანიკური შედგენილობა ზევიდან ქვევით მსუბუქდება, მატულობს ხირხატიანობა, პროფილს ეტოლება დელუვიურ-პროლუვიური ნაფენის მორიგეობა. ობიექტის ნიადაგების გამოკვლევის არსებული მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ნიადაგის ფიზიკურ - წყლოვანი თვისებები ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით: მექანიკური შედგენილობის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენენ მძიმე და საშუალო თიხნარის, აქტიურ ფენაში (0-75 სმ). ხვედრითი მასა $\delta = 2{,}67 - 2{,}69\ \text{г/см}^3$, ხოლო მოცულობითი მასა $\gamma = 1{,}0 - 1{,}60\text{г/см}^3$. ფორიანობა $P = 40.47 - 50{,}96\%$. მაქსიმალური მოლეკულური ტენტევადობა $r_{\text{მაქსიმალური}} = 24{,}73 - 30{,}34\%$; ზღვრული ტენტევადობა $r = 24{,}68 - 36{,}12\ \%$; სრული ტენტევადობა $r_{\text{სრული}} = 25{,}58 - 38{,}80\%$; პროდუქტიული ტენი $r_{\text{პროდ.}} = 4{,}34 - 12{,}97\%$, ფილტრაციის კოეფიციენტი $K = 12{,}2 - 2{,}51 * 10^{-4}\text{სმ/წმ}$.

ნიადაგები ხასიათდება სიღრმის, სიმკვრივის მატებით, თუ მოცულობითი მასა ზედა ფენაში 1,10 მ.–ის ტოლია, 1-1,5 მეტრი სიღრმეზე 1,50 მ-მდე მატულობს; ფორიანობა კი კლებულობს 51%-დან 44,5%-მდე. დამახასიათებელია აგრეთვე წყლის დაკავების კარგი უნარი და შესაბამისად პროდუქტიული ტენის საკმაოდ დიდი რაოდენობა, რაზეც მიუთითებს ზღვრული ტენტევადობისა და მაქსიმალური მოლეკულური ტენტევადობის მაჩვენებლები 6,89-12,97 %-ის ზედა ფენაში და 1,24-5,04 % 1,1 მეტრ სიღრმეზე.

ნიადაგის ფიზიკური და წყლოვანი თვისებების (ანუ მელიორაციული მახასიათებლები) შესასწავლად ნიმუშის აღება და მისი ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა საერთოდ მიღებული მეთოდიკის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ნიადაგის აქტიური ფენა, რომლის ხელოვნური გატენიანება უნდა მოხდეს, შეზღუდულია 40-50 სმ. სიღრმით, რის ქვემოთ არის ხირხატიანი კირქვა თაბაშიროვანი ფენა, რომელშიც, როგორც ცნობილია მცენარის ფესვები არ ვრცელდება და რომელიც წყალს არ აკავებს. ამიტომ აღნიშნული სიღრმეების ქვემოთ, ჰორიზონტებიდან ნიმუშების აღება არ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად, ვინაიდან უფრო ღრმა ფენების გატენიანებას რწყვის მეშვეობით, არათუ სარგებლობა, პირიქით ზიანის მოტანა შეუძლია, რომ არაფერი ვთქვათ ზედმეტი წყლის ხარჯვაზე.

გამოკვლევების მიხედვით, საანგარიშო საშუალო მელიორაციული მახასიათებლებია:

**I მასივისათვის (4 სარწყავი უბანი).**

აქტიური ფენა $H = 0{,}5$ მ. მოცულობითი მასა $\gamma = 1{,}103$ გ/სმ$^3$; საერთო ფორიანობა $P = 57{,}78$ %; ზღვრული ტენტევადობა $r = 39\%$; მაქსიმალური მოლეკულური ტენტევადობა $r_{\text{მაქსმოლ.ტენ}} = 14{,}55$ %;

**II მასივისათვის (3 სარწყავი უბანი).**

აქტიური ფენა $H = 0{,}4$ მ. მოცულობითი მასა $\gamma = 1{,}08$ გ/სმ$^3$; საერთო ფორიანობა $P = 59{,}8$ %; ზღვრული ტენტევადობა $r_{\text{ზღ.}} = 37{,}12\%$; მაქსიმალური მოლეკულური ტენტევადობა $r_{\text{მმტ}} = 14{,}38$ %;

მოცულობითი მახასიათებლების მიხედვით გამოანგარიშებული პროდუქტიული ტენი $m_{\text{პრ.}}$ და ოპტიმალური მორწყვის ნორმა $m_{\text{ოპტ.}}$ შეადგენს:

**I მასივისათვის:**

$m_{\text{პრ.}} = 100H\gamma(r_{\text{ზღ.}} - r_{\text{მმტ}}) = 100 * 0.5 * 1.103(39 - 14.55) = 1259$ მ$^3$/ჰა.=126 მმ.

$m_{\text{ოპტ.}} = 100H\gamma(r_{\text{ზღ.}} - r_{\text{ზღ.}}80\%) = 100 * 0.5 * 1.103(39 - 31.2) = 402$ მ$^3$/ჰა=40.2 მ მ .

**II მასივისათვის:**

$m_{\text{პრ.}} = 100H\gamma(r_{\text{ზღ.}} - r_{\text{მმ}}) = 100 * 0.4 * 1.08(38.12 - 14.38) = 982$ მ$^3$/ჰა.=98 მ მ .

$m_{\text{ოპტ.}} = 100H\gamma(r_{\text{ზღ.}} - r_{\text{ზღ.}}80\%) = 100 * 0.4 * 1.08(37.12 - 29.7) = 320$ მ$^3$/ჰა=32 მ მ .

მიღებული მონაცემის შედარება საპროექტო მონაცემთან გვიჩვენებს, რომ მათ შორის განსხვავება თვალსაჩინოა, კერძოდ, მოცულობითი მასა $\gamma = 0.885 - 1.185$ □/სმ$^3$ და ნაკლებია საპროექტოსთან შედარებით, რომლისთვისაც $\gamma_{\text{საპრ.}}$1.0-1.60 გ/სმ$^3$. საერთო ფორიანობა კი პირიქით, მეტია საპროექტოსთან შედარებით $P = 66.22 - 53.99$ %, ხოლო $P_{\text{საპრ.}} = 50.96 - 40.67\%$. მაქსიმალური მოლეკულური წყალტევადობა შესაბამისად ტოლია $r_{\text{მმტ}} = 17.8 - 11.01$ %; და $r_{\text{მმტ.საპრ.}} = 24.75 - 20.36$ %; ზღვრული ტენტევადობა $r_{\text{ზღ.}} = 46.0 - 33.5\%$; $r_{\text{ზღ.საპრ.}} = 36.12 - 24.68\%$; სრული ტენტევადობა $r_{\text{სრულ.}} = 56.0 - 38.5\%$; $r_{\text{ზღ.საპრ.}} = 38.30 - 25.58\%$.

აღნიშნული ცვლილებები მიგვანიშნებს ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებაზე გარკვეულ პერიოდში, რაც უნდა აიხსნას მიწების გასარწყავების და აგრეთვე, სარწყავ ფართობებზე მრავალწლიანი ბალახების მოყვანით, რომელიც, როგორც ცნობილია, აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ წყლოვან თვისებებს და სტრუქტურას.

ნიადაგის ტენიანობის რეჟიმის დინამიკის შესწავლის მიზნით, შერჩეულ იქნა ნაკვეთის ცხრა დამახასიათებელი პუნქტი (3 პუნქტი ურწყავი, 6 - სარწყავი), სადაც ყოველ 7-10 დღეში იზომებოდა ნიადაგის აქტიური ფენის ტენიანობა, როგორც ტენმზომით, ასევე ნიადაგის ნიმუშის აღებით და შემდგომი გამოშრობით.

**ნახაზი 1**

ნახ. 1. ატმოსფერული ნალექები (1), ჰაერის ტემპერატურის (2) და ნიადაგის ტენიანობის (3) ცვალებადობის გრაფიკები



**ნახაზი 2**




ნახ.2 ატმოსფერული ნალექები (1) ჰაერის ტემპერატურის (2) და ნიადაგის ტენიანობის (3) ცვალებადობის გრაფიკი

ნახაზებზე გამოსახული გრაფიკები შეესაბამება ურწყავ (1) და სარწყავ (2) უბნებს, რომლებზეც მოცემულია აღნიშნული დაკვირვების შედეგად მიღებული ნიადაგის ტენიანობის რეჟიმი – ნიადაგის ზღვრული (უმცირესი) ტენიანობიდან პროცენტებში. ამავე გრაფიკებზე დატანილია ატმოსფერული ნალექებისა და ჰაერის ტემპერატურის დღეღამური რყევადობის მრუდები. გრაფიკიდან ჩანს, რომ ატმოსფერული ნალექები და რწყვები აისახება ნიადაგის ტენიანობის რეჟიმში ცალკეული პიკების სახით.

წვიმით გამოწვეული პიკები ნახაზებზე მინიშნებულია წყვეტილი ისრებით, ხოლო ხელოვნური რწყვის შედეგად გამოწვეული პიკები მთლიანი ისრებით.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, სხვადასხვა კულტურის რწყვის რაოდენობა აღემატება 5-ს, მაშინ როდესაც საპროექტო მორწყვის რეჟიმის მიხედვით გათვალისწინებულია რწყვის შემდეგი რაოდენობა: მრავალწლიანი ბალახები 7-ჯერ, რწყვის ნორმით 800 $მ^3$/ჰა; სამარცვლე სიმინდი 9-ჯერ რწყვის ნორმით 700-800 $მ^3$/ჰა; საკვები ძირხვენები 7-ჯერ 600-700 $მ^3$/ჰა.

როგორც ვხედავთ, სარწყავი წყალი ფართობებს მიეწოდება გაზრდილი რაოდენობით, ვიდრე იგი სინამდვილეშია საჭირო, რაც შემდგომში თავისთავად გამოიწვევს ისეთ არასასურველ შედეგებს, როგორიცაა ფართობების მეორადი დამლაშება, ნიადაგების სტრუქტურის გაუარესება და სხვ. ყოველივე აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ნიადაგს მიეწოდოს იმდენი წყლის რაოდენობა, რამდენსაც ითვალისწინებს მასზე გაშენებული მცენარის წყალმოთხოვნილება.

ნახაზებზე წარმოდგენილი მრუდების გათვალისწინებით ადვილი დასადგენია, რომ ტემპერატურის გადიდებისა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის შემცირების კვალობაზე, ნიადაგის პროდუქტიული ტენის მარაგი ინტენსიურად მცირდება, რაც გამოწვეულია ჯამური აორთქლების (ანუ მცენარის წყალმოთხოვნილების ) გადიდებით.

მცენარის წყალმოთხოვნილების განსაზღვრისათვის მოცემულ გამოსახულებას შემდეგი სახე აქვს:

$$E = KD = 2.76D^{0.193}\left(\frac{H}{0.6}\right)^{1.04} * \left(\frac{r}{80}\right)^{0.3},$$

სადაც: $D$ არის ჰაერის ტენიანობის დეფიციტი;

$H$ - ნიადაგის აქტიური ფენა;

$r$ - მორწყვის წინ ნიადაგის ტენიანობა %-ში $r_{ზღ}$-დან.

სასოფლო სამეურნეო კულტურების არსებული მორწყვის რეჟიმის შესწავლა საშუალებას მოგვცემს კორექტირება შევიტანოთ მცენარეთა წყალმოთხოვნილების განსასაზღვრად, განზოგადებულ, მრავალფაქტორიან ფორმულაში, რაც საფუძვლად დაედო ცალკეული რეგიონების მიხედვით ოპტიმალური რწყვის რეჟიმისა და ტექნიკის შერჩევას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გელიაშვილი პ., სამელიორაციო სარწყავი მიწათმოქმედება, თბ., 1985.
2. ტალახაძე ი., ანჯაფარიძე ი., და სხვები, საქართველოს ნიადაგები, თბ., 1983.
3. ტუღუში გ., სასოფლო სამეურნეო კულტურების რწყვის რეჟიმი, თბ., 2000.
4. ყრუაშვილი ი., ინაშვილი ი., კუპრავიშვილი მ., ბზიავა კ., წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა, თბ., 2008.
5. ხმალაძე გ., საქართველოს წყლის რესურსები, საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი, თბ., 1997.
6. Shiklomanov I., John C. Rodda, World Water Resources at the Beginning of the Twenty-First Century. Cambridge University Press, illustrated edition, 2003.


**ოლღა ხარაიშვილი, მაია ლომიშვილი, მაია კიკაბიძე, ნინო მებონია**

**სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენების მიზნით ნიადაგის ფიზიკურ-წყლოვანი თვისებების დადგენა**

**რეზიუმე**

ნიადაგის ტენის დინამიკის გათვალისწინებით საველე ცდების მონაცემების დამუშავების შედეგად დადგენილია, რომ ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება ხდება გასარწყავებით და სარწყავ ფართობებზე მრავალწლიანი ბალახების მოყვანით, რაც აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ - წყლოვან თვისებებს. საჭიროა ნიადაგს მიეწოდოს იმდენი წყლის რაოდენობა, რამდენსაც ითვალიწინებს მასზე გაშენებული მცენარის წყალმოთხოვნილება.

**Olga Kharaishvili, Maia Lomishvili, Maia Kikabidze, Nino Mebonia**

**Selection of the Elements of Water Regime Considering the Features of the Soil's Physical-water Properties**

**Summary**

Taking into consideration the soil moisture level, that the soil structure is improved by irrigation and irrigation areas with multi-year grasses that improves the soil's physical-water properties. It is necessary to provide so much water to the soil as to the water requirement of planted plant.

**Олга Хараишвили, Маиа Ломишвили, Маиа Какабадзе, Нино Мебония**

**Выбор элементов водного режима с учетом физико-водных свойств почвы**

**Резюме**

Принимая во внимание уровень влажности почвы, установлено, что почвенная структура улучшается в орошительных районах с многолетними травами, которые улучшают физико-водные свойства почвы. Необходимо обеспечить столько воды в почве, сколько необходимо для посадки растений.

**ლალი ბაიდაური**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი**
**ოლდა ხარაიშვილი**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი**
**ნინო მებონია**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## რწყვის სხვადასხვა რეჟიმის პირობებში ახალქალაქის ცერცველას მწვანე მასის მოსავლიანობა მუხრან -საგურამოს ველის პირობებში

ერთწლოვან პარკოსან კულტურებს შორის, ცერცველას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია საკვებად გამოყენების მრავალფეროვნებისა და ხარისხიანი კალორიული საკვების მიღების თვალსაზრისით ახალქალაქის მწვანე მასა განსაკუთრებით მდიდარია კარიტონით (პროვიტამინით). 1 კგ. წმინდად ნათესი ახალქალაქის ცერცველას მწვანე მასა შეიცავს 56,2-78,5 მილიგრამს, თივა 37 მილიგრამს, ხოლო შვრიასთან ნათესი თივა 29,8 მილიგრამ კაროტინს. ახალქალაქის ცერცველა მდიდარია აგრეთვე ცილებით. ცერცველას ყოველი 10 კგ. სილოსი შეიცავს 1,8 კგ. მონელებად ცილას და 21,2 საკვებ ერთეულს. იგი გამოირჩევა მაღალი ყუათიანობით და ადვილად შესათვისებელი ნივთიერებების რაოდენობით. ახალქალაქის ცერცველას მწვანე მასას ხალისით და მადიანად ჭამს თითქმის ყველა სახის ცხოველი, ხოლო მისი თივა საუკეთესო საკვებად არის აღიარებული. მას აქვს მაღალი მონელების კოეფიციენტი, მწვანე მასაში ის აღწევს 69 % -ს, მშრალში კი 66 %-ს.

ახალქალაქის ცერცველას კარგი წინამორბედია სათოხნი კულტურები, პურეულები და ა.შ., ხოლო თვითონ საუკეთესო წინამორბედია მინდვრის ყველა კულტურის, განსაკუთრებით თავთავიანებისათვის.

ახალქალაქის ცერცველა ტენისადმი მომთხოვნი მცენარეა. ტენიანობის უკმარისობის შემთხვევაში ზრდა შეფერხებულია და მოსავალიც მკვეთრად ეცემა, განსაკუთრებით იზრდება ტენზე მოთხოვნილება ყვავილობის ფაზაში.

ახალქალაქის ცერცველა ითესება გაზაფხულზე, მწკრივად სათესი მანქანით თესლის ჩათესვის სიღრმე 4-5 სმ-ია. ადრე ნათესი ცერცველა სწრაფად ვითარდება და სქელ ბალახნარს ქმნის. მწვანე მასის საკვებად გამოყენებისათვის ცერცველას ადრე იღებენ (ყვავილობის დასაწყისში), ხოლო თივად-მასობრივი ყვავილობის პერიოდში. ამ დროს იგი შეიცავს სასარგებლო ნივთიერებათა მაქსიმალურ რაოდენობას.

თივის აღების დროს მწვანე მასა სწრაფად უნდა გაშრეს, კარგია ღვარეულებში გაშრობა, ამ პირობებში კაროტინის მეტი რაოდენობა იქნება შენარჩუნებული. ცერცველისათვის საუკეთესო კომპონენტია შვრია, როგორც მწვანე მასის, ისე თივის მაღალი მოსავლის მისაღებად შესანიშნავ მეწყვილეობას უწევს მას.

2004 – 2005 – 2006 წლებში შიდა ქართლის მუხრან-საგურამოს ველის პირობებში ცდების მონაცემების საფუძველზე ახალქალაქის ცერცველას რწყვის სხვადასხვა რეჟიმის პირობებში, როდესაც ნიადაგში ტენი იყო 55-60 %, 65-70 % და 75-80 % მოსავლის ნორმა მწვანე მასის საგრძნობლად იზრდება და მაქსიმუმს აღწევს, რადგანაც ნიადაგში ტენის რაოდენობა 75-80 %-ია.

1 ცხრილში მოცემული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ რწყვის სხვადასხვა რეჟიმის პირობებში, მწვანე მასის მოსავლიანობა ვარიანტების მიხედვით 10,7-19,9 ტონამდე გაიზარდა, როდესაც ცერცველა დათესილი იყო თებერვლის მესამე დეკადაში, მშრალად მოხნულ ნიადაგში. $N_{30}$ $P_{60}$ $K_{30}$-ის ფონზე ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის დროს 80 %-ის დროს მივიღეთ სწორედ ეს მაქსიმალური მოსავალი 19,9 ტ.ჰა-ზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ საკონტროლო ვარიანტში დანაყოფზე მწვანე მასის საშუალო მოსავალი 10,7 კგ-ს შეადგენს, დანარჩენი 4 ვარიანტის მაჩვენებელი თვალსაჩინოდ აღემატება მას. მაგალითისათვის, პირველ ვარიანტთან შედარებით, მესამე

განმეორების საშუალო, როცა ნიადაგში ტენის რაოდენობა იყო 55-66 საშუალო 11,3 კგ-ია და აჭარბებს პირველ ვარიანტს 0,6 კგ-ით, ანუ 105,6 %-ით. მესამე ვარიანტის სამი განმეორების საშუალო 16,4 კგ-ია და უსწრებს პირველ ვარიანტს 5,7 კგ-ით, ანუ 153,2 %-ით. მეოთხე ვარიანტის საშუალო მოსავალი 17,5 კგ-ია და უსწრებს პირველ ვარიანტს 6,8 კგ-ით და აჭარბებს პირველ ვარიანტს 7,13 კგ-ით, ანუ 66,6 %-ით. ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე გამოდის მეხუთე ვარიანტი, მეორეზე - მეოთხე ვარიანტი, მესამეზე მესამე ვარიანტი.

**ცხრილი 1**

| N ვარიანტის | ნიადაგის ტენიანობა რწყვის წინ | თესვის ვადა | აღმოცენების დასაწყისი | სრული აღმოცენება | ყვავილობის დასაწყისი | სრული ყვავილობა | პირველ ვადაში ნათესი მწვანე მასის მოსავალი დანაყოფზე გრ. | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | განმეორება | | | სამი განმეორების ჯამი | სამი განმეორების ჯამი |
| | | | | | | | I | II | III | | |
| **1.** | ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის 55-60%-ის დროს | 23.02 | 15.03 | 19.03 | 15,05 | 22,05 | 10,5 | 9,7 | 11,9 | 32,1 | 10,7 |
| 2. | | 23.02 | 15.03 | 19.03 | 15.05 | 22.05 | 10,6 | 11,6 | 11,7 | 33,9 | 11,3 |
| 3. | | 23.02 | 16.03 | 19.03 | 16.05 | 23.05 | 16,2 | 15,4 | 17,6 | 49,2 | 16,4 |
| 4. | | 23.02 | 16.03 | 18.03 | 16.05 | 23.05 | 18,0 | 17,5 | 17,1 | 52,6 | 17,5 |
| 5. | | 23.02 | 15.03 | 18.03 | 15.05 | 22.05 | 17,4 | 17,9 | 18,2 | 53,6 | 17,8 |
| 1. | ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის 65-70 %-ის დროს | 23.02 | 12.03 | 14.03 | 12,05 | 20,05 | 10,8 | 9,9 | 12,5 | 33,3 | 11,1 |
| 2. | | 23.02 | 13.03 | 14.03 | 12.02 | 20.05 | 10,9 | 11,9 | 12,9 | 35,7 | 11,9 |
| 3. | | 23.02 | 13.03 | 14.03 | 12.05 | 20.05 | 16,7 | 15,9 | 17,9 | 50,3 | 16,8 |
| 4. | | 20.02 | 12.03 | 15.03 | 11.05 | 19.05 | 18,6 | 17,9 | 17,7 | 54,2 | 18,1 |
| 5. | | 23.02 | 13.03 | 15.03 | 11.05 | 19.05 | 17,6 | 18,0 | 18,8 | 54,4 | 18,2 |
| 1. | ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის 75-80 %-ის დროს | 23.02 | 10.03 | 16.03 | 10.05 | 18.05 | 11.8 | 10,9 | 13,1 | 35,8 | 11,9 |
| 2. | | 23.02 | 9.03 | 16.03 | 10.05 | 18.05 | 12,7 | 12,5 | 13,5 | 39,7 | 12,9 |
| 3. | | 23.02 | 7.03 | 16.03 | 10.05 | 18.05 | 16,8 | 16,8 | 18,9 | 52,5 | 17,5 |
| 4. | | 23.02 | 8.03 | 16.03 | 10.05 | 18.05 | 20,1 | 18,8 | 19,0 | 57,9 | 19.3 |
| 5. | | 23.02 | 9.03 | 16.03 | 9.05 | 18.05 | 21,7 | 19,0 | 19,1 | 59,8 | 19,9 |

ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის 65-70 %-ის დროს პირველ ადგილზეა მეხუთე ვარიანტი, რადგან საშუალო მოსავალი 18,2 კგ პირველ ვარიანტთან შედარებით გაიზარდა 7,1-ით.

ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის 55-60 %-ის დროს სრულ ყვავილობაში შევიდა ახალქალაქის ცერცველა 22 მაისს, ხოლო 65-70 %- დროს 18 მაისს, 75-80 %-ის დროს 20 მაისს, ე.ი. ნიადაგში რაც უფრო მეტია ნიადაგის ზღვრული ტენტევადობა, მით უფრო სწრაფად იწყებს მცენარე აღმოცენებას და ყვავილობას მწვანე მასის მისაღებად. სწორედ ნიადაგში ტენის რაოდენობა როდესაც იყო 80 %, მივიღეთ მაქსიმალური მოსავალი 19,9 ტ.ჰექტარზე. თესვის ნორმა 1 ჰა-ზე იყო 120 კგ., რომლიდანაც 19,9 ტ მწვანე მასაა მიღებული. მწვანე მასაზე ცდებში მიღებული მონაცემების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ უკეთესი შედეგებით გამოირჩევა მეხუთე ვარიანტი ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის 80 %-ის დროს, მაღალია პროდუქციის ღირებულება, დაბალია თვითღირებულება და მეტია წმინდა შემოსავალი, მაღალია რენტაბელობის დონე. მწვანე მასის მისაღებად ახალქალაქის

ცერცველა საჭიროებს დროის მოკლე პერიოდს (90 დღეს) და ამდენად მისი მოყვანა ძირითადად შეიძლება შუალედური კულტურების სახით, გაზაფხულზე. ეს მნიშვნელოვანია სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების მიზნით წლის განმავლობაში ორი და სამი მოსავლის მისაღებად.

**ლალი ბაიდაური, ოლგა ხარაიშვილი, ნინო მებონია**

**რწყვის სხვადასხვა რეჟიმის პირობებში ახალქალაქის ცერცველას მწვანე მასის მოსავლიანობა მუხრან-საგურამოს ველის პირობებში**

**რეზიუმე**

ნიადაგის ტენიანობის ყველა რეჟიმის პირობებში, რაც უფრო მეტია ნიადაგში ტენის რაოდენობა (80 %), მით უფრო მატულობს ცერცველას მწვანე მასის მოსავალი, იზრდება კაროტინის (პროვიტამინის) შემცველობა. სწორედ ჩვენს შემთხვევაში მივიღეთ 78,5 მილიგრამი; 10 კგ. სილოსი შეიცავს 1,8 კგ მონელებად ცილას და 21,2 საკვებ ერთეულს, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ცერცველას მწვანე მასის მოსავალი გაიზარდა ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის 80 %-ის დროს. ამიტომ ჩვენ მოსავალი ავიღეთ ყვავილობის დასასრულსა და დაპარკების დასაწყისში და მივიღეთ მაქსიმალური მოსავალი 19,9 ტონა ჰა-ზე, რაც არის რეკორდული მაჩვენებელი ცერცველასათვის.

ცერცველა, როგორც საუკეთესო ერთწლოვანი პარკოსანი კულტურა ფართოდ უნდა დაინერგოს წარმოებაში, ის მეცხოველეობის საკვები ბაზის გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისა, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების საიმედო ღონისძიებაა.

**Lali Baidauri, Olga Kharaishvili, Nino Mebonia**

**Different Irrigation Regime of Akhalkalaki's Tsertsveli and it's Green Mass in the Valley of Muhran-Sagurgamo**

**Summary**

Under different conditions of soil moisture, as much moisture in the soil (80%), more yield increases, the increase in carotene (provitamins).. Tsertsveli as the best annual plant breeding crop in the field of production is a reliable measure of increasing soil fertility and also it increases the feed livestock and improves it's quality.

**Лали Байдаури, Олга Хараишвили, Нино Мебония**

**Различный режим орошения Ахалкалакского Церцвела и ее зеленой массы в долине Мухран-Сагурамо**

**Резюме**

При разных условиях влажности почвы, чем болше влаги в почве (80%), тем увеличевается урожай, увеличивается каротин (провитамины).. Церцвела, как лучшая годовая культура селекции растений в области производства, является надежной мерой повышения плодородия почв а также она увеличивает корм скота и улучшает его качество.

# იურიდიული მეცნიერებანი

**ელენა ბენდელიანი**
**საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დოქტორანტი**

## საქართველოში ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი

საქართველოში გასული ათწლეულის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა ინოვაციური პროექტების დანერგვა. განვითარების აღნიშნული მიმართულება წარმოადგენდა ცალკეულ სამინისტროთა სრუქტურული ერთეულების ფუნქციას. სპეციალიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო შეიქმნა 2014 წელს. მოგვიანებით, 2016 წელს, მიღებულ იქნა ინოვაციის შესახებ საქართველოს კანონი.

ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონისათვის მაგალითი აღებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1980 წელს გამოცემული „საპატენტო და სასაქონლო ნიშნის აქტის“ e.w. Bayh Dole მოდელიდან. სენატორების ბირჩ ბეილისა და რობერტ დოილის მიერ ინიცირებული, ზემოხსენებული აქტი საშუალებას აძლევს უნივერსიტეტებს, არაკომერციულ კვლევით ინსტიტუტებს და მცირე ბიზნესს ფლობდეს პატენტს მთავრობის დაფინანსებით შექმნილ ინოვაციური პროექტებზე, მოახდინოს მათი კომერციალიზაცია.

***„ინოვაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შექმნის განმაპირობებელი გარემოებები***

„ინოვაციის შესახებ“ კანონის შექმნის მთავარი აუცილებლობა განაპირობა „ქვეყნისათვის საჭირო ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა: კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ბიზნესისათვის ეფექტური გარემოს შექმნა, კომპლექსური ინფრასტრუქტურის აუცილებლობა, განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა, მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა და სხვ. აქვე დასახელებულია ის ფაქტიც, რომ საქართველოში აღნიშნული კანონის შემუშავებამდე არ არსებობდა სამართლებრივი ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებდა ინოვაციურ საქმიანობას, განსაზღვრავდა ინოვაციების მნიშვნელობას და ქმედით სამართლებრივ ჩარჩოს განუსაზღვრავდა შესაბამის დაინტერესებულ პირებს. შესაბამისად თავად კანონის დანიშნულებაა შექმნას ინოვაციების ეკოსისტემის სამართლებრივი ჩარჩო, განსაზღვროს ინოვაციური საქმიანობის სუბიექტები და მათი უფლებები, საჯარო ინტერესების შესაბამისად მოაწესრიგოს ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო დაფინანსების შედეგები, ასევე განსაზღვროს ცალკეული ინოვაციების ინფრასტრუქტურის დანიშნულებები, შექმნას ინტელექტუალური პროდუქტების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ერთიანი სისტემა, რომელიც მიმართული იქნება ასეთი პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გაძლიერებისაკენ.

გარდა ზემოთქმულისა, კანონის შემუშავება და მიღება ეხმიანება იმ მიზნებისა და ამოცანების ეტაპობრივ შესრულებას, რაც გამომდინარეობს ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან და ასოცირების დღის წესრიგიდან. ასოცირების შეთანხმებაში აქცენტირებულია ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციების მნიშვნელობა. ამიტომაც მასზე ჩანაწერები გვხვდება შეთანხმების სხვადასხვა კარში - კონკრეტულად ასოცირების შეთანხმების მე-9-ე თავში. იგი ეხება „ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს“ და მთავარ მიზნებად ასახელებს: „ა) ინოვაციური და შემოქმედებითი პროდუქტების წარმოებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა მხარეებს შორის“ და „ბ) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების ადეკვატური და ეფექტიანი დონის მიღწევას“ (შეთანხმება ასოცირების შესახებ 150-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები); ასოცი-

რების შეთანხმების მე-5 თავში, რომელიც ეხება სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკასა და სამთო-მოპოვებით საქმიანობას, 314-ე მუხლის დ-პუნქტში ასევე კეთდება აქცენტი ინოვაციური პოლიტიკის განვითარებაზე.

***კანონის მიღებასთან დაკავშირებული განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები***

„ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ აუცილებელი გახადა აღნიშნულ სფეროსთან გარკვეულწილად დაკავშირებულ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების განხორციელება. კერძოდ ცვლილება შევიდა 1) „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში; 2) საქართველოს საგადასახადო კოდექსში; 3) „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში.

- ***ცვლილება „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში და მისი მიზანი***

კანონის წინა რედაქციით გრანტის მიმღებთა ჩამონათვალში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან გათვალისწინებული იყო მხოლოდ კოოპერატივად რეგისტრირებული სუბიექტი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. ამგვარად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რეგისტრირებული სხვა მეწარმე სუბიექტები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას ესარგებლათ გრანტით. კანონის ნორმის ასეთი ფორმულირება ერთი მხრივ დისკრიმინაციული იყო და მეორე მხრივ შესაძლოა ფიქტიური საწარმოს შექმნისაკენ ებიძგებინა იმ სუბიექტებისათვის ვისაც გრანტით სარგებლობა სურდა. გაუგებარია რატომ მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებად რეგისტრირებულ სუბიექტებს განსაკუთრებული უპირატესობა, იმ პირობებში როდესაც ქვეყანაში მსგავსი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ცოტა სუბიექტია დარეგისტრირებული.

რადგან ინოვაციების შესახებ მიღებული კანონი ითვალისწინებდა ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, „გრანტის შესახებ“ კანონში შევიდა შემდეგი ცვლილებები: კანონის მე-2 და მე-4 მუხლებში შეტანილ იქნა ჩანაწერი: „გრანტად ითვლება ასევე „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გაცემული გრანტი“. იმავე კანონის მე-4-ე მუხლში გრანტის მიმღებად ასევე განისაზღვრა „საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გაცემული გრანტის შემთხვევაში;“

შესაბამისად განხილული ცვლილებებით გაიზარდა ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა ორი მიმართულებით: ა) შესაძლებელი გახდა ინოვაციური საქმიანობისათვის გამოყოფილ სახსრებს მიენიჭოს გრანტის სტატუსი და ბ) გაფართოვდა გრანტის პოტენციურ მიმღებთა წრე - გრანტის მიმღებად განისაზღვრა საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტები მიუხედავად ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმისა.

- ***„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ და „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში“***

ზემოთ აღნიშნულ ნორმატიულ დოკუმენტებში შევიდა ტერმინთან დაკავშირებული ცვლილება. ერთიანი საკანონმდებლო ტერმინოლოგიის დამკვიდრების მიზნით, საგადასახდო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტით დადგენილი ტერმინის „საინოვაციო“ ნაცვლად, აწესებს ტერმინს „ინოვაციური“. იმავე მიზნით ტერმინოლოგიის ცვლილება განხორციელდა „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში, სადაც ასევე გარკვეულ მუხლებში გამოიყენებოდა ტერმინი „საინოვაციო“. კეძოდ, ცვლილება შევიდა აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ა“ და

„გ“ პუნქტებში, ასევე მე-5 პრიმა მუხლის „თ“პუნქტში და 21-ე მუხლის სათაურსა და პირველ პუნქტში.

**ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონის მიმოხილვა**

სტატიის ამ ნაწილში წარმოგიდგენთ ინოვაციების შესახებ კანონის მოკლე მიმოხილვას.

- ***ახალი სამართლებრივი ცნებები და ტერმინები:***

კანონს შემოაქვს ახალი ცნებები და ტერმინები. მათ შორის: ინოვაცია, რომელიც კანონით განიმარტება ფართოდ და მოიცავს არა მხოლოდ ინოვაციურ პროდუქტს, არამედ ინოვაციურ პროცესს, ორგანიზაციულ ინოვაციასა და ინოვაციურ მარკეტინგს. აღნიშნული საშუალებას იძლევა ინოვაციური საქმიანობა გავრცელდეს ფართო მასშტაბით. კანონი, ამ ჩანაწერით, უფრო დეტალურს ხდის ინოვაციის განმარტებას და გამოყოფს ინოვაციის სხვადასხვა ტიპს. აღნიშნული 4 ძირითადი მახასიათებელი წარმოადგენს ამჟამად საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული ინოვაციების ძირითად სახეობებს. დეტალური სახელდება ამარტივებს სხვადასხვა კონკრეტიზებული ინოვაციური პროექტების შემუშავებისა და დაფინანსებისათვის არჩევანის გაკეთებას.

საინტერესოა ასევე ინოვაციების ეკოსისტემის ცნება - ინოვაციურ ეკოსისტემად განიმარტება „ეროვნული და რეგიონალური ინოვაციების სისტემების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფოს, საგანმანათლებლო, სამრეწველო, სამეცნიერო და კერძო სექტორების თანამშრომლობას და მიმართულია სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცოდნის შექმნისაკენ, განვითარებისაკენ, გავრცელებისა და გამოყენებისაკენ ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობისა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით“. კანონის შინაარსიდან გამომდინარე ინოვაციების ეკოსისტემამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის პროდუქტიულობის ამაღლებას, რომლის შედეგადაც უნდა შეიქმნას ახალი პროდუქტები და საკითხთა ტექნოლოგიური გადაჭრის გზები. ეკოსისტემის ცნება ინოვაციის ფრაგმენტული განვითარების საპირისპირო მოვლენას ასახას, შესაბამისად აღნიშნულმა ჩანაწერმა ხელი უნდა შეუწყოს უწყებებს შორის ინოვაციების ეკოსისტემის ფარგლებში თანამშრომლობასა და კოორდინირებულ მუშაობას.

- ***ინოვაციების სფეროს სტრატეგია და მის შემუშავება–განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოები***

ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონის მესამე მუხლში მოცემულია ინფორმაცია ინოვაციების სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის შესახებ. კანონში არსებული ეს ჩანაწერი უკვე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქვეყნისათვის პრიორიტეტული გახდა ინოვაციების მიმართულებით სისტემური და არა ფრაგმენტული განვითარება. ინოვაციების სფეროში არსებული სტრატეგია უნდა იყოს ის ერთიანი დოკუმენტი რომელიც შესაბამისობაში მოვა ქვეყნის განვითარების ძირითად სტრატეგიასთან და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობას.

კანონმა ასევე განსაზღვრა აღნიშნული სტრატეგიის მომზადებასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოებიც. „ინოვაციების სფეროში სახელმწიფო სტრატეგიას წარადგენს მთავრობის სათათბირო ორგანო - კვლევებისა და ინოვაციების საბჭო, ხოლო ამტკიცებს საქართველოს მთავრობა“.

ამავე კანონის მეოთხე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს მოვალეობაა „ინოვაციების ეკოსისტემების განვითარება–კოორდინაცია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სექტორებს შორის“. აღნიშნული ჩანაწერი ეხმიანება ამავე კანონის მესამე მუხლს და ხელს უწყობს ქვეყანაში ერთიანი ინოვაციების სტრატეგიის შექმნას. ასევე საინტერესოა, რომ ამ ჩანაწერში ყურადღება გამახვილდა საგანმანათლებლო და სამეცნიერო სექტორების როლზეც.

კანონის მიხედვით გამოიკვეთა ორი ძირითადი უწყება, რომელიც პასუხისმგებელია ინოვაციების განვითარების ხელშეწყობაზე: 1) კვლევებისა და ინოვაციების საბჭო; 2) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგნტო.

კანონი განსაზღვრავს კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შემდეგ ფუნქციებს ინოვაციების სფეროში: ინოვაციების შესახებ სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების კოორდინაცია; საქართველოს განვითარების პოტენციალის შესაბამისად, მთავრობისათვის საქართველოში ინოვაციის საქმიანობების შესახებ ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და წარდგენა.

აღნიშნულის პარალელურად, კანონი განსაზღვრავს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ძირითად ამოცანებს, რომლის თანახმად სააგენტომ ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციების კომერციალიზაციას და მოახდინოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება

- ***ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა***

ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონი ქმნის ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის სამართლებრივ ჩარჩოს და განსაზღვრავს თითოეული ელემენტის ფუნქციურ სტატუსს.

- ***ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება***

ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონი აყალიბებს ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების წყაროს და პრინციპებს. კერძოდ, სააგენტოს მიერ ინოვაციური პროექტების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური რესურსის დაგეგმვა და გამოყენება ხდება გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, მიუკერძოებლობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით. ამასთან, კანონით დადგენილია განხორციელებული და მიმდინარე ინოვაციური საქმიანობისა და ამ მიზნით გახარჯული ფინანსური რესურსების შესახებ ყოველწლიური ანგარიშის კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს მიერ საქართველოს მთავრობისათვის წარდგენის ვალდებულება. (მუხლი: 16,17, 18 საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ).

აღსანიშნავია, რომ კანონში გამოიკვეთა სააგენტოს უფლება დააფინანსოს კონკრეტული ინოვაციური სააქმიანობა თუ ინფრასტრუქტურა. ამავე კანონის მე-16 მუხლის მიხედვით ინოვაციური პროექტის დაფინანსება რეგულირდება „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთან დაფინანსებისას სააგენტო არ არის შეზღუდული იმაში, რომ იპოვოს თანადამფინანსებელი პარტნიორი ორგანიზაცია (მუხლი 17 პუნქტი 2; „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი).

- ***ინტელექტუალური საკუთრების უფლება***

ინტელექტუალური საკუთრების უფლებას საქართველოში არეგულირებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ამ სფეროს მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული აქტია. აღნიშნულ კანონთან ერთობლიობაში „ინოვაციების შესახებ“ საქართელოს კანონი ადგენს ინოვაციური საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტთა უფლებების დეტალურ ჩამონთვალს. კერძოდ, მე-19 მუხლი განამტკიცებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების კომერციალიზაციით მიღებული შემოსავლიდან გამომგონებლის ან სასარგებლო მოდელის შემქმნელის გარანტირებული შემოსავლის მიღების უფლებას.

ინოვაციების შესახებ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს მიერ ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილ გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე საკუთრება ეკუთვნის დამსაქმებელს ან შემკვეთს. ამავე მუხლის მეორე და მესამე პუნქტით განსაზღვრულია ინტელექტუალური საკუთრების მფლობელის ვალდებულებებიც მიუთითოს გამომგონებლის ან სასარგებლო მოდელის შემქმნელის სახელი, ასევე გასცეს საკუთრების უფლების კომერციალიზაციიდან გამომგონებლის გარანტირებული წილი. გარანტირებული წილის მოცულობა დგინდება საქართველოს

მთავრობის №379 დადგენილებით, რომელზეც კანონი მიუთითებს. აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად სააგენტოს მიერ დაფინანსებულ ინოვაციურ პროექტზე ორგანიზაციის მიერ პატენტის მოპოვების შემდეგ გამომგონებელს უნდა მიეცეს წილი პატენტიდან მიღებული ყოველწლური შემოსავლის არანაკლებ 30%-ის ოდენობით, პატენტის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

ზემოთ აღნიშნული ჩანაწერით კანონის მე–19 მუხლი მთავრობის №379 დადგენილებასთან ერთად ადგენს გამომგონებლის მინიმალურ სავალდებულო სარგებელს. ამასთან კანონის დასახელებული ნორმა ალტერნატიული ხასიათისაა და მხარეებს (დამსაქმებელს და დასაქმებულს) შესაძლებლობას აძლევს თავისუფლად დადონ ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ იგი კანონით დადგენილზე უარეს პირობებს არ მიანიჭებს დასაქმებულს. აღნიშნული ჩანაწერი ადგენს დასაქმებულის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტს და ამასთან მინიმალურად ზემოქმედებს კერძოსამართლებრივი გარიგების თავისუფლებაზე. „სავალდებულო წილის“ შესახებ ჩანაწერი გამომგონებელს აძლევს საშუალებას გარანტირებულად დაიცვას საკუთარი ქონებრივი უფლებები ისე, რომ დამფინანსებლისაგან არ დამალოს გამოგონება.

მე-20-ე მუხლი ეხება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გამოგონებაზე ან/და სასარგებლო მოდელზე მიღებული პატენტიდან გამომდინარე უფლების მიმართ საჯარო ინტერესის დაცვის მექანიზმს. კანონი განსაზღვრავს იმ შემთხვევების შეზღუდულ ჩამონათვალს, როდესაც ხდება საჯარო ინტერესის დაცვის მექანიზმის ამოქმედება. აღნიშნული რეგულაციის მიზანია სახელმწიფოს მიერ გაწეული ფინანსური დახმარების შემხვედრი მოლოდინების რეალიზება. კანონმდებელი მიზნად ისახავს გამოყოფილი მატერიალური სახსრები ათვისებულ იქნეს მიზნობრივად და ეფექტიანად და შედეგად შექმნილი პროდუქტი წარმოადგენდეს საზოგადო, გამოყენებად სიკეთეს. აღსანიშნავია, თუ სახელმწიფო, უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე იღებს გადაწყვეტილებას ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციაზე, ასეთ შემთხვევაშიც კომერციალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი გადაეცემა ინტელექტუალური საკუთრების უფლების მქონეს და არა სახელმწიფოს (კანონი ინოვაციების შესახებ-განმარტებითი ბარათი).

ინოვაციების შესახებ კანონის 21-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოს უფლებას მისი დაფინანსებით განხორციელებული ინოვაციური პროექტის დაფინანსებიდან მოითხოვოს მომდევნო 7 წლის განმავლობაში ამ პროექტის შემოსავლიდან წილი, წლიურად არაუმეტეს 5%-ის ოდენობით. აღნიშნული წილის დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის №379 დადგენილებით. კანონში მოცემული ჩანაწერი „ინოვაციური პროექტის დაფინანსების მომდევნო 7 წლის განმალობაში მოითხოვოს...“ შემოსავლიდან გარკვეული წლიური წილი შინაარსობრივად გვეუბნება, რომ დაფინანსების განგრძობადობაა 7 წელი. მაგრამ ციტატის ბუნდოვანი შინაარსობრივი მხარე ასევე გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სხვა ინტერპრეტაციით გავიაზროთ აღნიშნული ჩანაწერი. კერძოდ, კანონის ზოგადი შინაარსიდან გამომდინარე ეს ციტატა შეიძლება გულისხმობდეს, რომ სახელმწიფო წილის მოთხოვნის უფლებამოსილება მოქმედებს დაფინანსების მომენტიდან 7 წლის განმავლობაში. ასევე არ არის გამართლებული სახელმწიფომ მოითხოვოს ზემოთ აღნიშნული წილი დაფინანსებიდან მომდევნო 7 წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ათვლის წერტილი უნდა იყოს არა დაფინანსებიდან ათვლილი დროის პერიოდი, არამედ ინოვაციის კომერციალიზაციიდან ათვლილი 7 წელი.

მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონის გარკვეული ნაწილები საჭიროებს დაზუსტებას, ეს ცოცხალი და მუშა პროცესია. უდავოდ ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონის მიღება და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები ინოვაციების რეგულირების სფეროში წინ გადადგმული ნაბიჯია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014.
2. საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“.
3. საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“.
4. საქართველოს „საგადასახადო კოდექსი“.
5. საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“.

აღნიშნული ნორმატიული აქტების ნახვა შესაძლებელია საქართველოს „საკანონმდებლო მაცნეში“

**ინტერნეტ-წყაროები:**

https://info.parliament.ge/#law-drafting/11580
http://www.innovation.pitt.edu/resource/bayh-dole-act-at-a-glance/
https://www.law.cornell.edu/cfr/text/37/401.14


**ელენა ბენდელიანი**

**საქართველოში ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი**

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია 2016 წელს მიღებული საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“, ასევე გაანალიზებულია კანონის მიღების განმაპირობებელი გარემოებები და კანონთან დაკავშირებული სხვა ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებები.

**Elena Bendeliani**

**Analysis of Legislative Base On Innovation Activities in Georgia to the Changes**

**Summary**

The article deals with the Law of Georgia "On Innovations" adopted by 2016 and also analyzes the circumstances that stipulated law adoption and changes in other normative acts related to the law.

**Елена Бендельяни**

**Анализ законодательной базы, связанной с инновационной деятельностью в Грузии**

**Резюме**

В статье рассматривается Закон Грузии «Об инновациях», принятый к 2016 году, а также анализируются обстоятельства, которые обусловили издание закона и паправок в других нормативных актах, связанных с ним.

**თინა ქაჩიბაია**
**სამართლის მაგისტრი**

## სამკვიდრო მოწმობის გაცემის კოლიზიური საკითხი

მემკვიდრეობითი სამართალი მნიშვნელოვანი იყო ცივილიზაციის ყველა ეტაპზე და დღესაც არ კარგავს აქტუალობას, რადგან საზოგადოებრივი ცვლილებები ხშირად ააშკარავებს სამართლის ამ დარგის რეგულირებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს, რომელთა აღმოფხვრით დაინტერესებულია როგორც მამკვიდრებელი, ისე მემკვიდრე, ანუ საზოგადოების თითოეული წევრი. ინტერესის საყოველთაო ხასიათს ისიც განაპირობებს, რომ მემკვიდრეობით გადაცემა არა მარტო მატერიალური სარგებელი უძრავ-მოძრავი ქონების სახით, არამედ მოვალეობებიც.

როგორც ცნობილია, სამემკვიდრეო ურთიერთობის ბოლო ეტაპს სამკვიდრო მოწმობის გაფორმება და გადაცემა წარმოადგენს. სასამართლო განხილვის საგანი ხშირად ხდება სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა და მოსარჩელის მესაკუთრედ აღიარება. მსგავსი დავების ერთ-ერთ მიზეზს კოლიზიური საკითხი განაპირობებს. უნდა აღინიშნოს, რომ სამკვიდრო მოწმობის გაცემის კოლიზიური საკითხი დიდი ხანია არსებობს, მაგრამ დღემდე არ განხილულა.

პირის გარდაცვალების შემდეგ დღის წესრიგში დგება მისი სამკვიდრო ქონების ბედი. საზოგადოება, გარდაცვლილის ახლობლები, ხშირად სამემკვიდრეო სამართალში გაუთვითცნობიერებლობის, ან სხვა ავი ზრახვების გამო შეგნებულად, ან შეუგნებლად, არღვევენ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პირველი პრობლემა თავს იჩენს მაშინ, როდესაც ნოტარიუსი მემკვიდრისაგან ითხოვს დოკუმენტების წარდგენას, ერთ-ერთ მემკვიდრესთან გასაუბრებისას კრებს ინფორმაციას კანონით მემკვიდრეთა წრის შესახებ. მხოლოდ ასეთი ზეპირი გამოკითხვით ადგენს კანონით მემკვიდრეთა წრეს. ცხადია, დიდია ალბათობა, რომ მემკვიდრეს, რომელმაც მიმართა ნოტარიუსს განცხადებით სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნით, შეუძლია, არ წარადგინოს სრული დოკუმენტები ან/და დაფაროს სიმართლე, სრულად არ დაასახელოს კანონით მემკვიდრეები. ნოტარიუსს არა აქვს სხვა გზა და უნდა ენდოს წარმოდგენილი მემკვიდრის ცრუ ინფორმაციას. შესაბამისად, ნოტარიუსი გასცემს სამკვიდრო მოწმობას, რომელიც შემდგომში, როგორც წესი, სადავო ხდება.

სამკვიდრო მოწმობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მეექვსე წიგნის მეთოთხმეტე თავი ეთმობა, იგი მოიცავს 1499-ე – 1503-ე მუხლებს. სამკვიდრო მოწმობის ცნება განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1499-ე მუხლის 1-ლი და 2-ე ნაწილებით: „1. მემკვიდრედ მოწვეულ პირებს შეუძლიათ სანოტარო ორგანოსაგან მოითხოვონ სამკვიდრო მოწმობა. 2. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამკვიდრო მოწმობის მიღება სავალდებულოა“(1, 353).

აღნიშნული მუხლი მიუთითებს სამკვიდრო მოწმობის მიღების შესაძლებლობას შესაბამისი სანოტარო ორგანოსგან, თუმცა პასუხი კითხვებზე, თუ რა არის სამკვიდრო მოწმობა და რისთვის სჭირდებათ იგი მემკვიდრეებად მოწვეულ პირებს, აქ არ არის განმარტებული. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1499-ე მუხლი დასახვეწია, რადგან სრულფასოვნად არ არის გამოკვეთილი სამკვიდრო მოწმობის ცნება და ფუნქცია.

ზემოთ აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი მემკვიდრეებს შესაძლებლობას აძლევს, სანოტარო ორგანოსგან მოითხოვონ სამკვიდრო მოწმობის მიღება, რაც მემკვიდრის უფლებაა და არა მოვალეობა(5, 443), ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილი უთითებს იმას, რომ სამკვიდრო მოწმობის მიღების სავალდებულობას განსაზღვრავს კანონი, ანუ სამკვიდრო მოწმობის მიღება სავალდებულოა მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (2, 524). მაგალითად, იმისთვის, რომ მემკვიდრემ

მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება დაირეგისტრიროს, საჭიროა, ჯერ მიიღოს სამკვიდრო მოწმობა, რის საფუძველზეც მოხდება საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს მემკვიდრე, შეხედულებისამებრ განკარგოს თავის საკუთრებაში მემკვიდრეობის საფუძველზე გადასული ქონება. მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მემკვიდრემ უნდა მიმართოს იუსტიციის სახლის ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ოფისს და წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტები.

სამკვიდრო მოწმობის მისაღებად მემკვიდრემ წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოს. აღსანიშნავია, რომ სამკვიდრო მოწმობის გაცემა შეუძლია მხოლოდ ნოტარიუსს. სამკვიდრო მოწმობის გაცემა ნოტარიუსის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. ამასთან, სამკვიდრო მოწმობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად რეგულირდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის 71 ბრძანებით „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის ი) პუნქტის მიხედვით, ნოტარიუსის ფუნქციაა „სამემკვიდრეო საქმის წარმოება და სამკვიდრო მოწმობის გაცემა“(3). ასევე აღნიშნული ინსტრუქციის 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია ის, რომ „ნოტარიუსი გასცემს სამკვიდრო მოწმობას, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში იღებს ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, აღწერს სამკვიდრო ქონებას, ნიშნავს სამკვიდროს მმართველს“(3).

სამკვიდრო მოწმობის რეგულირებას კანონი მნიშვნელოვან ყურადღებას უნდა აქცევდეს, რადგან სამემკვიდრეო ურთიერთობის ბოლო ეტაპი სამკვიდრო მოწმობის გაფორმება და გადაცემაა (5, 443). სამკვიდრო მოწმობა ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს მამკვიდრებლის უფლებამონაცვლეობის საფუძველზე სამკვიდროს მიღების ფაქტს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1500-ე მუხლით განსაზღვრულია სამკვიდრო მოწმობის გახსნის ვადა: „სამკვიდრო მოწმობა ეძლევათ მემკვიდრეებს სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს“(1, 354).

აქედან გამომდინარე, სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეს ან მემკვიდრეებს უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს, სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ, მიმართონ და მოსთხოვონ სანოტარო ბიუროს - ნოტარიუსს - სამკვიდრო მოწმობის გაცემა. ამასთან აღსანიშნავია, რომ სამკვიდრო მოწმობის მიღების, სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ განცხადება შეიძლება წარედგინოს ნებისმიერ ნოტარიუსს სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის მიუხედავად, რაც გამომდინარეობს „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის 71 ბრძანების 77-ე და 78-ე მუხლებიდან. აღნიშნული ინსტრუქციის 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მიუთითებს, რომ „ნოტარიუსი გასცემს სამკვიდრო მოწმობას“, ხოლო 2-ე ნაწილით ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ფუნქციებს ასრულებს ნოტარიუსი სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის მიუხედავად“. ამავე ინსტრუქციის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, „სამკვიდროს მიღების (სამკვიდრო მოწმობის გაცემის), ან სამკვიდროს მიღებაზე უარის, ან სამკვიდროსთან დაკავშირებული სხვა შინაარსის შესახებ განცხადება შეიძლება შედგეს საჯარო ან კერძო აქტის ფორმით“, ხოლო 2-ე ნაწილით, „ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული განცხადება შეიძლება წარედგინოს ნებისმიერ ნოტარიუსს“ (3).

„სამკვიდროს გახსნიდან ექვსთვიანი ვადა დადგენილია იმისთვის, რომ სანოტარო ორგანომ და დაინტერესებულმა პირებმა მიიღონ განსაზღვრული ზომები მემკვიდრეების გამოსავლენად, სამკვიდრო ქონების დასაზუსტებლად, სამკვიდროს მიღებასთან

დაკავშირებული ღონისძიებების განსახორციელებლად და სხვა“(5, 445), თუმცა ექვს თვეზე ადრე სამკვიდრო მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო ორგანოს - ნოტარიუსს - მოეპოვება ცნობა სხვა მემკვიდრეების არარსებობის თაობაზე. სამკვიდრო მოწმობა მიეცემათ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა, ე.ი. ფაქტობრივად ფლობენ ან მართავენ სამკვიდრო ქონებას, ან შეიტანეს განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ სანოტარო ბიუროში“ (6, 177).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამკვიდროს მიღებისა და სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ განცხადება წარედგინება ნებისმიერ ნოტარიუსს, თუმცა განცხადებასთან ერთად აუცილებლად უნდა იქნეს წარდგენილი დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება მემკვიდრეობის ნამდვილობა. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის 71 78-ე მუხლის 2-ე პუნქტით, „განცხადების მიღების აუცილებელი პირობაა ნოტარიუსისათვის პირის გარდაცვალების მოწმობის წარდგენა. გარდაცვალების მოწმობის წარდგენა არ არის აუცილებელი, თუ ნოტარიუსთან უკვე ინახება იგი ან სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში უკვე რეგისტრირებულია მამკვიდრებლის სამკვიდროს გახსნის ფაქტი სხვა ნოტარიუსის მიერ“(3), ნოტარიუსისათვის წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე უნდა დადგინდეს მამკვიდრებლის გარდაცვალების ფაქტი, სამკვიდროს გახსნის ადგილი და დრო, ნათესაური ან საოჯახო ურთიერთობა მამკვიდრებელსა და მემკვიდრეებს შორის, სამკვიდროს შემადგენლობა, სამკვიდროს ადგილსამყოფელი, სამკვიდრო ქონების სამართლებრივი მდგომარეობა და ა.შ. ამასთან, ნოტარიუსს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმეტების წარდგენა. ასევე, ანდერძით მემკვიდრეობის დროს დამატებით საჭიროა ანდერძის არსებობის დადასტურება, აგრეთვე იმ პირთა წრის გარკვევა, რომელთაც სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნიათ, თუმცა ნოტარიუსი ვერ ახერხებს სიმართლის დადგენას.

პრაქტიკაში, არცთუ იშვიათად, გვხვდება მაგალითები, როდესაც სამკვიდრო მოწმობა გაიცემა ნოტარიუსის მიერ, პირის იმ ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ხშირად არ შეესაბამება სიმართლეს. ნოტარიუსი ვერ ადგენს მემკვიდრეთა რიგს და რიგში წევრთა რაოდენობას, რასაც არც კანონი ავალდებულებს, შესაბამისად, ნოტარიუსი, ეყრდნობა რა ცრუ ინფორმაციას, ვერ განსაზღვრავს კანონიერ წილს, ხოლო გაცემული სამკვიდრო მოწმობა ხდება დავის საგანი. ამ გარემოებების გამო საკითხი მეტად პრობლემატური და აქტუალურია.

პრობლემის უკეთ გააზრებისათვის განვიხილოთ 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება №-ას-571-542-2014, რომელიც ეხება თანამესაკუთრედ აღიარებას, ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობას, სავალდებულო წილის მიკუთვნებას. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ძმის-მოპასუხის წინააღმდეგ (4, 103). აღნიშნულ საქმეში გამოიკვეთა ის, რომ სავალდებულო წილი კანონით მემკვიდრეს ყველა შემთხვევაში ეკუთვნის, რადგან მოსარჩელე წარმოადგენდა კანონით მემკვიდრეს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქონება მამკვიდრებელმა მოპასუხეს დაუტოვა ანდერძით. კანონით, სავალდებულო წილით, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა მიეღო მემკვიდრეობა. შესაბამისად, როდესაც ნოტარიუსი გასცემს სამკვიდრო მოწმობას, ეს იქნება ანდერძისა თუ კანონის საფუძველზე, მან უნდა დაადგინოს მემკვიდრეთა ზუსტი წრე, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გასცეს სამკვიდრო მოწმობა. მემკვიდრის მიერ ნოტარიუსისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება იწვევს შემდგომში პრობლემებს, სასამართლო დავებს.

მსგავსი პრობლემა გამოიკვეთა შემდეგ შემთხვევაში: 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება №-ას-692-658-2015, ეხება სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობას, მესაკუთრედ ცნობას. აღნიშნულ საქმეში გამოიკვეთა, რომ მოპასუხემ მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის მასზე გაცემა და ასევე მიუთითა, 1-ლი რიგის სხვა მემკვიდრეები არ არსებობდნენ (4, 103, 156).

ჩვენ შეგვიძლია, უსასრულოდ მოვიყვანოთ მსგავსი მაგალითები. ანალოგიურ შემთხვევათა სიუხვეს მივყავართ დასკვნამდე, რომ სასამართლო დავები გამოწვეულია ყოველთვის ერთ-ერთი კანონისმიერი მემკვიდრის განზრახ ქმედებით, რომელიც არასწორ, ცრუ ინფორმაციას აწვდის ნოტარიუსს სხვა კანონით მემკვიდრის საზიანოდ. ეს უკანასკნელნი კი იძულებულები ხდებიან აღადგინონ თავიანთი დარღვეული უფლება სასამართლოს წესით.

აღნიშნული პრობლემა დგას სხვა ქვეყნების კანონმდებლობებშიც. მაგალითად, მოლდოვაში.

სამკვიდრო მოწმობას როგორც საქართველოში, ისე მოლდოვაში გასცემენ მხოლოდ ნოტარიუსები. მოლდოვაში სამკვიდრო მოწმობის კანონით ან ანდრეძით მემკვიდრეებზე გაცემამდე ნოტარიუსი არკვევს მემკვიდრეობაზე უფლების მქონე პირთა წრეს. აფრთხილებს მემკვიდრეებს პასუხისმგებლობისა და ფარული ცნობების შესახებ, რომლებიც სხვა მემკვიდრეებს შეეხება, თუმცა საკითხი მაინც პრობლემურია, რადგან მემკვიდრეთა წრის დადგენა ზეპირსიტყვიერად ხორციელდება განმცხადებლის ნდობის საფუძველზე. სამკვიდრო მოწმობის გაცემა რისკია, იქიდან გამომდინარე, რომ მემკვიდრე, რომელიც პირველი მოითხოვს განცხადებით სამკვიდრო მოწმობის გაცემას, განცხადებაში არ უთითებს სავალდებულო მემკვიდრეს, შესაბამისად, ეს იწვევს ხშირ სასამართლო დავებს, რაც ამ ქვეყანაშიც არსებული პრობლემის სიმწვავეს უსვამს ხაზს.

ამრიგად, მოლდოვის მემკვიდრეობით სამართალში არსებობს საქართველოს კანონმდებლობის ანალოგიური პრობლემა მემკვიდრეთა წრის დადგენის თაობაზე.

2009 წლის 28-29 მაისს სანკტ-პეტერბურგში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა ქალაქ კიშინიოვის ნოტარიუსი ა.ა. პიატაკი. მან ისაუბრა ზემოთ აღნიშნულ პრობლემაზე და გამოთქვა აზრი, რომ იგი გადაეწყვიტათ რუმინეთის მიხედვით. რუმინეთში არსებობს „საპროცესო დოკუმენტი, როგორც მოწმეთა დაკითხვის ოქმი. იკითხებიან ახლო ნათესავები, ნათლიები, რომლებიც იცნობდნენ მამკვიდრებელს, რათა გამორიცხონ შემდეგი დავები მემკვიდრეთა წრის შესახებ, რასაც კარგი შედეგი აქვს“ (7). დაკითხვის თაობაზე დგება ოქმი.

სამკვიდრო მოწმობის გაცემის საკითხს გულდასმით, კანონმდებლობის მკაცრი დაცვით უდგებიან საბერძნეთში. ამ ქვეყნის კანონმდებლობით, სამკვიდროს მისაღები სანოტარო აქტის მოსამზადებლად, ნოტარიუსი მოითხოვს მამკვიდრებლის სიკვდილის დამადასტურებელ საბუთს ან ანდერძით მემკვიდრეობის ხარისხს. მემკვიდრეებს ევალებათ, წარმოადგინონ სამოქალაქო მუნიციპალიტეტის რეესტრიდან გამოთხოვილი გარდაცვალების ფაქტი და ახლო მემკვიდრეების ამონაწერი. პირმა ასევე უნდა გამოითხოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოდან სერთიფიკატი (ცნობა), რომელიც ადასტურებს, რომ გარდაცვლილის ანდერძი გახსნილია ან რომ არ არსებობს ამ პირის არცერთი გახსნილი ანდერძი.

ანდერძით მემკვიდრეობის ხარისხი მტკიცდება ნოტარიუსის წინაშე ანდერძის ლეგალიზებული ასლისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაცემული სერთიფიკატის წარდგენით (8).

განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან, საბერძნეთის კანონმდებლობით, მემკვიდრეობის ხარისხი მტკიცდება გარდაცვლილსა და მემკვიდრეს შორის არსებული ნათესაური კავშირით, რასაც ასაბუთებს ახლო მემკვიდრეების ამონაწერი.

პიროვნების გარდაცვალების დროს მემკვიდრეები თუ შთამომავლები დანაკარგის გამო ემოციურ დატვირთვას განიცდიან, მიუხედავად ამისა, მათ სამგლოვიარო სამუშაოებთან ერთად უნდა გაითვალისწინონ მრავალი სამართლებრივი ასპექტი.

უფრო მკაცრად დგას საკითხი გერმანიაში. საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, გერმანიის კანონმდებლობით, მემკვიდრეები სამკვიდრო მოწმობისათვის განცხადებით მიმართავენ სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს. ამასთან, კომპეტენტურია იმ უბნის სასამართლო, რომლის მოქმედების რაიონშიც იყო ჩაწერილი

და ცხოვრობდა მამკვიდრებელი უკანასკნელად (9). გერმანიის კანონმდებლობით, თუ არსებობს ანდერძი, ხოლო პირი ამას უმალავს კომპეტენტურ სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს, მაშინ ეს პირი დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 274-ე მუხლის თანახმად. პირს, რომელიც დაფარავს, გაანადგურებს ან დააზიანებს დოკუმენტს, რომელიც არ ან მხოლოდ ნაწილობრივ ეკუთვნის მას, ემუქრება ფულადი ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით (10).

გერმანიის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საქართველოში პირი, რომელიც დამალავს ანდერძს ან ცრუ ინფორმაციას მიაწვდის ნოტარიუსს, არ ისჯება. უფრო მეტი, არსად არ არის მითითებული, თუ რა პასუხისმგებლობა დაეკისრება ასეთ პირს, მიუხედავად იმისა, რომ ნოტარიუსი აფრთხილებს მას პასუხისმგებლობის შესახებ.

ამდენად, აუცილებელია სამკვიდრო მოწმობის მკაცრი რეგულაციები და აი, რატომ:

1.ძირითადი სირთულეა კანონიერ მემკვიდრეთა სრული წრის დადგენა. სამკვიდრო მოწმობას გასცემს ნოტარიუსი. მას არა აქვს მემკვიდრეთა წრეში პირთა რაოდენობის პირადად შემოწმების საშუალება. მართალია, განმცხადებელს ნოტარიუსი ავალდებულებს მემკვიდრეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტების წარდგენას, ზეპირსიტყვიერად განუმარტავს არასწორი ინფორმაციის მიწოდებისას წარმოშობილ პასუხისმგებლობაზე, მაგრამ დაუსჯელობაში დარწმუნებული განმცხადებელი ხშირად განზრახ მალავს სხვა კანონიერ მემკვიდრეთა არსებობას, შეცდომაში შეჰყავს ნოტარიუსი, რომელიც გასცემს, ცხადია, სადავო სამკვიდრო მოწმობას.

2. ნოტარიუსს, არ არის რა ვალდებული პირადად მოიძიოს მემკვიდრეობის საქმის წარმოებისათვის აუცილებელი დოკუმნტები, არ ეკისრება პასუხისმგებლობა.

3.ცრუ ინფორმატორი, ნოტარიუსის გაფრთხილების მიუხედავად, განზრახ არღვევს კანონს, არ უთითებს სხვა მემკვიდრის არსებობაზე. პასუხისმგებლობა სამოქალაქო კანონმდებლობით მას არ ეკისრება.

4.განხილული პრობლემა გამოვლინდა მოლდოვაში, სადაც პრობლემა რუმინეთის მაგალითის მიხედვით გადაწყვიტეს.

ჩვენი მოსაზრებით, საქართველომ გერმანიისა და საბერძნეთის გამოცდილება უნდა გაიზიაროს, რაც არსებულ რობლემებს დაარეგულირებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2017.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ., 2000.
3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის 71 ბრძანება სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, თბ., 2010, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1010061
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, მემკვიდრეობითი სამართალი 4, თბ., 2016.
5. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2015.
6. ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2000.
7. https://notariat.ru/ddata/label-file/2627.pdf

8. http://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf
9. http://www.erbrecht-heute.de/Aktuell/Der-Erbschein-Antrag.html
10. http://www.anwalt.org/erbschein/

**თინა ქაჩიბაია**

**სამკვიდრო მოწმობის გაცემის კოლიზიური საკითხი**

**რეზიუმე**

სტატია შეეხება სამკვიდრო მოწმობის გაცემის კოლიზიურ საკითხს, რომელიც დიდი ხანია არსებობს, მაგრამ დღემდე არ განხილულა. კერძოდ, პრობლემაა ნოტარიუსის მიერ მემკვიდრეთა წრის დადგენა. სტატიაში წარმოდგენილია რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც სამკვიდრო მოწმობის გაცემა დაეფუძნება უტყუარ ინფორმაციასა და დოკუმენტებს, რის შედეგადაც ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობის გასაჩივრებისა და შესაბამისად, სასამართლო დავების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდება.

**Tina Kachibaia**

**Conflict of Norms Regarding Issuance of Inheritance Certificate**

**Summary**

This Article concerns the longstanding controversial matter of issuing of inheritance certificate that has not been discussed so far. Namely, the problem relates to establishing the circle of heirs by a notary. This Article proposes the recommendation according to which issuing of inheritance certificate should be based on irrefutable documents and information which will significantly reduce the appeal of inheritance certificate issued by a notary and consequently, the number of legal disputes.

**Тина Качибая**

**Противоречивый вопрос о выдаче свидетельства о наследовании**

**Резюме**

В статье рассматривается противоречивый ворпос о выдаче свидетельства о наследовании. Несмотря на долгую историю етой проблемы, вопрос до сегоднешнего дня не обсуждался. В частности, проблема заключается в определении круга наследников со стороны нотариуса. В статье представлена рекомендация, на основе которой выдача свидетельства о наследстве будет основана на точной информации и документах, в результате чего в выданном нотариусом свидетельства о наследстве количество жалоб и судебных спор будут значительно сокращены.

# ჰუმანიტარული მეცნიერებანი

**მაია თევზაძე**
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

## გენდერული სტერეოტიპები და ენაში მათი გამოხატვის კომუნიკაციური სტრატეგიები

თანამედროვე სოციალური მეცნიერება ერთმანეთისაგან განასხვავებს სქესსა და გენდერს. სქესი არის ბიოლოგიური მოვლენა, ტერმინი, რომელიც ტრადიციულად იხმარება ადამიანთა იმ ანატომიურ-ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების გამოსახატად, რომელთა საფუძველზეც ადამიანური არსებები იყოფა მამაკაცებად და ქალებად. თუმცა, ადამიანებს შორის ბიოლოგიური განსხვავებების გარდა არსებობს მათი სოციალური როლების, მოღვაწეობის ფორმების, ქცევისა და ემოციური მახასიათებლების განსხვავებები. მამაკაცებისა და ქალების სოციალური მახასიათებლების მრავალფეროვნების გათვალისწინებით მკვლევარები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ბიოლოგიური სქესი ვერ ხსნის სხვადასხვა საზოგადოებაში არსებულ განსხვავებებს სოციალურ როლებს შორის (2, 21). შესაბამისად ჩნდება ახალი ტერმინის, გენდერის, შემოყვანის საჭიროება, რომელიც ნიშნავს იმ სოციალური და კულტურული ნორმების ერთობლიობას, რომელთა შესრულებასაც ავალებს საზოგადოება ადამიანებს მათი ბიოლოგიური სქესის მიხედვით.

გენდერული სტერეოტიპები, ეს არის კულტურაში ფორმირებული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორია მოცემული კულტურის სინამდვილეში მამაკაცებისა და ქალების ქცევა. ისინი განაპირობებენ და წინასწარ განსაზღვრავენ ქცევის ფორმებს, სოციალურ როლებს, მსოფლმხედველობრივ პოზიციას, ემოციური თვითგამოხატვის ფორმას სქესობრივი მიკუთვნებულობის ფარგლებში (ოპოზიციას მასკულინური/ფემინური).

გენდერულ სტერეოტიპს შეიძლება ჰქონდეს როგორც საერთაშორისო, ზოგადსაკაცობრიო ხასიათი, ასევე იგი შეიძლება გამოხატავდეს სქესის ასპექტში მენტალიტეტის თავისებურებებს, დამახასიათებელს მხოლოდ განსახილველი კულტურებისთვის. გენდერული სტერეოტიპის ყველაზე მეტად დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს შორის ჩვენ განვიხილავთ შემდეგს:

- ენაში მამაკაცის/ქალის მენტალური ხატის ფიქსირება, რომელიც გამდიდრებულია გარკვეული ემოციური შეფერილობით;
- იმპერატიული ხასიათი: გენდერული სტერეოტიპი აწესებს გარკვეულ ნორმებს და ჩარჩოებს ორივე სქესისათვის, მათი გენდერული ქცევისათვის;
- როლების რეგლამენტაცია: მკვეთრად ხდება მამაკაცებისა და ქალების სოციალური ფუნქციების განსაზღვრა და გადანაწილება;
- გენდერული სტერეოტიპის ფარგლებში განსაზღვრულია ხატის რიგიდულობა;
- გენდერული სტერეოტიპის განმაზოგადებელი ხასიათი.

წარმოდგენა რეალური სინამდვილის შესახებ, გამოხატული გენდერული სტერეოტიპის საშუალებით, იწვევს სამყაროს ხატის გამარტივებას, რედუცირებას, უფრო მეტიც, ბადებს ცრურწმენებს, აშორებს ადამიანს სინამდვილისაგან. ამგვარად, გენდერული სტერეოტიპი ერთი მხრივ შეიძლება იყოს საფუძველი ცალკეული ინდივიდის ცნობიერებაში არსებული რეალობის ხატის ფორმირებისათვის და პიროვნების სოციალიზაციისათვის, ხოლო მეორე მხრივ, კარნახობს რა სქესობრივ-როლებრივი ქცევის ნორმებს, შეიძლება ასრულებდეს პიროვნების შემდგომი განვითარების შემაფერხებლის როლს.

გენდერული სტერეოტიპი არის სოციალური მოვლენა, ჩნდება როგორც საზოგადოების ფუნქციონირების პროდუქტი. მის ფორმირებას ადგილი აქვს სხვადასხვა დონეზე და ისეთი ფაქტორების გავლენით, როგორებიცაა სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ადამიანის ფსიქოლოგიური თავისებურებები, ფასეულობითი ორიენტაციები, საზოგადოების კულტურული განვითარების დონე.

შეიძლება გამოვყოთ ნიშან-თვისებების ბინარული ოპოზიციები, რომლებიც სტერეოტიპულად მიეწერება მამაკაცსა და ქალს:

- ლოგიკურობა-ინტუიტიურობა, აბსტრაქტულობა-კონკრეტულობა. ინსტრუმენტალურობა-ექსპრესიულობა. უპირველეს ყოვლისა, მასკულინობა უკავშირდება ლოგიკურობას, ხოლო ფემინობა-ინტუიტიურობას;

- ინსტრუმენტალურობა-ექსპრესიულობა. არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ ქალური მგრძნობიარეობა, ემპათიურობა, ემოციური ექსპრესიულობა განასხვავებს მას მამაკაცისაგან მისი ინსტრუმენტალური სიდინჯით, რაც ორიენტირებულია მიზანსა და კომპეტენტურობაზე. აღნიშნული თვისებების გამო ითვლება, რომ ქალები უფრო მოქნილები და ემპათიურები არიან, მამაკაცები კი - სულიერად უფრო ძლიერები და ძალაუფლების მოყვარულნი.

- ძალაუფლება-მორჩილება. ფემინურად ითვლება ასევე ერთგულება, მსხვერპლად შეწირვის უნარი, მოთმინება, მორჩილება. მამაკაცს განიხილავენ, როგორც აღნიშნულის საწინააღმდეგო თვისებების მატარებელს. ამის გამო მასკულინური და ფემინური საწყისები ყოველთვის გაიაზრებოდა ძალაუფლება-მორჩილების კატეგორიებით. მამაკაცს მიეწერებოდა იმისი უფლება, რომ ებრძანებლა ქალზე, ყოფილიყო მისი მფარველი და ხელმძღვანელი, ხოლო ქალის უფლებას წარმოადგენდა ის, რომ მისი სიყვარულის სანაცვლოდ ჰყოლოდა გვერდით მამაკაცი და ძლიერი მფარველი;

- დამოუკიდებლობა-ინდივიდუალიზმი, სიახლოვე-კოლექტიურობა. მნიშვნელოვანი გენდერული სტერეოტიპი მდგომარეობს იმაში, რომ ქალებისათვის დამახასიათებელია დაინტერესება პირველ რიგში არა კონკრეტული ამოცანების ობიექტებითა და რეალიებით, არამედ იმ ადამიანთა კეთილდღეობით, რომლებიც შეადგენენ მათი ახლობლების წრეს. ისინი პირველ ადგილს ანიჭებენ ადამიანებს შორის ურთიერთობებს, მაშინ როდესაც მამაკაცები ყველა საზოგადოებაში არიან ბევრად უფრო დამოუკიდებლები, დომინანტურები, ძალაუფლების მოყვარულები და გაბედულები, ქალები კი - უფრო ფრთხილები, დემოკრატიულები, თანაგრძნობის უნარის მქონე და მორჩილები;

- იმპულსურობა, აქტიურობა-სტატიკურობა, პასიურობა. თანამედროვე მკვლევარები ერთმანეთს უპირისპირებენ აქტიურობას, რისკისკენ მიდრეკილებას, დესპოტურობას, იმპულსურობას მამაკაცებში და მორჩილებას, პასიურობას, სისუსტეს ქალებში;

- მერყეობა, არასტაბილურობა, არაერთგულება, რადიკალიზმი - სტაბილურობა, ერთგულება, კონსერვატიზმი. არსებობს სტერეოტიპული წარმოდგენა, რომ ქალისათვის დამახასიათებელია კონსერვატულობა, ერთგულება, ხოლო მამაკაცისათვის - რადიკალიზმი, არასტაბილურობა (1).

გენდერული სტერეოტიპები, ისევე როგორც ზოგადად სტერეოტიპები, მეტისმეტად ამარტივებენ რეალურ სიტუაციას, თუმცა კოლექტიურ საზოგადოებრივ ცნობიერებაში მათ მყარად აქვთ ფესვები გადგმული და მოდიფიცირდებიან ძალიან ნელა.

გენდერული სტერეოტიპის გამოხატვის მთავარ საშუალებას წარმოადგენს ენა: სახელს არქმევს რა სქესთან დაკავშირებულ ამა თუ იმ მოვლენას, ენა ამავე დროს განსაზღვრავს მის ნიშან-თვისებებს, რომლებიც აპრიორი უნდა ახასიათებდეს მოცემული სქესის წარმომადგენლებს. ამგვარად, კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული დომინანტი სტერეოტიპები ინახება ცალკეული ინდივიდის ცნობიერებაში და ძალაში შედის ენის ამოქმედებასთან ერთად, რაც ახდენს მათ ექსპლიცირებას.

გენდერული სტერეოტიპიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული შეფასებით კატეგორიასთან და გავლენას ახდენს მოლოდინებზე ამა თუ იმ სქესის წარმომადგენელთა გარკ-

ვეულ ქცევასთან დაკავშირებით. გენდერული სტერეოტიპები აისახება ენაში როგორც მყარი შესიტყვებების სახით, ასევე ზოგადი წარმოდგენებით ქალებისა და მამაკაცების შესახებ (კაცები არიან რაციონალურები, ქალები - ემოციურები; კაცები გონებით აზროვნებენ, ქალები კი - გულით,...).

მამაკაცებისა და ქალების კომუნიკაციური სტრატეგიების კვლევისას პირველ პლანზე გამოდის განსხვავება სამეტყველო სტილებში, რაც განპირობებულია აღზრდითა და კომუნიკანტების სოციალური დიფერენციაციით. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით სქესთა კომუნიკაციური სტრატეგიების განსხვავება თავისი ფესვებით ადრეულ ბავშვობას უკავშირდება. მამაკაცები და ქალები თავიდანვე ითვისებენ ენას ორ განსხვავებულ, ბიჭებისა და გოგონების, სამყაროში. ზრდასთან ერთად საზოგადოება მათ თავს ახვევს გარკვეულ მოთხოვნებს და გამოიმუშავებს ქცევის ნორმებსა და სტერეოტიპებს, დამახასიათებელს მამაკაცებისა და ქალებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ქალს ეძლევა საშუალება იყოს უფრო უშუალო თავისი რეაქციების გამოხატვაში, რისი შედეგიც არის თავშეუკავებლობა, ემოციურობა, სენტიმენტალურობა, დამახასიათებელი მისი სამეტყველო ქცევისთვის (6, 15). ამის საპირისპიროდ მამაკაცის სამეტყველო ქცევის ტიპურ ნიშანს წარმოადგენს ემოციური თავშეკავებულობა, გრძნობების დამალვის მცდელობა, სურვილი, რომ წარმოჩინდეს ერთგვარ შეუვალ არსებად. ქალების მეტყველება მამაკაცების მეტყველებასთან შედარებით ხასიათდება მეტი ემოციური შეფასებებით, ჰიპერბოლებით, შედარებებით, ხშირი გადართვით თემებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული კომუნიკაციურ სიტუაციასთან. მამაკაცების სამეტყველო ქცევა, როგორც წესი, მიმართულია დამოუკიდებლობისა და მაღალი სტატუსის მიღწევისა და შენარჩუნების სურვილისაკენ. ქალები უმეტესწილად ლაპარაკობენ, რათა დაამყარონ კონტაქტი, ხოლო მამაკაცები - რათა გამონახონ პრობლემის გადაჭრის საშუალება (7, 13).

კომუნიკაციური სტრატეგიების განსხვავებებზე დიდ გავლენას ახდენს ასევე მამაკაცებისა და ქალების სოციალური ფუნქციონირების ხასიათი. მამრობითი სქესის კომუნიკანტები იკავებენ სოციალური ჩართულობის ბევრად უფრო დიდ სივრცეს, ხოლო ქალები კმაყოფილდებიან ხშირად ოჯახისა და პირადი ურთიერთობების სფეროთი.

ვინაიდან მამაკაცები და ქალები მიეკუთვნებიან განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს და შესაბამისად ასრულებენ განსხვავებულ სოციალურ როლებს, საზოგადოებაც მათგან ელის სამეტყველო ქცევის გარკვეულ მოდელებს. მართლაც, არსებობს სამეტყველო ქცევის გენდერული დიქოტომია. კომუნიკაციის მასკულინური ტიპი არის ნაკლებად მოქნილი, მაგრამ მეტად დინამიური. მამაკაცების კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ჟანრია საუბარი-ინფორმაცია, ხოლო ქალების - კერძო საუბარი. ფემინური კომუნიკაცია ორიენტირებულია თანამოსაუბრეზე, დიალოგზე, კომუნიკაციაში დაქვემდებარებულ როლზე, სადაც მამაკაცი ირჩევს ან ცვლის სასაუბრო თემას (5, 126).

მამაკაცებისა და ქალების სამწერლო ენის განსხვავებების კვლევა (3, 54) იძლევა შემდეგ რეზულტატებს: ქალების მიერ დაწერილი ტექსტები აღმოჩნდა უფრო გრძელი, წინადადებებში სიტყვების მეტი რაოდენობით, ნაკლებად მრავალფეროვანი ლექსიკით, ზმნებისა და ნაწილაკების სიმრავლით, მაღალი სოციალური შეფასებით, ემოციურობით, კავშირებითი კილოს ხმარებით, მარტივი წინადადებებით, კავშირებით, კონკრეტული არსებითი სახელებით. მამაკაცები, პირიქით, აღმოჩნდნენ შედარებით ნაკლებად წიგნიერები, რეალისტური შეფასებისკენ ორიენტირებულები. ისინი იყენებენ მეტ არსებით სახელს, ზედსართავს, რიცხვით სახელებს, ბრძანებით კილოს, რთულ წინადადებებს, დაქვემდებარებულ კავშირებს და აბსტრაქტულ არსებით სახელებს. შესაბამისად, გაჩნდა აზრი, რომ მამაკაცები ასახავენ სამყაროს მახასიათებლების, ფერების მეტი მრავალფეროვნებით. ენაში ფიქსირდება პატრიარქალური განწყობა: მასში მყარად აქვს ფეხი მოკიდებული სტერეოტიპებს, რომელთა თანახმად ქალისათვის დამახასიათებელია ბევრი მანკი, რის გამოც მამაკაცის მასთან შედარება ყოველთვის არის ნეგატიური ელფერის მატარებელი: ქალივით ჭორიკანა, ცნობისმოყვარე, პრანჭია, საკუთარ თავში შეყვარებული, ჭირვეული, ისტე-

რიული, ქალის ლოგიკა; ქალს კი მამაკაცთან შედარება მხოლოდ უკეთესს ხდის, მაგალითად, როდესაც მასზე ამბობენ, რომ აქვს მამაკაცის გონება (თავი, ტვინი), კაცის ხასიათი, და ა. შ. (4, 101).

როგორც აღნიშნავს დებორა ტანენი, მამაკაცი და ქალი ენას სხვადასხვა მიზნით იყენებენ: ქალი საუბარს მიიჩნევს როგორც პიროვნებათაშორისი ურთიერთობების მნიშვნელოვან ნაწილს. მამაკაცი კი, პირიქით, იყენებს საუბარს, რათა გვაჩვენოს, რომ იგი აკონტროლებს სიტუაციას, საუბარი ეხმარება მას რომ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და გაზარდოს თავისი სტატუსი. ავტორი განასხვავებს კომუნიკაციური სტილების ორ მნიშვნელოვან მახასიათებელს: ჩართულობა და დამოუკიდებლობა. მამაკაცები დამოუკიდებლები არიან, ხოლო ქალები - ჩართულნი არიან კომუნიკაციაში, სადაც მათ აქვთ მეორადი როლი (7).

მამაკაცები უფრო მგრძნობიარენი არიან ყველაფერი ახლისადმი ენაში, მათ მეტყველებაში ვხვდებით მეტ ტერმინს, მეტ ნეოლოგიზმს. ქალის მეტყველება ამ მხრივ უფრო ნეიტრალურია, მის ლექსიკაში უფრო ხშირად გვხვდება მოძველებული სიტყვები და კონსტრუქციები. მისი მეტყველება ბევრად უფრო ემოციურია, რაც გამოიხატება შორისდებულების, მეტაფორების, შედარებების, ეპითეტების უხვ ხმარებაში. ქალის ლექსიკონში მეტია გრძნობების, ემოციების გამომხატველი სიტყვები, ისინი ბევრად ხშირად ხმარობენ ევფემიზმებს, მათთან ბევრად უფრო აქტიურად გვხვდება ზმნები მეორე პირში ორივე რიცხვში (გახსოვთ? მისმინე! იცი? წარმოგიდგენია?...). ქალებისთვის დამახასიათებელია რთული ზედსართავები, ზმნიზედები, კავშირები. ისინი უფრო ხშირად იყენებენ კონკრეტულ არსებით სახელებს, ხოლო მამაკაცები - აბსტრაქტულს. თუმცა დადგენილ იქნა, რომ განათლების დონის ამაღლებასთან ერთად აღნიშნული ორი ტიპის მეტყველებას შორის განსხვავება მცირდება და სრულიადაც ქრება (5, 129).

ძალიან მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ XXI საუკუნის დასაწყისში ქალისა და მამაკაცის ტრადიციული როლებრივი სტრუქტურების ცვლილებებთან ერთად ქალის თვითშეგნებაში ჩნდება ახალი ნიშნები. იმისათვის, რათა თავი დაიმკვიდროს ამდენად რთულ, კრიზისულ ეპოქაში, იყოს მამაკაცის თანასწორუფლებიანი, ქალი უნდა იყოს ჭკვიანი, ენერგიული, აქტიური, მაშასადამე მას უნდა ჰქონდეს თვისებები, რომლებიც ადრე ითვლებოდა მამაკაცის მონოპოლიად. შესაბამისად, ჩვენ პატრიარქალური განწყობების ნგრევის მოწმენი გავხდით, მოხდა სქესებს შორის არსებული კონფლიქტის გააზრება, რასაც აუცილებლად მივყავართ ადამიანის ბუნების განხილვის, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობების სტერეოტიპებისა და შესაბამისად ენაში მათი ასახვის კომუნიკაციური სტრატეგიების მოდიფიცირებასთან.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Бердяев Н. А. О назначении человека. М., 1993
2. Воронина, О. А. Теоретико-методологические основы гендерных исследований / О. А. Воронина // Теория и методология гендерных исследований. Курс лекций / под общ. ред. О. А. Ворониной.- М., МЦГИ - МВШСЭН - МФФ, 2001
3. Горошко, Е. И. Особенности мужского и женского стиля письма / Е. И. Горошко // Гендерный фактор в языке и коммуникации : сб. науч. тр. Вып. 446. – М.: МГЛУ, 1999.
4. Горошко, Е. И. Языковое сознание: гендерная парадигма / Е. И. Горошко // Методология современной психолингвистики : сб. науч. тр. – М. ; Барнаул : Изд-во Алт. ун-та, 2003. Маслова, В. А. Лингвокультурология / В. А. Маслова. – М. : Изд. центр «Академия», 2004.
5. Токарева, Е. Н. Специфика выражения оценки в гендерном дискурсе (на материале совр. англ. яз) : автореф. дис. ... канд. филол. наук / Е. Н. Токарева. – Уфа : Башк. гос. ун-т, 2005. – 27 с.
6. Tannen Deborah .You just Don't Understand. *Women and Men in Conversation* .Ballantine, 1990.

**მაია თევზაძე**

**გენდერული სტერეოტიპები და ენაში მათი გამოხატვის კომუნიკაციური სტრატეგიები**

**რეზიუმე**

გენდერული სტერეოტიპი განაპირობებს და წინასწარ განსაზღვრავს ქცევის ფორმებს, სოციალურ როლებს, მსოფლმხედველობრივ პოზიციას, ემოციური თვითგამოხატვის ფორმას სქესობრივი მიკუთვნებულობის ფარგლებში. გენდერული სტერეოტიპიზაცია ფიქსირდება ენაში, მჭიდროდ არის დაკავშირებული შეფასებით კატეგორიასთან და გავლენას ახდენს მოლოდინებზე ამა თუ იმ სქესის წარმომადგენელთა გარკვეულ ქცევასთან დაკავშირებით.

XXI საუკუნის დასაწყისში ქალისა და მამაკაცის ტრადიციული როლებრივი სტრუქტურების ცვლილებებთან ერთად მოხდა სქესებს შორის არსებული კონფლიქტის გააზრება, რასაც აუცილებლად მივყავართ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობების სტერეოტიპებისა და შესაბამისად ენაში მათი ასახვის კომუნიკაციური სტრატეგიების მოდიფიცირებასთან.

**Maya Tevzadze**

**Gender Stereotypes and the Communication Strategies of their Expression in the Language**

**Summary**

Gender stereotypes form and predetermine behavior, social roles, general outlook and form of emotional expression based on which sex an individual belongs to. Gender stereotypes appear in language, they are closely related to a person's evaluation system and affect the expectations of behavior of different sexes.

In the beginning of XXI century, with the changes of the traditional roles of women and men, new signs appear in the woman's self-consciousness. The existing conflicts between sexes have been analyzed, which brings us to modification of stereotypes in relationships between men and women and consequently, modification of the communication strategies in the language as well.

**Майя Тевзадзе**

**Гендерные стереоитипы и коммуникативные стратегии их отражения в языке**

**Резюме**

Гендерные стереотипы обусловливают и определяют формы поведения, социальные роли, мировоззренческие позиции, форму эмоционального самовыражения в аспекте половой принадлежности. Гендерная стереотипизация фиксируется в языке, тесно связана с оценочной категорией и оказывает влияние на ожидания в связи с определённым поведением представителей обоих полов.

В начале XXI века в связи с изменениями в традиционных ролевых структурах мужчин и женщин в женском самосознании появляются новые черты, пришло осознание существующего конфликта половых ролей, что обусловливает модифицирование как гендерных стереотипов, также соответственно коммуникативных стратегий их отражения в языке.

**მაია თევზაძე**
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

## ფრაზეოლოგიზმები, როგორც სტერეოტიპული აღქმის მარკერები ენაში

ხვდება რა გაურკვეველ სიტუაციებში, ადამიანი ცდილობს აღიქვას ისინი მისთვის უკვე ნაცნობი ცნებების პრიზმაში. რაც უფრო ნაკლებად ესმის სიტუაცია, მით უფრო სტერეოტიპული, ბანალური და შაბლონურია ცნებები, რომელთაც იგი იყენებს მისი კოგნიტური ათვისებისათვის. სწორედ აქ პრეცედენტული ფენომენები და ფრაზეოლოგიზმები იწყებს უმნიშვნელოვანესი როლის შესრულებას, იმდენად, რამდენადაც ასახავს მასობრივი ცნობიერების მდგომარეობას.

სტერეოტიპი არის შაბლონური აზროვნების პროდუქტი, იმ აზროვნების, რომელიც ყალიბდება ეთნოსში რაიმე ცნების აღნიშვნის მოთხოვნილებისა და მისი გამოხატვის მრავალლექსემიან ფორმას შორის რეგულარული კავშირის საფუძველზე. სტერეოტიპული კონსტრუქციები განიხილება როგორც მდგრადი კულტურულ-ენობრივი შტამპები. სტერეოტიპიზაცია მიმდინარეობს იმპლიცირების, ინფორმაციის კომპრესიის, მიჩვეულ სქემებამდე მისი რედიცურების პროცესის პარალელურად.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში იმპლიციტურობის მოვლენა ერთ-ერთი იმათგანია, რომელთაც ეთმობა მკვლევართა ძალიან დიდი ყურადღება. მასზე ვლაპარაკობთ, როდესაც ტექსტის შინაარსი გამომდინარეობს არა მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობებიდან, არამედ განპირობებულია წარმოთქმის პირობებით. იმპლიციტურობა განიხილება როგორც მესიჯის გადამცემისა და ადრესატის ურთიერთობის, მათი საერთო პრესუპოზიციების, ფონური ცოდნის, ინტენციისა და ა. შ. შედეგი. იგი გამოიხატება აზრის კომპრესიაში. ცალკეული სახელები, ენობრივი ერთეულები და მათი შერწყმა ახდენს საკუთარ თავში დიდი ლინგვისტური და კულტურული ინფორმაციის აკუმულირებას. მკვლევართა უმრავლესობა იმპლიკაციას განიხილავს ენობრივი ქმედების საბაზისო კანონების პარალელურად. სტერეოტიპიზაცია, მეტაფორიზაცია, მითოლოგემებისა და სიმბოლოების, სცენარებისა და ფრეიმების შექმნა, ინტერტექსტუალურობა და პრეცედენტულობა, სიტყვათა თამაში და სხვა პროცესები და მოვლენები გვევლინება ამ საერთო ქმედების ცალკეულ მხარეებად. ერთ-ერთი ამგვარი მხარე, ჩვენის აზრით, არის ფრაზეოლოგიზაცია. ფორმირდება რა ცალკეული სიტყვების თავისუფალი შეთანხმებების საფუძველზე, ფრაზეოლოგიური ერთეულები ფიქსირდება ენაში როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ნიშნები, ასე თუ ისე წყვეტს სემანტიკურ კავშირებს პროტოტიპ სიტყვათშეთანხმებებთან. შემდგომ, კონტექსტში, მყარი სიტყვათშეთანხმებების ტრანსფორმაციის პროცესის გავლენით ფრაზეოლოგიზმების კომპონენტები თანდათან იღებს მეორად სემანტიკურ დამოუკიდებლობას პოტენციური ლექსიკური ერთეულების სახით, რის შემდეგაც ისინი იძენს უნარს დაამყარონ ახალი კავშირები ლექსიკურ ერთეულებთან, ამზადებს რა ნიადაგს ფრაზეოლოგიური ტიპის ახალი გარდაქმნებისათვის.

ფრაზეოლოგიზმები არ არსებობს ეთნოსის მიერ მისი ინტერპრეტაციის პროგრამის გარეშე. მის ცნობიერებაში გამომუშავებულია ინტერპრეტაციის გარკვეული შტამპები. განვასხვავებთ ფრაზეოლოგიზმების ორმაგ ფუნქციონირებას მეტყველებაში: (ა) როგორც მეტყველი სუბიექტის ლინგვო-კრეატიული ტექნიკის ელემენტი (ასრულებს რა მისი დახასიათების ფუნქციას) და (ბ) როგორც სხვათა სიტყვები, რომლებიც არ მიეკუთვნება მოცემული პირის მეტყველებას. უკანასკნელ შემთხვევაში სტერეოტიპები წარმოადგენს უპირობო სტერეოტიპებს.

ისმება კითხვა: რა უწყობს ხელს ფრაზეოლოგიაში სტერეოტიპული კონსტრუქციების, როგორც შაბლონური აზროვნების შედეგის წარმოქმნას?

სემანტიკური კვლევის პრაქტიკაში ცნობილია სტერეოტიპული ანალიზის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა ენობრივ ნიშანში გამოვყოთ ნიშნის სოციალიზაციით

განპირობებული კომპონენტები. აღნიშნული მეთოდის ავტორი, ბ. ფრადენი (1), სტერეოტიპს განიხილავს როგორც იმ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას, რომლებიც მიეწერება ობიექტს კულტურული ფაქტორის გავლენით. მაგალითად, ვაანალიზებთ რა ლექსემის "წყალი" სემურ შემადგენლებს, ფრადენი სემას "თხევადი" უწოდებს სემანტიკურ მარკერს, ხოლო სემას "წყურვილის მომკვლელი" - სტერეოტიპს, ვინაიდან მას ადგილი აქვს მოცემულ სიტყვაში მხოლოდ წყლის აღნიშნული თვისების შესახებ ადამიანში ფიქსირებული შეხედულების წყალობით.

ფრაზეოლოგიურ სემიოზისში გასარკვევად ძალიან მოკლედ შეგვიძლია გავიხსენოთ ჩარლზ მორისის (5) მიერ ლექსიკური სემიოზისის აღწერა, რომელშიც მონაწილეობს ხუთი ფაქტორი: 1) ის, რაც ასრულებს ნიშნის როლს (მატერიალური ფორმა); 2) ის, რაზეც მიუთითებს ნიშანი, ე. ი. დესიგნატი (ექსტრალინგვისტური, ობიექტური სამყაროს სფერო) ობიექტური სამყაროს აღნიშნულ ფრაგმენტებს ვიტგენშტეინი (2) უწოდებდა ატომარულ ფაქტებს, რომლებიც მას ესმოდა როგორც ობიექტური სამყაროს საგნები მათ ურთიერთკავშირში; 3) ზემოქმედება, რომლის წყალობით შესაბამისი რამ ინტერპრეტატორისათვის ასრულებს ნიშნის როლს და რომელსაც მორისი უწოდებს ინტერპრეტანტას (იგივე ინტერპრეტაციის შედეგი, ახსნა, კონცეპტუალიზაცია კავშირისა, ნიშანი/საგანი); 4) თავად ინტერპრეტატორი და 5) კონტექსტი, რომელშიც ხდება აღნიშნული ნიშნის განხილვა.

ზოგადად სემიოზისის მექანიზმი შეიძლება შემდეგნაირად აღვწეროთ: ენობრივი ნიშანი იწვევს ინტერპრეტატორში წინასწარ განწყობას გარკვეულ პირობებში გარკვეულ ობიექტზე გარკვეული რეაქციისათვის.

ფრაზეოლოგიური სემიოზისი განსხვავდება ლექსიკურისგან. მასში მონაწილეობს ორი დესიგნატი: პირველადი და მეორადი. ისინი ერთმანეთთან არიან იმდაგვარ კავშირში, როგორც სუბსტრატი სუპერსტრატთან გადააზრების მექანიზმის წყალობით. ასევე აქ ფიგურირებს ორი ტიპის კონტექსტი: ეტიმოლოგიური, ანუ ფრაზეოლოგიზმის ფორმირების პირობები, და აქტუალური - მეტყველებაში ფრაზეოლოგიური ერთეულის ფუნქციონირების პირობები, ანუ მეტყველი სუბიექტის მიერ უკვე მზა ფრაზეოლოგიზმის ხმარების პირობები, და, რა თქმა უნდა, კონოტატი, როგორც პრაგმატიკული ფუნქციის ქვაკუთხედი.

მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი "ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა" შემდეგნაირად შეიძლება იქნეს აღწერილი: სახელი, მატერიალური ფორმა (მღვრიე-წყალში-თევზის-დაჭერა), რომელიც აღნიშნავს გარკვეულ ფაქტს (საგნებს მათ ურთიერთკავშირში) მიეკუთვნება პირველად დესიგნატს (ექსტრალინგვისტური სამყაროს სფეროდან, წყალი, ამღვრეული, თევზი, დაჭერა) და გამოხატავს მეორე დესიგნატს (უფრო ხშირად ანთროპოლოგიური სფეროდან): არეული სიტუაციის გამოყენება, რომლის საფუძველზეც ფორმირდება ახალი მნიშვნელობა (ფრაზეოლოგიური ერთეულის სიგნიფიკატი) არეულობის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის. ახალი სიგნიფიკატი ყალიბდება ინტერპრეტატორის მიერ პირველი დესიგნატის თავისებური ინტერპრეტაციის შედეგად. ინტერპრეტატორის როლში აქ გამოდის ეთნოსი. იდიოეთნიკურ თეორიაში ამ თავისებურმა ინტერპრეტაციამ, სპეციფიურმა ხედვამ მიიღო დასახელება სიტყვათშეთანხმების პრეფრაზეოლოგიური ასპექტი (4).

ასევე შეგვიძლია გავაანალიზოთ ფრაზეოლოგიზმი "აირია მონასტერი". პირველი დესიგნატია ექსტრალინგვისტური სამყაროს სფეროდან, საგნები და მათი კავშირი - მონასტერი, უწესრიგობა; მეორე დესიგნატი - არეული სიტუაცია (მონასტერი შედარებულია მოწესრიგებულ, მშვიდ სიტუაციასთან, ახალი, მეტაფორული მნიშვნელობის საფუძველზე ფორმირდება ფრაზეოლოგიზმის სიგნიფიკატი: "დაიწყო უწესრიგობა, გამეფდა არეულობა და უთავბოლობა". ახალი დესიგნატი ჩამოყალიბდა ინტერპრეტატორის მიერ პირველი დესიგნატის თავისებური ინტერპრეტაციის შედეგად, ე. ი. სპეციფიური პრეფრაზეოლოგიური ასპექტის წყალობით.

ფრაზეოლოგიზმში "აქილევსის ქუსლი" პირველი დესიგნატი (ექსტრალინგვისტური, ამ შემთხვევაში მითოლოგიური სამყაროს სფეროდან, აქილევსი, მისი ქუსლი, მასთან დაკავშირებული მითი), მეორე დესიგნატი: აქილევსის სუსტი ადგილი, რომლის საფუძველზე ინტერპრეტატორის მიერ მეტაფორული გადატანის საშუალებით ვიღებთ ახალ სიგნიფიკატს: "ვისიმე ან რისამე მოწყვლადი მხარე, სუსტი ადგილი".

ფრაზეოლოგიზმში "ანკესზე წამოგება" პირველი დესიგნატი ასოცირდება საგნებსა და მათ კავშირებთან ექსტრალინგვისტური სამყაროს სფეროდან: ანკესი, თევზის დაჭერა. მეორე დესიგნატი: მსხვერპლად გახდომა, რომლის საფუძველზე ყალიბდება სიგნიფიკატი: მოტყუება, ვისიმე ხრიკების მსხვერპლად გახდომა, მახეში გაბმა.

განხილულ შემთხვევებში პირველი დესიგნატის (ექსტრალინგვისტური სიტუაციის) სახელი არის ატომარული სიტყვათშეთანხმება. იღებს რა ახალ შინაარსს (ფრაზეოსემემას), იგი გადაიქცევა ფრაზეოლოგიურ ერთეულად. ინტერპრეტატორის არსებობა ფრაზეოლოგიურ ერთეულს ანიჭებს მოდალობას (პრაგმატიკულობას), რისი გაფორმებაც ხდება ფრაზეოლოგიური ერთეულის კონოტატში (შეფასების დამოკიდებულების გამოხატვა). ჩვენს მიერ განხილულ ფრაზეოლოგიზმებში ეს არის აქსიოლოგიური სემები: "მღვრიე წყალში თევზის დაჭერა" - არ არის ლამაზი, "აირია მონასტერი" - ცუდია, "აქილევსის ქუსლი" - დასანანია, ცუდია, "ანკესზე წამოგება" - ცუდია.

ამგვარად, ფრაზეოლოგიური ნიშნის ყველა შემადგენელი ნაწილდება სამ ძირითად ბლოკში: 1) ხმოვანი ჯაჭვი (ფონეტიკური ასპექტი), ატომარული სიტყვათშეთანხმება (ლექსიკო-გრამატიკული ასპექტი) და თავად ფრაზეოლოგიური ერთეული მიეკუთვნებიან ენის სფეროს; 2) პირველადი და მეორადი დესიგნატები უკავშირდებიან ობიექტურ სინამდვილეს, კონტექსტის ორ ტიპს: ა)ეტიმოლოგიურსა და ბ) აქტუალურს; 3) ფსიქიკურ სფეროში მოიაზრება: ა) ინტერპრეტატორი; ბ) ინტერპრეტანტა; გ) ეთნოსის მოთხოვნილება, რომ ენობრივ ფორმაში ასახოს ახალი ცნება, დ) განწყობები, რომელთა საფუძველზეც ინტერპრეტატორი გამოხატავს თავის სემანტიკურ ინტენციებს; ე) პირველადი დესიგნატის პრეფრაზეოლოგიური ასპექტი, როგორც წინამდებარე კომპონენტების სინთეზის შედეგი, სწორედ აღნიშნული მესამე ბლოკი წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმის კოგნიტურ მხარეს, თანაც მის ძირითად ნაწილს შეადგენს ობიექტური სამყარო, მოცემული ჩვენს შეგრძნებებში, უფრო ზუსტად მისი ის ფრაგმენტები, რომლებიც გამოიკვეთება ჩვენს ცნობიერებაში ჩვენთვის მათი მნიშვნელობის მიხედვით.

შესაბამისად, სტერეოტიპული კონსტრუქციები განიხილება როგორც მდგრადი კულტურულ-ენობრივი შტამპები და ფრაზეოლოგიის კულტუროლოგიური ასპექტის განვითარებასთან ერთად ტერმინი სტერეოტიპი იკავებს ადგილს კულტურის სხვა ნიშნების რიგში

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Fradin B. Hypotheses sur la forme de la representation semantique des noms// Cahiers de lexicologie, 1984. vol. 44, p. 63-83.
2. Витгенштейн Л. Логико-философский трактат / Пер. с нем. М ., 1958, с. 38.
3. Кириллова Н. Н. Предмет и методы исследования идиоэтнической фразеологии. Л ., 1988, с. 36.
4. Кириллова Н. Н. К вопросу о стереотипах во фразеологии. Известия Российского государственного педагогического университета им А . И. Герцена, М ., 2002, с. 129-140.
5. Моррис Ч. Основания теории знаков // Семиотика. М., Радуга, 1983. с. 37-89, с. 119.

**მაია თევზაძე**

**ფრაზეოლოგიზმები, როგორც სტერეოტიპული აღქმის მარკერები ენაში**

**რეზიუმე**

სტერეოტიპი არის შაბლონური აზროვნების პროდუქტი, იმ აზროვნების, რომელიც ყალიბდება ეთნოსში რაიმე ცნების აღნიშვნის მოთხოვნილებისა და ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში მისი გამოხატვის მრავალლექსემიან ფორმას შორის რეგულარული კავშირის საფუძველზე. ფრაზეოლოგიზმები არ არსებობს ეთნოსის მიერ მისი ინტერპრეტაციის პროგრამის, მის ცნობიერებაში გამომუშავებული ინტერპრეტაციის გარკვეული შტამპების გარეშე. სტერეოტიპული ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები განიხილება როგორც მდგრადი კულტურულ-ენობრივი შტამპები და ფრაზეოლოგიის კულტუროლოგიური ასპექტის განვითარებასთან ერთად ტერმინი სტერეოტიპი იკავებს ადგილს კულტურის სხვა ნიშნების რიგში.

**Maya Tevzadze**

**Phraseologisms, as the Markers of Stereotypical Perception in the Language**

**Summary**

Stereotype is a product of pattern thinking, thinking that is based on regular connections between the need in ethnos to indicate a concept and the multi-lexeme form of expressing it in the phraseological units of the language. Phraseologisms as such, do not exist without interpretation programs that are generated in the consciousness of ethnos. Stereotypical phraseological structures are considered as sustainable cultural-linguistic stamps, and with the development of the cultural aspect of phraseology, the term stereotype occupies the position among other signs of culture.

**Майя Тевзадзе**

**Фразеологизмы, как языковые маркеры стереотипного восприятия**

**Резюме**

Стереотип представляет собой результат шаблонного мышления, формирующегося на основе потребности этноса в выражении какого-нибудь понятия во фразеологических единицах в сложной многолексемной форме. Не существует фразеологизмов без программы, без определённых штампов их интерпретации, выработанных этносом. Стереотипные языковые конструкции рассматриваются, как устойчивые культурно-языковые штампы и вместе с развитием культурологического аспекта фразеологии термин стереотип занимает своё место в ряду других культурных знаков.

**კობა წურწუმია**
**საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი**

## უილიამ სომერსეტ მოემის ლიტერატურული სივრცე

უილიამ სომერსეტ მოემი მოხუცებულობამდე წერდა. წერდა ადამიანურ ვნებებზე, სოციალურ საკითხებზე, პიროვნების ამბივალენტურ ხასიათზე, გაუცხოებაზე, საოჯახო და საყოფაცხოვრებო თემებზე. ქმნიდა საინტერესო და მეტყველ პერსონაჟებს. მიუხედავად ამისა, მოემის სამწერლო შესაძლებლობებს ევროპელ და ინგლისელ კრიტიკოსთა მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. თითქოს მოემი „მოდური“ მწერალი არ გახლდათ, გვერდს უვლის უმნიშვნელოვანეს თემებს და მკითხველთა ყურადღება სულ სხვა საკითხებზე გადააქვს. უფრო მეტიც, ის მხოლოდ ოჯახური თემებით შემოიფარგლება.

მოემის პროზა „საოჯახო რომანების“ ციკლს მოგვაგონებს სადაც მოცემულია სასიყვარულო ბანალური სამკუთხედი, უსიყვარულობა, კონფლიქტი მეუღლეებს შორის, ღალატი, ოჯახური იდილიის რღვევა. კრიტიკის გულისწყრომაც, ალბათ, იმის შედეგი იყო, რომ სომერსეტ მოემი ენამდიდარი მწერალი არ ყოფილა.

უბრალოება განსაზღვრავდა მის სამწერლო ღირსებას, მიუხედავად ამისა, მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ „მწერლობა ძალიან დახვეწილი ხელოვნებაა“. მოემს მეცნიერულად ემარჯვება ადამიანის სულის კვლევა. ნატურალისტურ წიაღსვლებს თან სდევს ღრმააზროვანი დაკვირვება და რეალისტური განსჯა.

კრიტიკით შეწუხებულ მოემს, მკითხველისათვის ცნობილი სიტყვები ადმოხდება: „დაე, ვისაც ვუყვარვარ, ისეთად მიმიღოს, როგორიცა ვარ, ხოლო დანარჩენებმა თავი გამანებონ“ (5, 64). ამავე დროს, მოემი მკითხველს ღიად ანდობდა: „ლიტერატურაში ჩემი ადგილის თაობაზე ილუზიები არ გამაჩნია. სამშობლოში მხოლოდ ორმა გამოჩენილმა კრიტიკოსმა დამდო პატივი“ (5, 162). მიუხედავად ამისა, მწერალმა სათანადო ადგილი დაიმკვიდრა გასული საუკუნის I ნახევრის ინგლისურ ლიტერატურაში. მან ხელი შეუწყო, განავრცო და განავითარა თანამედროვე ბრიტანული პროზა.

დიახ, ვერ ვიტყვით მოემის პროზა ნატიფი ქსოვილითაა შექმნილი. ვერც მეტაფორებითა და ეპითეტებით გამოირჩევა მოემი, მაგრამ აზრის სიცხადე და ფანტაზიის უშრეტი უნარით გამოირჩევა მისი სამწერლო ნიჭი. შეიძლება ითქვას, რომ მოემი „ფაქტების უნაკლოდ“ გადმომცემი მწერალია. პროფესიით ექიმი მოემი, ადამიანის სხეულთან ერთად, გულდაგულ იკვლევს ადამიანის სულს, მის ბუნებას, შინაგან სამყაროს. „იგი ნათლად, უბრალოდ და კეთილხმოვნად წერდა და მას სავსებით სამართლიანად, არ მოსწონდა ზედმეტად რთული და ძალით გაზვიადებული სტილის მქონე ავტორები“(5, 8). ამავე დროს, მოემი „კლასიკური რეალიზმის ტრადიციებს აგრძელებს და სინამდვილის ასახვის რეალისტური პრინციპების ერთგულია“ (4, 207).

მოემის ლიტერატურული პორტრეტის შესაქმნელად ყველაზე უტყუარი და სანდოა „შეჯამება“. პირობითად, ესაა ავტობიოგრაფიულ–მემუარული ხასიათის ნაწარმოები, სადაც მწერალი გვიყვება თავის განვლილ სამწერლო გზაზე, წერის მანერაზე, გემოვნებაზე, ინტერესთა სფეროზე, მოემი ცდილობს მკითხველს შეუძღვეს თავის ლიტერატურულ ლაბორატორიაში და მხოლოდ ალაგ–ალაგ თვალყურის მიდევნების საშუალებასაც აძლევს. ცხოვრებისეულ ბიოგრაფიულ შტრიხებსაც ჩაურთავს, რათა მკითხველისათვის რამე ბუნდოვანი და გაუგებარი არ გახდეს. მაგრამ არ აპირებს მკითხველს ბოლომდე გულის კარები გაუხსნას. ზედმეტს საკუთარ თავზე არავის ათქმევინებს, თავდაჭერილია ზომიერად. შეიძლება ითქვას, „შეჯამება“ მოემის ლიტერატურული „აღსარებაა“.

პირველი მწერალი, რომლითაც მოემი მოიხიბლა, გახლდათ ჯონათან სვიფტი. მოემი დასძენს, რომ სვიფტის მემკვიდრეობა „ეს უნაკლო პროზაა“ (5, 28). მისი შთაგონების წყარო არაერთი მწერალი გამხდარა. მოსწონდა ვოლტერი, მოპასანი, უილიამ

შექსპირი, ბერნარდ შოუ, ნორვეგიელი იბსენი, არა ნაკლებ მეთიუ არნოლდი, ბერტრან რასელი. მოსწონდა გოლდსმითისა და რიჩარდ შერიდანის სტილი.

მოემი თავის ლიტერატურულ გავლენებზე ღიად გვესაუბრება. „როდესაც წერას შევუდექი, ყველაზე მატად გი დე მოპასანის რომანები და მოთხრობები ახდენდნენ ჩემზე გავლენას“ (5, 125). მოპასანის „შეცნობის“ შემდეგ მოემი ეცნობა ფრანგ რომანისტებს, ჩამოთვლის კიდეც: სტენდალი, ბალზაკი, ძმები გონკურები, გუსტავ ფლობერი, ანატოლ ფრანსი, მაგრამ ფრანგი მწერლებიდან მოემი ყველაზე მეტ პატივს მიაგებდა ვოლტერს. „ახალი რომანის დაწერის წინ „კანდიდს“ გადავიკითხავ ხოლმე, რათა გონების თვალწინ მუდამ მედგას სინათლის, დახვეწილობისა და მახვილგონიერების ეს საზომი“ (5, 179.)

ფრანგული მწერლობისადმი სიყვარული, ალბათ, იმით აიხსნება, რომ მოემის თავდაპირველი „დედაენა“ ფრანგული გახლდათ, მოგვიანებით ეუფლება ლიტერატურულ ინგლისურს და საბოლოოდ საყველთაოდ ცნობილი, პატივსაცემი პროზაიკოსი და დრამატურგი გახდება.

მოემის მიმართ კრიტიკის გულისწყრომა, უწინარეს ყოვლისა, იმან განაპირობა, რომ ის არ ღალატობდა ვიქტორიანული ეპოქის სულისკვეთებას. ვიქტორიანული ეპოქის სტილი ღრმად სუნთქავს არა მარტო მოემის პროზაში, არამედ დრამატურგიაშიც. მოემმა თავი ვერ დააღწია ვიქტორიანულ სტილს. ვიქტორიანული სტილი კი უკვე მოდიდან დიდი ხანია გადავიდა და დავიწყებას მიეცა კიდეც, მაგრამ არა მოემთან. მოემი ისევ ჯიუტად განაგრძობდა ვიქტორიანული ყაიდისა და სტილის რომანების წერას. „მოემი ბოლომდე დარჩა გვიან ვიქტორიანულ მწერლად, მიუხედავად იმისა, რომ იგი ორი დიდი მსოფლიო ომით შეძრული სამყაროს თანამედროვე იყო“ (3, 322).

თავისი შემოქმედებით მოემი ვიქტორიანული „წესების“ ერთგული დამცველია, მაგრამ არა ყოველთვის. ვიქტორიანული ეპოქის მტკიცედ დაკანონებული დოგმების რღვევას მოემი აშკარად არ ერიდება. ვიქტორიანულ ეპოქაში ოჯახი იყო ერთგვარი შეურყეველი ტაძარი, რომლის პატივისცემა, თუნდაც ფორმალურად, აუცილებელი იყო. მოჩვენებითი ჰარმონიულობა, ვიქტორიანულ ეპოქაში, მოხერხებულადაა შენიღბული, მეუღლეები გარეგნულად ინარჩუნებენ ურთიერთპატივისცემას, თუნდაც გარშემო მყოფთა თვალში. „ოჯახის დარღვევა ვიქტორიანული ინგლისის ზნეობრივი კანონების მიხედვით საშინელი ცოდვა იყო, არა იმიტომ, რომ ყველას სჯეროდა ყველა დანარჩენის ბედნიერებისა, არამედ იმიტომ, რომ ამაზე საქვეყნოდ ყვირილი ცუდ ტონად ითვლებოდა“ (12, 9). მოემთან მეუღლეებისა და ზოგადად, ოჯახის რღვევის, ღალატის, უპატივისმცემლობის, უსიყვარულობის სცენების დემონსტრაციასთან გვაქვს საქმე. მეუღლეებს უკვე უჭირთ გარეგნულად, სხვის თვალშიც კი ტკბილი, ბედნიერი ოჯახური თანაცხოვრების ჩვენება. ამის ნათელი მაგალითია „მოხატული ფარდა“, „თეატრი“, „მთვარე და ექვსპენიანი“ და სხვა მრავალი პროზაული ნაწარმოები თუ პიესა.

მოემი არ ცდილობს სხვადასხვა ექსპერიმენტებისა და მეთოდების დანერგვას თავის პროზაში, ლიტერატურულ–ესთეტიკური აღმოჩენებით თავს არ იწუხებს. არ ცდილობს ოდნავ მაინც „თაყვანი სცეს“ ისეთ გავრცელებულ ლიტერატურულ ექსპერიმენტს, როგორიცაა „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურა. არც დიდი მწერლებისა და ფილოსოფოსების ესთეტიკურ ნააზრევს დიდად სწყალობს. მოემი შეგნებულად არ „იცნობს“: ჯოისს, ნიცშეს, ფოლკნერს, შოპენჰაუერს, ფროიდს, ბერგსონს, იუნგს. თავის ამოჩემებულ სტილს არ ღალატობს. ჰგონია, რომ ეს მოდური ექსპერიმენტები და მეთოდები მალე დავიწყებას მიეცემა, მაგრამ ცხადია, ეს მხოლოდ მოემის ურყევი პოზიციაა. „იცნობს“ ვირჯინია ვულფს, დევიდ ლოურენს, მორგან ფორსტერს, მაგრამ მათ დიდად არ წყალობს. არ მოსწონს „ფორსაიტების საგა“ და მისი ავტორი.

მოემს „ბუნდოვანი პროზა“ ეჯავრება, არც ზედმეტად „მოქარგული პროზა“ მოსწონს. „ყოველთვის მაღიზიანებდა ისეთი მწერლები, რომლებიც მკითხველისაგან დიდ დაძაბულობას მოითხოვენ თავიანთი ნაწარმოების შინაარსის გასაგებად“ (5, 30). მოემის აზრით,

უბრალოებასა და აზრის სიცხადეს დიდი ძალისხმევა სჭირდება. „ამას რომ მიაღწიო, მკაცრი წესრიგია საჭირო.“ ვნახოთ რაში მდგომარეობს მოემის „მკაცრი წესრიგი“.

მოემის აზრით, „კარგი პროზა კარგი აღზრდის შედეგია. პოეზიისაგან განსხვავებით პროზა ზრდილი ხელოვნება გახლვთ... კარგმა პროზამ კარგად აღზრდილი კაცის საუბარი უნდა მოგვაგონოს... კარგი პროზა კაცის კარგად შეკერილი ტანსაცმელივითაა: შესაფერისი და სადა“ (5, 35).

მოემი პროზაში პერსონაჟის „ხასიათის“ განვითარებას უმნიშვნელოვანეს მიღწევად თვლიდა. „ხასიათების მკვლევარი“ მოემი ცდილობს თანამედროვე პროზა ახალ–ახალი ხასიათებით გაამდიდროს, ყური მიუგდოს პერსონაჟების შინაგან ხმას. როგორც ცნობილია, მოემი მოგზაურობის დაუცხრომელი წყურვილით იყო შეპყრობილი. მეოცე საუკუნის ბრიტანელი მწერლებიდან ალბათ მოემის შემდეგ გაჭირდება მეორე მწერლის დასახელება, რომელსაც ამდენი ემოგზაურა. იტალია, ვენეცია, ნეაპოლი, ფლორენცია, რომი, გერმანია, ესპანეთი, საბერძნეთი, აშშ, რუსეთი, ჩინეთი და ასე, უსასრულოდ. მოგზაურობის ძირითადი მიზანი განსხვავებული „ხასიათებისა“ და ინდივიდების აღმოჩენა გახლდათ. შემდგომ კი წერისას ხდებოდა ამ „ხასიათების“ დახარისხება.

მოემი უფრო სიღრმეებისაკენ ექაჩება მკითხველს და ზედმიწევნით აცნობს თავისი პერსონაჟების თვითმყოფად ხასიათს. მისთვის საინტერესოა არა ცნობილი „ხასიათების“ ჩვენება, არამედ უბრალო „პატარა ადამიანების“ ფსიქოლოგიური პორტრეტების ჩვენება. „ჩვენ, მწერლებმა, სწორედ უბრალო ხალხთან უნდა დავიჭიროთ საქმე. მეფეები, დიქტატორები, მრეწველი მაგნატები ვერ დაგვაკმაყოფილებენ. ბევრ მწერალს წასძლია სულმა და წიგნები დაწერა მათ შესახებ, მაგრამ იმ მარცხმა, რომელიც თან მოჰყვა ამ ცდებს, გვიჩვენა, რომ ეს ხალხი გამონაკლისი ყოფილა, და არ იძლევა არავითარ საფუძველს ხელოვნების ნიმუშების შესაქმნელად. მათ ნამდვილ ადამიანებად ვერ აქცევ“ (5, 13). მოემის აზრით, მხოლოდ რიგითი, უბრალო ადამიანების ჩვენება იძლევა უსაზღვრო ნაირფეროვნებას, ამოუწურავ შესაძლებლობას, საღ დაკვირვებას, ეპოქის ხასიათის ჩვენებას. ასეთია მოემის ესთეტიკური ნააზრევი, ასეთი მისი სჯა–ბაასი პროზაზე.

მოემი წიგნის დასაწყისშივე („შეჯამება“) გვეუბნება, რომ ეს წიგნი არც ავტობიოგრაფიაა და არც მოგონებათა წიგნი, მაგრამ მთლად მართალი როდია! წიგნში შიგა–შიგ ჩართული და მიმობნეულია მწერლის ცხოვრებიდან ბიოგრაფიული შტრიხები, მოგონებები და შთაბეჭდილებები. ასევე წიგნი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მწერლის წინაპრებზე, მშობლებზე, ახლობლებზე.

მოემი არ აპირებს მკითხველს ბოლომდე გული გადაუშალოს და მათთან გულახდილი კონტაქტი იქონიოს, ეს არაა მოემის სტილი, რადგან „არსებობს ისეთი რამ, რასაც ვერავის გავუზიარებ“. „ჭრელი, მაგრამ ხშირად საინტერესო ცხოვრება მქონდა, მაგრამ ვერ ვიტყვი ფათერაკებით სავსე იყო–მეთქი,“ – გვანდობს მოემი (5, 10–16).

„ადრე დავობლდი. დედა რვა წლისას მომიკვდა, მამა – ათისას. ასე, რომ მათ შესახებ ცოტა რამ ვიცი და ისიც სხვებისაგან გაგონილი... მამაჩემი ორმოცისა იყო, როცა დედაჩემი შეირთო, მასზე ოცი წლით ახალგაზრდა ქალი. დედაჩემი ძალიან ლამაზი ყოფილა, მამაჩემი კი – მახინჯი. პარიზში მათ მზეთუნახავს და ურჩხულს ეძახდნენ....“ (5, 20).

დიახ, მშობლების გარდაცვალების შემდეგ მოემს საკუთარი თავის აღზრდა მოუწია. ის დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს. ასევე ვიგებთ, რომ მწერლის დედა ჭლექით დაავადებული ყოფილა და მშობიარობას გადაჰყოლია. „ექვსი ვაჟი ჰყავდა და მუცელს კი გადაჰყვა. ექიმებს იმ დროს ეგონათ, ჭლექიან ქალს მშობიარობა უხდებაო. სწორედ ოცდათვრამეტი წლისა იყო“ (5, 21). დედის გარდაცვალებით მიყენებული ტკივილი მოუშუშებელი აღმოჩნდება მწერლისათვის. „დედის სიკვდილი ის ჭრილობა იყო, რომელიც ორმოცდაათმა წელიწადმაც ვერ მომიშუშა მთლად“ (5, 226).

როგორც აღვნიშნეთ, მოემის თავდაპირველი ენა ფრანგული გახლდათ. მოგვიანებით ეუფლება მშობლიურ ენას. თავადაც აღნიშნავს: „მუდამ ფრანგი აღმზრდელები მყვადა და ფრანგულ დაწყებით სკოლაშიაც მიმაბარეს. ინგლისურს ცუდად ვლაპარაკობდი“ და იქვე:

„ასე, ცხრა წლისა თუ ვიქნებოდი მაშინ. ინგლისური სიტყვების გამოთქმა დიდხანს მეშლებოდა და არასოდეს დამავიწყდება მოწაფეების ხარხარი და ჩემი დარცხვენა დაწყებით სკოლაში, როდესაც წინადადებას წესიერად ვერ გამოვთქვამდი“. ამიტომაც მოემი თავის „ნაკლზე“ ღიად და გულახდილად წერდა: „ენა ძალიან მარტივი მქონდა, სიტყვების მარაგი შეზღუდული“ (5, 22–25).

დრამატურგი მოემი დიდ ყურადღებას უთმობს მსახიობის ოსტატობას, თეატრს, სცენას, თეატრალურ სანახაობას, გვესაუბრება მაყურებლის ემოციებზე, გენერალურ რეპეტიციებზე, პრემიერაზე, თეატრალურ საზოგადოებაზე, რეჟისორზე, შესრულების ტექნიკაზე. მოსწონდა თავისი დიდი წინაპარი. „რა უნდა იყოს შექსპირის პროზაზე უფრო კოლორიტული, პირდაპირი და ცოცხალი“. არა ნაკლებ მოხიბლული იყო ბერნარდ შოუს დრამატურგიით: „შოუ განუმეორებელია“, – აღფრთოვანებით დასძენდა. არა ნაკლებ მოსწონდა ნორვეგიელი იბსენი. „ჩვენი დროის მხოლოდ ორი დრამატურგი შეიძლება ჩაითვალოს მოაზროვნედ – იბსენი და შოუ“ (5, 103–107). ერთგან აღტაცებით წერს: „მიუნხენში იბსენი ვნახეო“ (5, 77).

მიუხედავად ამისა, პურიტანული იდეებით აღზრდილმა ლონდონელმა მაყურებელმა ბოლომდე ვერ მიიღო და გაითავისა მოემის პიესები. კრიტიკოსთა მხრიდანაც ხშირად გაისმოდა ერთი და იმავე ბრალდება: „დაბალი დონის მაყურებლისათვის განკუთვნილი პიესებია.“ ინგლისელმა მაყურებელმა მოემის დრამატურგიაში იდების სიმწირე და ნაკლები ინტრიგა აღმოაჩინა.

მოემი დაწვრილებით გვიყვება თავისი პიესების ბედზე, თუ როგორ გაიკვლიეს გზა სცენამდე. როგორც მოემი აღნიშნავს, პირველი პიესა იყო „ლედი ფრედერიკი“, რომელსაც მალე მოჰყვება „ჯეკ სტროუ“ „წარჩინებული კაცი“, „ამქვეყნიური სიკეთენი“, „პენელოპა“ და სხვები. იყო ამ პიესების აღიარება, ჩავარდნა, მდუმარე პროტესტი, კრიტიკოსთა წყრომა. ცხადია, მოემიმ კვლავ გაუცრუა იმედები თეატრალურ საზოგადოებას და ღრმა „იდეებიანი პიესების“ ნაცვლად ისევ ტრივიალური სიუჟეტებით „მდიდარი“ რეპერტუარი შესთავაზა.

აი, დადგა დრო მოემი უნდა დამშვიდობებოდა დრამატურგიას, თეატრს, სცენას. იქნებ ყოველივე იმის ბრალი იყო, რომ როგორც მოემი ბრძანებს: „დავიღალე სანახევრო სიმართლის თქმით“, „დამღალა თემების მოთავსებამ დაწესებულ ზომებში“, „ულმობელმა შეკვეცამ“. „ვოცნებობდი პროზაიკოსის თავისუფლებაზე“, – და ამით მოემი წყვეტს კავშირს დრამატურგიასთან. მოემის პირველი პროზაული ქმნილება გახლდათ „ლამბეთელი ლიზა“. მანამდე იყო პატარ–პატარა ნოველები და მოთხრობები, ესკიზები.

მოემის პროზაზე შთაბეჭდილებას გვიქმნის: „ადამიანურ ვნებათა ტყვეობაში“, „თეატრი,“ „მოხატული ფარდა“, „მთვარე და ექვსპენიანი“, „სიგიჟე ერთი ღამის“, „წითური“, „ბარათი“, „მათხოვარი“, „დედა.“ ამ და სხვა პროზაულმა ქმნილებებმა განაპირობეს მოემის დამსახურება. მოემის პროზაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მოემი სიუჟეტის, ხასიათების, გარემოს შექმნის ბრწყინვალე ოსტატია.

სომერსეტ მოემის პროზის მთავარი თემებია: პიროვნების გაუცხოება, ხელოვანის ბედი თანამედროვე სამყაროში, სოციალურად დაუცველი ადამიანების ფსოქოლოგიური პორტრეტების დახატვა, ეგზისტენციალური თემები, ყველაზე თვალშისაცემი მაინც გახლდათ ოჯახური კომფლიქტების ჩვენება, მეუღლეებს შორის უთანხმოება და ღალატი. აი, თემები, რომელსაც მოემი თავს დასტრიალებს.

წინა თაობის მწერალთა ნარატივიც შეიმჩნევა მოემის პროზაში. მიუხედავად ამისა, მწერალმა შეგნებულად გვერდი აუარა ომის შემდგომი თაობის დეპრესიული და მღელვარე განწყობის ჩვენებას და მკითხველთა ყურადღება სულ სხვა საკითხებზე გადააქვს. „ომი იქცა ასობით მემუარების თემად. იგი უშუალოდ მხატვრულ ლიტერატურაში შეიჭრა და მწერლები თავთავისებურად გამოხატავდნენ ომის ზეგავლენას თაობის დაძაბულ ნერვებზე“ (12, 9). მაგრამ მოემი ამ ყოველივეს შეგნებულად გვერდს უვლის.

გერმანიაში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, ფილოსოფიური და ჰუმანიტარული განათლების მიღების მიუხედავად, მოემთან ნაკლებია ფილოსოფიური ძიებანი, ვერც ამერიკაში გამგზავრებამ და ჰოლივუდში სცენარისტად მუშაობამ ვერ შეცვალა მოემის ხელწერა. ამერიკული მოდერნიზმის ჩანასახის კვალიც არ დაიძებნება მოემის პროზაში.

მოემის გარეგნულად „კეთილშობილური პროზა“ ესთეტკური თვალსაზრისით აღფრთოვანებას არ იწვევს. მიუხედავად ამისა, მოემი ჯიუტად და მედგრად აგრძელებდა გზას ლიტერატურულ სარბიელზე. ალბათ, კრიტიკოსთა მხრიდან თავშეკავებაც შეიმჩნეოდა, უბოროტო ღიმილიც გაიელვებდა. მიუხედავად კრიტიკისა, მოემის პროზას და დრამატურგიას დღემდე არ დაუკარგავს მკითხველთა მხრიდან ინტერესი და ხიბლი. ეს იმის შედეგია, რომ მოემის შემოქმედებას ამაფორიაქებელი განცდა მოაქვს მკითხველისათვის. მოემის ნატიფი და გულწრფელი სტრიქონები პატივისცემას იმსახურებენ.

მოემს მოსწონს და ქება–დიდებას უძღვნის სემუელ კოლრიჯს, უილიამ უორდსუორთს, ჯონ კიტსის, პერსი ბიში შელის. ჯორჯ ქრაბის ( ინგლისელი პოეტი 1754–1832 წწ.) შესახებ მოემი რომანში „მთვარე და ექსპენიანი“ წერდა: „ახლა ვის ახსოვს, მაგალითად, ჯორჯ ქრაბი?.. როცა საფრანგეთის რევოლუცია მოხდა და ნაპოლეონის ომები დაიწყო, პოეტები ახლებურად ამღერდნენ. მისტერ ქრაბი კი კვლავ გარითმული მრჩობლედით წერდა თავის დიალექტიკურ თხზულებებს. მისტერ ქრაბი კი ჯორივით ჯიუტი იყო: იგი კვლავ დიდაქტიკურ თხზულებებს სწერდა გარითმული მრჩობლედით“ (6, 24–25).

იგივე შეიძლება ითქვას მისტერ მოემის წერის სტილზე.

ახალგაზრდა მწერლებზე კი სწერდა: „მე ისინი არ მომწონს. მე სხვა კუნძულზე ვარ დარჩენილიო“ (6, 25).

დიახ, მოემი სხვა დროში დარჩა, არა და იმ დროს, მოდერნისტული რომანის ციებ–ცხელების ჟამი იდგა, და არა მარტო ლიტერატურაში, ცხოვრებაშიც ულმობელი ჟამი იდგა. ადამიანები თანდათან იშუშებდნენ ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს, მაგრამ მოემი მწერალი და დრამატურგი, თავის შემოქმედებაში ნაკლებ ადგილს უთმობს ომისა და ომის შემდგომი თაობების მსოფლგანცდას, ტრაგიკულ ატმოსფეროს მთლიანად ემიჯნება. ვერც სოციალური თემების სიმძაფრით გამოირჩევა მოემი. მიუხედავად ამისა, მოემის შემოქმედება გულგრილს არ ტოვებს მკითხველს. მასში იყო სიუჟეტის განვითარების მოემისებური ხერხი.

რომანი „მთვარე და ექვსპენიანი“ (1919 წელი) მოემის პროზაული შემოქმედებიდან გამოირჩევა თავისი ღრმა ფილოსოფიური ქვეტექსტებით, სენტენციებითა და აფორიზმებით. ხელოვანისა და ხელოვნების თემა მოემის ამ რომანში ყველაზე სიღრმისეულადაა გააზრებული (თარგმანი ანდუყაფარ ჭეიშვილის).

ჩარლზ სტრიკლენდი, რომანის მთავარი გმირი, თავისი ნებით დაადგება ხელოვნების მძიმე გზას. ის ორმოცი წლის ბირჟის რიგითი მაკლერი გახლდათ, „ერთი უნდილი კაცი“, „ფილისტერი“. იგი ახლობლებისა და ნაცნობების თვალში არაფრით გამოირჩეოდა, მოსაწყენ და უმეგობრო ადამიანად მიაჩნდათ. მაგრამ არავინ იცოდა, თვით მეუღლემაც კი, რომელიც ხელოვნებისა და ლიტერატურის მოტრფიალე გახლდათ, ჩარლზ სტრიკლენდში ხელოვანი სახლობდა. სტრიკლენდში წლების მანძილზე მიძინებული მხატვარი იღვიძებს და იწყებს ფიქრს როგორ გაეცალოს მოსაწყენ გარემოს, სალონური ცხოვრების მოტრფიალე მეუღლეს. მან 17 წლის ცოლ–ქმრულ მოვალეობაზე, ორ შვილზე, უზრუნველ ცხოვრებაზე ნებაყოფლობით უარი თქვა და თავისი გადაწყვეტილება პარიზიდან მეუღლეს ამცნო: გადავწყვიტე ამიერიდან შენთან აღარ ვიცხოვროო. სტრიკლენდის ეს გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევი აღმოჩნდება.

ჩარლზ სტრიკლენდის მეუღლე, მისის სტრიკლენდი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოტრფიალე გახლდათ, თავგამოდებული მკითხველი. თუმცა ბევრს არ სუბრობდა, მაგრამ „საუბრის წარმართვის უბადლო ნიჭი ჰქონდა“. უყვარდა წვეულებების გამართვა, (მისის დოლოვეის მსგავსად) რაც მის მეუღლეს სულაც არ აინტერესებდა. უფრო მეტიც, მიეღლის მიერ გამართულ წვეულებებს არასოდეს დასწრებია. სტუმართმოყვარე მისის

სტრიკლენდის გატაცება ლიტერატურით უფრო ახირება და ამპარტავნობა თვალთმაქცობა გახლდათ, ვიდრე ბუნებრივი სურვილი.

მისის სტრიკლენდის წვეულებების უცვლელი სტუმარი, ლიტერატორი ქალბატონი როზა უოტერფორდი, მწარე სარკაზმით დასცინოდა სტუმართმოყვარე დიასახლისს: „საინტერესო ხალხად მივაჩნივართ, თანაც არ უნდა მოდას ჩამორჩეს. ჩემი აზრით, დიდი ჭკუის პატრონი არ არის ეგ საცოდავი და რაღაც განსაკუთრებული ადამიანები ვგონივართ. ასეა თუ ისე, უყვარს ჩვენი დაპატიჟება და ჩვენც რა გვენაღვლება, ვეწვიოთ ხოლმე“ (6, 32).

სტრიკლენდმა ნებაყოფლობით გაწყვიტა კავშირი საზოგადოებასთან, ოჯახთან, ახლობლებთან. არაფრად აგდებდა საზოგადოების აზრს, არავითარ წესს არ ემორჩილებოდა. ეს გამიზნული პროტესტი გახლდათ. მედგრად ებრძოდა ათასგვარ გაჭირვებას, სიღარიბესა და შიმშილს. ზედმეტად უხეში და სიტყვაძუნწი გახდა. ფუფუნებისაკენ და მატერიალური მომხვეჭელობისაკენ ლტოლვა დაკარგა, მაგრამ ერთი წუთითაც ყალმისათვის არ უღალატნია. მის ნაშიმშილარ სხეულში დაბუდებული შინაგანი ენერგია დიდებისათვის აწრთობდა. ოჯახიდან გამოქცეულმა ხელოვანმა თავისუფლება კი მოიპოვა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო.

სტრიკლენდმა ასკეტური ცხოვრება განგებ აირჩია. იცის, რომ ხელოვნების ნიმუშები ხშირად დუხჭირ პირობებში იქმნება. როგორც ხელოვანმა გოლგოთას გზა უნდა გამოიაროს. იცის ამის გარეშე ვერ შექმნის მშვენიერს, უკვდავს, მარადიულს. კეთილდღეობას უნდა შეელიოს, რომ შექმნას დიადი და გენიალური. სხვანაირად მისი მოწოდება უკვალოდ ჩაივლის, როგორც ხელოვანი დაიკარგება, მივიწყებას მიეცემა. ტანჯვას უნდა ეზიაროს, ტანჯვის გზით კი სრულყოფილება უნდა შეიცნოს.

სტრიკლენდი მთელი რომანის მანძილზე სხეულთან (მატერიასთან) გამარჯვებას ცდილობდა. მისი ძლიერი სული გააფთრებით ცდილობს დათრგუნოს სხეული, წუთიერი ვნება, მაგრამ ხშირად ეს არ გამოსდის და ამ დროს მის სხეულში დაბუდებული დემონი ბოროტად ზეიმობდა (ჰოლანდიელი მხატვრის დირკ სტროვის ცოლის შეცდენა), მაგრამ მისის სტროვი მისთვის სათნო ცოლი და მეუღლე არასოდეს ყოფილა. მისთვის ის მხოლოდ მენატურე ქალი იყო. მის სამყაროში ძალით შემოჭრილი მიწიერი არსება, ხორციელი გვრემა და მეტი არაფერი. ქალის სიკვდილს მასში მცირეოდენი სინანულიც არ გამოუწვევია. თუმცა მისის სტროვის შიშველი სხეული ტილოზე გადაიტანა და ამით ქალი გადაარჩინა მარადიულ სიკვდილს. დიახ, სტრიკლენდისათვის სიყვარული, მით უფრო ხორციელი ტკბობა არ არსებობდა. რომანის ლირიკულ გმირთან საუბრისას ის გარკვევით გვეუბნება თავის მოწოდებაზე:

– ნუთი აქ, პარიზში არავინ შეგიყვარდათ?

– მაგისთანა სისულელეებისათვის არა მცალია. სიცოცხლე მოკლეა, ორივეს სიყვარულსა და ხელოვნებას – ვერ გაუნაწილებ“ (6, 106).

სტრიკლენდმა მხოლოდ ხელოვნებას გაუნაწილა უანგაროდ სიყვარული და ხელოვნებისათვის ბოლომდე დაიფერფლა.

მალე ჩარლზ სტრიკლენდი ტაიტიზე აღმოაჩენს „პირველქმნილ ცივილიზაციას“. ველურ გარემოში ხელოვანმა პირველად იგრძნო თავი დაცული. ველურმა ბუნებამ ის ისეთივე მიიღო, როგორიც იყო. აქ შეიცნო შინაგანი თავისუფლების ძალა. პირველქმნილ ცივილიზაციასთან, „უმანკოებასთან“ ზიარება შეძლო.

ცივილიზაციისაგან მოწყვეტილ გარემოში სტრიკლენდი, როგორც თავად აღნიშნავს, „ნატურა ახლოსა მაქვსო“, მაგრამ იმ ეპოქამ, საზოგადოებამ ვერ შეძლო მისი შეცნობა, მხოლოდ მომავალს უნდა განესაზღვრა მისთვის ადგილი ხელოვნების სივრცეში. ჩარლზ სტრიკლენდის გაქცევა თვალთმაქცი ოჯახიდან სიმბოლურად ბურჟუაზიული სამყაროდან გაქცევას გულისხმობდა, სადაც ხელოვანი განწირული და უნაყოფოა. სტრიკლენდი უპირისპირდება მავნე ბურჟუაზიულ კანონებს, მაგრამ ამ საზოგადოებამ ის

ვერ მიიღო, რადგან მისი დამცინავი მზერა, გაუცხოება, გაქცევა, პროტესტი აღმოჩნდება თვით ხელოვანის დაღუპვის მიზეზი.

სტრიკლენდი „პირველქმნილ“ ბუნების წიაღში მიიცვალა კეთრისაგან. მიუხედავად ამისა, ის ბოლომდე უანგაროდ ემსახურა ხელოვნებას. თუმცა მსხვერპლიც საკმაოდ გაიღო, მაგრამ დიდი ხელოვნება მუდამ დიდ და აუნაზღაურებელ მსხვერპლს ითხოვს. მან ბოლომდე ხელოვნებისათვის გაიღო სიცოცხლე და ჩუმად გაქრა მატერიალური სივრციდან. ამ უღალწვერა ხელოვანმა შეძლო პირველქმნილ სილამაზესთან მიახლოება.

მოემის პროზაში უხეში სინამდვილე ხშირად ზეიმობს. ამავე დროს, ამაფორიაქებელი განცდა მოაქვს მკითხველისათვის მოემის პროზას: „მათხოვარი“, „წითური“, „ბარათი“, „დედა“, „განაპირა ოლქი“, „მარგალიტის ყელსაბამი“, „მორევი“, „წვიმა“ და ა.შ.

ნოველაში „მათხოვარი“ მწერალმა ამაყი კაცის ფსიქოლოგია დაგვიხატა, რომელიც ხელოვნების მძიმე გზას დაადგება, მაგრამ უშედეგოდ. ცხოვრებას თავის კლანჭებში მოექცია, დაესახიჩრებინა და დაეფლითა ისე, რომ ზედვე ეტყობოდა ცხოვრების ბასრი ხელი. ლირიკული გმირი მოგზაურობისას გადაეყრება ერთ ცეცხლივით წითურ წვერიან მათხოვარს. მისი გარეგნობა, უთუოდ, ყველას ყურადღებას მიიქცევდა. „უეცრად ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა მათხოვარმა, რომელიც ყველასაგან გამოირჩეოდა... ჩემს დღეში ასე გამხდარი ადამიანი არ მენახა: ხელ–ფეხზე მარტო კანი ჰქონდა გადაკრული, დაგლეჯილი ხალათიდან ნეკნები მოუჩანდა, მტვრიან ტერფზე ყველა ძარღვს დაუთვლიდი. ადამიანის მსგავს ამდენ საცოდავ არსებათა შორის ყველაზე უფრო უბედური ჩანდა“ (6, 274). ასეთი ტრაგიკული იერი ჰქონდა მოემის „მათხოვარს“. ეტყობოდა ცხოვრებამ არ დაინდო, ფეხქვეშ გათელა მისი ღირსება და მომავალი. ლირიკულ გმირს ფიქრები აეშლება და ბუნდოვნად გაახსენდება, რომ ეს საცოდავი არსება სადღაც ნანახი ჰყავდა. უფრო და უფრო უმტკიცდება აზრი, რომ ოდესღაც იცნობდა და უსაუბრია კიდეც მასთან, მაგრამ სად? გონების დაძაბვის შემდეგ გმირს გაახსენდება რომში გატარებული წლები. ოცი წლის წინ მან რომში გაიცნო 22 წლის დამწყები მწერალი, რომლის სახელს ვერაფრით იხსენებდა და რომელსაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა. გმირი გადაწყვეტს მოძებნოს ეს კაცი. პოულობს კიდეც: „– გახსოვთ რომი?“ ჰკითხა ლირიკულმა გმირმა და ქაღალდის კუპიურა მიაწოდა. მაგრამ მათხოვარმა ფულს ზედაც არ დახედა, არც პასუხი გაუცია. ქაღალდის ფული დაჭმუჭნა და წიპურტით ააგდო მაღლა. იგი უხმოდ გაეცალა არასასურველ სტუმარს. ამ მოთხრობით მოემმ დაგვიხატა ცხოვრებისა და ხელოვნების დაპირისპირება და ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული ცხოვრება აღმოჩნდება. მოთხრობის გმირს ცხოვრებასთან დასაპირისპირებლად არ აღმოაჩნდება ის ძალა და გამბედაობა, როგორც ეს აღმოაჩნდა ჩარლზ სტრიკლენდს.

ღალატისა და ოჯახური იდილიის რღვევა ხშირად მეორდება მოემთან. პლანტატორ რობერტ კროსბის და მისი მეუღლის ლესლის ისტორია უშფოთველს როდი ტოვებს მკითხველს. ნოველიდან „ბარათი“. ქალი ღალატობს მზრუნველ მეუღლეს და საყვარელს გაიჩენს ოჯახის მეგობარს ჯეფ ჰემონდს. ამანაც მალე ლესლი ჩინელ ქალზე გაცვალა და ეჭვიანობის ნიადაგზე ქალმა საყვარელს ექვსი ტყვია დაახალა. ქალის ღირსება თითქოს დაცული აღმოჩნდება და ადვოკატ მისტერ ჯოსის დახმარებით ქალი გადაურჩება სასჯელს, მაგრამ იდუმალი ბარათის წყალობით რობერტ კროსბი შეიტყობს მეუღლის „სატანური სიყვარულის“ ისტორიას.

დიახ, მოემთან ქალი ხშირად ოჯახური თანაცხოვრების რღვევის მიზეზი ხდება. ლესლის მსგავსად ერთგულ და მოსიყვარულე მეუღლეს ღალატობს ქითი გარსთინი, მაგრამ ექიმი და ბაქტერიოლოგი უოლტერ ფეინი მეუღლეს მალე ღალატში გამოიჭერს და იმსხვრევა ოდესღაც ბედნიერი ოჯახური იდილია (რომანი „მოხატული ფარდა“). უოლტერ ფეინს ეპიდემია მოდებულ ქალაქში მიჰყავს მეუღლე. ეს თვითმკვლელობა გახლდათ, მაგრამ შელახული ღირსება, იარები ექიმს ამ გზით სურს მოიშუშოს. ქითის უკიდურესად დააგვიანდა გამოფხიზლება. „ჩვენ ის მოვკალით!“ ამბობს გამოფხიზლებული და გონს მოსული ქალი. ახლა ქითის კი ხელში შერჩება ყოველგვარ ადამიანურ რესურსებს მოკლე-

ბული უღირსი მამაკაცი, რომელსაც მწარე სინანულით მიმართავს: „უოლტერი ათ შენისთანა კაცად ღირდა. მე კი დიდი სულელი ვიყავი, ეს რომ ვერ დავინახე“ (7, 185). მაგრამ უკვე გვიანი იყო. უოლტერ ფეინი ეწირება ქოლერა მოდებულ ქალაქს.

ამპარტავნობას და პატივმოყვარეობას ეწირება მერი პენტონისა და ედგარ სვიფტის მომავალი ოჯახური თანაცხოვრება, რომანიდან „სიგიჟე ერთი ღამის.“ რომანში არცთუ ისე მარტივი ბანალური სასიყვარულო სამკუთხედი იშლება (თუ კი ამას საერთოდ სასიყვარულო სამკუთხედს ვუწოდებთ!). თითქოსდა იმარჯვებს რაულ ფლირტი. რომანის დასასრულს რაულ ფლირტის სიტყვეები სახტად ტოვებს მკითხველს და გრძნობ, რომ ეს სასტიკი რეალობა, რომელიც უმოწყალოდ ზეიმობს რომანში, განაჩენია არა მარტო კონკრეტული ადამიანების, არამედ ზოგადად, რეალური ცხოვრებაა ასეთი მკაცრი და მოემიც რეალისტური ალღოთი ცდილობს გვიჩვენოს ცხოვრება თავისი სარკზმითა და ნატურალისტური სენტიმენტების მოშველიებით.

ულმობელმა ბრბომ, საზოგადოებამ, ოჯახმა ლა კაჰირა ორჯერ მკვლელად აქცია. შვილისათვის დედამ ყველაფერი გააკეთა, მის დასაცავად შვიდი წელი ციხეში გაატარა, თუმცა უმადურმა შვილმა დედის მიერ გაღებული მსხვერპლის სიმძიმე ვერ გაისიგრძეგანა და საბრალო დედა ხელმეორედ მკვლელად აქცია (მოთხრობიდან „დედა“).

ველური ბუნების წიაღში იშვა წითურისა და სალის ამაღელვებელი ისტორია (ნოველიდან „წითური“) და აქვე, ველური ბუნების წიაღში მიიცვალა. ამ კუნძულზე მხოლოდ „წამით ჩაიმუხლა სიყვარულმა, მცირე ხნით მოკეცა თავისი დაღლილი ფრთები“. წითური „ბუნების უცნაური ჟინის ნაყოფი“ გახლდათ, ქალი კი თავისი მშვენიერებით, „ნატიფი ნაკვთებით ნეაპოლის მუზეუმის ფსიქეას“ ჰგავდა. ქალმა თეთრკანიან კაცზე ჭკუა დაკარგა, მაგრამ მათი „ლხენა სამოთხეში“ ხანმოკლე აღმოჩნდება. ქალმა გამოგლოვება ვერ მოასწრო პირველი სიყვარულის ისე, მის ცხოვრებაში მეორე თეთრკანიანი მამაკაცი – ნეილსონი გამოჩნდება. კაცმა ყველაფერი გააკეთა რათა ქალისათვის პირველი სიყვარული დაევიწყებინა, მაგრამ ამაოდ. კაცმა ქალს „ფეხქვეშ გაუგო თავისი სულის საგანძური, მაგრამ სალის არც კი დაუხედავს ძირს“. ის კვლავ ჯიუტად მისტიროდა იმ სიყვარულს, რომელმაც სულ ადვილად შეძლო მისი დავიწყება. ასე მძაფრი და ტრაგიკულია სიყვარულით გამოწვეული ტკივილი მოემთან.

ხშირად ფარისევლობა და დემაგოგობაც ზეიმობს მოემის პროზაში. ამ მხრივ საყურადღებოა მისიონერი ცოლ–ქმარი დევიდსონები (მოთხრობიდან „წვიმა“). მის ტომპსონი ბევრად სიმპათიური და სათნოდ გამოიყურება, ვიდრე მისიონერი ცოლ–ქმარი. მათ მისიონერულ საქმიანობას უფრო სიბილწე და თვალთმაქცობა ეთქმოდა, ვიდრე ღვთის მსახურება. ზოგჯერ გეჩვენება, რომ ადამიანის სიმდაბლეს და ჭუჭყს ვერაფერი ჩამორეცხავს, ვერც ის წვიმა, რომელიც მთელი ერთი კვირის მანძილზე გრძელდებოდა კუნძულზე. ზეცა თითქოს დაიცალა წყლისაგან, მაგრამ იმ ცოდვას ვერაფერი გადარეცხდა, რაც ცოლ–ქმარმა დევიდსონებმა კუნძულზე ადამიანებს მიაყენეს. ასეთია სასტიკი რეალობა, რომელიც სომერსეტ მოემის პროზაში ხშირად მეორდება.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მოემი XX საუკუნის I ნახევრის ერთ–ერთი გამორჩეული ბრიტანელი დრამატურგი და პროზაიკოსი მწერალი გახლდათ. კრიტიკოსთა არაერთგვაროვანი შეფასების მიუხედავად, მისმა დახვეწილმა წერის სტილმა, ფსიქოლოგიურმა ხედვამ, პერსონაჟთა ხასიათის ჩვენებამ, ნატურალისტური ტენდენციების თავჩენამ, ხელი შეუწყო თანამედროვე ინგლისური პროზის განვითარებას. სომერსეტ მოემის შემოქმედებაში იგრძნობა აზრის სიმახვილე და ნატურალისტური დიალოგების სიუხვე, ფსიქოლოგიური ალღო, ხასიათების მეცნიერული შესწავლა. მოემი „ფაქტების უნაკლოდ“ გადმომცემი მწერალია. პროფესიით ექიმი მოემი, ადამიანის სხეულთან ერთად, გულდაგულ იკვლევს ადამიანის სულს, მის ბუნებას, ხასიათს, შინაგან სამყაროს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გაზეთი „კალმასობა“, N 4, 2002.
2. გაზეთი ლიტერატურული საქართველო, N 51, 1965.
3. ერისთავი თ., რის წინააღმდეგ იბრძვის ჯენტლმენი სომერსეტ მოემი, ჟურნალი „ხომლი“, თბ., N 1, 1968.
4. იმედაშვილი ნ., მთხრობელისა და ავტორის კატეგორიები სომერსეტ მოემის რომანებში. წიგნში: XX ს-ის დასავლეთევროპული და ამერიკული რომანის პოეტიკის საკითხები, ნ. კაკაურიძის რედაქციით, ქუთაისი, 2006.
5. მოემი უ. ს., შეჯამება, თარგმანი ზ. გაჩეჩილაძის, თბ., 1986.
6. მოემი უ. ს., მთვარე და ექვსპენიანი, ნოველები, წინასიტყვაობა თ. ერისთავისა, თარგმანი ა. ჭეიშვილის, თბ., 1972.
7. მოემი უ. ს., მოხატული ფარდა, თარგმანი ქ. ტოროტაძის, თბ., 1992.
8. მოემი უ. ს., ჭრელი საბურველი, თარგმანი ლ. გოგაძის, თბ., 1987.
9. მოემი უ. ს., სიგიჟე ერთი ღამის, მოთხრობები, თარგმანი ა. გახოკიძის, თბ., 1964.
10. მოემი უ. ს., წვიმა, მსოფლიოს რჩეული მოთხრობები, თარგმანი ა. ჭეიშვილის, თბ., 2011.
11. მოემი უ. ს., თეატრი, თარგმანი ნ. ჩუბინიძის, ბათუმი, 2016.
12. ყიასაშვილი ნ., „თანამედროვეობა“ და „მოდერნიზმი.“ წიგნში: დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე) ლიტერატურის ისტორია, პოეტიკა, ურთიერთობანი, თბ., 1988.
13. Rogal, Samuel J., A William Somerset Maugham Encyclopedia Greenwood Press, 1997.
14. Hastings, S., The Secret Lives of Somerset Maugham – A biography. London, John Murray. 2009.


**კობა წურწუმია**

## უილიამ სომერსეტ მოემის ლიტერატურული სივრცე

### რეზიუმე


უილიამ სომერსეტ მოემი XX საუკუნის I პირველი ნახევრის ბრიტანელი დრამატურგი და რომანისტია. მოემის რომანები, პირობითად, „საოჯახო რომანების“ ციკლს განეკუთვნება, რომლებშიაც იგრძნობა ვიქტორიანული ეპოქის განწყობა. მოემის შემოქმედების უმთავრესი თემებია: პიროვნების გაუცხოება, ხელოვანის ბედი თანამედროვე სამყაროში, ოჯახური გარემოს ჩვენება, კონფლიქტი, უთანხმოება და ღალატი მეუღლეებს შორის.

წარმოდგენილ ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული სომერსეტ მოემის ესთეტიკური შეხედულებანი, მისი წერის სტილი და მოემის პროზის თავისებურებანი.

**Koba Tsurtsumia**

**The Literary Space of William Somerset Maugham**

**Summary**

Somerset Maugham was a British playwright and novelist of the first half of the 20th century. Somerset Maugham's novels refer to "Family Romance" cycle, because in his works the writer gives a big place to the family environment, disagreement between the spouses, conflicts, and betrayal. At the same time, we get to know about the alienation of the person and existential issues. The mood of the Victorian Era was most obvious and clearly visible in Maugham's works.

In the present article we have highlighted the literary-aesthetic views of Somerset Maugham, his style of writing and the peculiarities of the prose.

**Коба Цурцумия**

**Литературное Пространства Уильям Сомерсет Моэма**

**Резюме**

Сомерсет Моэм был Британским драматургом и писателем первой половины XX века. Романы Сомерсета Моэма относятся к циклу «Семеиные Романы», потому что в его произведениях писател придает большое значение семейному окружению, разногласию между супругами, конфликтам и предательству. В то же время из его произведений мы узнаем о отчуждении человека и об экзистенциальных вопросах. Наиболее очевидным является настроение викторианской эпохи в работах Моэма. В настоящей статье мы показали литературно - эстетические взгляды Сомерсета Моэма, его стиль и особенности прозы.

**ნანა სოლოდაშვილი**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი**

## კახეთის მეფეთა ტიტულატურა XVI –XVIII საუკუნეებში

მეფე საქართველოში „ქუეყანათა“ და „ნათესავთა“ მფლობელად ითვლებოდა. „ხელმწიფის კარის გარიგების” მიხედვით „მეფე ზებუნებრივი არსების ნიშნებით არის დაჯილდოებული, იგი ღვთის სწორია“(9,18). მეფის გაღმერთების იდეა, თავდაპირველად, აღმოსავლეთის თეოკრატიული სახელმწიფოებისათვის იყო დამახასიათებელი. შემდეგ ამ წესჩვეულებამ ბიზანტიაში შეაღწია, იქიდან კი საქართველოშიც გავრცელდა. „ფეოდალური განვითარების გარკვეულ საფეხურზე საქართველოშიც იქმნება ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ღვთიური წარმოშობის თეორია. ეს თეორია მიზნად ისახავდა მმართველი დინასტიის მდგომარეობის განმტკიცებას – ერთი მხრივ ის ანიჭებდა მას უპირატესობას სხვა საგვარეულოთა წინაშე, მეორე მხრივ, იდეოლოგიურად ასაბუთებდა მმართველი გვარის კლასობრივ ბატონობას“ (7, 259).

მეფის პატივისცემისა და გაღმერთების წესჩვეულება არის ძლიერი მეფის ხელისუფლების იდეის გამოძახილი. ფეოდალური სახელმწიფოს ყოველი მეფე ძლიერებისაკენ მიისწრაფოდა.

ოფიციალური ვერსიით, რომელიც დაფიქსირებულია თვით ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის X საუკუნის ნაშრომში, ბაგრატიონები ღვთიური წარმო-

შობის საგვარეულოა, კერძოდ, შთამომავალნი არიან **დავით წინასწარმეტყველისა,** ამიტომ ენათესავებიან თვით მარიამ ღვთიშობელს. თავიანთ თავს საქართველოს მეფეები უწოდებდნენ „იესიან-დავითიან-სოლომონიან ბაგრატიონებს“ (1,132).

დიდებული ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „საქართველოს მეფეებს მარტო დავით ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველისაგან კი არა, არამედ მაშინდელი შეხედულებით სხვა მხრივაც საქებარი გვარიშვილობა მოსდგამდაო: საქართველოს ხელმწიფე იყო „ნაყოფი ხისაგან დავითიანთაგან და ხუასროანიანთაგან და პანკრატონიანთა“. იმდროინდელი მოძღვრების თანახმად, საქართველოს მეფეებს, ორი სამეფო სახლის დიდება ჰქონია დამკვიდრებული: ჯერ ერთი ებრაელთა მეფის დავითის სახელი ეკუთვნოდა „ულუმპიანობით“, შემდეგ ხუასროვანთა სპარსელი მეფეების პატივი ეპყრათ „შარავანდედობით“(10,97).

ულუმპიანობა საქართველოს ხელმწიფეებს დავით წინასწარმეტყველ-მეფისაგან ჰქონიათ მიღებული, მაგრამ თვით სიტყვა „ულუმპიანობა“ ბერძნული „ოლვიმპიოს“–ისაგან არის წარმომდგარი და იგი საზოგადოდ ქრისტიანი ბიზანტიის მეფეების დიდების გამომხატველი ტერმინი უნდა ყოფილიყო. „შარავანდედობა“ კი სპარსული სიტყვიდან არის ნაწარმოები და სპარსეთის ბატონების უფლების აღმნიშვნელად უნდა ჩაითვალოს. ქართველი მეფეები თავიანთ თავს „შარვანშა“ და „შაჰანშა“-საც უწოდებენ. „შაჰანშას“ სახელს თავდაპირველად სომეხთა მეფეებიც ჩემულობდნენ, შემდეგ კი ქართველმა მეფეებმა დაისაკუთრეს. უეჭველია „შაჰანშას“ სახელის დაჩემებას პოლიტიკური აზრი და მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მაგრამ როგორც ჩანს, საქართველოს მეფეები ამ სახელს გადამეტებულ ფასსა და მნიშვნელობას არ ანიჭებენ. მეფის წოდებულებაში „შაჰანშას“ უკანასკნელი ადგილი ეკუთვნოდა და „აბხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფესა და შარვანშას“ მისდევდა. ეს წოდებულება საქართველოს მეფეს სომხეთის შემოერთებასთან ერთად უნდა ჰქონოდა შეთვისებული (10. 97-98).

ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს მეფეთა ტიტულატურა შესანიშნავად ასახავს ქვეყნის თანმიმდევრობით გაერთიანების პროცესს და შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების ზრდას. ეს ტიტულატურა „საქართველოს სახელმწიფოს თანდათანობითი ზრდისა და ნაწილობრივ წეს-წყობილების უტყუარი გამომხატველი იყო და ამ თვალსაზრისით რეალური მნიშვნელობა ჰქონდა“(7, 254).

ქართულ სამეფო ტიტულატურასთან დაკავშირებული ეს ტენდენცია შენარჩუნებულა ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგაც XVI საუკუნეში. ამის ნათელი მტკიცებულებაა ქართლისა და კახეთის სამეფოს ის სიგელ-გუჯრები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. ამ მხრივ საინტერესოა ალექსანდრე კახთა მეფის წიგნი დავით ჯორჯაძისადმი, რომელიც 1577 წლით არის დათარიღებული: „ქ. ნებითა ღმრთისათა ჩუენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიან აფხაზთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანშა და ყოვლისა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისა თუით ხელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან ღმრთივ-გუირგუნოსანმან და ღმრთივ-დამყარებულმან და ღმრთისა მიერ წარმართებულმან, ძლიერმან და უძლეველმან მეფეთ-მეფემან პატრონმან ალექსანდრე და თანამეცხედრემან (ჩუენმან) დედოფალთა-დედოფალმან პატრონმან თინათინ...“(2, 195). ამ კუთხით ასევე საინტერესოა 1592 წლით დათარიღებული სიმონ I-ის განჩინების სიგელი მაღალაძეებისადმი: „ქ. ჩუენ, ღმრთივ-გუირგუინოსნისა მეფეთ-მეფისა სუიმეონისგან ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, კახთა, რანთა, სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანშა და ყოვლისა აღმოსავლისა და ვიდრე დასავლამდე თვით მტკიცედ ფლობით მქონებელისა... (2,.205). მოტანილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ, მიუხედავად იმისა, ამ პერიოდში ერთიანი საქართველო უკვე დიდი ხნის დაშლილია, როგორც ქართლის, ასევე კახეთის მეფეები ცდილობენ შეინარჩუნონ ერთიანი საქართველოს მეფეების ტიტულატურა, რომელშიც მათი სიძლიერეა ასახული.

XVII-XVIII საუკუნეების სიგელ-გუჯრებში კი კახეთის მეფეთა ტიტულატურა წინა საუკუნეებისაგან უკვე განსხვავებულია, ის ბევრად უფრო მოკრძალებულია და მხოლოდ

იმ კუთხის მპყრობელობას ასახავს, რომელსაც ის განაგებს, კახეთის მეფეებიც თავიანთ თავს, თავიანთი წინაპრების მსგავსად, „იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიონად“ მოიხსენიებენ. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მათი ტიტულატურიდან იკვეთება ირანის გავლენაც კახეთზე. როგორც ცნობილია, 1632 წლიდან 1744 წლამდე ქართლისა და კახეთის სამეფოებს მხოლოდ ირანისაგან გამაჰმადიანებული მეფეები მართავდნენ. კახეთის იმდროინდელი მეფეები, ერეკლე ნაზარალი-ხანიდან დაწყებული ერეკლე II ჩათვლით 1747 წლამდე (სანამ „ყიზილბაშობა“ დასრულდებოდა), ყველა თავისთავს მოიხსენიებს ირანის შაჰისაგან გახელმწიფებულად, როგორც ქართული, ასევე მუსლიმანური სახელით, რაც კახეთზე და კახეთის მეფეებზე ირანის დიდი პოლიტიკური გავლენის მაჩვენებელია. ამ მხრივ საინტერესოა მეფე ერეკლე ნაზარალი-ხანის წყალობის წიგნი ზაალ ანდრონიკაშვილისადმი: „ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისათა, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მიზეზდაუდებელი წყალობის წიგნი და ფარმანი გიბოძეთ ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიონ თვით ხელმწიფემან ერანის ყულარაღასმან (აქ ერეკლეს ირანული თანამდებობაცაა მითითებული - ნ.ს.) კახეთის მეპატრონემ მეფეთ მეფემან ნაზარალიხან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ანამ, სასურველმან ძემან ჩვენმან იმამყულიმ, მამად ყულიმ და თეიმურაზ...“ (5, ფ.1461. რვ.13. ს. 22). ზუსტად ასევე მოიხსენიებს ერეკლე თავის თავს სხვა სიგელ-გუჯრებშიც (ფ.1448, ს.1505; ფ.1461. რ.4.ს.5; 6, HD11352). ოდნავ განსხვავებულია 1701 წლით დათარიღებული ერეკლე ნაზარალიხანის წყალობის წიგნი სოლოღაშვილებისადმი (5, ფ. 1450. დ.28.ს 199), სადაც ერეკლე თავისთავს მძლეველ და უძლეველ მეფედაც მოიხსენიებს: „ნებითა და შეწევნითა მღთისათა ჩუენ ღთივ აღმართებულმან და მღთივ დამყარებულმან და მღთივ ზეცით გვირგვინოსანმან იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიონმან მეფემან საჩინომან და ხელმწიფემან წარჩინებულმან მძლეველმან და უძლეველმან მეფეთ მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმან ნაზარალიხან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ანამ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან იმამყულიმ, პატრონმან კონსტანტილემ და პატრონმან თეიმურაზ...“

1703-1722 წლებში კახეთის მეფეა ერეკლე ნაზარალი-ხანის უფროსი შვილი დავითი, რომლის მაჰმადიანური სახელია იმამყული-ხანი. დავითი და მისი მომდევნო ძმა კონსტანტინე ირანის შაჰის კარზე იზრდებოდნენ. როგორც ჩანს, „დავით იმამყული-ხანი კახეთში გამეფების შემდეგაც ირანის ხელმწიფისა და მაჰმადიანური წესების დიდი პატივისმცემელი დარჩენილა. დავითი თავის თავს „დიდი ხელმწიფის შვილურად გაზრდილს და მისგანვე გახელმწიფებულს უწოდებს“(8, 72). ამ მხრივ საყურადღებოა 1707 წელს დავით იმამყული –ხანის მიერ გაცემული წყალობის წიგნი: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი სამკვიდრო და საბოლოოდ გამოსადეგი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ ღთივ ზეცით გვირგვინოსანმან იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრანტიონმან, დიდისა და ცამდის ამაღლებულის ხელმწიფის შვილურად აღზრდილმან და მათგანვე გახელმწიფებულმან მეფეთ მეფემან თვით ხელმწიფემან, პატრონმან იმამ ყულიხან და დედამან ჩვენმან დედოფალთ დეოფალმან პატრონმან ანამ და ძმამან ჩვენმან სასურველმან პატრონმა მაჰმად ყულიმ და პატრონმა თეიმურაზ“ (5, ფ1448, ს. 549; ფ.1448, ს. 1428). ასევე საინტერესოა 1712 წელს დავითის მიერ გაცემული წყალობის სიგელი ედიშერ ჩოლოყაშვილისადმი, სადაც ის თავის ძმებს კონსტანტინეს მოიხსენიებს ერევნის ბეგლარ-ბეგად, ხოლო თეიმურაზს კახეთის გამგედ: „...იესიან, დავითიან, სოლომონიან პანკრატოიანთ რტომან და ტომმან, დიდისა და ცათა სწორის ერანის ხელმწიფის შვილურად გაზდილმან და მისგანვე გაბატონებულმან მეფეთ მეფემან და თვით ხელმწიფემან და მპყრობელ მქონებელმან მეფემან პატრონმან იმამ ყულიხან და დედამან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან ანამ და დიდისა ხელმწიფის გაზდილმან საყვარელმან და სასურველმან დიდის ერევნის ბეგლარ-ბეგმან ძმამან ჩვენმან მაჰმადყული-ხან და კახეთის გამგემან ბატონის შვილმან ძმამან ჩვენმან პატრონმან თეიმურაზ...“ (5, ფ. 1448, ს. 2307).

ამდენად, დავით იმამყული-ხანის ტიტულატურიდან, მიუხედავად იმისა, რომ ის თავის თავს ისევ „იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიონად“ მოიხსენიებს, კარგად ჩანს, რომ ის მარტო კახეთის „მპყრობელ, მქონებელია“ და ასევე დიდი პატივით მოიხსენიებს ირანის შაჰს, რომელსაც ის „ცათა სწორს“ უწოდებს. ამავე ტიტულატურიდან კარგად იკვეთება ირანის პოლიტიკური გავლენაც კახეთის სამეფოზე.

ამ მხრივ, ასევე საინტერესოა დავითის უმცროსი ძმის – კონსტანტინე მაჰმადყული-ხანის ტიტულატურაც, რომელიც კახეთის მეფეა 1722 წლის დეკემბრიდან 1732 წლის ბოლომდე. კონსტანტინეც თავის თავს „ირანის ხელმწიფის გაზრდილს და მისგანვე გახელმწიფებულს უწოდებს“. 1723 წლით დათარიღებულ სიგელში კონსტანტინე თავის თავს ასე მოიხსენიებს: „ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისათა, ჩვენ მღთივ ზეცით აღმატებულმან, მღთივ ზეცით დამყარებულმან, მღთივ ზეცით გვირგვინოსანმან, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიონთა რტომან და ტომან, დიდისა და ცათა სწორის ერანის ხელმწიფის გაზდილმა, მათგანვე გახელმწიფებულმან, დროის დინებით და პატივით გამოსტუმრებულმან კახეთისა, ერევნისა ბეგლარ ბეგმან, შამშადინისა და ყაზახის მქონებელმან, მეფეთ-მეფემან თვით ხელმწიფემან პატრონმან კოსტანტინემ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ფერიჯან ბეგუმ ...“(5, ფ.1448, ს.126). 1724 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც კონსტანტინემ ირანის შაჰის დავალებით თბილისი აიღო, იგი თავის თავს ქართლისა და კახეთის მპყრობელად მოიხსენიებს და ქართლსაც თავის სამკვიდროდ მიიჩნევს. ამ კუთხით საინტერესოა შემდეგი დოკუმენტი: „...იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატონიანმან ქართველთა და კახთა მეფისა და ხელმწიფისა ერეკლეს პირმშომან, ძემან და დიდისა და ცათა სწორის ბედნიერის ერანის ხელმწიფისაგან შვილურებ აღზრდილმან და მათგანვე გახელმწიფებულმან, ქართველთა და კახთა მეფემან, განჯა ყარაბაღის და ერევნის ბეგლარბეგმან, შამშადინოსა და ყაზახის მპყრობელმან და მქონებელმან მეფეთ მეფემან და თვით ხელმწიფემან, პატრონმან კოსტანტინემ...“(5,ფ.1448, ს. 134). ეს დოკუმენტი იმითაც არის საინტერესო, რომ ზემოთ მოტანილი კონსტანტინე მეფის ტიტულატურიდან ზუსტად იკვეთება ის ტერიტორიები, რომლებზედაც ვრცელდება მისი გავლენა. ეს არის: ქართლი, კახეთი, განჯა, ყარაბაღი, ერევანი, შამშადინი და ყაზახი. ყველა ამ ტერიტორიას კონსტანტინე თავისად მიიჩნევს და თავის თავს მის „მპყრობელ, მქონებლად“ მოიხსენიებს.

1735 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში „ყიზილბაშობა“ მყარდება. ამავე წლის 10 აგვისტოდან ქართლ-კახეთის მეფედ თამაზ-ხანს დაუნიშნავს დავით იმამყული-ხანის ძე ალექსანდრე ალი-მირზა. სცსს არქივში მოგვეპოვება ალი-მირზას გაცემული საბუთები, რომელშიც „ის თავის თავს ქართლისა და კახეთის მპყრობელ, ერანის ხელმწიფისაგან უხვად გამდიდრებულ მეფეთ-მეფედ“ მოიხსენიებს (8,188). აღსანიშნავია, რომ 1737 წლით დათარიღებულ საბუთებში ყანდაარში მყოფი თეიმურაზ ბატონიშვილიც თავის თავს „დიდი ხელმწიფისაგან გახელმწიფებულ კახეთის მპყრობელს უწოდებს“ (8,197), ასევე უწოდებს თეიმურაზი თავის თავს 1742 წელს გაცემულ საბუთებშიც (5, ფ.1461, რ.7. ს. 24). 1744 წლიდან კი, როგორც ცნობილია, თეიმურაზმა თავისი დიპლომატიური ნიჭითა და გონებაგამჭრიახობით მიაღწია იმას. რომ ნადირ-შაჰმა იგი ქართლში, მისი ძე ერეკლე კი კახეთში გაამეფა. 1747 წელს გაცემულ წყალობის წიგნში ერეკლე II–ის ტიტულატურაც ისეთივეა, როგორც მისი წინამორბედებისა: „ქ. ჩვენ ღთივ აღმატებულმან და ღთივ დამყარებულმან ზეცით გვირგვინოსანმან იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიონმან, ერანის ხელმწიფისაგან შვილურად აღზრდილმან და მათგანვე დიდათ გახელმწიფებულმან კახეთის, არაგვის მპყრობელ მქონებელმან მეფეთ მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმან ქართველ მეფის თეიმურაზის ძემან, მეფემ ერეკლემ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ანნამ...“ (5, ფ.1448. ს.1507). 1748 წლიდან გაცემულ კახეთის მეფეთა სიგელ-გუჯრებში კი აღარსადაა ნახსენები ირანის ხელმწიფე, რადგან „ყიზილბაშობა“ და ირანის პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთ საქართველოზე საბოლოოდ დასრულდა 1747წელს. ამის შემდეგ ერეკლე II-ის ტიტულატურაში თანმიმდევრო-

ბით აისახებოდა ის პოლიტიკური გავლენა და სიძლიერე, რომელსაც ის აღწევდა. მაგალითად 1748წ. გაცემულ წყალობის სიგელში ერეკლე II ტიტულატურა ასე გამოიყურება: „..იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიონმან კახეთის, არაგვის მპყრობელ მქონებელმან, მეფის თეიმურაზის ძემან, სრულიად ქართლის გამგებელმან (ამ დროს თეიმურაზ II ირანის კარზე იმყოფება და ქართლის გამგებელი ერეკლე II-ა.) მეფეთ მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმან მეფემ ერეკლემ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ანამ...“(5, ფ.1448. ს.5605; ფ.1450, დ.32,ს.307). 1748 წ. ერეკლე II გაცემულ სიგელში ნათლისმცემლის მონასტრისადმი ერეკლე II წერს: „ქ. ჩვენ კახთა მპყრობელმან და განმგებელმან ქართლისამან მეფე ერეკლემ შევწირეთ წმიდის ნათლისცემლის მონასტერს უდაბნოსა გარეჯისას...“(4, 69). ამავე წელს არის გაცემული თეიმურაზ II და ერეკლე II წყალობის სიგელი ალადაშვილისადმი, სადაც ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა, ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიონმან, მეფეთმეფემან და თვით ხელმწიფემან საქართველოს მპყრობელმან პატრონმა თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ანახანუმ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან მეფემან კახეთისამან ერეკლემ (4, 191; 2,172; 5, ფ. 1461, რვ.7, ს.22). მოყვანილი დოკუმენტებიდან უკვე ნათლად იკვეთება თეიმურაზ-ერეკლეს დამოუკიდებლობა ირანის სამეფოსაგან. ერთი მათგანი პირდაპირ მოხსენიებულია ქართლის მეფედ, ხოლო მეორე - კახეთის მეფედ. 1750წელს გაცემულ ერეკლე II წყალობის წიგნში ერეკლეს ტიტულატურას „რანიც“ ემატება და ასე გამოიყურება: „ჩუენ ღთივ ამაღლებულმან და ღთივ დამყარებულმან და ღთივ ზეცით ცხებით გვირგვინ სკიპტრა პირფერგამშვენებულმან და ტომან იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანმან და სამეფოთა ჩვენთა კახთა და რანთა და არაგვის საერისთოს ფლობით და პყრობით მქონებელმან მეფემან და ხელმწიფემან პატრონმან ერეკლემ...“ თეიმურაზ II გარდაცვალების შემდეგ კი, ერეკლეს ტიტულატურაშიც ნათლად აისახება ქართლ-კახეთის გაერთიანება. იგი ასე გამოიყურება: „ქ. ჩვენ ძემან ცხებულის მეფის თეიმურაზისამან მეორე ირკლიმ მეფემან საქართველოსამან ქართლისა კახეთისა შამშადილისა ყაზახისა და ბორჩალოს მპყრობელ მქონებელმან....“ (4,ფ. 1448, ს.582). ზუსტად ასევე მოიხსენიება ერეკლე შემდეგ საარქივო დოკუმენტებშიც: 5, ფ. 1448, ს.587; ფ. 1448, ს.5525; ს.. 5643; ფ.1449, ს.470; ს. 1042; ს. 1228).

ძალზე საინტერესოა ერეკლე II ტიტულატურა, რომლითაც იგი მოხსენიებულია გეორგიევსკის ტრაქტატში, ფაქტიურად აქ ყველა ის კუთხე და მხარეა ასახული, რომელზედაც მან გავლენა მოიპოვა მთელი თავისი მეფობის პერიოდში: „მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე-მფლობელი სამცხე – საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შამახიისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა“. აი, ასე ზედმიწევნითაა „გიორგიევსკის ტრაქტატში“ ასახული ერეკლე მეფის სიძლიერე და გავლენის სფეროები.

ამრიგად, კახეთის მეფეების ტიტულატურა ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ, XVI–XVIII საუკუნეებშიც აგრძელებს ერთიანი საქართველოს მეფეების ტრადიციებს მათი ღვთიური წარმოშობისა და მემკვიდრეობის შესახებ დიდ დავით წინასწარმეტყველთან. ასევე მათი ტიტულატურა ზუსტად გადმოგვცემს ირანის პოლიტიკურ გავლენას XVII–XVIII საუკუნეების კახეთის მეფეებზე, მათ განთავისუფლებას ირანელთა გავლენისაგან, ქართლ-კახეთის გაერთიანების პროცესს და მათ პოლიტიკურ სიძლიერეს XVIII ს-ის II ნახევარში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ასათიანი ნ., საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან XIXს-მდე, თბ., 2001.
2. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965.
3. თაყაიშვილი ექ., საქართველოს სიძველენი, ტ. III, თბ., 1910.

4. კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წიგ. V, თბ., 1913.
5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.
6. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979.
8. სოლოღაშვილი ნ., ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა XVIII ს-ის I ნახევარში, თბ., 2010.
9. სურგულაძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970.
10. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984.

**ნანა სოლოღაშვილი**

**კახეთის მეფეთა ტიტულატურა XVI –XVIII საუკუნეებში**

**რეზიუმე**

ქართულ წყაროებსა და ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისით ქართველთა სამეფო დინასტია „ბაგრატიონები“ ღვთიური წარმოშობის საგვარეულოა და დიდი დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად იხსენიებიან. ისინი თავიანთ თავს „იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონებს“ უწოდებდნენ. ასევე საუკუნეების მანძილზე მათ ტიტულატურაში გარკვეულად აისახებოდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეალობაც.

წარმოდგენილ ნაშრომში ამ კუთხით შესწავლილია კახეთის მეფეების: ერეკლე ნაზარალი-ხანის, დავით იმამყული-ხანის, კონსტანტინე მაჰმადყული-ხანისა და ერეკლე II-ის ტიტულატურა XVI–XVIII საუკუნეებში. ნაშრომიდან ირკვევა, რომ ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგაც კახეთის მეფეები არ არღვევენ საუკუნოვან ტრადიციებს და ისინიც თავიანთ თავს მოიხსენიებენ „იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონად“ და ამავე დროს მათ ტიტულატურაშიც ზუსტად აისახება იმ ეპოქებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური რეალობა და გავლენის სფეროები.

**Nana Sologhashvili**

**The Title of Kings of Kakheti in XVI-XVIII Centuries**

**Summery**

Based on the established opinion in the historiography, Georgian royal family ,,Bagrationios” are considered to be divine origin because they were known as descendants of the Great David the Prophet. They called themselves ,,Iesian-Davitian-Solomonian-Bagrations”. For centuries, their titles also reflected Georgia’s political reality. which clearly reflects the political situation during the period and matches their scope of influence.

Presented work Describes Georgian kings’ titles in this aspect in XVI-XVIII centuries. From this work it becomes clear that even after the collapse of the united Georgia, Georgian kings don’t violate the centuries-old traditions and still call themselves ‘’Iesian-Davitian-Solomonian-Bagrations” which clearly reflects the political situation during the period and matches their scope of influence.

**Нана Сологашвили**
**Титули Кахетинских царей XVI-XVIII В**
**Резюме**

Исторические грузинские писания связывают происхождение рода Багратиони с библейскими персонажами, именно с царем Пророком Давидом. Они именовали себя Иесиан-Давитиан-Соломониан-Багратионом. На протяжении веков в их титулах четко была отражена политическая реальность страны того времени.

Предлагаемая работа посвящается изучению титулов Кахетинских царей XVI-XVIII вв. (Давид Имамкули-хан, Константин Магмад-кулихан и Иракли II) и определено, что после распада единой Грузии Кахетинские цари не нарушали вековые традиции и именовали себя Иесиан-Давитиан-Соломониан-Багратионом, тем самим в их титулах точно отражается политическая реальность и сферы влияния того времени.

**ვალერიან დოლიძე**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

**ავთანდილ ტუკვაძე**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

## რუსეთი, როგორც განსაკუთრებული აქტორი მსოფლიო პოლიტიკაში

რუსეთი, როგორც განსაკუთრებული აქტორის ფენომენი, მსოფლიო პოლიტიკაში, ეს არის ისეთი არაჩვეულებრივი მოვლენა, როცა ნედლეულის ესქპორტზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოს წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკაში. უკანასკნელ ხანს განვითარებულმა მოვლენებმა –საქართველო-რუსეთის ომი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარება, ყირიმის შეერთება, სირიის კამპანია, გამოავლინეს რუსეთის ძალა და შესაძლებლობები, გვიჩვენეს, რომ რუსეთი არის არა ჩვეულებრივი, არამედ განსაკუთრებული აქტორი, რომელსაც ჩამორჩენილი ეკონომიკის მიუხედავად, შეუძლია დამოუკიდებლად აკონტროლოს მსოფლიო პოლიტიკის ფუნქციონირება, მისი განვითარების მიმართულება, შეცვალოს ძალისა და გავლენის დამკვიდრებული მოდელი, დამოუკიდებლად დაუპირისპირდეს გაბატონებულ ტენდენციებს და საკუთარი ინტერესების შესაბამისად შეცვალოს ისინი, გადალახოს მთავარი აქტორების წინააღმდეგობები და ყოველივე ამის ფონზე ნათლად გამოკვეთოს თავისი პოლიტიკური ინდივიდუალობა და საკუთარი ინტერესების სპეციფიკა. რუსეთი გვევლინება როგორც სტრატეგიული მოთამაშე, რომლის აქტიურობაც მიზანმიმართულად ცვლის სტრატეგიულ სიტუაციას, განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკის განვითარების ვექტორს, აკონტროლებს ამინდის შექმნას მსოფლიო პოლიტიკაში.

რუსეთი მსოფლიო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ სუბიექტურად, საკუთარი აქტიური მოქმედებით, არამედ ობიექტურადაც, როგორც ადგილი, სადაც ვითარდებოდა ისეთი მოვლენები, რომლებიც ცვლიდნენ მსოფლიო პოლიტიკას. ასეთი იყო ჯერ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია, ხოლო 74 წლის შემდეგ კი სსრკ-ს დაშლა 1991 წელს. რუსეთის პოლიტიკური ორბიტის დაშლამ (სსრკ და მსოფლიო სოციალისტური სისტემა)

წარმოშვა ახალი პოლიტიკური მსოფლიო, შეცვალა მისი ფუნქციონირების წესები და სტრუქტურა და ის თვისებრივად განსხვავებულ მდგომარეობაში გადაიყვანა.

რუსეთს აკუთვნებენ იმ ქვეყნებს, რომელთა განვითარებაც დაიწყო გვიან. მე-18 საუკუნიდან მისი როლი მნიშვნელოვნად იზრდება საერთასორისო პოლიტიკაში და მისი ასეთი გაძლიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული პეტრე პირველის რეფორმებთან, რომელთა შედეგადაც რუსეთი შევიდა ევროპულ სახელმწიფოთა სისტემაში. პეტრე პირველმა მოამზადა საფუძვლები იმისათვისაც, რომ რუსეთი არა მხოლოდ ამ სისტემის ნაწილი, არამედ თანდათანობით მისი მთავარი მოთამაშეც გამხდარიყო. შვიდწლიანმა ომმა (1756-1763), როცა რუსებმა დაიკავეს ბერლინი, აშკარად გამოავლინა ამ ქვეყნის სამხედრო უპირატესობები. რუსეთის სამხედრო სიძლიერე იყო მთავარი ფაქტორი, რომელიც მის პოლიტიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავდა, რაც განსაკუთრებული ძალით მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში წარმოჩინდა, როცა რუსეთი საერთო ევროპული წესრიგის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი და უმთავრესი დამცველი გახდა. ვერც ყირიმის ომში და ვერც რუსეთ–იაპონიის ომში განცდილმა მარცხმა ვერ გადააქცია რუსეთი მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ. ის კვლავ რჩებოდა მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მოთამაშედ და ანგარიშგასაწევ ძალად.

პეტრეს რეფორმებმა წარმოშვა რუსეთის არასრული ევროპეიზაცია ან ნახევრად მოდერნიზაცია, რამაც, ჩვენი აზრით, მსოფლიო პოლიტიკაში რუსული ფენომენის გაჩენა გამოიწვია. ამ რეფორმების ჩატარების პროცესში არმიისა და ფლოტის, სახელმწიფო აპარატის, სახელმწიფოს მართვის, განათლების ევროპეიზაციამ მნიშვნელოვნად გაუსწრო წინ ეკონომიკის მოდერნიზაციას. ამის გამო, პეტრეს შემდგომი პერიოდის რუსეთი გადაიქცა ქვეყნად, რომელიც აერთიანებდა თანამედროვეობას შუა საუკუნეებთან, ჩამორჩენილობას – პროგრესთან, რაც განსაკუთრებული სიმწვავით აისახებოდა მის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ წინააღმდეგობამ წარმოშვა სამი რევოლუცია, თუმცა საბოლოოდ ის მაინც არ გადაჭრილა. ამ დისპროპორციულმა მოდერნიზაციამ რუსეთის თავისებურებების პირობებში (უზარმაზარი ტერიტორია და ადამიანური რესურსი) წარმოშვა რუსეთის ფენომენი მსოფლიო პოლიტიკაში, როცა ეკონომიკურად ჩამორჩენილი სახელმწიფო არა მხოლოდ ერთ-ერთ წამყვან ძალად გვევლინება საერთაშორისო პოლიტიკაში, არამედ აგრეთვე წარმოადგენს ადგილს, სადაც განვითარებული ღრმა პოლიტიკური ცვლილებები ასეთივე ცვლილებებს იწვევდნენ მსოფლიო პოლიტიკაში. რუსეთის სამხედრო სიძლიერე იყო მთავარი ფაქტორი, რომელიც მის პოლიტიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის სამხედრო დასუსტებამ გამოიწვია მისი მარგინალიზაციის პროცესის დაწყება საერთაშორისო პოლიტიკაში. მიმდინარეობდა ამ ქვეყნის მსოფლიო პოლიტიკის სუბიექტიდან ობიექტად ტრანსფორმაცია. მსოფლიო პოლიტიკის ობიექტი არის ისეთი სახელმწიფო, რომლის ქცევებსაც აყალიბებენ სხვა უფრო ძლიერი მოთამაშეები; საერთაშორისო პოლიტიკაში იკავებს სხვების მიერ განსაზღრულ ადგილს; მოქმედებს სხვების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, რომლის შექმნაშიც მას არ მიუღია მონაწილეობა; სისტემატურად ეგუება საკუთარი სპეციფიკური ინტერესების იგნორირებას. მაგრამ რუსეთმა შეძლო კვლავ დაებრუნებინა მსოფლიო პოლიტიკის სუბიექტის სტატუსი. ამას ხელი შეუწყო ცვლადების სისტემამ, რომელიც შემდეგი ელემენტებისაგან შედგება: 1. ტერიტორიისა და მოსახლეობის სიდიდე – რუსეთი გამოირჩევა უზარმაზარი ტერიტორიითა და დიდი ადამიანური რესურსებით, რაც ქვემოთმოყვანილ ცვლადებთან ერთად, მთლიანობაში, ართულებს მასთან სამხედრო კონფლიქტს; 2. სტრატეგიული ნედლეულის ფლობა – რუსეთს აქვს სტრატეგიული ნედლეულის დიდი მარაგი, რაც წარმოშობს მის გავლენას თანამედროვე ქვეყნების ეკონომიკების ფუნქციონირებაზე; 3. რუსული ბაზრის საერთაშორისო მნიშვნელობა - რუსეთი ფლობს მოთხოვნად ბაზარს, რომელიც ხელს უწყობს მისი საერთაშორისო ეკონომიკური მნიშვნელობის შექმნას; 4. ბირთვული იარაღის ფლობა – რუსეთი ფლობს ბირთვულ იარაღს, რაც მისი საგარეო უსაფრთხოების გარანტია; 5. ადამიანური კაპიტალი - რუსეთი ფლობს მდიდარ

ადამიანურ კაპიტალს, რომელსაც შეუძლია თანამედროვე ურთულესი შეიარაღების შექმნა და წარმოება; 6. არმიის ბრძოლისუნარიანობა – რუსეთს ჰყავს არმია, რომელსაც შეუძლია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, საშინაო და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; 7. პოლიტიკური სისტემის ქმედითუნარიანობა - რუსეთს აქვს ძლიერი პოლიტიკური სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს მთავრობას უზრუნველყოს ქვეყნის სტაბილურობა და არ დაუშვას უცხოეთიდან მართული ან მხარდაჭერილი სახელმწიფო გადატრიალება; 8. პოლიტიკური ელიტის კომპეტენტურობა - რუსეთს ჰყავს გამოცდილი და კომპეტენტური ელიტა და დიპლომატური კორპუსი; 9. მსოფლიო პოლიტიკაში არსებული წინააღმდეგობები – მსოფლიო პოლიტიკაში არსებულ ღრმა წინააღმდეგობებს რუსული ელიტა იყენებს საკუთარი ინტერესების რეალიზაციისათვის და საკუთარი მნიშვნელობის დემონსტრირებისათვის; 10. პატრიოტიზმი - რუსეთის მოსახლეობას ახასიათებს ძლიერი პატრიოტიზმი; 11. ზესახელმწიფოს ისტორია. რუსეთი (სსრკ) იყო ორიდან ერთ-ერთი ზესახელმწიფო, რომელიც აკონტროლებდა მსოფლიო პოლიტიკას. ასეთმა წარსულმა და მისმა მემკვიდრეობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მის დღევანდელ გააქტიურებაში მსოფლიო არენაზე. უახლესი ისტორიიდან რუსეთმა მიიღო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ბირთვული იარაღი, ურთულესი თანამედროვე ჩვეულებრივი შეიარაღების შექმნისა და წარმოების ტრადიცია, ადამიანური კაპიტალი, კომპეტენტური და გამოცდილი დიპლომატური კორპუსი, ძლიერი დაზვერვა და სპეცსამსახურები, სამხედრო კადრები, ეროვნული სიამაყე. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ არ ყოფილა რუსეთი, ის რუსეთის მიერ იყო შექმნილი, რომელიც ამავე დროს მის საყრდენსაც წარმოადგენდა, რის გამოც რუსეთის საზოგადოება მას რუსეთად აღიქვამს. 12. საგარეო პოლიტიკა – რუსეთს საგარეო პოლიტიკაში კურსი აღებული აქვს საკუთარი საერთაშორისო მნიშვნელობის გაძლიერებაზე, სწორედ ის ააქტიურებს ყველა დასახელებულ ცვლადს, რაც საბოლოო ჯამში წარმოშობს რუსეთის, როგორც განსაკუთრებული აქტორის ფენომენს მსოფლიო პოლიტიკაში.

რუსეთის ეკონომიკა კოლონიური ეკონომიკის მსგავსია, რის გამოც ის დასავლეთის სანედლეულო დანამატს წარმოადგენს. მაგრამ კოლონიური ქვეყნებისაგან განსხვავებით, მას შეუძლია დამოუკიდებლად უზრუნველყოს საშინაო და საგარეო უსაფრთხოება, რაც სტრატეგიული ნედლეულისა და მიმზიდველი ბაზრის ფლობას ამ ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად აქცევს. რუსეთის წინააღმდეგ შეუძლებელია ისეთი აქციების გამოყენება, როგორიც იყო ინტერვენციები იუგოსლავიაში, ლიბიასა და ერაყში, რასაც მთავრობების შეცვლა მოჰყვა შედეგად.

ბირთვული იარაღი რუსეთის საგარეო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მაგრამ ამ ქვეყნის სამხედრო ელემენტის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანია ჩვეულებრივი იარაღის ფლობა, რომლის შექმნაშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალი. სტრატეგიული ნედლეულის რეალიზაციით მიღებული რესურსებით გააქტიურებული ადამიანური კაპიტალი საშუალებას აძლევს რუსეთს, ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების შესაბამისად შექმნას ჩვეულებრივი ტექნიკა, რომელიც რუსეთის სამხედრო რესურსებს მის აქტიურ პოლიტიკურ გავლენად აქცევს. რუსეთი ავითარებს თანამედროვე სამხედრო ინდუსტრიას, რაც მისი ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლის მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება იქცეს. აქ რუსეთმა ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ მან რუსეთზე აშშ-ს დამოკიდებულებაც კი წარმოშვა. ანტირუსული სანქციების მოქმედების პირობებშიც კი, ამერიკა იძულებულია სამხედრო თანამგზავრები ორბიტაზე რუსული ძრავების საშუალებით გაიყვანოს. კონგრესმა აკრძალა რუსული სარაკეტო ძრავების RD-180-ის გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის 2019 წლის შემდეგ. მაგრამ 2015 წლის ბოლოსათვის, ის იძულებული გახდა შეერბილებინა ეს აკრძალვა იმის გამო, რომ პენტაგონს სჭირდებოდა 18-ზე მეტი ასეთი ძრავის შესყიდვა მომდევნო 7 წლის განმავლობაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის პოლიტიკური მნიშვნელობის დასუსტებამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა რუსულ ბიზნესს საერთაშორისო ბაზრების ათვისებაში. რუსებმა დაკარგეს ადრე მოპოვებული პოზიციები,

ხოლო რუსული კომპანიები კი უცხო ბაზარზე შესვლისას სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდებიან. ეს მაშინ, როცა რუსეთის ელიტა საზღვარგარეთის ბაზრების ათვისებას რუსეთის სასიცოცხლო ინტერესად მიიჩნევს. 2012 წელს პუტინი აღნიშნავდა, რომ მათ ჰაერივით სჭირდებოდათ უფრო ფართო და დისკრიმინაციისაგან თავისუფალი გასვლა საერთაშორისო ბაზრებზე (7). რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური გავლენის გაძლიერება ემსახურება რუსეთის საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრებასაც, რამაც თავის მხრივ მის ეკონომიკურ გაძლიერებას უნდა შეუწყოს ხელი.

თანამედროვე შეიარაღება მნიშვნელოვან როლს ასრულებას რუსეთის სიმბოლური კაპიტალის შექმნაში. ის საშუალებას აძლევს მას, რომ მოახდინოს საკუთარი ძალის დემონსტრაცია, რაც ემსახურება მისი, როგორც სუსტი სახელმწიფოს ჩამოყალიბებული სტერეოტიპის მსხვრევას.

რუსეთის წინააღმდეგ გამოყენებულმა სანქციებმა აშკარად აჩვენეს რუსეთის, როგორც განსაკუთრებული აქტორის ძალა მსოფლიო პოლიტიკაში. მათ არა თუ დაასუსტეს პუტინის მთავრობა, არამედ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმეს რუსული მოსახლეობა მის ირგვლივ და გააძლიერეს მისი პოზიციები. სწორედ სანქციების მოქმედების პერიოდში დაიწყო რუსეთმა აქტიური მოქმედებები სირიაში, რამაც ეს სახელმწიფო მახლობელ აღმოსავლეთში დააბრუნა. ფართო რუსული საზოგადოება ამ სანქციებს აღიქვამს არა როგორც პუტინის, არამედ როგორც რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ზომებს, რაც პატრიოტული გრძნობების გაძლიერებას იწვევს მათში. რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური გაძლიერების ფონზე კითხვის ქვეშ დგება თავად ამ სანქციების ეფექტურობაც. მათ დააზარალეს არამხოლოდ რუსეთი, არამედ მისი ევროპელი პარტნიორებიც. ფრანგული დაზვერვის დირექტორის ყოფილი მოადგილე Allain Juillet პირდაპირ აღნიშნავდა, რომ სანქციებმა მძიმე დარტყმა მიაყენეს საფრანგეთის სოფლის მეურნეობას და აკრიტიკებდა საკუთარ მთავრობას ვაშინგტონისადმი მორჩილების გამო, რაც, მისი აზრით, საფრანგეთის ინტერესებს აზარალებდა (4). 2016 წლის აპრილში საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვდა რუსეთისათვის სანქციების მოხსნას. საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრის მოწმობით, 2014 წლიდან მოყოლებული ფრანგი ფერმერები ცეცხლს უკიდებენ თავიანთ პროდუქციას და ტრაქტორებით კეტავენ გზებს, რითაც საკუთარ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ მთავრობის მიერ რუსეთის მიმართ გატარებული პოლიტიკის გამო. იტალიელი ბანკირი Antonio Fallico ამ სანქციებს თვითმკვლელობას უწოდებს (2).

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ტუკვაძე ა., ჯანგულაშვილი თ., ჯანგულაშვილი ლ., რუსეთის პოლიტიკური კულტურის თავისებურებები, თბ., 2015.
2. EU sanctions against Russia are suicide-Italian banker. Published time:14 Nov.2014 08;07. (https://www.rt.com/shows/sophieco/205275-eu-trade-war-business/)
3. French Assambly Adopts Resolution calling to end anti –Russian sanctions imposed by EU Published time, 28 April 2016 http: //www.rt.com/341216-france-drops-sanctions-russia).
4. Retired French Intelligence Boss Lambasts France's Antirussian Sunctions. http://sputniknews.com/world/20160510/1039346286/france-united-states-sanctions.html#ixzz4A12XyaRd)
5. U.S. needs up to 18 more Russian rocket engines: Pentagon . By Phill Stewart. Apr.8,2016 (https://www.reuters.com/article/us-usa-space-russia/u-s-needs-up-to-18-more-russian-rocket-engines-pentagon-idUSKCN0X600H.
6. Владимир Путин. Россия и меняющийся мир. Росийская Газета№5718(45)27.02 2012 rg.ru/2012/02/27/putin-politika.html.

7. Соловьев С.М. Политика России во время войны за австрийское наследство. Спб.1867. Е.М. Собко. Участие России в Войне за Австрийское наследство (1740-1748). (www.reenactor.ru/ARH/PDF/Sobko.pdf) .

**ვალერიან დოლიძე, ავთანდილ ტუკვაძე**

**რუსეთი, როგორც განსაკუთრებული აქტორი მსოფლიო პოლიტიკაში**

**რეზიუმე**

რუსეთი, როგორც განსაკუთრებული აქტორის ფენომენი მსოფლიო პოლიტიკაში, ეს არის ისეთი არაჩვეულებრივი მოვლენა, როცა ნედლეულის ექსპორტზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოს წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკაში. სტრატეგიული ნედლეულის ფლობა, საშინაო და საგარეო უსაფრთხოების დამოუკიდებლად უზრუნველყოფა საშუალებას აძლევს რუსეთს, რომ ფუნდამენტური გავლენა მოახდინოს მსოფლიო პოლიტიკაზე.

**Valerian Dolidze, Avtandil Tukvadze**

**Russia, as a Special Actor of World Politics**

**Summary**

The phenomenon of Russia, as a special actor of international politics, is such an unusual phenomenon when a country with a raw material economy is one of the leading states of international politics. Possession of large reserves of strategic raw materials and independent provision of external and internal security, enable Russia to exert a fundamental influence on world politics, to control the vector of its development. The ability to create and produce high-tech, conventional weapons is of special importance in the strengthening of political influence of Russia.

**Валериян Долидзе, Автандил Туквадзе**

**Россия, как особый актор мировой политики**

**Резюме**

Феномен России, как особого актора международной политики, это такое необычное явление, когда страна с сырьевой экономикой является одним из ведущих государств международной политики. Владение большими запасами стратегического сырья и самостоятельное обеспечение внешней и внутренней безопасности, дают возможность России оказывать фундаментальное влияние на мировую политику, контролировать вектор ее развития. Особое значение в усилении политичесского влияния России, имеет создание и производство высокотехнологичесского обичного оружия.

ეკატერინე გოგიაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი

## შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა და დასავლური რენესანსი

ადამიანთა ცხოვრებაში იშვიათად მომხდარა ისეთი დიდი გარდატეხა, იშვიათად დამკვიდრებულა იმდენი სიახლე, იშვიათად ყოფილა ისეთი მჭიდრო კავშირი წარსულთან და ამავდროულად, დიალოგი ყველაფერ ახალთან, როგორც ეს რენესანსის ეპოქაში განხორციელდა. ეს იყო უდიდესი კულტურული მნიშვნელობის, მრავალფეროვანი, რთული და კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე გამორჩეული ეპოქა. რენესანსის სახით „ჩვენ წინაშეა უდიადესი მსოფლიო კულტურული გადატრიალება, რომელსაც არ იცნობს რენესანსის შემდგომი არც ერთი ეპოქა და რომელიც ადარ განმეორებულა კაცობრიობის არსებობის მანძილზე. ამ პერიოდში იშვნენ გენიალური შემოქმედები, რენესანსმა წარმოშვა აზრისა და გრძნობის ტიტანები“ (10, 66).

რენესანსი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანური პერსონის განდიდებაა. „ხელოვნებისა და ესთეტიკის ისტორიაში არ არსებობდა მეორე ისეთი ეპოქა, რომელიც ისე იქნებოდა დარწმუნებული ადამიანის პიროვნულ სიდიადეში, მის გრანდიოზულობასა და მშვენიერებაში, როგორც რანესანსი“ (10, 614). სამყაროსა და „ადამიანის აღმოჩენა“ (ბურკჰარდტი), ანტიკურობის აღორძინება, დიდი ჰუმანიზმი, კულტურული აღმავლობა – რენესანსის საყოველთაოდ აღიარებული ნიშნებია, მაგრამ მათ ერთობლიობასაც კი არ ძალუძს გადმოსცეს ამ მრავალფეროვანი და მრავალსაუკუნოვანი ეპოქის ხასიათი, მისი მსოფლშეგრძნება და განწყობა. „რენესანსის ხელოვანები ადამიანის პიროვნებას, ადამიანის პერსონას აყენებდნენ ყველაზე მაღლა“ (10, 536). ადამიანი, როგორც სამყაროს ცენტრი, არის ეპოქის უძირითადესი იდეა (10, 319).

რენესანსი კაცობრიობის მეხსიერებაში დარჩა კეთილშობილური სულის ეპოქად, რომელიც მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდა როგორც ანტიკურობას, ასევე შუა საუკუნეებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, სავალდებულოდ არ თვლიდა არც ანტიკის და არც შუა საუკუნეების სუბსტანციურ აღიარებას. შუა საუკუნეებისა და რენესანსის მკვეთრი დაპირისპირების მოძველებული სქემა კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. მეცნიერების მიერ უარყოფილია შუა საუკუნეების, როგორც სასულიერო დოგმატიკის, მისტიკისა და ბნელეთის ბატონობის გაგება, რომელიც უპირისპირდებოდა ნათელ ანტიკურობაზე დაფუძნებულ რენესანსს, მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესს (5, 3). „მას, ვინც, რენესანსის ესთეტიკის შესწავლას შეუდგება, გაოცებულს ტოვებს მისი სიახლოვე შუა საუკუნეების ესთეტიკასთან“ (10, 53). რენესანსი ემყარებოდა როგორც ანტიკურობას, ისე შუა საუკუნეებს. „აღორძინება იმ ზომით იყო ანტიკურობის აღმოჩენა, რამდენადაც რენესანსის ეპოქაში გაცნობიერებული იყო შუა საუკუნეების მიღწევების მნიშვნელობა. საბოლოოდ, აღორძინების მიერ, თუმცა განსხვავებული სახით, მაგრამ მაინც უნდა გამოყენებულიყო როგორც ანტიკურობის მოპოვებული ნაყოფი, ისე შუა საუკუნეების მძიმე შრომის პოზიტიური შედეგები“ (9, 40). რენესანსთან მიმართებაში „უდავოდ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ის გარემოება, რომ რენესანსი ძალზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული შუა საუკუნეებთან და იყო ერთგული კლასიკური ანტიკურობის მემკვიდრეობისა“ (10, 6). რენესანსის მითებისა და გადაჭარბებული წარმოდგენებისაგან დამოუკიდებელი, ობიექტური შეფასების აუცილებლობაზე აკეთებს აქცენტს პ. ბიორკი: „თუ ჩვენ რენესანსს მეწამულ და ოქროს ფერებში წარმოვიდგენთ და გამორჩეულ კულტურულ სასწაულად ან მეექსეულ მოვლენად მივიჩნევთ, ჩემი პასუხი იქნება „არა“, მაგრამ თუ ამ ტერმინს შუა საუკუნეების მიღწევებისადმი ან ევროპისგარე სამყაროსადმი ზიანის მიუყენებლად გამოვიყენებთ დასავლურ კულტურაში მომხდარ გარკვეულ ცვლილებათა აღსანიშნავად, მაშინ იგი შეიძლება ფუნდამენტურ, საყრდენ კონცეფციად მივიჩნიოთ, რომელიც სავსებით გამართლებულია“ (2, 8).

„ვეფხისტყაოსანს“ დასაწყისიდან უკანასკნელ სტრიქონამდე მსჭვალავს არსებობის სიხარული. კოსმოსი, დედამიწა, ადამიანი მშვენიერია, მომხიბვლელია. სამყარო თავისი მრავალფეროვნებით და ადამიანი თავისი შინაგანი სიმდიდრითა და მრავალსახეობით „ვეფხისტყაოსანში“ ერთ მთელად, მშვენიერ მთლიანობადაა გააზრებული და მას არაფერი აკლია. ეს ღვთაებრივად ლამაზი სამყარო ადამიანისათვის არის შექმნილი. „ამ მშვენიერების მწვერვალს როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად წარმოგვიდგენს პოემის ოთხი პერსონაჟი: ტარიელი, ავთანდილი, ნესტანი, თინათინი“ (3, 269). ხილულ სამყაროში ადამიანის ცხოვრება, ამქვეყნიური ყოფა „ვეფხისტყაოსანში“ აღიქმება, როგორც უთვალავ ფერად გაშლილი ბედნიერება. შოთა რუსთაველის ქმნილებაში ძალუმად შეიგრძნობა არსებობის სიხარული. „საკუთრივ პოემა ამ თვალსაზრისის ილუსტრაციაა. ეს არის რენესანსული მზერით დანახული ხილული ქვეყნიერება, ღვთაებრივი ნათლით შუქფენილი“ (3, 227-228). ამ მშვენიერი სამყაროს ცენტრი „ვეფხისტყაოსანში“ არის ადამიანი. „ადამიანის თემა პოემის ძირითადი თემაა. მიუხედავად ავტორის პირდაპირი განცხადებისა, რომ იგი სამი გმირის მეხოტბეა, პირველ ყოვლისა, ტარიელის, ადამიანის განზოგადებული თემა ბატონობს ამ სამივეზე“ (6, 149).

„ვეფხისტყაოსანში“ ყველაზე უმაღლესი ღირებულება არის ადამიანი. სწორედ ადამიანი არის პოემაში სამყაროს ჰარმონიის იდეალური განსახოვნება, მისი ყველაზე დიდებული ქმნილება. ეს ცხოვრებასა და მის მშვენიერებაზე შეყვარებული ადამიანია, ლაღი, ხალისიანი, სიხარულით აღსავსე, რომელსაც ბედნიერება და ცხოვრებით ტკბობა სწადია. ადამიანი, რომელსაც რუსთაველი ქმნის, ხილული ქვეყნიერების მოძულებას, მასზე ზურგის შექცევას ყველაზე უიმედო წუთებშიც კი უზენაესი კანონზომიერების დარღვევად მიიჩნევს: „ვისთვის ჰკვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ“ (სტრ. 866), – ავთანდილის ამ სიტყვებით გამოხატავს რუსთაველი ამქვეყნიური ცხოვრების უალტერნატივო ღირებულებასა და მნიშვნელობას და ტარიელს კვლავ ბობოქარი ცხოვრების შუაგულში აბრუნებს. „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანი სიღრმისეულად აცნობიერებს წუთისოფლის უხანობასა და ამაოებას, სიხარულისა და მწუხარების თანაარსებობისა და მონაცვლეობის გარდაუვალობას, მაგრამ მაშინაც კი, როცა ცხოვრების წარმავლობაზე ფიქრობს და გულს სიბერის მძიმე ტვირთი უდარდიანებს, ცხოვრება „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟისათვის მაინც ბაღივით მშვენიერია, „ტურფა საბაღნაროა“.

შოთა რუსთაველის მიერ შექმნილი სამყაროს ცენტრში დგას ადამიანი. „ყველაზე მნიშვნელოვანი იდეა, რაც ქართულ რენესანსში გამოიკვეთა, იყო სწორედ ადამიანი, რომელიც რუსთაველის აზრის, სახისა და მოტივის ყველა პლანის ძირითადი თემაა“(4, 189). რუსთაველისათვის ადამიანი არის ამქვეყნად ყოველგვარ ღირებულებათა ამოსავალი და საზომი. ერთ ადამიანს, ერთ პიროვნებას „ვეფხისტყაოსანში“ განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ერთი ადამიანის სახელმწიფოსთან დაპირისპირება, ინდოეთის მეფის მიერ ერთი პიროვნების – ტარიელის, არასათანადოდ შეფასება, მისი ღირსებების იგნორირება და ფაქტობრივად, სამოქმედო ასპარეზიდან ჩამოცილება, საბედისწერო დარტყმას მიაყენებს ინდოეთის სახელმწიფოს და მის მომავალს. ადამიანი, პიროვნება, მისი ადამიანური მისწრაფებები, ინდივიდუალური მოთხოვნილებები, განცდები, ვნებათაღელვა, გრძნობების მიმოქცევა არის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემა და სიუჟეტის განვითარების ფაქტორი. „ნიშანდობლივია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ერთი მერვედი ნაწილი ეძღვნება პოემის გმირების მიერ საკუთარი განცდების გადმოცემას“(1, 44). წარმოდგენა ადამიანზე, როგორც სამყაროს ცენტრზე, რენესანსის უმთავრეს იდეად არის აღიარებული. „ადამიანი, როგორც სამყაროს ცენტრი არის რენესანსის ეპოქის უძირითადესი იდეა“ (10, 319). საინტერესოა, როგორ იაზრებდა დასავლური რენესანსი ადამიანს და მის ამქვეყნიურ ყოფას. „ამქვეყნიური სინამდვილე, მატერიალური სამყარო, ადამიანი – ყველაფერი, რაც არის მიწიერი, რენესანსის ესთეტიკისათვის იყო დატვირთული ღრმა იდეურობითა და სულიერი კეთილშობილებით“ (10, 96). „რენესანსს აქვს სრულყოფილი და ამაღლებული იდეალი“ (10, 459).

„ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის განდიდება, ადამიანის სიდიადის რწმენა მაღალ და კეთილშობილურ იდეალებზე, მარადიულ ღირებულებებზე არის დაფუძნებული. შოთა რუსთაველის ქმნილება თავიდან ბოლომდე ამ თვალსაზრისის დასტური და ილუსტრაციაა. „რენესანსის ესთეტიკური ტიპოლოგია მდგომარეობს, უპირველესად, ადამიანში, მის გმირულ ენთუზიაზმში თავისი ცხოვრების მოწყობისა და სამყაროს დაუფლების გზაზე“ (10, 141). ადამიანის ცხოვრების კონცეფცია რუსთაველთან ინდივიდუალურ მსოფლხედვას, აზროვნებასა და მსოფლგანცდას ეფუძნება. ადამიანი „ვეფხისტყაოსანში“ თვითონ ქმნის საკუთარ ცხოვრებას. იგი თავად არის თავისი ცხოვრების შემოქმედი. რუსთაველის პერსონაჟი ინდივიდუალური შეხედულებითა და პერსონალური გზით მიემართება საკუთარი ცხოვრების მოწყობისა და მიზნების მიღწევისაკენ. ადამიანის მოქმედების მთავარი კრიტერიუმი „ვეფხისტყაოსანში“ არის თავად ადამიანი, სუბიექტურად განმცდელი პიროვნება. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ქმედება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მათ ინდივიდუალურ სურვილზე, თავისუფალ ნებასა და არჩევანზე. პერსონაჟი „ვეფხისტყაოსანში“ იმიტომ კი არ იქცევა ასე და არა სხვაგვარად, რომ მორალის მარწუხებით, საყოველთაო, საზოგადო წესებითა და ღვთის შიშით არის შებოჭილი, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მას ასე სურს, ეს არის მისი პიროვნული ნება, ინდივიდუალური არჩევანი. „რუსთაველთან ადამიანს არ ეშინია იყოს ის, რაც არის“ (4, 199). „საერთოდ, ეს ადამიანები, პოეტის მიერ ასე სწორად და მიუდგომლად დახატულნი, ეს მტკიცე ნებისყოფის ქალ-ვაჟნი არავითარი დაბრკოლების წინაშე უკან არ იხევენ და არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რათა თავიანთ მიზნებს მიაღწიონ“ (7, 29-30). ზეწოლა, მუქარა, იძულება, ამ შემთხვევაში უშედეგოა. „ვეფხისტყაოსნის“ ძლიერი ადამიანი არ ღალატობს საკუთარ პრინციპებს, არც ერთი ნაბიჯით უკან არ იხევს თავისი მიზნისაგან და პირადი ინტერესების დასაცავად შეეწინააღმდეგება მთელ კოსმოსს. ფატმანს თავისუფალი ნების განხორციელებაში ხელს ვერ შეუშლის, ნესტანის დახმარების გამო, მეფესთან ღალატის შეწამებით დასმენის შიში. ნესტანი და ტარიელი უპირისპირდებიან მამასა და გამზრდელს, მეფესა და სახელმწიფოს, სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ სრულიად უდანაშაულო უფლისწულს. დავარი ყველაზე უარესი ხვედრისათვის გაიმეტებს ინდოეთის სამეფო ტახტის ერთადერთ მემკვიდრეს. ის, ვისაც იგი შეუბრალებლად გაწირავს, მისი სისხლი და ხორცი, საკუთარი ძმისშვილი და შვილივით გაზრდილი, სამეფოდ გამზადებული ნესტან-დარეჯანია. „ყოველთვის უძრახველი არ არის არც უფრო წინდახედული და თავდაჭერილი ავთანდილის ყოფაქცევა“ (7, 29). ჩვენ ძალზე შორს ვართ და მთლიანად ვემიჯნებით საკითხის ისეთ გაგებას, თითქოს, ტარიელი, ნესტანი, ავთანდილი დემორალიზებული პერსონები არიან, ან, თითქოს, სწორედ ზემოთქმული არის მათი ნამდვილი შინაგანი სახე. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ქმედების საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ „სუბიექტურად განმცდელი“ ინდივიდის პირადი შეგრძნებები, თავისუფალი ნება და სუბიექტური არჩევანია. პოემის სიკეთით სავსე მაგისტრალურ პერსონაჟებს, საერთოდ, არ სურთ და არც ბუნებით ახასიათებთ რაიმე არაჰუმანურის ჩადენა. ეს არ არის მათი არჩევანი. „ვეფხისტყაოსნის“ გმირების უკიდურესი ქმედება არის რეაქცია გარშემომყოფთა უსამართლო, უღირს, არაჰუმანურ ქცევასა და გადაწყვეტილებაზე. რუსთაველის მზემნათი გმირების მოქმედება პოეტის მიერ ღვთიური წეს-რიგის აღდგენად აღიქმება. ეს ინდივიდუალური პიროვნების თავისუფალი ქმედება – თავისუფლება „ვეფხისტყაოსნის“ ადამიანისა, არ არის პოემის პერსონაჟების უკონტროლო, ამორალური სურვილების თვითმიზნური შესრულება. რუსთაველი მიიჩნევს, რომ ჭეშმარიტი ორიენტირებისა და მართებული ეთიკური პოზიციის მხოლოდ თეორიული ცოდნა და შიშზე დაფუძნებული იძულების შემთხვევაში გამოყენება არასაკმარისი, უშედეგო და ფუჭია ყოფიერების ორომტრიალში ჩაბმული, ცხოვრების პირისპირ მარტო მდგომი და მასთან შეჭიდებული ადამიანისათვის.

ასეთი გაგრძელება აქვს „ვეფხისტყაოსანში“ როსტევანისა და თინათინის უწყინარ სურვილს ჰუმანურ, სამართლიან, ღირსებასა და უმაღლეს ღირებულებებზე დამყარებულ

ძლიერ სახელმწიფოში ბედნიერად იცხოვრონ. ეს არც მათთვის და არც „ვეფხისტყაოსნის“ სხვა პერსონაჟებისათვის ასე ადვილად არ მიიღწევა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ შუა საუკუნეების სარაინდო რომანის ჟანრული კანონზომიერების თანახმად, დასავლური და აღმოსავლური სარაინდო რომანის მაგისტრალური ფიგურა – რაინდი პერსონაჟი, თუ რაინდობის წმინდა მისიის ღირსეულ განხორციელებასა და სარაინდო კოდექსის ზედმიწევნით დაცვას შეძლებს, ასეთ შემთხვევაში სარაინდო რომანში ყოველგვარი დაბრკოლება გადაილახება და ბედნიერი ფინალი ყოველთვის გარანტირებული იქნება. ასეთია დასავლური და აღმოსავლური სარაინდო რომანის ჟანრული რეგლამენტი.

„ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისი ნათლად გვიჩვენებს შეუძლებლობას ცხოვრება მშვიდად, წინააღმდეგობებისა და პრობლემების გარეშე გაგრძელდეს. ტარიელის უეცარი გამოჩენა ცვლის თინათინისა და ავთანდილის ცხოვრებას. მასთან ავთანდილის შეხვედრის შემდეგ კი პოემაში ამბებად იკინძება ისტორიები, რომლებსაც ბობოქარი ცხოვრების პირისპირ მდგომი ადამიანის პრობლემა ჰქვია. ცხოვრება თავისი დაუდგრომლობითა და მღელვარე მდინარებით არ აძლევს საშუალებას ვალმოხდილ და ღვაწლმოსილ როსტევან მეფეს, დატკბეს არაბეთის სახელმწიფოს ძლიერებითა და კეთილდღეობით, ერთადერთი შვილისა და უკვე ხელმწიფის – თინათინის, საამაყო ღირსეულობით, მისი შვილობილის – ავთანდილის, თვით მეფის მჯობი სამამაცო ზნითა და პიროვნული სიდიადით. ის-ის არის, როსტევანი მთლიანობაში შეიგრძნობს და მკითხველსაც შეაგრძნობინებს არაბეთის ძლევამოსილი სახელმწიფოს კეთილდღეობითა და შვილისა და აღზრდილის ჭეშმარიტი სიკეთით გამოწვეულ სიხარულს, რომ თითქოს ხელახლა ჩასუნთქვასაც ვერ მოასწრებსო, ღვაწლმოსილი მეფის სიხარულს მაშინვე დაჩრდილავს უცხო მოყმის უეცარი გამოჩენა. ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ პასუხი კითხვაზე, რამდენად „მარტივია“ ცხოვრების სასურველი მიმართულებით, მშვიდ კალაპოტში გაგრძელება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ანთაძე ი., ვეფხისტყაოსნის მხატვრული დრო-სივრცის სტრუქტურული ფუნქციონირების ზოგიერთი ასპექტი, ჟურნალი „მაცნე“, № 4, 1990.
2. ბიორკი პ., რენესანსი, თბ., 2001.
3. თვარაძე რ., ქართული ლიტერატურის ისტორია უცხოელთათვის, თბ., 2001.
4. იმედაშვილი გ., ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1968.
5. ლოსევი ა., აღმოსავლური რენესანსი, ბათუმი, 2005.
6. ნათაძე ნ., დროთა მიჯნაზე, თბ., 1974.
7. ქიქოძე გ., რჩეული თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1963.
8. Panofsky E., Renaissance and renascences in Western art. Stockholm, 1960.
9. Гарен Э., Проблемы Итальянского Возрождения. М., 1986.
10. Лосев А. Ф., Эстетика Возрождения, М., 1978.


ეკატერინე გოგიაშვილი

## შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა და დასავლური რენესანსი

### რეზიუმე

„ვეფხისტყაოსანში“ ყველაზე უმაღლესი ღირებულება არის ადამიანი. რუსთაველისათვის ადამიანი არის ამქვეყნად ყოველგვარ ღირებულებათა ამოსავალი და საზომი. შოთა რუსთაველის პოემაში ადამიანი არის სამყაროს ჰარმონიის იდეალური განსახოვნება,

მისი ყველაზე დიდებული ქმნილება. ერთ ადამიანს, ერთ პიროვნებას „ვეფხისტყაოსანში“ განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ადამიანი, პიროვნება, მისი ადამიანური მისწრაფებები, ინდივიდუალური მოთხოვნილებები, განცდები, ვნებათაღელვა, გრძნობების მიმოქცევა არის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემა და სიუჟეტის განვითარების ფაქტორი. ყოველივე აღნიშნული და წარმოდგენა ადამიანზე, როგორც სამყაროს ცენტრზე, დასავლური რენესანსის უძირითადეს იდეად არის აღიარებული, რაც პოემაში თვალსაჩინოდ გამოკვეთილ სხვა გარემოებებთან ერთად ნათლად ადასტურებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის დასავლური რენესანსის დასაწყისი პერიოდის – ადრეული რენესანსის უკვდავი ქმნილება.

**Ekaterine Gogiashvili**

**Rustaveli's Worldview and the Western Renaissance**

**Summary**

The highest value in „The Man In The Panther’s Skin“ is the man. For Rustaveli man is the starting and measuring of all values in this world. The man is the ideal species of harmony of the world, its greatest creature in Rustaveli's poem. One man, one person is of great importance in „The Man InThe Panther’s Skin“. Man, personality, his human aspirations, individual needs, feelings, passion, and feelings of change are the main themes of „The Man In The Panther’s Skin“ and the factor of development of the story. All the above considerations and the view of the human, as the center of the universe, is recognized the most important idea of Western Renaissance. That's all together with other circumstances in the poem clearly proves, that „The Man In The Panther’s Skin“ is an immortal creation of the beginning Renaissance period _ of the early Renaissance.

**Екатерине Гогиашвили**

**Мировоззрение Шота Руставели и Западный Ренесанс**

**Резюме**

Наивысшая ценность в „Витязе в Тигровой Шкуре“ является человек. Для Руставели человек является измерением всех ценностей. Идеальное изображение гармонии мира и его великое творение в поеме Руставели - есть человек. Один человек, одно личность в „Витязе в Тигровой Шкуре“ имеет чрезвычайно большое значение. Человек, личность, его человеческие устремления, личные потребности, чувства, страсть, смена чувств - главная тема „Витязя в Тигровой Шкуре“ и фактор развития сюжета. Все вышеуказанные обстоятельства и представления о человеке, как о центре мира, признаны самой основной идеей Западного Ренесанса, что наряду с другими очевидными обстоятельствами явно подтверждает, что „Витязь в Тигровой Шкуре“ бессмертное создание раннего периода Возрождения - начала Западного Ренессанса.

ლეილა გოზალიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი

## რთული ქვეწყობილი წინადადების გამოყენების საკითხი მიხეილ ჯავახიშვილის ენაში

რთული წინადადების აგებულების, გენეზისისა და გამოყენების საკითხები ერთ-ერთი რთული და ნაკლებად შესწავლილი სფეროა ქართულ ენათმეცნიერებაში, უფრო ნაკლებად კი რომელიმე მწერალთან მიმართებაში.

განსაკუთრებით საინტერესოა რთული ქვეწყობილი წინადადება, მისი გენეზისი და გავრცელების არეალი. რთული წინადადების შესახებ ცნობები ქართულში ჯერ კიდევ ანტონის სკოლის გრამატიკებში მოიპოვება, მაგალითად, სოლომონ დოდაშვილის გრამატიკაში (1830წ.), მაგრამ რამდენადმე დასრულებული სახით რთული წინადადების საკითხები(ძირითადად ქვეწყობილისა) ჩვენს სინამდვილეში პირველად ა. ქუთათელაძისა და თ. ჟორდანიას გრამატიკებშია წარმოდგენილი. ქართული გრამატიკებიდან ყველაზე სრულად და თანმიმდევრულად რთული წინადადების ტიპები განხილულია აკადემიკოს ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკაში“ (1939წ.). ა. შანიძეს მეცნიერულად გაანალიზებული აქვს წინადაებათა სახეები, მის მიერვეა დამკვიდრებული ტერმინებიც: თანწყობილი და ქვეწყობილი. რთული წინაადება კიდევ უფრო სრულყოფილი სახით წარმოდგენილია პროფ. ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“. ამ წიგნში რთული წინადადების შედგენილობისა და შემადგენელ ნაწილთა შეერთების საშუალებები მიმოხილულია ვრცლად ახალი ქართული ენის მასალების მიხედვით.

ჩვენს ნაშრომს პრეტენზია არა აქვს ამ საკითხების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისა. ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ, რომ ჰიპოტაქსის გამოყენების თავისებურებანი გვეჩვენებინა მიხეილ ჯავახიშვილის რამდენიმე ნაწარმოების მიხედვით.

მეცნიერებაში მიღებულია მოსაზრება, რომ პარატაქსი, ანუ წინადადებათა თანწყობა, ტიპობრივია უფრო სასაუბრო მეტყველებისათვის, ჰიპოტაქსი, ანუ ქვეწყობა – წრილობითისათვის. ეს კი იმას გულისხმობს, რომ წინადადების ეს ფორმა განვითარებული აზროვნების კუთვნილებაა.

ჰიპოტაქსის განვითარებას უდავოდ დიდად შეუწყო ხელი მწერლობამ. კ. დონდუა წერს: „ჩვენ არავითარი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჰიპოტაქსური წინადადების სათავე იყოს მწერლობა, სამაგიეროდ, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ჰიპოტაქსის სამუდამოდ განმტკიცებასა და მისი რთული, „შეთხზული“ ან რთული „შეკავშირებლი“ წინადადებისაგან მკვეთრად გამოყოფას სწორედ მწერლობამ შეუწყო ხელი“ (1, 21).

ამდენად, საინტერესო იქნება რთული ქვეწყობილი წინადადების სახეების განხილვა რომელიმე მწერლის ენის მიხედვით. ამან განაპირობა ჩვენი არჩევანიც, მით უმეტეს, რომ მიხეილ ჯავახიშვილი უხვად იყენებს როგორც რთულ ქვეწყობილ წინადადებებს, ასევე უფრო რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს, სადაც ერთ მთავარ წინადადებას მარტო ერთი დამოკიდებული წინადადება კი არ ახლავს, არამედ რამდენიმე. ამდენად მიხეილ ჯავახიშ-ვილის ენის სინტაქსური წყობა მეტად რთულია, ზოგჯერ მთელი მოზრდილი აბზაცი ერთ წინადადებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მისი ნაწარმოებების კითხვისას ჩვენ ვერ შევხვდებით უხერხულად შედგენილ ფრაზებს თუ წინადადებებს და ენის არამც თუ დამახინჯებას, უბრალოდ უსწორ-მასწორობასაც კი.

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებსა თუ რომანებში ხშირად გვხვდება თავისი ფორმით უფრო რთული წინადადებები, ვიდრე ჩვეულებრივ ქვეწყობაა. ზოგჯერ მთავარი წინადადებები შეერთებულია წყვილ-წყვილად. ასე რომ თითოეულ წყვილში შეიძლება გამოყოფილი იყოს მთავარი და დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც დაკავშირებული არიან ისევე და აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც შესატყვის ქვეწყობილ წინადადებებს ან ერთ მთავართან დაკავშირებულია რამდენიმე ერთგვარი დამოკიდებული წინადადება, რომლებსაც აქვთ ერთნაირი აგებულება და მნიშვნელობა.

რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს ახასიათებს მთელი რიგი ფორმალური თავისებურებანი, რომლებიც მჟღავნდება შემადგენელი ნაწილების შეერთებისას (მაგალითად: კავშირთა თავმოყრა, კავშირის გამოტოვება, თავისებურება ნაწილების აგებულებაში, კერძოდ, მათი ნაკლულოვნება და ა.შ.).

იმის მიხედვით, თუ რას ეკუთვნიან დამოკიდებული წინადადებები და როგორია მათი თანაფარდობა ერთმანეთთან, გამოიყოფა ორი ტიპი: 1) რამდენიმე წინადადების დაქვემდებარება ერთ მთავართან, რომელსაც თანადაქვემდებარება ეწოდება და 2) რამდენიმე დამოკიდებული წინადადების თანმიმდევრული დაქვემდებარება.

მიხეილ ჯავახიშვილთან რამდენიმე დამოკიდებული წინადადების თანადაქვემდებარება ორგვარია: ა) ერთგვარი და ბ) არაერთგვარი. ერთგვარი დამოკიდებული წინადადებები მთავართან შეერთებულია როგორც კავშირების საშუალებით, ასევე უკავშიროდაც. ერთგვარი დამოკიდებული წინადადებები ერთმანეთის მიმართ არიან თანწყობილი და ისინი, ისევე როგორც ერთგვარი წევრები, შეიძლება შეერთებული იყვნენ უკავშიროდ ან მაერთებელი კავშირებით. ამასთან, ერთგვარი დამოკიდებული წინადადებები შეიძლება იყოს ყველა ტიპის (ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, გარემოებითი).

მოვიტანთ მაგალითებს: ერთგვარი დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც მთავართან შეერთებული არიან კავშირების საშუალებით და ერთმანეთთან უკავშიროდ. „შენი ქმარი დაგეშილი მეძებარია და იცის, რომ შენ ჩვენს ჯგუფთან რაღაც კავშირი გაქვს, რომ სამუდამოდ არ ჩამოგვშორებიხარ და, მაშასადამე, ჯაშუშს მოგიჩენდა“ (5, 266). „მან ისიც იცოდა, რომ მარაბდელის სახიფათო სახელი დღითიდღე მატულობდა, რომ ომის ტვირთის გამო გლეხი დრტვინავდა, მოსარჩლეს ეძბდა, იარაღს იძენდა და მგელსავით ტყისკენ ეჭირა თვალი“ (5, 238).

მთავარი წინადადება, რომელიც თავის მხრივ შერწყმულია, გაწყვეტილია და შუაში დგას ორი ერთგვარი დამოკიდებული წინადადება: „მაგდანა ხედავდა, რომ ხალხი ხელიდან მისდიოდა, რომ გლეხებს ბატონისა და „აქ დარჩენისა“ ეშინოდათ, და ერთ ხერხსაც მიმართა“ (5, 310).

ერთ მთავართან დაკავშირებულია ორი ერთგვარი დამიკიდებული წინადადება, რომლებიც იწყებენ რთულ წინდადებას: „რადგან კედელი ვერ გაარღვია, რადგან მამასა და მეგობრებს ვერ მიეშველა, პირქვე დაემხო მიწაზე და ბალღივით ატირდა“ (5, 127). „თუ სოფიომ „არასოდეს“ დაიჟინა, თუ გაკერპდა და დაიგვიანა, სპირიდონს ნუღარ დააბრალებს“ (5, 271). „როდესაც გუჩამ გაიღვიძა, როდესაც სამკერვალო აჩუჩუნდა და აფუსფუსდა, პატარა დედაკაცი ხმელ საწოლზე მოიბუზა და თვლემის ნისლში შეცურდა“ (5, 37).

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებსა თუ რომანებში ვხვდებით ისეთ თანადაქვემდებარებას დამოკიდებული წინადადებებისას, როცა ერთ მთავარს უკავშირდება რამდენიმე არაერთგვარი დამოკიდებილი წინადადება. ეს არაერთგვარი დამოკიდებული წინადადებები მთავართან შეერთებულია როგორც კავშირებით, ისე უკავშიროდ. მაგალითად: „კიბეზე რომ ჩამოდიოდა, ეზოში თვალი მოჰკრა მართას, რომელიც ჭიშკრისკენ მიდიოდა“ (5, 100). „ის ერთი რომ გაიქცა, ოსი უნდა იყოს, რადგან ოსურად ილანძღებოდა“ (5, 391). „თუ ადამიანი სიმართლის ძებნაში მოკვდება, იმას მაინც იტყვიან, ნუ გეშინიან სიკვდილისა, გეშინოდეს სირცხვილისაო“ (5, 120). „სანამ სულ მოვიდოდი გონს, მანამ დედას ვკითხე, ვის ოთახში ვარ-მეთქი“ (5, 392).

მიხეილ ჯავახიშვილთან უხვად ვხვდებით ისეთ რთულ ქვეწყობილ წინადადებებსაც, როცა დამოკიდებულ წინადადებას ახლავს თავისი დამოკიდებული, ამ უკანასკნელს კი თავისი და ა.შ. წინადადებათა ასეთ დაქვემდებარებას, როგორც ვიცით თანმიმდევრული დაქვემდებარება ეწოდება. ასეთ წინადადებებში მთავარი წინადადება წარმოადგენს მთავარს მხოლოდ ერთი დამოკიდებულისათვის, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მთავარს შემდეგი დამოკიდებულისათვის. ასე რომ, წარმოიქმნება ჯაჭვი,

რომლის საშუალო რგოლიც წარმოადგენს დამოკიდებულს წინ მდგომ წინადადებასთან კავშირში და მთავარს მის შემდგომ მდგომთან. მთავარი წინადადებისადმი უშუალოდ დამოკიდებულ წინადადებას ეწოდება პირველი ხარისხის დამოკიდებული წინადადება, პირველი ხარისხის დამოკიდებული წინადადებისადმი დაქვემდებარებულს – მეორე ხარისხის დამოკიდებული, მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადებისადმი დაქვემდებარებულს – მესამე ხარისხისა და ასე შემდეგ. ეს წინადადებები ერთმანეთთან შეერთებულია ან მაქვემდებარებელი კავშირებითა და საკავშირებელი სიტყვებით, ან უკავშიროდ. მაგალითად: „ნათქვამია, რომ ის რკინა სჯობს იმ რკინასა, რომელიც გასჭრის რკინასა“ (5, 132).

„ცივად ჰკითხა მამამ, რომელმაც ადრევე იცოდა, რომ წვერაძე ოდესმე ვალსა სთხოვდა მას“ (5, 135).

შეიძლება მთავარი წინადადება გაწყვეტილი იყოს და შუაში იდგეს ერთმანეთზე დამოკიდებული ორი წინადადება, მგალითად: „არსენამ შიკრიკად მისივე დისწული ზურა გაუგზავნა და დაარიგა, ორასი თვალი გამოიბი, თორემ კვალდაკვალ გამოგყვებიან და მოგვაგნებენო, და ეს ამბავი მხოლოდ მაგდანას შეატყობინა“ (5, 335).

„ჩვენც გავიგეთ, რომ დღეს ის სახლი უნდა გაეჩხრიკათ, სადაც დღემდის ვინახავდით, და დროზე მოვაშორეთ აქაურობას.” (5, 87)

რომელიმე ხარისხის დამოკიდებული წინადადება შეიძლება დამოკიდებულში იყოს მოქცეული, რომელსაც იგი მოსდევს და რომლისათვისაც იგი მთავარია, მაგალითად: „ნუ გავიწყდება, რომ ინგლისელი მუშა, რომელიც ჩვენებურ მუშას პროფესიონალად გამოადგება, იქაურ ბურჟუაზიას ენდობა და საარჩევნო ხმას უმთავრესად მას აძლევს ხოლმე“ (5, 66). „ბატონო მაიორო, თქვენ სიტყვა მომეცით, რომ იმ დროს, როცა მე და არსენას ლაპარაკი გვექნებოდა, თქვენ ხელს არ ახლებდით მას“ (5, 320).

მიხეილ ჯავახიშვილთან ვხვდებით დამოკიდებულ წინადადებათა ისეთ თანმიმდევრულ დაქვემდებარებას, როცა მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადება არის პირველი ხარისხის დამოკიდებული წინადადების წინ. ასეთ შემთხვევაში პირველი ხარისხის დამოკიდებულ წინადადებაში კავშირი გამოტოვებულია, ან საერთოდ არ არის და უკავშიროდ უერთდება მთავარს. მაგალითად: „მაგრამ ერეკლე მეფის კანონში ნათქვამია, თუ ბატონმა ტყვეობაში მყოფი ყმა სამ წლამდე არ დაიხნა, ყმა აზატად ჩაითვლებაო“ (5, 480). „მთელმა ქვეყანამ იცის ელიზბარის სენი: სადაც დოღია, დღეობა, ან ჯირითი, ან ჭიდაობა, ისის იქ უნდა დაერჭოს“ (5, 14).

ამრიგად, მიხეილ ჯავახიშვილი თავის მოთხრობებსა და რომანებში თითქმის სისტემატურად იყენებს მეტად რთული აგებულების წინადადებებს, რომლებსაც რთული სინტაქსური კონსტრუქციები ეწოდება. ისიც ცხადია, რომ რთული სინტაქსური კონსტრუქცია უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგენს სინთეზურ მსჯელობას. იგი წინადადებათა უფრო აბსტრაქტული ურთიერთობის გამომხატველია და ენის სინტაქსური განითარების კიდევ უფრო მაღალი საფეხური. ამ მხრივ ყველაზე მეტად სწორედ მისი ენაა გამორჩეული. მიუხედავად იმისა, რომ ჯავახიშვილის ენის სინტაქსური წყობა მეტად რთულია, მის ნაწერებში ჩვენ ვერ შევხვდებით ენის არამცთუ დამახინჯებას, უბრალო უსწორ-მასწორობასაც კი. მისი შემოქმედების მანერა, წერის კილო, დასურათხატების ტექნიკა და მხატვრული თქმის ელფერი უპრეტენზიოა, სადაა, ყველასათვის გასაგებ-მისაწვდომია. ეჭვს გარეშეა, რომ მიხეილ ჯავახიშვილის პოპულარობას, სხვა მიზეზებთან ერთად, დიდად შეუწყო ხელი მისი ენის, სტილის, წერის ტექნიკის უდავო ღირსებამ და აქცია იგი ერთ-ერთ გამორჩეულ სიტყვის ოსტატად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. დონდუა კ., მიმართებითი ნაცვალსახელისა და მიმართებითი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, რჩეული, ტ. 1, თბ., 1967.
2. დოდაშვილი ს., შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, თბ., 1830.
3. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
4. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1939.
5. ჯავახიშვილი მ., მოთხრობები და რომანები, თბ., 1953.


**ლეილა გოზალიშვილი**

**რთული ქვეწყობილი წინადადების გამოყენების საკითხი მიხეილ ჯავახიშვილის ენაში**


**რეზიუმე**

რთული წინადადების აგებულების, გენეზისისა და გამოყენების საკითხები ერთ-ერთი რთული და ნაკლებად შესწავლილი სფეროა ქართველი ენათმეცნიერების მიერ, უფრო ნაკლებად კი რომელიმე მწერალთან მიმართებაში. განსაკუთრებით საინტერესოა რთული ქვეწყობილი წინადადება, მისი გენეზისი და გავრცელების არეალი.

ჩვენს ნაშრომს პრეტენზია არა აქვს აღნიშნული საკითხის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისა. ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ, რომ ჰიპოტაქსის გამოყენების თავისებურებანი გვეჩვენებინა მიხეილ ჯავახიშვილის ორიოდე ნაწარმოების მიხედვით.


**Leila Gozalishvili**

**The question of a Complex Sentence Using in the language of Mikhail Javakhishvili**


**Summary**

The question of structure, genesis and using of a Compound Sentence is one of the most difficult and less studied sphere by Georgian linguistics specialists and is less studied in any writers way. The genesis and spreading area of a Complex Sentence is especially interesting.

Our work has no presentation of deep and thorough review of the noted question. We only tried to show peculiarity of using the hypotaxis according to several writings of Mikhail Javakhishvili.


**Лейла Гозалишвили**

**Вопрос употребления сложноподчинённого предложения в языке Михаила Джавахишвили**


**Резюме**

Вопрос построения, генезиса и употребпения сложного предложения - один из сложных и малоизучённых сфер грузынскими языковедами, и ещё меньше в отношении какого-либо писателя. Особый интерес представляет сложноподчинёное предложение, его генезис и ареал распространения.

Наш труд не имеет претензии на глубокий основательный обзор. Мы лишь постарались показать особенности употребления гипотаксиса на примере нескольких произведений М. Джавахишвили.

**ოლდა ცისკარიშვილი-სოსელია**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი**

## ინდივიდის განწყობა და მედია

განწყობა წარმოადგენს ადამიანის რთული ფსიქიკური აქტივობის გამაერთიანებელ არაცნობიერ მთლიან მდგომარეობას, რომლის საფუძველზე ურთიერთთან დაკავშირებულნი არიან ადამიანის მოთხოვნილებები, ქცევის საგნობრივი გარემო, ადამიანის ცნობიერება და სოციალური სინამდვილის მოთხოვნები, რომელსაც საზოგადოება უყენებს ადამიანს. განწყობა, როგორც ამ მოვლენების ერთიანობის საფუძველი და ადამიანის აქტუალური მდგომარეობა, თავის თავში მოიცავს იმპულსს, ტენდენციას, რომელიც ადამიანს გარკვეული ქცევისაკენ უბიძგებს და მის მიზანშეწონილ მიმდინარეობას განაპირობებს. განწყობის, ქცევისა და ცნობიერების ამ რთული შინაგანი ურთიერთობის შესახებ სრულიად ნათლად მიუთითებდა დ. უზნაძე თავის შრომებში (2). განწყობაში, როგორც ქცევის წინ შექმნილ მდგომარეობაში, წინასწარ ესკიზის სახით მოცემულია ინდივიდის მომავალი მიზანშეწონილი ქცევა, რადგან მასში გათვალისწინებულია, როგორც ინდივიდის მოთხოვნილება, ისე ის საგანი, რომელიც მოპოვებული უნდა იყოს, მოქმედების ის გზები, რომლითაც უნდა განხორციელდეს ქცევა. ამიტომ განწყობა, მის საფუძველზე, განხორციელებულ ქცევას მიზეზობრივადაც აპირობებს და მიზანშეწონილ ხასიათსაც აძლევს. ამ შეხედულების მიხედვით, გაუცნობიერებელი მიზანშეწონილი ქცევის გაგებისათვის საჭირო არაა რაიმე ზებუნებრივი და მისტიკური ძალების დაშვება. ადამიანს შეუძლია ცნობიერების გამოყენებით სინამდვილის უფრო ღრმა და არსებითი შემეცნება, მაგრამ იგი ამას მაშინ მიმართავს, როდესაც ამის აუცილებლობის წინაშე დგება. ადამიანისა და სინამდვილის ურთიერთობის კიდევ უფრო მაღალი ფორმა ცნობიერების, შეგნების საფუძველზე ხორციელდება (1, 123). ფსიქიკურ აქტივობად მთლიანი ინდივიდის ქცევა უნდა ჩაითვალოს, რომელსაც იგი გარკვეული მოთხოვნილების საფუძველზე მოქმედებათა გარკვეული გზების გამოყენებით ახორციელებს. იგი სრულიად გაუცნობიერებლად შეიძლება მიმდინარეობდეს, მაგრამ როგორც ადრეც აღვნიშნეთ, იგი პრინციპულად გაცნობიერებადი აქტივობა არაა, რადგან მას მთლიანი ინდივიდი ასრულებს და გაცნობიერების შემდეგ თავისი მოქმედების, „მე“-ს აქტივობის შედეგის სახით განიცდის (1, 124). ინდივიდი საგნობრივ სინამდვილეს არა სარკისებურად, არამედ სელექციურად, შერჩევით ასახავს. მასში სინამდვილის ის საგნები და მოვლენები აისახება, რომლებიც გარკვეულ კავშირში იმყოფებიან მის მოთხოვნილებასთან. სინამდვილე მასში მისი მოთხოვნილებების თავლსაზრისითაა ასახული. სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ ინდივიდის ფსიქიკურ აქტივობაში თვითონ ინდივიდის მოთხოვნილებაცაა ასახული, მაგრამ არა თავისთავად, სინამდვილის ასახვისაგან მოწყვეტილი, არამედ მასთან ერთიანობაში (1, 134). განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, როდესაც ადამიანი გარემოში შესატყვისი განწყობით მოქმედებს, მისი ქცევა და ქცევის განცდა-შეფასება გარემოსადმი ადეკვატურია და ურთიერთშესატყვისი. მაგრამ, როდესაც ადამიანი გარემოში შეუსატყვისი განწყობით მოქმედებს, მაშინ, მართალია, თავისი განწყობის მიხედვით განაგრძობს მოქმედებებს, ასიმილაციურ აქტივობას ახორციელებს, მაგრამ ამ დროს, მას თავისი ქცევისა და ქცევაში ჩართული საგნების კონტრასტულ-ილუზორული განცდა უჩნდება. შეუფერებელ სიტუაციაში ხდება განწყობის მოქმედების გახლეჩვა, ქცევის კომპონენტებს შორის თავსებადობის დარღვევა, რასაც, დიდი მნიშვნელობა აქვს შეუსატყვისი განწყობის ლიკვიდაციისა და გარემოსადმი შესატყვისი განწყობის ფორმირებისათვის (1, 233).

„სანამ ცოცხალი რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული, რომელიც ინდივიდს გარკვეული ქცევისაკენ მოუწოდებს“ (3,

69). მედიას კი ადამიანის განწყობის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი მიუძღვის, ამას ადასტურებს, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები. როდესაც ადამიანი წინასწარ მტკიცედ არის განწყობილი გარკვეული მოვლენის ან საგნის მიმართ, მაგალითად, მტკიცედ მოელის რამეს, ასეთი განწყობის ზეგავლენით მან შეიძლება დამახინჯებულად, არასწორად, „ილუზორულად“ აღიქვას მოცემული მოვლენა, თუკი ის არ დაემთხვა მოსალოდნელს. შემცდარი აღქმების ანუ აღქმის ილუზიების დიდი ნაწილი ასეთი წინასწარ შემუშავებული განწყობის შედეგია (4, 279). აღქმა ყოველთვის არ იძლევა საგნის ობიექტურ სწორ, უტყუარ ასახვას. გარკვეულ პირობებში ხდება საგნის არასწორი, დამახინჯებული აღქმა ანუ ილუზია.

ადამიანი, როგორც საზოგადოებრივი არსება, სხვადასხვა სახის სოციალურ აქტივობაშია ჩართული. საზოგადოების სრულუფლებიან და ღირსეულ წევრად ჩამოყალიბება სოციალიზაციის პროცესის შედეგია. პიროვნების შემოქმედებითი, ესთეტიკური და ზნეობრივი თვისებები მის სოციალურ ქცევაშიც ვლინდება. სოციალური ქცევის შესწავლისადმი დიდი ინტერესი იმითაც არის განპირობებული, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა ყაიდის ხალხთან გვიწევს ურთიერთობა: ზოგი მათგანი ოჯახის წევრია, ახლო მეგობარია, კოლეგაა, თანამდებობით უფროსია, ხელქვეითია, ზოგი კი უცნობია. აღსანიშნავია, რომ ადამიანთა მიერ საზოგადოებრივი აქტივობის განხორციელება მათივე მატერიალურ, სოციალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას განაპირობებს. ადამიანის სოციალური ქცევები ადამიანთა ურთიერთობაში ყალიბდება, რომელშიც გადამწვეტია სოციალური გავლენები. ადამიანთა ურთიერთობას, უფრო ხშირად, თან სდევს რაიმეგვარი გავლენის მოხდენა - ადამიანის ქცევა სხვა ადამიანების თანდასწრებით, როგორც წესი, იცვლება. ამგვარ ურთიერთობებს სოციალური ფსიქოლოგია შეისწავლის. ასევე შეისწავლის ცალკეული პიროვნების ან მთელი ჯგუფის ფსიქიკაზე ანდა ქცევაზე მომხდარ გავლენას (4, 357). აგრესიული ქცევის ე.წ. სოციალური დასწავლის კონცეფციის ავტორს ა. ბანდურას მიაჩნია, რომ ადამიანი აგრესიულ ქცევას, იმიტომ კი არ ეუფლება, რომ ის მისთვის სასარგებლოა, არამედ იმიტომ, რომ ის სხვების მოქმედების დაკვირვების საფუძველზე საკუთარი ქცევის „მოდელირებას“ ახდენს. როგორც სხვა სოციალურ ჩვევებს, ისე აგრესიულ ქცევას, ადამიანი მის გარშემო მყოფების მოქმედებათა და მათგან გამომდინარე შედეგების დაკვირვებით და გათვალისწინებით ეუფლება. ბანდურას მიხედვით, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება აგრესიული მოქმედების მოდელებს, ანუ ნიმუშებს გვთავაზობს. ისინი ოჯახში სუბკულტურაში და ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში გვეძლევა. ეკრანის ზეგავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა კომპიუტერისა და ინტერნეტის გავრცელების შედეგად (4, 379). ადამიანთა ურთიერთობისათვის არა მხოლოდ აგრესიული მოქმედებაა დამახასიათებელი, არამედ აგრეთვე, პროსოციალური (ალტრუისტული) საქციელიც, ანუ სხვებისადმი თანადგომის გამოვლენა და დახმარების აღმოჩენა. მიჩნეულია, რომ ალტრუისტული ქცევის მამოძრავებელი არის არა საკუთარი ინტერესებისათვის, არამედ სხვების კეთილდღეობაზე უანგარო ზრუნვა. ალტრუისტული საქციელის უამრავი მაგალითი არსებობს. მაგალითად, საქართველოში, თბილისში, 2015 წლის 13 ივნისს მდინარე ვერეს ადიდების შემდეგ, სტიქიური უბედურების ზონაში უამრავი ახალგაზრდა უანგაროდ მუშაობდა. ასეთი მაგალითები უამრავია მსოფლიოს მასშტაბით. მედია ხშირად ასრულებს საგანმანათლებლო ფუნქციასაც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულმა მედიამ დიდი ხანია დაკარგა საგანმანათლებლო ფუნცია, ამას ჩვენი კვლევაც ადასტურებს. დღევანდელმა საზოგადოებამ მთელი სიღრმით გააცნობიერა ერთმნიშვნელოვანი ფაქტი: „განათლების გზით თანამედროვე ადამიანი ხდება იმად, ვინც არის და ვინც უნდა იყოს.“ ფრანგი მოაზროვნე ოლივიე რებელი აღნიშნავს, რომ „ადამიანი განათლების შემწეობით და მხოლოდ მის გზით ხდება იმად, ვინც უნდა იყოს იგი, ხოლო მასზე ოპტიმისტური შეხედულება კაცობრიობისადმი რწმენის საფუძველია“ (5).

მედია ყველა სიკეთესთან ერთად, თავის თავში მოიცავს საფრთხეს, ადამიანების ცნობიერების სტანდარტიზირებას. მედია თავის თავში ფარავს, ერთი მხრივ, მდიდარ სოციალურ შესაძლებლობებს, მეორე მხრივ, მუქარასა და ცუდ პერსპექტივებს. ის შეიძლება იყოს, როგორც ტროას ცხენი, ასევე კაცობრიობის უდიდესი მასწავლებელი (5, 219). მედია ვალდებულია, აუდიტორიას ინფორმაცია მიაწოდოს. მედია ვალდებულია, იყოს სიმართლის, სამართლიანობის, კანონის, ღირებულებების, ადამიანის უფლებების და ა.შ. სამსახურში. მედიას ეკისრება კონფლიქტების პრევენციის უზრუნველყოფა. სარედაქციო დამოკიდებულება, სამოქალაქო აქტივიზმის ადვოკატირება (საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოსული შედარებით ახალი კონცეპტი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მეთოდი, რომლის გამოყენება შესაძლებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო ცვლილებების ინიცირებისათვის. საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა შეიძლება გულისხმობდეს, როგორც ორგანიზაციის მიერ შემუშავებული პოლიტიკის, პოზიციისა და პროგრამების ცვლილებას, ისე იდეების შემუშავებას ამ ინტერესების დასაცავად, ან მათ შეთავაზებას საზოგადოებისათვის. ამას გარდა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა ნიშნავს, საზოგადოების მხრივ ხმის ამაღლებას, მნიშვნელოვანი საკითხებისათვის თვალყურის დევნას და გადაწყვეტილებების მიმღებთაგან შესაბამისად გადაჭრის მოთხოვნას.). თუმცა, თანამედროვე საქართველოში, ხშირად მიუღებელია. მედიაში გადის ისეთი მასალები, რომლებიც სიძულვილის ენითაა გაჟღენთილი. მედიამ, სამწუხაროდ, დაკარგა საგანმანათლებლო ფუნქციაც, რომელიც საზოგადოებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. ჟურნალისტების ძველმა თაობამ, რომელიც, ჯერ კიდევ, საბჭოთა დროს მოღვაწეობდა, ისევე როგორც ძველმა მედიამ, დროს ალღო ვერ აუღო და ასპარეზი ახალ მედიასა და ახალ ჟურნალისტებს დაუთმო. ახალი გაზეთები, რადიო და სატელევიზიო არხები და გადაცემები, ჯერ კიდევ, გამოუცდელი, სხვადასხვა განათლების მქონე ახალგაზრდობით დაკომპლექტდა. ამ თაობამ წერისა და საუბრის საკუთარი მანერა მუშაობის პროცესში ჩამოიყალიბა. მათი პროფესიული საქმიანობის დასაყრდენად იქცა არა იმდენად საკუთრივ ჟურნალისტური ქცევის ნორმები და მეთოდები, რამდენადაც სამოქალაქო თუ პოლიტიკური პოზიცია. ეს მათ არა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების არბიტრად, არამედ მის აქტიურ შემოქმედად აქცევს.

მედია ნდობით სარგებლობს საზოგადოებაში. ამავე დროს, მედიის კრიტიკაც საკმაოდ ჩვეული და გავრცელებული მოვლენაა ქართულ საზოგადოებაში. ეს, ალბათ, ზემოხსენებულ პრობლემას, ცოდნისა და შეხედულების ასახვას, პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს უკავშირდება. დღევანდელი ჟურნალისტიკა, ისევე როგორც მასობრივი კომუნიკაცია, ზოგადად, საქართველოში, მეტად შორს არის ფაქტებზე დამყარებული ჟურნალისტიკის სტანდარტებისაგან. ის არ ერიდება პოლიტიკურ პროპაგანდას, არ ესწრაფვის ცოდნისა და პოლიტიკური შეხედულების გამიჯვნას, პირიქით, ის ხშირად მზად არის დაუქვემდებაროს ცოდნა პოლიტიკურ შეფასებას, დაარღვიოს ჟურნალისტური ეთიკის ნორმები, არ სცეს პატივი განსხვავებულ აზრს და მიმართოს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების სხვადასხვა ხერხებს.

აუდიტორია მეტ-ნაკლებად თანხმდება იმაზე, რომ მედიის ხარისხი დაბალია, რომ მას „სიყვითლე“ დაჰკრავს. ამ მოსაზრებას თავად ჟურნალისტებიც იზიარებენ. თუმცა ამ მოვლენის შეფასებისას აზრები ძირითადად ორად იყოფა. ერთნი (და მათ შორის ჟურნალისტების დიდი ნაწილი) თვლიან, რომ „როგორი საზოგადოებაცაა, ისეთი ჟურნალისტიკაა“, ანუ მედია შეესაბამება მოსახლეობის მოთხოვნების დაბალ სტანდარტს. სხვები ამტკიცებენ, რომ მოსახლეობა მშვენივრად არჩევს კარგ და უხარისხო პუბლიკაციებს და რომ არსებობს საბაზრო მოთხოვნილება უფრო პროფესიულ მედიაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ნადირაშვილი შ., განწყობის ფსიქოლოგია, თბ., 1983.
2. უზნაძე დ., შრომები, ტომი მეექვსე, თბ., 1977.
3. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940.
4. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2011.
5. М.А. Дедюлина, В.А. Ивлиев, Е.В. Папченкоб. СОЦИАЛЬНАЯ ФИЛОСОФИЯ. Таганрог. 2006.
6. Перспективы. Вопросы образования, М. 1987.


**ოლღა ცისკარიშვილი-სოსელია**

**ინდივიდის განწყობა და მედია**

**რეზიუმე**


განწყობა, როგორც მოვლენების ერთიანობის საფუძველი და ადამიანის აქტუალური მდგომარეობა, შეიცავს თავის თავში იმპულსს, ტენდენციას, რომელიც ადამიანს გარკვეული ქცევისაკენ უბიძგებს და მის მიზანშეწონილ მიმდინარეობას განაპირობებს. ინდივიდი საგნობრივ სინამდვილეს არა სარკისებურად, არამედ სელექციურად, შერჩევით ასახავს. ეკრანის ზეგავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა კომპიუტერისა და ინტერნეტის გავრცელების შედეგად. მედია ყველა სიკეთესთან ერთად, თავის თავში მოიცავს საფრთხეს, ადამიანების ცნობიერების სტანდარტიზირებას.


**Olga Tsiskarishvili-Soselia**

**Attitude of the Individual and Media**

**Summary**


Mood, as the basis for the unity of events and the current condition of the human being, contains the impulse in itself, as well as a trend, which pushes human to a certain behavior and conditions their reasonable course. Individuals reflect the subjective reality selectively, but not reflectively. The screen influence became more powerful after computer and internet got widespread. The media, along with all good things, includes in itself a threat to standardize humans' consciousness


**Ольга Цискаришвили-Соселия**

**Настрой индивида и медия**

**Резюме**


Настрой, как основа единства событий и актуального состояния человека, содержит импульс, тенденцию, которые дают толчек к определенному поведению и его целенаправленному исполнению . Индивид воспроизводит субъективную реальность не зеркально, а селективно, избирательно. Влияние экрана еще больше усилилось в результате распространения компьютера, Интернета. Наряду с положительным влиянием средства массовой информации, несут опасность стандартизации сознания людей.

ნათია იაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

## ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ ინგლისურ ენაზე

ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ნიკოლოზ ბარათაშვილს, ხოლო მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს. სწორედ ამ პერიოდში ახალი ეპოქის შესაბამისად გზას იკვლევდა და ყალიბდებოდა ახლი ქართული ლიტერტურა.

სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ილიამ მიზნად დაისახა ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ასევე განუზომელია ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართულის ენის აღორძინების საქმეში. იგი არის ახალი ქართული მწერლობის არა მხოლოდ ფუძემდებელი, არამედ ახალი ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორიც. გარდა ამისა, ილია ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ლიბერალიზმის ღირებულებების უპირველესი შემომტანია. მან თეორიულად დაამუშავა და ქართულ სინამდვილეს მიუსადაგა ლიბერალიზმის მრავალმხრივი და უმთავრესი პრინციპები.

სწორედ ზემოაღნიშნულ მოტივებზე შეიქმნა ილიას ნაწარმოებების უმეტესეობა. პოემა „განდეგილი“ პოეტის სხვა ნაწარმოებებისაგან თემატურად განსხვავებულია. პოემის წყაროს წარმოადგენს ლეგენდა ბეთლემში დაყუდებული ბერის შესახებ. მასში გადაჭრილია ისეთი მნიშვენლოვანი საკითხი, როგორიცაა ცხოვრებისა და მისგან განდგომის, ადამიანისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. მიუხედავად ამისა ლიტერატურათმცოდნეთა შორის აღნიშნულ პოემასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. იონა მეუნარგიას მოსაზრებით „განდეგილი“ ახალი საფეხურია ილიას შემოქმედებაში. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ამ პოემას მწერლის უსუსტეს ნაწარმოებად აფასებს. საინტერესოა გურამ გვერდწითელის მოსაზრებაც, რომელიც ცდილობს პარალელების მოძიებას სხვადასხვა მწერლებთან და აცხადებს, რომ „ცხოვრებასთან დამოკიდებულების პრობლემა, როგორც ერთ-ერთი საზოგადოებრივი პრობლემა არაერთხელ გამხდარა შთაგონების წყაროდ მრავალი მოაზროვნისა და მწერლისათვის და ამიტომაც არ არის რთული „განდეგილის“ პარალელების მოძებნა მსოფლიო ლიტერატურაში“. ამავე პრობლემას უკავშირდება გუსტავ ფლობერის „წმინდა ანტონის ცდუნება“, ლევ ტოლსტოის „მამა სერგი“, ემილ ზოლას „აბატ მურეს შეცდომა“, მიხეილ ლერმონტოვის „მწირი“ და სხვ.

ეჭვგარეშეა, რომ ცხოვრებასთან დამოკიდებულების იდეამ და პოემის ღრმა ფილოსოფიურმა შინაარსმა შთააგონა ქართული კულტურის დიდ მოამაგეს-მარჯორი უორდროპს მისი ინგლისურ ენაზე თარგმნა. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს უაღრესად მნიშვნელოვან და დაფასებულ პიროვნებად მიიჩნევდა მარჯორის ძმა – ოლივერ უორდროპი. იგი თავის წიგნში „საქართველოს სამეფო“, სადაც აღწერს საქართველოს კუთხეებს, ადათ წესებსა და ჩვეულებებს, ასევე ახასიათებს ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. იგი განსაკუთრებულ შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძეს „... თავადი ილია ჭავჭავაძე (დაბადებული 1837წ.), რომელიც ყველაზე უფრო ღირშესანიშნავი და მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებაა მათ შორის ვინც დღეს ყავს საქართველოს. მთელი მისი პოეზია, მთელი მისი შემოქმედება, როგორც პოეტის, რომანისტის, პუბლიცისტის, ორატორისა და ფინანსისტის ამაღლებული პატრიოტული სულით არის გაჟღენთილი“.

მარჯორი უორდროპს უაღრესად დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის ძეგლების ინგლისურად ამეტყველების საქმეში. მან თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, „ქართული ხალხური ზღაპრები“, „განდეგილი“, ხოლო ძმასთან ერთად თარგმნა „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და სხვ. მან ილიას შემოქმედების გაცნობისთანავე გაიაზრა მისი უკვდავი პოემის „განდეგილის“ სიდიადე და პირველ რიგში სწორედ მისი თარგმნა განიზრახა.

1894 წელს, საქართველოში ჩამოსვლამდე, მარჯორი უორდროპმა პირად წერილში თხოვნით მიმართა ილია ჭავჭავაძეს ნება დაერთო მისთვის ინგლისურად ეთარგმნა მისი ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდებული პოემა „განდეგილი“. ილიაზე ამას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, მარჯორისადმი მიწერილ პასუხში ილია უწონებს მას განზრახვას ვინაიდან, ინგლისმა მეტად ცოტა რამ თუ იცოდა ჩვენი ქვეყნის შესახებ და სასურველია ინგლისმაც იცოდეს „...რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული“.

1895 წელს ლონდონში გამოიცა ილიას „განდეგილის“ მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანი, რომელსაც თან ერთვოდა მთარგმნელის მოკლე წინასიტყვაობა. იგი სინანულით აღნიშნავდა, რომ ინგლისმა თითქმის არაფერი იცოდა ქართველი ხალხის ხასიათის, კეთილშობილების, გმირობისა და მათი ლიტერატურის შესახებ. წინასიტყვაობაშივე მარჯორი მიუთითებს, რომ „დაწყებული უძველესი ბუდისტური ლეგენდიდან-თანამედროვე ფრანგულ რომანამდე, მრავალი მოთხრობა დაწერილა წმინდა განდეგილთა ცდუნების შესახებ“. თუმცა „განდეგილი განსხვავდება ყველა მათგანისაგან თავისი აღმაფრთოვანებელი სისადავით“. მარჯორისავე მოსაზრებით პოემაში ასკეტიზმის წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლის გარდა ასევე ვლინდება რენესანსული იდეების ტრიუმფი.

თავად თარგმანი შემოქმედებითად და საკმაო სიზუსტით არის შესრულებული. ქართული და ინგლისური ლექსთწყობის აბსოლუტური განსხვავების მიუხედავად მთარგმნელს დედნის ტექსტის მეტრთან შესაბამისი მეტრის მოძებნა არ გასჭირვებია. თარგმანში ასევე შენარჩუნებულია ჯვარედინი რითმაც, რითიც შენარჩუნებულია ბუნებრივი ტონი და ქართული ტექსტის მუსიკალობა.

თარგმანში შესანიშნავად არის გადმოცემული დედნის აზრი და მხატვრული სახეები:

„საოცარ იყო მიძინებული,
იგი სიტურფე, იგი მშვენება!...
თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება...“.

„Bewitching was she as she lay asleep,
Adorned in beauty and all charms of love,
As if, seeking to make her fair and good,
Both love and happiness together strove...“.

მარჯორი უორდროპის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ზედმიწევნით კარგად ჩასწვდა ქართული ენის ბუნებას. მან შეძლო მცირედი ნიუანსების გააზრება და ინგლისური ენის შესაბამისი რესურსების გამოყენება.

„პირჯვარი უნდა ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა-ენა ებმება.
ხატის ხილვა სწყურს და იგივ...იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!“

„He tries to cross himself, but lo! his hands
Refuse to move; he seeks to breathe a prayer,
His tongue is mute; he, thirsting for God's smile,
Can see naught save the cursed maiden there.“

მთარგმნელი შესანიშნავად ახერხებს ილიას სტილისტურ თავისებურებათა გადატანას თარგმანში. ასევე ყურადღებითა და სიფრთხილით ეკიდება მთარგმნელი ავტორის მიერ ექსპრესიულობის მიზნით გამოყენებულ არქაიზმებს. მხატვრული სახეების შემთხვევაში კი ცდილობს ორიგინალის შესაბამისი ანალოგის ან შიინაარსობრივად მიახლოებული სიტყვების მოძიებას.

„და რა იხილა იგი კვლავ მწირმა,
დაუცხრა სული აქოთებული“

„And when the hermit gazed upon that face
The stormy waves that tossed his heart were still.“

თარგმანში „სული აქოთებულის“ ნაცვლად გამოყენებულია, „მშფოთვარე ტალღები, რომელიც გულს უფორიაქებდა“, თუმცა ეს თარგმანში არსებით ცვლილებას არ იწვევს. მომდევნო ორი სტრიქონიც შინაარსობრივად ზუსტად არის გადმოცემული თუმცა დარღვეულია ილიასთვის დამახასიათებელი ლაკონურობა:

„და რაღაც ძალით ქალზე კვლავ დარჩა
თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული.“

„Surely some secret force held him enslaved
That he must look on her against his will!“

„კვლავ დარჩა თვალი ტყვექმნილი“, გადმოცემულია როგორც „მისთვის უნდა ეყურებინა საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ“.

არაჩვეულებრივად არის თარგმანში გადატანილი მწირის გარეგნული დახასიათება:

„არ იყო ხნიერ მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი,
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა“.

„He was not old — upon his saint-like face
His soul's nobility was pictured fair,
It could be seen his spirit was the home
Of other thoughts than those of worldly care“.

აზრობრივი სიზუსტისა და დედნისადმი ერთგული დამოკიდებულების მიუხედავად, თარგ-მანში არსებობს უმნიშვნელო უზუსტობებიც, კერძოდ დაკარგულია ავტორის სიტყვები, რომელსაც იგი იყენებს ბეთლემის დახასიათებისას:

„და იმ ყინულში შეთხრილ ღვთის ტაძარს,
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი“.

„Of that old temple still the folk hold dear,
And Bethlehem is still, to-day, its name“.

თარგმანში სრულიად დაკარგულია „ყინულში შეთხრილი“, რომელიც ბეთლემის ადგილმდებარეობის აღსაქმელად ფრიად მნიშვნელოვანი ელემეტია.

ასევე შემდეგ სტრიქონებში:

„და მყინვარიდამ ვითა ვეშაპი,
შავი ღრუბელი დაიძრა მძიმედ“.

გამოყენებული ვეშაპი, მთარგმნელს შეცვლილი აქვს „Serpent“-ით (გველი)

„And, like a serpent, over Kazbek's peak
A dark low'ring cloud, swift gliding, passed“.

ამ მცირედი უზუსტობების მიუხედავად, თარგმანი მაინც მაღალ დონეზეა შესრულებული. მთარგმნელი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ყველა პოეტურ სახესა და ნიუანსს, რითიც ინარჩუნებს ილიასათვის დამახასიათებელ ლირიზმს, ლაკონურობასა და ექსპრესიულობას. უდავოა, რომ ამ თარგმანით მარჯორი უორდროპმა უდიდესი როლი ითამაშა ამ უკვდავი პოემის ინგლისური მკითხველისათვის გაცნობის საქმეში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გვერდწითელი გ., პოემა სიცოცხლის გამარჯვებისა, ჟურნალი „ცისკარი“, თბ., 1957, №2;
2. თაქთაქიშვილი-ურუშაძე ც., მარჯორი უორდროპი, თბ., 1965.
3. ინგოროყვა პ., ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი, თბ., 1975.
4. მარშალ ლენგი დ., ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ჟურნალი „ცისკარი“, თბ., 1957, №2.
5. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, თბ., 1984.
6. The Hermit, translated from Georgian by Marjory Wardrop, London, 1895.
7. Wardrop O, “Kingdom of Georgia” (*NOTES OF TRAVEL IN A LAND OF WOMEN, WINE AND SONG*), London, 1988.


**ნათია იაშვილი**

**ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ ინგლისურ ენაზე**

**რეზიუმე**

ნაშრომში წარმოდგენილია დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის პოემის „განდეგილის“ ინგლისური თარგმანის ანალიზი. გამოკვეთილია პოემის მთავარი იდეა ცხოვრებასთან დამოკიდებულების იდეა და განხილულია თუ რამდენად შეძლო ქართული კულტურისა და ლიტერატურის დიდმა მოამაგემ-მარჯორი უორდროპმა ამ იდეისა და პოემის ღრმა ფილოსოფიური შინაარსის ინგლისურ ენაზე გადატანა.

**Natia Iashvili**

**„ The Hermit “of Ilia Chavchavadze in English**

**Summary**

The current article presents the analysis of the English translation of “The Hermit”, poem of the great Georgian writer and public figure Ilia Chavchavadze. It emphasizes the main idea of the poem- attitude to life. In addition, the article also refers to the issue whether Marjory Wardrop, the great lover of Georgian culture and literature, was able to transfer above-mentioned idea and deep philosophical content of the poem in the English language.

**Натия Иашвили**

**«Гандегили» Ильи Чавчавадзе на английском языке**

**Резюме**

В работе предоставлен анализ английского перевода «Гандегили», великого грузинского писателя и общественного деятеля Ильи Чавчавадзе. В нем подчеркивается главная идея поемы – отношение к жизни и обсуждается, насколько смог великий почитатель грузинской культуры и литературы - Марджори Уордроп, перевести эту идею и глубокое философское содержание поемы на английский язык.

# განათლების მეცნიერებანი

**Нодар Басиладзе**
**Профессор Батумского Государственного Университета им. Шота Руставели**

## В.А. Сухомлинский о нравственном воспитании учащихся

В гармоническом развитии личности и формировании настоящего гражданина своей родины В.А.Сухомлинский огромное значение придавал нравственному воспитанию учащихся. Все компоненты воспитания - физическое, умственное, трудовое, эстетическое - у него проходят "через призму нравственности". "Гармоническая, всесторонне развитая личность, - писал он, - немыслима без прочного ***нравственного стержня***... К этому нравственному стержню должно ***привязываться*** все, что приобретается питомцами в жизни, в школе, в результате многогранных воспитательных воздействий. Все эти воздействия должны как бы преломляться через призму нравственности" (9, 39).

Нравственное воспитание детей, по мнению Сухомлинского, надо начать с первых шагов их сознательной жизни. В дошкольном возрасте следует утвердить в их сознании нравственные нормы, элементарную моральную культуру, чтобы они знали, что хорошо и что плохо. Однако этого недостаточно. Вместе с этим, мы должны заложить в душу каждого ребенка "зерно человечности" - любовь к общественно полезному труду, чтобы они знали не только свои права на материальные блага, но и свой долг перед обществом за эти блага.

Детей с малых лет надо учить выполнять общественно полезные дела, чувствовать рядом с собой человека, читать его душу, видеть в его глазах радость, беду, горе, несчастье. И это должно доставлять им большое удовольствие.

В.А.Сухомлинский в педагогике утвердил категорию долга. "Долг, долг и еще раз долг – вот та атмосфера, в которой надо воспитывать существо, родившееся человеком, чтобы оно достойно было называться высоким именем Человека", - писал он (4, 401).

С первого дня прихода детей в школу Сухомлинский учил их "труду души" - уважению и заботе о других людях, делить не только их радости, но и горе, беду, несчастье, избавлять их от мук и страданий.

Для того чтобы дети освоили азбуку эмоциональной культуры, Сухомлинский водил их в путешествие к людям. Они встречались с людьми в поле, в лесу, в саду, на ферме. Опытный педагог учил мальчиков и девочек прислушиваться к словам старших, читать в их глазах мысли и чувства, принимать близко к сердцу все то, что волнует, тревожит, беспокоит их. От таких людей ребята слышали заветные мысли народа: уважай чужой труд, помогай матери, бабушке, дедушке, сделай добрые дела для других.

В.А. Сухомлинский учил детей, что они являются членами общества и они тоже в долгу перед народом и родиной. По его мнению, самая большая радость - жить для людей, счастлив тот человек, который посвятил всю свою жизнь борьбе за счастье и благосостояние людей, и наоборот, "нельзя ждать ничего доброго от человека, который в годы детства познал лишь одну радость - радость потребления" (2, 137).

Ребенок должен проявлять любовь, внимание и чуткость первым долгом к родителям, членам семьи, близким, а потом и к другим людям. Доброта должна быть его постоянной потребностью, привычкой. Такие бескорыстные дела нравственно возвышают, совершенствуют человека. Такие поступки Сухомлинский называет трудом любви, трудом души. По его мнению, формирование у детей труда души берет свое начало, прежде всего, в заботе о матери. Ребенок, который не заботится о своей матери, не замечает в ее глазах печаль и радость, учит он, - не станет настоящим человеком. "За добро ребенок должен платить добром, - пишет Сухомлинский, - это важнейший закон роди-

тельского воспитания” (10, 80). Но все это он должен делать исходя из своей внутренней потребности, без расчета, без всякой личной выгоды. “Если добро имеет причину, оно уже не добро; если оно имеет последствие - награду, оно тоже не добро. Стало быть, добро - вне цепи причин и следствий”, - писал Л.Н.Толстой (10, 394).

Проблеме нравственного воспитания школьников Сухомлинский посвятил много работ, но среди них выделяется монография “Методика воспитания коллектива”, которая на русском языке вышла впервые под заглавием “Мудрая власть коллектива” (М., 1975). В этой книге Сухомлинский ответил на многие полемические вопросы педагогики. В частности, он возмущен тем, что во многих школах будто бы делается все для правильного воспитания учащихся: проводятся различные соревнования, конкурсы, олимпиады, вечера, конференции и т.д., но все это делается для соревнования, для первенства, ради похвальной грамоты или награды, а не для воспитания школьников.

Для того чтобы ребенок делал добро по своей душевной потребности, а не для похвалы и вознаграждения, учит Сухомлинский, надо вовремя прививать ему чувство любви к людям и умение бороться против зла, несправедливости и бессердечности, против всего, что унижает и оскорбляет человеческое достоинство. Самым страшным злом он считал равнодушие. По его мнению, “если есть равнодушие - нет подлинной личности”, и появляется, по его же образному выражению, “душа, застегнутая на все пуговицы”.

Поэтому В.А.Сухомлинский призывал своих учителей и родителей, Павлышских школьников, воспитывать детей активными борцами против зла и несправедливости, ибо он был глубоко убежден, что “самое страшное для человека - это превратиться в спящего с открытыми глазами: смотреть и не видеть, видеть и не думать о том, что видишь, добру и злу внимать равнодушно, проходить спокойно мимо зла и неправды” (3, 10).

Но против зла надо бороться не словами, а делом. Иногда надо не говорить, а действовать без разговоров. Илья Ильф и Евгений Петров очень хорошо сказали: надо не бороться за чистоту, а подметать. Подметать же у нас еще есть что” (3, 14).

Наиболее опасным и нетерпимым пороком В.А.Сухомлинский считал бесчеловечность, равнодушие к человеку. Поэтому он призывал педагогов и родителей воспитывать детей активными борцами против зла и бесчеловечности, ибо этим “добром” мы еще богаты.

В нравственном воспитании учащихся В.А.Сухомлинский большое внимание уделял также воспитанию у них ответственного отношения к труду и общественной собственности.

Любовь к труду В.А.Сухомлинский считал мощным фактором нравственного воспитания школьников, а безделье - самым ярким проявлением безнравственности. Поэтому, он всячески старался, чтобы его воспитанники знали не только свои права на материальные блага, но и свой долг перед обществом, перед своим народом за эти блага.

В.А.Сухомлинский стремился пробудить в детях чувство признательности людям, стране, готовность отблагодарить людей за их доблестный труд, ответить заботой на заботу. Но опытный педагог прекрасно знал, что “готовность отблагодарить трудовой народ воспитывается только там, где молодой человек познает на своем опыте, сколько усилий вкладывают труженики в создание жизненных благ” (1, 11). Поэтому В.А.Сухомлинский большое значение придавал непосредственному участию детей в процессе труда, созданию материальных ценностей. Молодым, начинающим педагогам он советовал воспитывать у детей горячее стремление не только видеть, но и утверждать красоту на земле, чтобы питомец “постиг на собственном опыте, что такое мозоли и усталость, пот и радость преодоления трудностей” (7, 5).

В.А.Сухомлинский разработал цельную систему воспитания, где труд является источником детской радости. Но речь идет не о радости потребления, что очень опасно, а прежде всего, о радости созидания, о радости труда, приносящего радость близким - родителям, учителям, товарищам и всему народу. Настоящим гражданином он считал того, кто, не покладая рук, каждый день работает для процветания своей Родины - выращивает пшеницу, прокладывает дороги, закладывает сады и виноградники, добывает полезные ископаемые, осваивает целинные и залежные земли, превращает пустырь в цветущий уголок - создает материальные и духовные ценности.

Нравственным идеалом для павлышских ребят стали люди, которые нашли свое счастье в служении отечеству. Педагог водил своих питомцев на могилы героев, отдавших жизнь за Родину, за счастье народа. Он хотел, чтобы дети чувствовали признательность и к тем, кого уже нет в живых. На степном кургане, которым только что любовались дети, педагог показал едва приметную яму и рассказал детям, как на этом месте во время Отечественной войны сражался и погиб пулеметчик, до последнего вздоха защищавший родную землю от фашистов. Малыши глубоко пережили рассказанное. В эту минуту им хотелось выразить свои чувства полезным делом, сделать что-то особенное, хорошее, доброе. “Дети широко открытыми глазами смотрели на мир, - рассказывает Сухомлинский, - как будто впервые видели его. В те мгновения их души были открыты великому и возвышенному” (8, 11).

Дети посадили на вершине кургана дубок и ухаживали за ним и зимой и летом. Наконец дубок зазеленел, и это доставляло детям большую радость. Им удалось узнать день гибели героя, и они стали ежегодно отмечать этот день, как день светлой славы, памяти и скорби. В этот день каждый ученик приходил в школу с цветами, ребята сплетали из них живой венок и возлагали его на вершине кургана, где, по рассказам, пал герой.

В нравственном воспитании В.А.Сухомлинский большое значение придавал знакомству детей с людьми труда, чтобы вызвать чувство гордости за человека - труженика, чтобы дети почувствовали, что красота человека - в его служении Родине, народу. В своих рассказах и беседах Павлышские педагоги приводили многочисленные примеры трудолюбия односельчан. Для учащихся организовывались встречи с передовиками промышленности и сельского хозяйства, проводились различные вечера и утренники, диспуты и конференции, на которые приглашались лучшие труженики села. Так, Павлышские школьники близко познакомились с опытным строителем - каменщиком К.К.Гайчуком, который “за свою долгую трудовую жизнь... построил больше двухсот кирпичных домов. В них живут рабочие, учатся дети, лечатся больные” (1, 80).

Кроме работы, полезной для общества, экскурсий и прогулок, в Павлышской школе широко применялись различные беседы, имеющие своей целью нравственное воспитание школьников. Яркое, эмоциональное слово учителя, раскрывающее красоту окружающего мира, В.А.Сухомлинский считал тончайшим способом влияния на юную душу. Но он здесь же предупреждает, что слово лишь тогда является сильным орудием воспитания, когда оно является продуманной, мудрой, западающей в глубину души, а не сухой, бесстрастной, сеющей скуку нотацией.

В Павлышской средней школе во всех классах проводились этические беседы, целью которых было формирование у детей нравственных чувств - заботливого, чуткого и отзывчивого отношения к людям. В своем последнем плане работы на 1969-1970 учебный год, который хранится в Мемориально-педагогическом музее автора, В.А.Сухомлинский дает 264 тем. Большинство из них служат формированию у детей нравственных чувств и переживаний. Вот некоторые из них: “Чем раньше ты начнешь отдавать долг старшим, тем спокойнее будет твоя совесть”, “Что было бы, если бы человек делал только то, что ему захочется?”, “Никогда не забывай, что ты живешь среди людей”, “Если ты наедине с самим собой делаешь что-то предосудительное и думаешь, что об этом никто не узнает, глубоко ошибаешься’, “Делай добро не только тогда, когда тебя видят люди, но и тогда, когда тебя никто не видит”, “Самое дорогое, бесценное в мире – Человек”, “Человек рождается для того, чтобы оставить после себя след вечный”, “После смерти дедушки или бабушки ты не должен посещать клуб, кино и другие увеселительные места длительное время”, “Умей управлять своими желаниями”, “Умей быть ласковым и добрым с людьми”, “Проявляй исключительную чуткость и тактичность в отношениях с людьми, имеющими физические недостатки”, “Если хочешь погубить человека, дай ему все, что он захочет” и т.д.

Исходя из вышесказанного, В.А.Сухомлинский старался с первого дня пребывания детей в школе способствовать пробуждению у них чувства ответственности и долга перед людьми, ибо он был глубоко убежден, что ребенок с первых шагов своей сознательной жизни должен быть не только потребителем добра, но и его созидателем. Он должен заботиться о других, его должна взволновать судьба кого-то или что-то. Педагог беседовал с детьми о добре и зле, о любви трудового человека, о людях с чистой совестью и горячим сердцем.

Таким образом, весь смысл нашей жизни состоит в том, учит Сухомлинский, что все мы должны. Без долженствования нельзя жить на свете. Поэтому каждый ученик с первого дня прихода в школу должен пройти уроки долженствования. Иначе мы вырастим эгоиста, себялюбца, который заботится только о себе.

По мнению Сухомлинского, для настоящего человека недостаточно возмущаться злом, высказывать свое негодование. Он должен также уметь утверждать в жизни добро своими поступками. Для этого дети должны не только хорошо владеть нравственными нормами, но и каждый день руководствоваться этими нормами. Этого можно достичь лишь тогда, когда нравственные знания у детей превратятся в убеждения.

К сожалению, отмечает Сухомлинский, в некоторых школах педагоги до тех пор не обращают внимания на детей, пока они не нарушают дисциплину, нравственные нормы. А у Сухомлинского все школьники были в поле зрения. Свою воспитательную работу он строил не на нарушениях детей, а заранее принимал все меры для их предотвращения. В этом деле он успешно использовал свое слово, а слово Сухомлинский считал наилучшим способом воспитания.

Опытный педагог не оставлял без внимания и религиозно-нравственные вопросы, хотя в то время все уклонялись от этого вопроса. По его мнению, с религией нельзя расправляться “одним взмахом”, объявив ее “мракобесием”, “тормозом науки”, а надо говорить как о ее отрицательных, так и положительных сторонах. Он пишет: “Я всегда считал примитивизмом и невежеством просто объявить религию тьмою. Религия не только обман, но и философия, религиозные книги не только сборники легенд..., но и поэзия, прекрасная, высокая. Среди вопросов, которые ставили мне подростки, были такие:

- Говорят, верующие - это люди темные... Но разве можно считать темным и невеждой Льва Толстого?

- Говорят, религиозная идеология затуманивает сознание людей. А Хьюлетт Джонсон? Ведь он ученый и глубоко верующий человек.

- В атеистическом журнале “Человек и мир” (1966 г., №2) я читал, что академик Филатов любил читать библию. Как это понимать?” (5, 178).

Кроме вышесказанного, Сухомлинский разъяснял сущность таких нравственных категорий, как любовь к родине, героизм, стойкость, мужество, справедливость, честность и т.д., которых мы здесь не рассматриваем.

Таким образом, в педагогической системе Сухомлинского человечность является основой нравственности. Успех педагога в учебно-воспитательной работе определяется, по его мнению, тем, насколько “звучит” нравственность во всех звеньях и методах воспитания. Здесь же опытный педагог учит нас, как выработать у школьников любовь к Родине, трудолюбие, отзывчивость, внимательность, доброту, душевную чистоту и т.д. Своим главным успехом в воспитательной работе Сухомлинский считал то, что “дети прошли школу человечности, научились чувствовать человека, близко принимать к сердцу его радости и горести, жить среди людей, любить свою Родину и ненавидеть ее врагов” (6, 286).

Таковы содержание и методика нравственного воспитания в педагогической теории и практике В.А.Сухомлинского.

**Литература:**

1. Сухомлинский В.А. Воспитание коммунистического отношения к труду: (Опыт воспитатель-ной работы в сельской школе). - М.: АПН РСФСР, 1959.
2. Сухомлинский В.А. Мудрая власть коллектива. - М.: Молодая гвардия, 1975.
3. Сухомлинский В.А. Письма к сыну. - М.: Просвещение, 1979.
4. Сухомлинский В.А. Родительская педагогика. - Избр. пед. Сочинения в 3-х томах, т.3. - М.: Педагогика, 1981.
5. Сухомлинский В.А. Рождение гражданина. - М.: Мол. гвардия, 1971.

6. Сухомлинский В.А. Сердце отдаю детям. - Киев, 1974.
7. Сухомлинский В.А. Слово к учителю начальной школы. - Нач. школа, 1968, №6.
8. Сухомлинский В.А. Слушай сердце! - Огонек, 1969, №18.
9. Сухомлинский В.А. Этюды о ком. воспитании. - Нар. образование, 1967, №2.
10. Толстой Л.Н. Анна Каренина. - М.: Худ. литература, 1981.

**Нодар Басиладзе**

**В.А. Сухомлинский о нравстенном воспитании учащихся**

**Резюме**

В.А. Сухомлинский огромное значение придавал нравственному воспитанию учащихся. Все направления воспитания - физическое, умственное, трудовое, естетическое - у него проходят через призму нравственности. По его мнению, нравстенное воспитание детей надо начать с первых шагов их сознательной жизни. В дошкольном возрасте следует утвердить в их сознании нравственные нормы, элементы моральной культуры, чтобы они знали что хорошо и что плохо. Однако этого не достаточно. Вместе с этим, мы должны заложить в душу каждого ребенка "зерно человечности" - любовь к общественно полезному труду.

**ნოდარ ბასილაძე**

**ვასილ სუხომლინსკი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის შესახებ**

**რეზიუმე**

ვასილ სუხომლინსკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდას. მის ნაშრომებში აღზრდის ყველა მხარე – ფიზიკური, გონებრივი, შრომითი, ესთეტიკური გატარებულია „ზნეობის პრიზმაში“. დიდი პედაგოგის აზრით, ბავშვთა ზნეობრივი აღზრდა უნდა დავიწყოთ პატარაობიდანვე, მათი შეგნებული ცხოვრების დასაწყისიდან. მოზარდებს სკოლამდელ ასაკში აუცილებელია ჩავუნერგოთ ზნეობრივი ნორმები, ზნეობრივი კულტურის ელემენტები, რათა მათ იცოდნენ რა არის კარგი და რა ცუდი, რა შეიძლება და რა არა, მაგრამ მარტო ეს როდია საკმარისი. ამასთან ერთად, მათ უნდა ვასწავლოთ „სულის შრომა“, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის სიყვარული, სხვისთვის სასიკეთო საქმის კეთება, სხვისი სამსახური.

**Nodar Basiladze**

**Vasil Sukhomlinsky about the Moral Education of Students**

**Summary**

Vasil Sukhomlinsky attached a great importance to the moral upbringing of the students. All elements of education-physical, mental, labor, aesthetic – pass through “the prism of morality” in his works. According to him the moral norms, elements of moral culture should be established in students’ minds in preschool age, in order to make them understand what is good and what is bad. However, this is not enough. Together with that, they have to be taught about the “soul of work”, love towards socially useful work, doing a good deed, so as to know not only their rights, but also their duties before society.

**ირინე არჯევანიძე**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## სოციალური აზროვნების პრობლემატიკის მიმოხილვა

XX საუკუნის 70-იან წლებში სოციალურ-ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში წარმოიქმნა განსაკუთრებული სფერო – „სოციალური აზროვნების (შემეცნების) ფსიქოლოგია“ (“Social Cognition”). ამ დროისათვის ფილოსოფიასა („შემეცნების თეორია“) და სოციოლოგიაში („შემეცნების სოციოლოგია“) უკვე არსებობდა სოციალური შემეცნების შესწავლის ხანგრძლივი ტრადიცია, თუმცა ფსიქოლოგების მიერ ამ ცნების – “social cognition” – გამოყენება გულისხმობდა პრობლემისადმი სპეციფიკურ მიდგომას.

სოციალური შემეცნების შესწავლისას ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში არ იყო მკვეთრად გამიჯნული (მაგალითად, მ. შელერისა და კ. ვანგეიმის ნაშრომებში) ამ პრობლემის ორი შესაძლო ასპექტი. პირველი გულისხმობს მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის ანალიზს. ესაა ის საშუალებები, ხერხები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია სოციალური რეალობის შესწავლა (შემეცნება). ამ თვალსაზრისით „სოციალური შემეცნება“ ნიშნავს სოციალური მოვლენების, ურთიერთობების, ფაქტების მთელი ერთობლიობის მეცნიერულ შესწავლას მკვლევართა მიერ.

მეორე აქცენტი უკავშირდება სოციალური სამყაროს შემეცნებას „ჩვეულებრივი“ ადამიანის, არაპროფესიონალის მიერ; ესაა ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების ყოველდღიური რეალობის შემეცნება. ამ შემთხვევაში სოციალური შემეცნება არის არა მეცნიერული ცოდნა, არამედ ყოველი ადამიანის უშუალო ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად მიღებული „ცოდნა“.

სოციალური ფსიქოლოგიის ინტერესი უკავშირდება სოციალური შემეცნების ამ მეორე ასპექტს. ის ფაქტი, რომ ასეთი მიდგომა განსაკუთრებით აქტუალური გახდა საუკუნის მეორე ნახევარში, მრავალი მიზეზით არის განპირობებული: საზოგადოებრივი ცხოვრების გართულება, საზოგადოებრივი ინსტიტუტების ახალი ფორმების წარმოქმნა. სწრაფი სოციალური ცვლილებები მოითხოვს საზოგადოების რიგითი წევრისაგან მიმდინარე მოვლენებში გარკვევას. რა თქმა უნდა, ორიენტაცია სამყაროში ყოველთვის იყო ადამიანის მოთხოვნილება, მაგრამ ახალ სიტუაციაში მისი მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება. ახალ, რთულ გარემოში ორიენტაცია უცილობლად საჭიროებს მომხდარი თუ მიმდინარე მოვლენების მეტ-ნაკლებად ადეკვატური ინტერპრეტაციის უნარს.

სოციალურ ცვლილებათა სწრაფი ტემპი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა განვითარება, ართულებს სოციუმთან ადაპტაციას, მოითხოვს ადამიანისაგან ახალი სიტუაციის „დაუფლებას“ (coping), ანუ იმის გააზრებას, თუ რამდენად შეესაბამება სამყაროს შესახებ მისი წარმოდგენები მიმდინარე ცვლილებებს. ამრიგად, სოციალური სამყაროს შემეცნება ჩვეულებრივი ადამიანის მიერ კვლევის სპეციალური საგანი ხდება.

ამ პრობლემაზე სოციალური ფსიქოლოგიის ყურადღების გამახვილების კიდევ ერთი მიზეზი უკავშირდება თავად მეცნიერების განვითარების ლოგიკას. ერთი მხრივ, გასული საუკუნის მეორე ნახევარში ზოგად ფსიქოლოგიაში აღინიშნა უზარმაზარი წინსვლა შემეცნებითი პროცესების შესწავლის თვალსაზრისით. ზოგადი ფსიქოლოგიის ტრადიციული ნაწილი – შემეცნების პროცესები ხდება ფსიქოლოგიის ცალკე დარგის – კოგნიტური ფსიქოლოგიის საგანი. მნიშვნელოვანწილად ეს განპირობებული იყო ელექტრონული გამოთვლითი მანქანის შექმნით, რომლის ოპერაციები (ინფორმაციის მიღება, მეხსიერებაში შენახვა, კლასიფიკაცია და სხვ.) ადამიანის კოგნიტური პროცესების მსგავსია. მაგრამ ამ ახალი შესაძლებლობებით გამოწვეული თავდაპირველი ენთუზიაზმის

შემდეგ სულ მალე ცხადი გახდა, რომ ასეთ მიდგომას შეიძლება მოჰყოლოდა რეალურად მიმდინარე შემეცნების პროცესის დახასიათებისაგან მოწყვეტა. ამიტომ კოგნიტურ ფსიქოლოგიაში დაისახა ახალი მიდგომა, რომელიც ორიენტირებული იყო ინდივიდის კოგნიტური აქტივობის ანალიზისაკენ ბუნებრივი მიზანდასახული საქმიანობის პროცესში. ასე, ნებსით თუ უნებლიედ, გადაიდგა ნაბიჯი კოგნიტური პროცესების სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის მიმართულებით.

სოციალურ ფსიქოლოგიაში შეიძლება სულ მცირე სამი სფეროს დასახელება, სადაც ამ დროისათვის პრაქტიკულად უკვე არსებობდა ახალი მიმართულებით კვლევის გაშლის წინაპირობა. ესაა პიროვნებათაშორისი აღქმის (და ზოგადად სოციალური პერცეფციის) პრობლემები, ატრიბუციის პროცესების ანალიზი და კოგნიტური შესაბამისობის თეორიები. თითოეულ ამ სამ სფეროში გამოიკვეთა ადამიანის მიერ სოციალური სამყაროს შემეცნების ესა თუ ის სპეციფიკური მხარე.

დღეს სოციალური აზროვნების ფსიქოლოგიაში მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს; 80-იანი წლებიდან დაწყებული, ის ჩართულია სოციალური ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებში. ყველაზე ფუნდამენტურ ნაშრომად ითვლება ს. ფისკესა და შ. ტეილორის „სოციალური აზროვნება“. თანდათან ჩამოყალიბდა როგორც მიდგომის ზოგადი კონცეფცია, ასე კვლევის ძირითადი პრობლემატიკა. „სოციალური შემეცნება“ გაიმიჯნა, ერთი მხრივ, ზოგადად „შემეცნებისაგან“ და, მეორე მხრივ, „სოციალური აღქმისაგან“. კერძოდ, ჯერ ერთი, აღიარებულია სოციალური წარმოშობის ფაქტი – იმ აზრით, რომ ის იქმნება სოციალური ურთიერთქმედების პროცესში, რომელშიც წამყვან როლს კომუნიკაცია თამაშობს. მეორეც, სოციალურ შემეცნებას საქმე აქვს სოციალურ ობიექტებთან, რომელთა წრე მნიშვნელოვნად გაფართოებულია. მესამეც, სოციალური შემეცნება სოციალურად გაზიარებულია, ანუ მის შედეგებს იზიარებენ ჯგუფის, საზოგადოების წევრები, ვინაიდან ასე რომ არ იყოს, ადამიანთა ურთიერთქმედება შეუძლებელი იქნებოდა.

ცხადია, რომ ყოველივე ამას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ზოგადი კონცეფციის ძირითად დებულებათა ჩამოსაყალიბებლად. ადამიანს არ ძალუძს სოციალური სამყაროს შემეცნება მარტო. ის ყოველთვის უპირისპირებს თავის ცოდნას სხვათა ცოდნას, ანუ კომუნიკაციის პროცესი ორგანულად ჩართულია თავად შემეცნების პროცესში, მაგრამ რაკი კომუნიკაცია მეტყველების მეშვეობით ხორციელდება, ეს უკანასკნელი გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის მიერ სამყაროს ინტერპრეტაციაში.

სოციალიზაციის პირველსავე ეტაპიდან ადამიანს სამყაროს ვიღაც “სხვა” წარუდგენს; მაშასადამე, ბავშვი გარემოს აღიქვამს გარკვეულ ჩარჩოში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ობიექტურ რეალობასთან ერთად ინდივიდისათვის იქმნება გარკვეული სუბიექტური რეალობა – სამყაროს ხატი.

ამ თვალსაზრისით სოციალური შემეცნება გულისხმობს სამყაროს არაუბრალოდ „ფოტოგრაფირებას“, არამედ კონსტრუირებასაც. სწორედ ამის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ობიექტური რეალობის „სურათის“ აგება. რაც მთავარია, ეს „სურათი“ ადამიანისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად ეს ობიექტური რეალობა.

აღნიშნული პროცესების ანალიზისას გათვალისწინებულია ორი გარემოება. ჯერ ერთი, ფსიქოლოგიის ძველთაძველი ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ადამიანი სამყაროს შეიმეცნებს ისე, როგორც იქცევა და, ამასთანავე, იქცევა ამ სამყაროში ისე, როგორც შეიმეცნებს მას. მაშასადამე, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კავშირის შესწავლა სოციალურ აზროვნებასა და ქცევას შორის. მეორეც, ესაა ასევე დიდი ხნით ადრე დადგენილი დებულება იმის შესახებ, რომ შემეცნება არის არა მარტო გარე კავშირებისა და ურთიერთობების დაფიქსირება, არამედ მათი თავისებური რეკონსტრუქცია. აქედან გამომდინარე, დგება კიდევ ერთი ამოცანა: სამყაროს შიდა (სუბიექტური) სურათის აგების მექანიზმის გამოვლენა.

სოციალური აზროვნების ფსიქოლოგიის შემდგომი განვითარება სწორედ ამ პრინციპული დებულებებით არის განპირობებული. მიმართულების მიხედვით კვლევები შეიძლება ოთხ ძირითად ბლოკად დაიყოს:

- სოციალური ინფორმაციის გადამუშავების ზოგადი დახასიათება;
- ინფორმაციის გადამუშავების პროცესის დეტერმინანტები;
- ამ პროცესში გამოყოფილი სოციალური სამყაროს ელემენტები;
- სოციალური ინსტიტუტები, რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობს სოციალური სამყაროს კონსტრუირების პროცესი.

პირველი ბლოკის ფოკუსშია საგნების სოციალური კატეგორიზაციის სპეციფიკა. კატეგორიზაცია ხორციელდება საგნების გარკვეული ნიშნების გამოყოფის საფუძველზე. სოციალური შემეცნების შემთხვევაში კატეგორიათა საზღვრების შემოფარგვლა საკმაოდ რთულია, ვინაიდან სოციალურ სინამდვილეში ეს საზღვრები ხშირად საკმაოდ ბუნდოვანია, დამოკიდებულია, უპირატესად, კონკრეტული სოციალური და ისტორიული კონტექსტისაგან. სოციალური შემეცნების სირთულე **ევრისტიკის** სპეციფიკურ ხერხებს წარმოშობს, რომლებსაც ჩვეულებრივი ადამიანი მიმართავს. ამ შემთხვევაში ევრისტიკა გულისხმობს იმ პრინციპების ერთობლიობას, რომელთა საფუძველზეც სოციალური ინფორმაციის ათვისების პროცესში წარმოიქმნება სხვადასხვა სუბიექტური „ჩანართები". სოციალურ ინფორმაციასთან "მუშაობის" რთულ პროცესში ოთხი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა: ყურადღება, კოდირება, შენახვა, აღწარმოება.

კვლევათა **მეორე ბლოკი** ეძღვნება კოგნიტური პროცესის თანმხლები და გარკვეულწილად განმსაზღვრელი „ფსიქოლოგიური" და სოციალური პროცესების შესწავლას. იმის გამო, რომ ადამიანი რეალურად ცხოვრობს ამ მის მიერ შექმნილ (აგებულ) სამყაროში, უცილობლად გასათვალისწინებელია სოციალური გარემოს ემოციური ათვისება, აგრეთვე სხვა ფსიქიკური პროცესები – მაგალითად, მოტივაცია.

ამ რიგის ელემენტებიდან დღეს ყველაზე სრულად შესწავლილია ორი: **სოციალური განწყობების** როლი და **პერცეფციული დაცვის** ფენომენი. **სოცალური განწყობების** ანალიზის გზით სოციალური აზროვნების ფსიქოლოგიაში შესაძლებელი გახდა იმ ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც „წმინდა" კოგნიტური მიდგომის წინაშე დადგა. ესაა **შემეცნებით პროცესში ემოციების ჩართვა** და **შემეცნების კავშირი ქცევასთან.** სოციალური რეალობის მოვლენათა გააზრებისა და, უპირველეს ყოვლისა, კატეგორიზაციის პროცესის საფუძველია სოციალური განწყობები, რომლებიც წარმართავს სოციალური ინფორმაციის ძიებას, სუბიექტი ირჩევს ინფორმაციას თავისი სოციალური განწყობების შესაბამისად. აქ შესაძლებელია ორი შემთხვევა: სუბიექტი ინორმაციაზე ყურადღებას ამახვილებს მაშინ, როცა მისი სოციალური განწყობა ობიექტის მიმართ ან ძალიან ძლიერია, ან, პირიქით, ძალიან სუსტი.

სოციალურ-შემეცნებითი პროცესის ფსიქოლოგიური "შემადგენელის" მეორე ნაწილია **პერციფციული დაცვის** ფენომენი.

პერცეფციული დაცვის ფსიქოლოგიური მექანიზმი გამოხატავს სუბიექტის მიერ აგებულ „სამყაროს ხატს" და რეალურ სამყაროს შორის შესაბამისობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებას.

ინფორმაციის კოგნიტური გადამუშავების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია **სოციალური ღირებულებები.** ღირებულებათა სისტემა გაცილებით უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენს ინფორმაციის შეფასებაზე. ვიდრე შემეცნების სუბიექტის ინდივიდუალური ფსიქოლოგიური თავისებურებები.

პრობლემათა **მესამე ბლოკს** განეკუთვნება სოციალური შემეცნების „პროდუქტების" ფართო სპექტრი – სოციალური სამყაროს ელემენტების აღწერა ისე, როგორც მათ შემეცნების სუბიექტი ხედავს. ამ ელემენტების სპექტრი საკმაოდ ფართოა: მე-ს ხატი, სხვათა ხატი, ჯგუფის (ორგანიზაციის) ხატი, დროის ხატი, გარემოს ხატი, საზოგადოების

ხატი და ა.შ. ამ ელემენტების ხატის ჩამოყალიბების შესწავლაში შეიძლება რამდენიმე მიმართულების გამოყოფა.

უპირველეს ყოვლისა, ესაა **სოციალური იდენტურობის** პრობლემის კვლევა, რომელიც აღნიშნულ კონტექსტში განიხილება, როგორც **მე-ს ხატის ფორმირების მექანიზმი.**

დაბოლოს, სოციალური შემეცნების ფსიქოლოგიის **მეოთხე ბლოკი** უკავშირდება სოციალური ინსტიტუტების როლს სოციალური სამყაროს ხატის აგებაში. სოციალიზაციის პროცესში ოჯახსა და სკოლას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და ეკლესიას გადამწყვეტი წილი შეაქვთ სოციალური რეალობის წვდომის ფორმებისა და ხერხების „ორგანიზებაში“.

სოციალური აზროვნების ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი სფეროა ზემოაღწერილი პრობლემების გამოვლენა მკვეთრი სოციალური ცვლილებების პერიოდში. ა. ტეჯფელის აზრით, თანამედროვე სამყაროში სოციალური ცვლილებები ადამიანის გარემოს ფუნდამენტური მახასიათებელია, რაც უცილობლად მოითხოვს საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების არსის ადეკვატურ შეფასებას. საზოგადოებრივი მოწყობის სისტემის დესტაბილიზაცია განსაკუთრებით აქტუალურს ხდის სოციალური რეალობის ღრმა შემეცნებას და, ამასთანავე, ართულებს ამ პროცესს.

სოციალური შემეცნების ფსიქოლოგიის პრობლემატიკის მიმოხილვა ცხადყოფს ამ სფეროს უზარმაზარ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. რა თქმა უნდა, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი ნორმატიული მეცნიერება, რომელიც “დაუწესებს” კაცობრიობას სამყაროს შემეცნების „ნორმებს“. მაგრამ გარკვევა იმისა, თუ როგორ ხდება ეს, აუცილობლად საჭიროა, რამეთუ ადამიანი სამყაროს შეიმეცნებს ისე, როგორც იქცევა და, ამასთანავე, იქცევა ამ სამყაროში ისე, როგორც შეიმეცნებს მას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Бергер П., Лукман Т., Социальное конструирование реальности, М. 1995.
2. Герген К., Движение социального конструкционизма в современной психологии, Социальная психология: саморефлексия маргинальности, Хрестоматия. М., 1995.
3. Келли Г., Процесс каузальной атрибуции, Современная зарубежная социальная психология, М., 1984.
4. Найссер У., Познание и реальность, М., 1981.
5. Moscovici S., Lage E., Studies in Social Influence: Majority versus Minority Influence in a Gpoup //European Journal of Social Psychology, 1976.
6. Tajfel H., Fraser C Introducing Social Psychology, Penguin Books, N.Y., 1978.


**ირინე არჯევანიძე**

## სოციალური აზროვნების პრობლემატიკის მიმოხილვა


**რეზიუმე**

სოციალური შემეცნების შესწავლისას ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში გაიმიჯნა ამ პრობლემის ორი შესაძლო ასპექტი. პირველი გულისხმობს მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის ანალიზს. მეორე ასპექტი

უკავშირდება სოციალური სამყაროს შემეცნებას „ჩვეულებრივი“ ადამიანის მიერ. არსებობს ფსიქოლოგიის ძველთაძველი ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ადამიანი სამყაროს შეიმეცნებს ისე, როგორც იქცევა და, იქცევა ამ სამყაროში ისე, როგორც შეიმეცნებს მას. მაშასადამე, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კავშირის შესწავლა სოციალურ აზროვნებასა და ქცევას შორის.

რა თქმა უნდა, არ არსებობს ისეთი ნორმატიული მეცნიერება, რომელიც „დაუწესებს“ კაცობრიობას სამყაროს შემეცნების „ნორმებს“. მაგრამ გარკვევა იმისა, თუ როგორც ხდება ეს, აუცილებლად საჭიროა.

**Irine Arjevanidze**
**A Review of the Problem of Social Thinking**
**Summary**

During social cognition, in philosophy and sociology, two possible aspects of this problem were distinguished. The first involves an analysis of the methodology developed by various disciplines of science. The second aspect is connected with knowledge by "Ordinary people" of the social world. There is an ancient truth of psychology that a person learns the world as he behaves, and behaves in this world as he knows it. Therefore, the most important task is to study the connection between social thinking and behavior.

Of course, there is no such standard science which will define for a mankind the «Standard" of the knowledge of the world. But definition of how it occurs is necessary.

**Ирине Арджеванидзе**
**Обзор проблематики социального мышления**
**Резюме**

В философии и социологии выделяют два возможных аспекта проблемы социального познания. Первый подразумевает анализ методологии, разработанной различными дисциплинами науки. Второй аспект связан с познанием «Обычными Людьми» социального мира. Существует древнейшая истина психологии о том, что человек познаёт мир так, как он себя ведёт, и ведёт себя в этом мире так, как познаёт его. Следовательно, наиважнейшей задачей является изучение связи между социальным мышлением и поведением.

Конечно, нет такой нормативной науки, которая определит для человечества «Нормы» познания мира. Но определение того, как это происходит, возможно, и на наш взгляд обьязательно.

**Зоя Сидорович**
**Доцент Гродненского государственного университета имени Янки Купалы**

## Методические рекомендации по изучению дисциплины «Речевой этикет: история и современность»

Степень владения речевым этикетом определяет степень профессиональной пригодности человека, что, в первую очередь, относится к государственным служащим, педагогам, юристам, менеджерам, врачам, предпринимателям, журналистам, работникам сферы обслуживания, т.е. тем, кто по роду своей деятельности постоянно общается с людьми. Владение нормами речевого этикета способствует приобретению авторитета, порождает доверие и уважение. «Речевой этикет – система устойчивых формул общения, принятых обществом для установления контакта собеседников, для его поддержания и прерывания» (3, 28). Усвоив основные речеэтикетные ситуации и формулы их выражения, применив их на практике, выпускник сможет чувствовать себя более уверенно в общении с людьми. «Речевой этикет, будучи составной частью культуры речевого общения и компонентом национальной культуры, является необходимым условием социализации личности специалиста в поликультурной среде» (2, 12), что и определяет важную роль спецкурса в системе подготовки специалистов высшего филологического образовании.

Актуальность курса «Речевой этикет: история и современность», направленного на развитие коммуникативной компетентности, очевидна и не вызывает сомнения. Он направлен на усвоение обучаемыми основных теоретических понятий (*речеэтикетные ситуации и их типология*, *речевая формула*, *этикетная вертикаль*, *тональность общения*, *этикетный жест*, *этикетная рамка* и др.), истории русского речевого этикета, правил этикета, норм поведения в различных ситуациях, приемов эффективного восприятия (вербального и невербального) партнера и преодоления барьеров общения, основ создания положительного имиджа. Уделяется внимание и практике ведения деловых бесед, телефонных разговоров, общению в Сети, созданию и оформлению писем в соответствии с нормами речевого этикета.

Содержание и объем дисциплины соответствует образовательному стандарту высшего образования в Республике Беларусь и учебной программе «Речевой этикет: история и современность».

Цель преподавания дисциплины – дать будущему специалисту-гуманитарию систему знаний о принципах и правилах русского речевого этикета в его истории, о национально-культурных особенностях коммуникации народов мира, снабдить его коммуникативной техникой успешного общения (устного и письменного, вербального и невербального).

Структура дисциплины представлена следующими разделами:

1. *Этикет как регламент обхождения с людьми, самовыражения, обращения с предметами.* Понятие о речевом этикете. Этикет внешнего вида. Этикет поведения. История этикета. Виды этикета: повседневный этикет, служебный этикет, международный этикет. Этикет и этика. Аксиомы коммуникативной этики. Этические установки субъектов речи: доброжелательность, предусмотрительность, вежливость. Универсалии этикета. Национально-культурная специфика коммуникативного поведения. Осознание резкого расхождения материальных или духовных культур двух народов (культурный шок). Резко осознанное расхождение в нормах и традициях общения (коммуникативный шок).

2. *Речевой этикет в его истории.* Основные понятия РЭ: ситуация (конситуация) РЭ, речеэтикетная формула (РЭФ), коммуникативные роли, дистанция общения. Этикетная рамка как обязательный элемент вежливого общения. Речевой этикет как древнейший способ демонстрации иерархического устройства общества. Отражение в речеэтикетных стереотипах родо-племенного (старший-младший) и феодального (господин-слуга) устройства общества. Местничество. Величание. Титулование. Этикетная вертикаль и вертикальное равноправие. Pluralis в этикете.

3. *Вербальный и невербальный речевой этикет.* Невербальная семиотика как наука о знаках, осуществляющих коммуникацию. Составные части невербальной семиотики: паралингвистика, такесика, проксемика, кинесика, окулесика, ольфакторика и другие. Невербальные способы коммуникации и экспрессии. Понятие адекватной формы общения. Этикетный жест и его вербализация. Челобитье, поклон, рукопожатие, целование в русском, украинском, белорусском речевом этикете. Голова и головной убор в разных культурах.

4. *Имя в речевом этикете. Проблема обращения.* Социальные особенности антропонима. Имя в этикете. Этикетное оформление антропонимов. Антропоним как показатель социального статуса человека в обществе социального неравенства. Пейоративные формы имен. Полуимена, пейоративы и деминутивы (1). Отчества на *-вич* и полуотчества. Прозвища и псевдонимы. Происхождение фамилий. Социальная жизнь русских фамилий. Изначальная социальная дифференциация обращений. История этикетных слов, восходящих к основе *господ-* (*Господь, господин, господарь, государь, сударь*). Патриархальные и фольклорные обращения. Обращения по титулу и рангу. Обращения к простонародью. Советизмы *товарищ и гражданин.* Проблема обращения в постсоветский период. Обращения, принятые в международной практике.

5. *Этикетные жанры русской речи.* Манифестация расположения с помощью речеэтикетных стереотипов. Ситуации речевого этикета и средства их выражения.

6. *Русский речевой этикет в эпистолярном наследии.*

7. *Деловая игра «Научная конференция по проблемам речевого этикета»*

Организация учебного процесса осуществляется на основе личностно-ориентированного подхода и предусматривает расширение культурологической, эстетической компетенции обучаемых, повышение интереса к изучению языковедческих дисциплин. Дисциплина имеет ярко выраженную практическую направленность, поэтому особое значение приобретают именно практические формы работы. Система занятий целенаправленно организована таким образом, чтобы студент был ведущим, а не ведомым участником педагогического процесса.

*Задание 1.* Выпишите из «Домостроя» общие правила поведения в обществе, сохранившиеся в наше время и неприемлемые для современности (не менее 15 позиций).

*Задание 2.* Подберите пословицы, в которых отражается система правил речевого поведения (не менее 15).

*Задание 3.* «Давайте говорить друг другу комплименты». Произнесите комплименты, сохраняя языковые особенности эпохи и культуры того времени, адресованные княжне XII века, сударыне XVI века, даме XIX века, женщине XXI века, Великому Государю XIII века, Тайному советнику XVII века, революционеру XX века.

*Задание 4.* Приведите примеры жестов на каждый тип семиотических классов жестов (по 3 на каждый тип): эмблематичные, иллюстративные и регулятивные жесты, жесты детей и взрослых, мужские и женские жесты, исконные и заимствованные жесты, стилистически нейтральные и стилистически маркированные жесты.

*Задание 5.* Представьте концептуальный анализ использования речеэтикетных формул в разных видах речевого этикета: речевой этикет в Интернете, школьный речевой этикет, воинский речевой этикет, речевой этикет в сказках, научный речевой этикет, религиозный (православный / католический) речевой этикет, светский речевой этикет, дипломатический речевой этикет (на выбор).

Схема анализа: ситуации речевого этикета – речеэтикетные формулы – невербальные средства – национальные особенности речевых этикетных ситуаций.

*Задание 6.* Эпистолярная литература (от греч. epistole – послание, письмо) – это произведения, в которых повествование преподносится читателю в форме переписки. Письмо – особый эпистолярный жанр речи, который имеет определенные языковые особенности и структурно-семантические признаки. Этикет письма – это особая часть речевого этикета. В личных письмах отражается внутренний мир автора, представлен его индивидуальный стиль. Личная переписка великих людей открывает их внутренний мир, вкусы и помыслы, передает настроение авторов, запечатлевает как мельчайшие бытовые подробности, так и события исторического масштаба. В каждом письме можно выделить сле-

дующие структурные элементы: определенные речевые ситуации для установления, поддержания и прерывания контакта; особые речеэтикетные формулы; устойчивые выражения; предпочитаемые формы обращений; расположение материала и его художественное оформление. В современном мире новейших информационных технологий, в век сотовых телефонов и Интернета, письмо остается важным элементом нашей жизни. Сохраняет ли современное личное, чаще всего электронное, письмо традиционные структурные элементы оформления этого жанра и языковые средства передачи информации?

Этапы работы и критерии оценивания:

1. Сбор материала. Выпишите примеры речеэтикетных ситуаций из личных писем исторических деятелей, писателей, ученых XIX–XX вв. (не менее 30 примеров).Классификация материала. Определите тип речевой ситуации и языковые средства ее представления (количественные показатели, семантический, грамматический и стилистический аспекты).
2. Концептуальный анализ материала. Выявите функциональные и структурные типы речеэтикетных формул, закономерности их использования в эпистолярном тексте.
3. Выводы. Сформулируйте сходства и различия личных писем прошлого века и современного электронного письма.

Таким образом, предлагаемые задания демонстрируют методику работы с научным материалом и терминологией изучаемой дисциплины, методику формирования практических умений общения и овладения навыками эффективной коммуникации через выполнение творческих заданий и упражнений исследовательского характера.

Изучение данной дисциплины призвано развивать у студентов коммуникативные компетентности во всех сферах жизни в соответствии с лингвистическими, психологическими и этическими нормами общения, моральной и социальной ответственности каждого человека в современном мире (4, 591-593). Все материалы дисциплины позволяют эффективно решать проблемы в области повышения уровня речевого этикета. Данный курс рассчитан на студентов-выпускников и призван повысить результативность их деятельности, овладение основами профессионального общения, что является необходимым элементом подготовки специалистов любого профиля.

**Литература**:


1. Гребенщикова Н.С. История русского приветствия (на восточнославянском фоне), Гродно, 2004.
2. Михальчук Т.Г. Русский речевой этикет. Практикум, Минск, 2009.
3. Формановская Н.И. Культура общения и речевой этикет, М., 2005.
4. Эффективная коммуникация: история, теория, практика: словарь-справочник / Отв. ред. М .И. Панов ; сост. М.И. Панов, Л.Е. Тумина, М., 2005.


**Зоя Сидорович**

**Аспекты изучения дисциплины «Речевой этикет: история и современность»**

**Резюме**

Целью данной статьи является представление спецкурса для студентов-выпускников филологических специальностей в Республике Беларусь «Речевой этикет: история и современность». Обобщить и систематизировать знания о культуре речевого поведения в профессиональной педагогической деятельности, раскрыть специфику и содержание образовательного процесса, развить навыки сознательного использования речевых средств в ситуациях профессионального общения – это основные задачи востребованной современной дисциплины «Речевой этикет: история и современность». Рассмотрены некоторые аспекты системы работы по речевому этикету, предложены виды упражнений для индивидуальной и групповой работы студентов, ориентированные на выработку профессиональной ком-

петенции будущих педагогов, на усвоение, закрепление и систематизацию теоретических знаний и практических умений по дисциплине, на формирование коммуникативной культуры обучаемых.

Результаты показали, что изучение данной дисциплины помогает студентам адаптироваться в профессиональной деятельности, сформировать открытую для общения личность, компетентную, способную к сотрудничеству, к речевому творчеству, к межкультурному взаимодействию, владеющую важнейшим инструментом достижения социального, профессионального и личного успеха в жизни – навыками успешной коммуникации.

Подобного типа курсы интегрируют филологические знания и становятся базовыми для формирования эффективной коммуникации выпускника в современном мире независимо от приобретаемой профессии.

**ზოია სიდოროვიჩი**

**საგნის “ მეტყველების ეტიკეტი: ისტორია და თანამედროვეობა” შესწავლის ასპექტები**

**რეზიუმე**

მოცემული სტატიის მიზანს შეადგენს წარმოადგინოს სპეცკურსი ბელორუსის რესპუბლიკის ფილოლოგიური სპეციალობის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის – **„მეტყველების ეტიკეტი: ისტორია და თანამედროვეობა“,** განაზოგადოს და სისტემაში მოიყვანოს ცოდნა სამეტყველო ქცევის კულტურის შესახებ პედაგოგიურ მოღვაწეობაში, აღწეროს საგანმანათლებლო პროცესის სპეციფიკა და შინაარსი, განავითაროს პროფესიულ კომუნიკაციურ სიტუაციებში სამეტყველო საშუალებების გაცნობიერებული გამოყენების ჩვევები. ყოველივე ეს საკმაოდ მოთხოვნადი თანამედროვე დისციპლინის – **„მეტყველების ეტიკეტი: ისტორია და თანამედროვეობა“** ძირითადი ამოცანებია. სტატიაში განხილულია აგრეთვე მეტყველების ეტიკეტზე მუშაობის სისტემის ზოგიერთი ასპექტი. შემოთავაზებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის სავარჯიშოების სახეობები, რომელთა მიზანია მომავალი პედაგოგების პროფესიული კომპეტენციის გამომუშავება; უკვე დაგროვილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების შეთვისება, გამყარება და სისტემატიზაცია; შემსწავლელთა კომუნიკაციური კულტურის ფორმირება.

შედეგებმა გვაჩვენა, რომ წარმოდგენილი საგანი ეხმარება სტუდენტებს პროფესიულ გარემოს ადაპტაციაში, აყალიბებს ურთიერთობებისათვის გახსნილ პიროვნებას, რომელიც კომპეტენტურია, შესწევს თანამშრომლობის, სამეტყველო შემოქმედებისა და კულტურათაშორისი გავლენის უნარი. აღნიშნული საგანი ხელს უწყობს ისეთი პიროვნების ფორმირებას, რომელიც ფლობს სოციალური, პროფესიული და პირადი წარმატების მისაღწევ ძირითად ინსტრუმენტებს - წარმატებული კომუნიკაციის ჩვევებს. ამგვარი სპეცკურსის შემოტანა ახდენს ფილოლოგიური ცოდნის ინტეგრირებას და იმავდროულად წარმოადგენს ბაზისურ საგანს კურსდამთავრებულის შემდგომ წარმატებულ კომუნიკაციაში თანამედროვე სამყაროში, მიუხედავად შეძენილი პროფესიისა.

**Zoya Sidorovich**

**The Aspects of Studying the Discipline "Speech Etiquette: History and the Present Time"**

**Summary**

The aim of the given article is to present the special course "Speech Etiquette: History and the Present Time" intended for final-year students of philological specialties in the Republic of Belarus. The main objectives of the modern sought-after discipline "Speech Etiquette: History and the Present Time" are to summarize and systematize the knowledge about the culture of speech behavior in professional pedagogical activity, to present the specificity and content of the educational process, to develop the skills of mindful speaking in situations of professional communication. The author examines some aspects of teaching speech etiquette and suggests certain individual and group exercises aimed at developing professional competence of future teachers, at mastering practical skills and systematizing theoretical knowledge on the discipline, at forming the communicative culture of the students.

The results have demonstrated that the study of the given discipline helps students to adapt to the professional activity, to form an open-minded and competent communicative personality capable of cooperation, speech creation, intercultural interaction, and possessing the most important instrument for achieving social, professional and personal success – effective communication skills.

Disciplines of this kind integrate the body of philological knowledge and become fundamental to developing effective communication of graduating students in the present-day world regardless of the acquired profession.

**იაგორ ბალანჩივაძე**

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## სკოლამდელი ასაკის ბავშვის განმავითარებელი საქმიანობები

სკოლმდელი ასაკი ბავშვის აღზრდისა და განვითარების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია. სწორედ ამ დროს ბავშვი ამყარებს თანატოლებთან და უფროსებთან მრავალმხრივ ურთიერთობას, რომელიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მის განვითარებაზე. ნორმალური განვითარების ბავშვი აქტიურად შეიმეცნებს გარე სამყაროს, ბაძავს უფროსებს, ახორციელებს როლურ ქცევებს. მისი სამყარო წარმოუდგენელია თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობის გარეშე. ბავშვის ზრდასთან ერთად ეს ურთიერთობები და კონტაქტები მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება, რადგან ის იბადება კონკრეტულ სოციალურ და კულტურულ გარემოში, მის განვითარებას განსაზღვრავს ამ გარემოში მიღებული გამოცდილებები და ღირებულებები, რომელსაც პატარა მისთვის მნიშვნელოვანი ოჯახის უფროსი წევრის ან აღმზრდელ-პედაგოგის დახმარებით ეზიარება.

ბავშვის განვითარებისათვის აღმზრდელ-პედაგოგი გეგმავს განმავითარებელ საქმიანობებს, ისე რომ ყოველდღიურად ბავშვებს საშუალება ეძლევათ თემასთან დაკავშირებული თითოეული ტიპის ერთ საქმიანობაში მაინც ჩაერთონ. საქმიანობების ტიპებია: აქტივობები, წესებიანი თამაშები, როლური თამაშები და პროექტები. აუცილებლი არ არის რომ საქმიანობა ყოველდღე ახალი იყოს. პირიქით, თითოეული საქმიანობა სასურველია რამდენიმე დღის განმავლობაში განმეორდეს, ისე რომ თითოეულ ბავშვს ერთხელ ან სურვილის შემთხვევაში მეტჯერ მიეცეს მასში მონაწილეობის საშუალება.

სკოლადელ ასაკში ბავშვის წამყვანი ქცევა არის თამაში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ბავშვის პიროვნული და შემეცნებითი, არამედ ემოციური

განვითარებისათვის. თამაშის დროს ბავშვს უვითარდება შემეცნებითი პროცესები: აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, მეტყველება. ვითარდება ასევე ნატიფი და მსხვილი მოტორიკა, სწავლობს საკუთარ შესაძლებლობებს, ის ასევე ეხმარება ბავშვს გაუმკლავდეს შიშებს და ა. შ. აქედან გამომდინარე, განმავითარებელი საქმიანობები თამაშს ეფუძნება ან მოიცავს თამაშის ელემენტებს, არის სახალისო, ფარავს განვითარების ყველა სფეროს, აქტიური და ინტერაქტიულია, ხელს უწყობს ბავშვებს შორის თანამშრომლობას. გავნიხილოთ ცალ-ცალკე ბავშვთა საქმიანობების თითოეული ტიპი.

**აქტივობა** ხორციელდება დროის განსაზღვრულ, შედარებით მცირე პერიოდის განმავლობაში, მაგალითად, მცირე ჯგუფებში მუშაობის დროს ან კვლევისა და აღმოჩენების დროს. აქტივობა შესაძლებელია იყოს როგორც ზედმიწევნით ორგანიზებული (ქაღალდის თვითმფრინავების დამზადება და გამოცდა), ისე სრულიად ღია და შემოქმედებითიც (მაგალითად, თავისუფალი ხატვა აკვარელის საღებავებით). ბავშვები აქტივობაში მონაწილეობენ, როდესაც კვლევისა და აღმოჩენების დროს შეარჩევენ და გამოიყენებენ მასალებს, მაგალითად, ააწყობენ ფაზლებს, ააგებენ შენობას პლასტმასის კუბურებით და სხვ. იდეები აქტივობებისათვის შეიძლება ავარჩიოთ სხვადასხვა დამხმარე სახელმძღვანელოებიდან, მაგრამ ხშირად საჭირო იქნება მათი შეცვლა ბავშვების სურვილზე, შესაძლებლობებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგება. ცვლილება აგრეთვე შეიძლება გამიზნული იყოს იმისათვის, რომ აქტივობა უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდეს ბავშვებისათვის ან მიმართული იყოს სააზროვნო უნარების განვითარებაზე.

**სამაგიდო და წესებიან თამაშებს** აქვთ წესები, დასაწყისი და დასასრული და როგორც წესი ეს თამაში წაგებულ და მოგებულ მხარესაც გულისხმობს. თამაში ორ ან მეტ ბავშვს შორის ინტერაქციას მოიცავს. თამაშის დროს ხშირად გამოიყენება კონკრეტული თამაშისათვის საჭირო სპეციალური მასალა (ბურთები, კამათელი, ბარათები რიცხვებით, სურათებიანი ბარათები და ა.შ.).

წესებიან თამაშს ბავშვი თანდათან ეჩვევა თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში და უკვე უფროს სკოლამდელ ასაკში (5-6 წელი) წამყვანი არის თამაში წესების დაცვით. ამ დროს ბავშვებისათვის მთავარია წესების დაცვა და არა – როლი. იგი ცდილობს ზედმიწევნით დაიცვას თამაშის ყველა წესი, იმავეს მოითხოვს სხვა მოთამაშისაგანაც (თანატოლი იქნება ეს თუ უფროსი), წესებისაგან გადახვევას მტკივნეულად განიცდის და შეიძლება შეწყვიტოს კიდეც თამაში.

წესებიან თამაშებს მიეკუთვნება როგორც სპორტული თამაშები, ისე სამაგიდო თამაშები. სამაგიდო თამაშები უფრო მეტად შემეცნებითი ხასიათისაა და ძირითადად მაგიდასთან მიმდინარეობს. თუმცა, არსებობს ისეთი ფიზიკურად აქტიური თამაშებიც, რომლებსაც ამავდროულად შემეცნებითი ელემენტებიც აქვს. მაგალითად, თამაში „კუნძული“, ასწავლის ბავშვებს თანამშრომლობას და ხელს უწყობს ბავშვებში კონცენტრირებისა და რეაგირების უნარების განვითარებას. საუკეთესო წესებიანი თამაშები აღმზრდელ-პედაგოგის მიერ არის მოგონილი, რადგან ის ყველაზე კარგად იცნობს თავის ჯგუფს და შეუძლია თამაში ბავშვების ინტერესებს, საჭროებებსა და შესაძლებლობებს მოარგოს. მზა შეძენილი თამაშები (დაფის თამაშები, ბართებით თამაშები) თითქმის ყოველთვის საჭიროებს მოდიფიკაციას ზემოაღნიშნული მიზეზების გამო. მას შემდეგ რაც ბავშვები წარმატებით ეუფლებიან თამაშს, აღმზრდელ-პედაგოგი ამატებს ახალ-ახალ გამოწვევებს, სანამ თამაშს სხვა თამაშით ჩაანაცვლებს. აღმზრდელ-პედაგოგის ამგვარი მიდგომა კარგი მაგალითია პატარებისათვისაც, რომლებიც ხვდებიან, რომ შესაძლებელია წესების შეცვლა და ამ გზით თამაშის გაუმჯობესება. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებისათვის მუდმივად ხელმისაწვდომი იყოს მრავალფეროვანი წესებიანი თამაშები, მათ შორის ისინიც, რომლებიც შეიქმნა (ან მოდიფიცირდა) კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით. ამ გზით შესაძლებელია სხვადასხვა საგნობრივი სფეროების დაფარვა. ზოგიერთი თამაში შეიძლება მეტად იყოს ორიენტირებული

რაოდენობრივი წარმოდგენების ფორმირებაზე, ზოგი - ლექსიკური მარაგის, წიგნიერების, სააზროვნო უნარების განვითარებაზე ან ბუნების შესახებ ცოდნის გამდიდრებაზე. ნებისმიერი წესებიანი თამაშის დროს ერთდროულად რამდენიმე უნარი ვითარდება. წესებიანი თამაშის შინაარსი ხელს უწყობს შემეცნებით განვითარებას, ხოლო ფორმატი - სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას, როგორიცაა რიგითობის დაცვა, მეწყვილესთან ერთად თამაში, წაგებისა და მოგების ღირსეულად მიღება. მეხსიერების ლოტო (ე.წ. „მემო“) წესებიანი თამაშის მაგალითია, რომლის გამოყენება კარგად შეიძლება სასკოლო მზაობის ჯგუფში, რადგან მას მარტივი წესები აქვს და მრავალი ცვლილების შეტანის საშუალებას იძლევა.

**როლური თამაში**, ანუ სოციალური წარმოსახვითი თამაში, საშუალებას აძლევს ბავშვს წარმოიდგინოს საკუთარი თავი კონკრეტული პიროვნების ადგილზე, შესაბამისად მოირგოს მისი როლი. ამ წარმოსახვას თან სდევს ამბავი, რომელშიც ბავშვი თავად მონაწილეობს და ამ პროცესში თავად იგონებს სიტუაციებს იმისდა მიხედვით თუ როგორ ვითარდება ეს ამბავი. ბავშვები ვერ მოირგებენ იმ როლს ან ვერ მიიღებენ მონაწილეობას იმ აქტივობებში, რომლებიც მათთვის უცხოა. შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში აღმზრდელ-პედაგოგებს მიჰყავთ ბავშვები სხვადასხვა ადგილებზე პროფესიების სანახავად. ამ გასვლებით აღმზრდელ-პედაგოგები ეხმარებიან ბავშვებს მოახდინონ კონკრეტული როლების იდენტიფიცირება, გაიაზრონ მათ მიერ შესრულებული სამუშაო, ნახონ მათ მიერ გამოყენებული მასალები, გაეცნონ პროფესიულ ტერმინოლოგიასა და ცნებებს. ბავშვების ინტერესის სფერო თანდათან იზრდება, ისინი ანსახიერებენ ახალ-ახალ როლს და უკვე 5 წლის ასაკში როლური თამაში ერთ-ერთი წამყვანი ხდება. ამ პერიოდში ბავშვებისათვის წინა პლანზე არის როლთან იდენტიფიკაცია და უკანა პლანზე გადადის სიუჟეტი, ანუ მნიშვნელოვანია მთავარი როლების განაწილება და არა შესრულებული მოქმედების შინაარსი.

როლური თამაშების დაგეგმვა ხდება თემის შესაბამისად, თუმცა ამ პროცესში ბავშვები თავად ირჩევენ სიუჟეტს. მაგალითად, თემის „როგორ ავაშენოთ სახლი“ შემადგენელი პროცესია ბავშვებისათვის დახმარების აღმოჩენა, რომ მათ გაიაზრონ და მოირგონ არქიტექტორის, პროექტის მენეჯერის, მშენებლის, სანტექნიკოსის, ელექტრიკოსების, დურგლების, მშენებლობის ხარისხზე პასუხისმგებელი პირებისა და სხვათა როლები. აღმზრდელ-პედაგოგს საჭიროა მომზადებული ჰქონდეს შემდეგი რესურსები: სახლებისა და მშენებლობის ადგილების ფოტოები, არქიტექტურული ნახაზების ნიმუშები, გრაფიკების შესადგენი ქაღალდები, სახაზავები, მაკეტის ნიმუშები, ფანქრები, პლასტმასის მილები, „ინსტრუმენტები“ (ჩაქუჩების, ხერხების, ბურღების, სახრახნისების უსაფრთხო მოდელები). ბავშვები სახლის „ასაშენებლად“ გამოიყენებენ დიდ და პატარა კუბურებს, ლეგოს ნაწილებს, ბრტყელ დაფებს და ნაჭრებს. შემდეგ კი რა მოხდება როლური თამაშის დროს, უკვე თავად ბავშვების ნებაზე იქნება დამოკიდებული, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი თავად მოითხოვენ დახმარებას.

**პროექტი** შეიძლება მიმდინარეობდეს შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მოიცავდეს მრავალ აქტივობას, რომელთა შედეგად იქმნება მნიშვნელოვანი პროდუქტი. პროექტები კარგი საშუალებაა სხვადასხვა საგნობრივი სფეროების ინტეგრირებული სწავლებისათვის, ბავშვთა უნარების განვითარებისათვის, მათ ქცევასა და უნარებზე დაკვირვებისათვის, მათი ნამუშევრებისა და მიღწევების დოკუმენტირებისათვის ფოტოების, ვიდეოებისა და ჩანაწერების საშუალებით. აღმზრდელ-პედაგოგები გეგმავენ საბოლოო პროდუქტს, მაგრამ შეუძლიათ შეცვლა, თუ ბავშვებს სხვა პრუდუქტზე მუშაობა ურჩევნიათ. მას შემდეგ რაც გადაწყდება საბოლოო პროდუქტი, საჭიროა დაიგეგმოს მის შესაქმნელად საჭირო აქტივობები.

თემისათვის „როგორ ავაშენოთ სახლი“, ერთ-ერთი პროექტი შესაძლოა იყოს თითოეული ბავშვის მიერ სახლის დიზაინის შექმნა და შემდეგ მისი მაკეტის დამზადება მუყაოს, თიხის, კენჭების, ხის პატარა ნაჭრების, სათამაშო პლასტმასის კუბურებისა და

სხვა მასალისგან. თითოეული სახლის მაკეტი დაახლოებით ერთი ზომის დამზადდება, ისე, რომ ერთმანეთის მეზობლად განლაგდეს. საჭირო აქტივობებს შორის იქნებოდა: სხვადასხვანაირი სახლების სურათების დათვალიერება, რამდენიმე ტიპის სახლის ნახატების შექმნა და ასაშენებლად ერთ-ერთის შერჩევა, მაკეტის შესაბამისი მასშტაბის ნახაზის შექმნა, სახლის აშენება (სახლის სხვადასხვა ნაწილების გამოჭრა (სახურავი, კედლები), კარებისა და ფანჯრების მოხატვა, სახლის შეწებება და აწყობა) და სხვა ბავშვებთან თანამშრომლობა სამეზობლოს მოსაწყობად.

სკოლამდელი ასაკის ბავშვის განმავითარებელი საქმიანობების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღმზრდელ-პედაგოგის მიერ სწორად დაგეგმილი და წარმართული საქმიანობები - აქტივობები, წესებიანი თამაში, როლური თამაში თუ პროექტი, ნამდვილად შეუწყობს ხელს ბავშვის განვითარებას, სწორედ მისი დახმარებით ბავშვი მიიღებს საკმაოდ დიდ გამოცდილებას და გამოწვევებს მის თანატოლებთან ერთად და მოემზადება შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბერკი ლ., ბავშვის განვითარება, თბ., 2010.
2. გოგიჩაიშვილი თ., განვითარების ფსიქოლოგია, თბ., 2005.
3. დოლიძე ხ., ცინცაძე ნ., კუხალაშვილი თ., ჯიჯავაძე ნ., ბალანჩივაძე ი., გრიგოლია ი., აბაკელია ნ., ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბ., 2015.
4. სტეფენ ს., ბალანჩივაძე ი., ბაქრაძე თ., გაბისონია თ., ლაბარტყავა ნ., ფრუიძე თ., ლორია თ., სასკოლო მზაობის პროგრამა „თ-ა-მ-ა-შ-ი“ სწავლისა და განვითარებისათვის, აღმზრდელის სახელმძღვანელო, თბ., 2015.


**იაგორ ბალანჩივაძე**

## სკოლამდელი ასაკის ბავშვის განმავითარებელი საქმიანობები


**რეზიუმე**

სკოლამდელი ასაკი ბავშვის განვითარებისათვის აღმზრდელ-პედაგოგი გეგმავს ისეთ საქმიანობებს, როგორიც არის აქტივობა, წესებიანი თამაში, როლური თამაში და პროექტი.

სტატიაში განხილულია თითოეული აქტივობა, რომელიც ხორციელდება მცირე ჯგუფებში მუშაობის ან კვლევისა და აღმოჩენების დროს. წესებიან თამაშს აქვს წესები, დასაწყისი და დასასრული. როგორც წესი, ეს თამაში წაგებულ და მოგებულ მხარესაც გულისხმობს. როლური თამაში საშუალებას აძლევს ბავშვს წარმოიდგინოს საკუთარი თავი კონკრეტული პიროვნების ადგილზე, შესაბამისად მოირგოს მისი როლი. პროექტი შეიძლება მიმდინარეობდეს შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მოიცავდეს მრავალ აქტივობას, რომელთა შედეგად იქმნება მნიშვნელოვანი პროდუქტი.

**Iagor Balanchivadze**

**Developmental Works of Preschool Age Children**

**Summary**

For the development of preschool age children the educators plan works such as activity, ruled games, role play and practice.

The article discusses each one. The activity is carried out in small groups or during research and discovery. The ruled games have a valid rules, the beginning and the end, and usually this game means the loser and the winner side. Role playing allows the child to imagine himself in the place of a specific person, in accordance with his role. The project may take place over a long period of time and involve many activities, resulting in significant product.

**Яагор Баланчивадзе**

**Развивающая деятельность детей дошкольного возраста**

**Резюме**

Для детей дошкольного возраста педагог-воспитатель планирует такие виды деятельности, как: активность, игра с правилами, ролевая игра и проект.

В статье рассмотрены указанные виды деятельности: активность осуществляется во время работы в малых группах или в процессе исследования и открытий. Игра с правилами имеет правила, начало и конец и, как правило, подразумевает наличие победителя и побеждённого. Ролевая игра даёт ребёнку возможность представить себя на месте конкретной личности, соответственно, войти в образ данной личности. Проект может осуществляться на протяжении сравнительно большего промежутка времени и охватывать множество активностей, в результате реализации которых создаётся значительный продукт.

**ნათელა ნატროშვილი**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

## ეკონომიკური კულტურა და ჰუმანიზმი

„ყველა კაცმა რომ იგი სიკეთე ჰქმნას,
რისი შემძლებელიც არის, ქვეყანაში უბედურნი აღარ იქნებიან“

**ილია**

ქვეყნის, საზოგადოების სიძლიერეს, ეკონომიკური ზრდის ფაქტორების გამოვლენას და მათ ეფექტიანად გამოყენებას, თეორიულ ძიებებსა და პრაქტიკული საქმიანობების გააქტიურებას უკავშირებენ. ამავე დროს, ტრადიციულად, ეკონომიკური ზრდის წყაროებს, წარმოების რესურსებთან კავშირში განიხილავენ და ყურადღების გარეშე რჩებათ, ან გაკვრით ეხებიან მორალურ - ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. მოძღვრებას პიროვნების შესახებ ყოველთვის ეჭირა ცენტრალური ადგილი ფსიქოლოგთა ნაშრომებში. განწყობის თეორიამ, რომელიც შექმნა დიდმა მეცნიერმა - ფსიქოლოგმა დიმიტრი უზნაძემ, აღიარება ჰპოვა მთელ მსოფლიოში, როგორც პერსონოლოგიურმა მიმართულებამ. ამ მიმართულებას დღეისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ჩამოყალიბებაში. პიროვნების განვითარებაში დგება პერიოდი, როცა მისთვის, თუნდაც ეკონომიურად ძლიერ საზოგადოებაში, საკმარისი აღარ არის მატერიალური სულიერი დოვლათის მოხმარება. პიროვნების სტრუქტურაში ცალკეული ფსიქიკური სფეროები ევოლუციური განვითარების შედეგად შესაძლებლობას იძენენ გადაერთონ უფრო მაღალ სპეციფიკურ ადამიანურ ფუნქციებზე, ჩნდება წარმოდგენა ზნეობაზე, მოვალეობაზე, პასუხისმგებლობაზე, ჩნდება ტენდეცია ჭეშმარიტების ძიების აბსტრაჰირებისაკენ და ა.შ. ადამიანი მიისწრაფვის სრულყოფისაკენ და სულიერი სიწმინდისაკენ. ამ ფაქტორების გაუთვალისწინებლობა ვერც ეკონომიკური ზრდის დინამიკის სრულ სურათს მოგვცემს და თვით ეკონომიკური საქმიანობაც ვერ იქნება სრულყოფილი. როცა ვიხილავთ საკითხს ეკონომიკური ზრდის მორალურ–ფსიქოლოგიური ფაქტორების შესახებ, მხედველობაში უნდა გვქონდეს:

1. ეკონომიკური ზრდის კავშირი სისტემასთან: ადამიანი - მოთხოვნილება - შრომა - კეთილდღეობა, ანუ შრომასთან დაკავშირებული მორალურ–ფსიქოლოგიური ფაქტორებისა და ადამიანის აქტივობის სტიმულები, მოთხოვნილებები. შრომასა და ეკონომიკას შორის კავშირურთიერთობა;
2. ადამიანთა და ქვეყნის სოციალური ენერგია შეერთებული ზნეობრივ - ეკონომიკურ ქცევასთან, ყოველთვის დაკავშირებულია ეკონომიკურ განვითარებასთან და კეთილდღეობასთან;
3. ადამიანთა და ქვეყნის სოციალური ენერგია შეერთებული უზნეობასთან იწვევს ქვეყნის ეკონომიკურ ჩავარდნას;
4. ეკონომიკური რესურსების შეზღუდულობისა და მოთხოვნილებების განუსაზღვრელობის გამო ბუნების „ნაჩუქარ რესურსებზე“ სახელმწიფოს, თითოეული ჩვენთაგანის, ბიზნესის გავლენა და ზემოქმედება არა მარტო წმინდა ეკონომიკური, არამედ მორალური თვალსაზრისითაც;
5. პიროვნების ზნეობრივი სახე რეალურ ეკონომიკურ სინამდვილესთან მიმართებაში ვლინდება. ზნეობრივ - ეკონომიკურ ქცევას განაპირობებს მისი დამოკიდებულება შრომისადმი, შრომის შედეგებისადმი, ეკონომიკური დოვლათის მოხმარებისადმი, სიმდიდრისა და სიღარიბისადმი, „ვერცხლისმოყვარეობისა და ნაყროვანებისადმი“.

ყოველივე ეს თითქოს მარტივია გაგებისათვის, თუმცა რეალიზაციისათვისაა რთული, უნდა დავამკვიდროთ საერთო ადმიანური ის ფასეულობები, რასაც ქადაგებდნენ ჰუმანისტები – ილია, განდი, კინგი, შვეიცერი, დედა ტერეზა, ჩვენი პროგესული მეცნიერება, მწერლობა, ხელოვნება. შოთა რუსთაველი უკვდავ პოემაში, „ვეფხისტყაოსანი“, გაოცებას იწვევს არა მხოლოდ შემოქმედებითი ნიჭითა და აზრთა სიღრმით, არამედ უდიდესი ერუდიციით, კულტურის სხვადასხვა სფეროების სიღრმისეული ცოდნით, ფილოსოფიური აზროვნებით, ბრძნული გამონათქვამებით და მორალური სენტენციებით. ავტორის შეხედულებები ცოცხალია ჩვენს დროშიც და, უდავოდ მომავალშიც დარჩება კაცობრიობის უდიდეს მონაპოვრად. პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ასახავს მრავალსაუკუნოვანი კულტურის ტრადიციებს, ქართველი ხალხის ძალასა და სულიერ სიღრმეს. რუსთაველის უკვდავი პოემა გამსჭვალულია უდიდესი ჰუმანიზმით, რასაც ადასტურებს მისი უკვდავი აფორიზმები: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.... „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები, მიღვწიენ მომიგონებენ, დამლოცვენ მოვეგონები“.

ზემოთ დასახელებულ ზნეობრივ ფაქტორთა ერთობლიობა ეკონომიკურ კულტურაში ვლინდება და პირიქით, ეკონომიკური კულტურა გავლენას ახდენს ადამიანთა ზნეობრივ ფასეულობებზე. მორალურ–ფსიქოლოგიურ ფაქტორებს პროფესორი გ. მალაშხია „ურესურსო ფაქტორებს“ უწოდებს და შენიშნავს: „ურესურსო ფაქტორების როლი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი საზოგადოების სოციალური ენერგიის დოვლათშექმნილი პოტენციალის გადიდების ან შემცირების წყარო ხდება, მოქმედებს მისი გამოყენების გაუმჯობესების მიმართულებით, ან უმოქმედობის თუ დაბალი ეფექტიანობის მიზეზად გვევლინება. მორალურ - ფსიქოლოგიურ ურესურსო ფაქტორთა თავისებურება და განსაკუთრებულობა ისაა, რომ ისინი მოქმედებენ რაიმე დანახარჯის (ინვესტიციერების) გარეშე. არსებული რესურსების ბაზაზე და წარმოადგენენ ამ უკანასკნელთა ეფექტიანობის გადიდების ან შემცირების პირობას, იმპულსს აძლევენ არსებული რესურსების გაძლიერებას, ან ძირს სწევენ მათ ეფექტიანობას“ (2).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მორალურ–ეთიკურ ფაქტორებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ე. მექვაბიშვილი და მიუთითებს: „საკითხის ასე დაყენება საკუთრივ ეკონომიკური კანონზომიერებების ანალიზთან ერთად გულისხმობს ტრანსფორმაციის პოლიტიკური, სოციალური, მორალურ–ეთნიკური, ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლასაც.... ადამიანები იქვემდებარებენ მატერიალურ–ნივთობრივ ფაქტორს (სიმდიდრეს) ჭეშმარიტად ჰუმანიტარული მიზნების მისაღწევად“ (2).

ცნობილი მეცნიერი, – ჰანს კიუნგი, რომელსაც მიიჩნევენ, როგორც „ქრისტანულ-ლიბერალური“ განმანათლებლობის წარმომადგენელს, ის მოითხოვს ზნეობის პრიმატს პოლიტიკასა და ეკონომიკასთან მიმართებაში. ყოველ რელიგიურ, თუ ეთნიკურ ტრადიციაში გვხვდება „ჰუმანურობის ისეთი ოქროს წესი“, როგორიცაა:

1) „რასაც თავისთვის არ ისურვებ, ნუ გაუკეთებ სხვას“ (კონფუცი);

2) „იმას ნუ უზამ სხვებს, რაც არ გინდა, რომ შენ გაგიკეთონ“ (რაბინი ჰილელი);

3) „ყველაფერში როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადმიანები, თქვენ ისევე მოექეცით მათ“ (იესო ნაზარეველი);

4) „თქვენთაგან არავინ ჩაითვლება მორწმუნედ, ვიდრე იგი საკუთარ ძმას იმასვე არ უსურვებს, რასაც თავის თავს“ (ისლამი);

5) „ადამიანი ამა ქვეყნისა საქმეთა მიმართ გულგრილი უნდა იყოს და ყველა არსებას მოექცეს ისე, როგორც ისურვებდა თვითონ მას მოქცეოდნენ“ (იანიზმი);

6) „ჩემთვის არასასიამოვნო გარემოება, ასეთივე უნდა იყოს მისთვის; გარემოება, რომელიც ჩემთვის არაა სასიამოვნო, როგორ შემიძლია მე შევუქმნა იგი სხვა ადამიანს“ (ბუდიზმი);

7) „სხვათა მიმართ იმგვარი რამ არ ჩაიდინო, რაც თვითონ შენთვის არ იქნება სასიამოვნო“ (ჰინდუიზმი).

აღნიშნული თვალსაზრისით ყველა ჭეშმარიტ რელიგიურ მოძღვრებაში დაცულია ჰუმანურობის პრინციპები. სიხარბისადმი მიდრეკილება ადამიანური ტანჯვის წყაროა და არა სიხარულის. დასაბამიდან მეცნიერული აზრი სიმდიდრეს უპირობო სიკეთედ არ მიიჩნევს. რაღა თქმა უნდა სიმდიდრის მოპოვება ცუდი არაა, მაგრამ საშინელებაა მისი მოპოვება უსამართლო გზით. რეალობაა ადამიანთა უდიდესი ნაწილის ლტოლვა სიმდიდრისაკენ, ქონებისაკენ. სამწუხაროდ, შეინიშნება ჩამორჩენა ზნეობრიობასა და სულიერი სიმდიდრისადმი, რაც საზიანოა თვით მატერიალური პროგრესისათვის. საღად მოაზროვნე კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი ძველი დროიდანვე ხმას იმაღლებდა ადამიანთა გამრუდებული ფასეულობითი ორიენტაციის წინააღმდეგ.

კაცობრიობის არსებობის მანძილზე, პრობლემები ყოველთვის არსებობდა ადამიანის ზნებრივ ღირებულებასა და ეკონომიკური კულტურის აზროვნებას შორის.

მსოფლიო პრობლემათა გადაჭრას პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ეკონომიკური და სულიერი ზრდის პროცესთა ერთმანეთთან შეხამებას უკავშირებენ. ეხებიან რა ეკონომიკური თავისუფლების პრობლემას, აუცილებლად მიიჩნევენ ხელისუფლების მაქსიმალურ შეზღუდვას და თავისუფლების ასევე მაქსიმალურ დატვირთვას პასუხისმგებლობით, ზნეობით, ეკონომიკური კულტურით. მრავალი მეცნიერი აღნიშნავს, რომ მატერიალურმა უზრუნველყოფამ საზოგადოებას სანუკვარი ბედნიერება ვერ მოუტანა. „გაბატონებულმა ქონების კულტმა ერთმანეთში არია მიზანი და საშუალება-ქონება მიზნად იქცა, ყოფიერება კი მასზე დამოკიდებული გახდა. ადამიანები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური, სოციალური, მორალურ-ეთიკური, ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლასაც.... ადამიანები იქვემდებარებენ მატერიალურ-ნივთობრივ ფაქტორს (სიმდიდრეს) ჭეშმარიტად ჰუმანიტარული მიზნების მისაღწევად“ (4).

მოხმარებისაგან მინიჭებული სიხარული ბევრმა განიცადა და მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება. „ნივთომანია“ იმდენადაა გაბატონებული, რომ ყოფიერების არსს ფლობა წარმოადგენს. ასეთ საზოგადოებაში ადამიანი არარაობაა, თუკი მას არაფერი გააჩნია. „ფლობა ჩემი თვითცნობიერების საფუძველს შეადგენს - „მე ვარ ის, რაც მაქვს“, მაშინ ფლობის სურვილი უფრო და უფრო უნდა ძლიერდებოდეს. სხვა სიტყვებით - ფლობაზე ორიენტირების ბუნებრივი შედეგი - სიხარბეა. ეს შეიძლება მევახშის, ანდა ხორციელი ტკბობის მოყვარულის სიხარბე იყოს. მაგრამ რაც არ უნდა იწვევდეს ამ გრძნობას, ხარბს ყოველთვის რაღაც აკლია. ვერასდროს ვერ გრძნობს თავს ბოლომდე დაკმაყოფილებულად. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისაგან, მაგალითად, შიმშილისაგან განსხვავებით, სულიერ სიხარბეს (ხოლო სიხარბის ყველა ნაირსახეობა სწორად სულიერია, თუნდაც მთლიანად ფიზიოლოგიურად კმაყოფილდებოდეს) არა აქვს საზღვარი, რადგან ასეთი სიხარბის დროებითი დაცხრომა ვერ შველის შინაგან სიცარიელეს, მარტოობას, დეპრესიას“ (2).

რეკლამა განუწყვეტლივ გვახსენებს: იყიდება! იყიდე! ამით ცდილობენ ადამიანებზე მუდმივ ზეწოლას. „შეძენა ცხოვრების თითქმის ერთადერთი მიზანი ხდება. ადამიანი კარგავს თავის სახეს, ხდება ნივთის მონა, „მორალური ინვალიდი“ (4). „ნივთთა ტირანია“ იდეურ კულტურულ ზემოქმედებასაც ახდენს და ცალკეულ ერებს თვითმყოფადობას ართმევს, ამიტომ უწოდა ერიხ ფრომმა ამ მოვლენას „ტვინის რეცხვა“.

აშშ-ს ემორის უნივერსიტეტის პროფესორი, ანთროპოლოგი ჩარლზ ნუქოლზი აღნიშნავს: „ჩვენ ისეთ ღირებულებებს ვაქციეთ ზურგი, რომლებიც ჩვენს წინაპრებს უმთავრესად მიაჩნდათ - რელიგიასა და ოჯახს. ადამიანებს კი იმის შეგრძნება გაუჩნდათ, თითქოს მათ ძალზე მნიშვნელოვანი დაკარგეს... და აი, ამ დაკარგულს.... სხვადასხვა სექტებთან თუ გურუებთან, „მასწავლებლებთან თუ ოსტატებთან“ ეძებენ... (2)

შექმნილ ვითარებაში ეკონომიკური ცხოვრება საბოლოოდ ეთიშება, წყდება სულიერ ცხოვრებას და იგი ბნელ კუნჭულში ემწყვდევა. სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის კიდევ უფრო ღრმავდება უფსკრული:

1. სიმდიდრის წონასწორობის დარღვევის გამო;
2. ზნეობრივი - წრეგასდასული მოხმარებისა და უხეში ჰედონისტური მისწრაფებების, ადამიანის საბაზრო ხასიათის ცხოვრებასთან შეუთავსებლობის გამო;
3. ეკოლოგიურის - წარმოების უზომო ზრდისა და გარემოს დაბინძურების გამო“ (4).

მსოფლიო ზნეობის ფონდის პრეზიდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჰანს კიუნგი დემოკრატიის, თვით ადამიანთა სიცოცხლის საფრთხესაც კი ხედავს, თუ ეკონომიკა ჰუმანური არ გახდა, რადგან გლობალური საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს გლობალურ ზნეობას, ზნეობრივად მოტივირებულ პოლიტიკას.

გზა მიეცით ჰუმანიზმს! - მოგვიწოდებენ პროგრესულად მოაზროვნენი, რადგან თუ მაქსიმუმი ერთხელ ჩაითვლება ოპტიმუმად და ფულის მოხვეჭა (კაპიტალიზმი) და სიცოცხლით განცხრომა (ჰედონიზმი) უმაღლეს ღირებულებად გადაიქცევა, მაშინ საფრთხე დაემუქრება საზოგადოების სტაბილურობას, ჰარმონიას და ეჭვქვეშ დადგება ინდივიდის იდენტურობა, აზრი დაეკარგება სიცოცხლეს, მაშინ ხომ თვით დემოკრატია აღმოჩნდება საფრთხის ქვეშ, ფეხს მოიკიდებს განუკითხაობა – ლიბერტინიზმი, მოდერნისეული გაუკუღმართება „ლიბერტე“-სი, რამაც სათავე დაუდო დემოკრატიას.

ამჟამად თანდათან მკვიდრდება აზრი: გადარჩენა არ უწერია საზოგადოებას, თუ იგი არ ცნობს სავალდებულო ღირებულებათა, პოზიციათა და მასშტაბების მინიმუმს. თანდათან ჩვენი თანამედროვე არაეკლესიური ადამიანებიც ამჩნევენ, რომ მოდერნიზაციას თან მოჰყვა არა მარტო გარდაუვალი სეკულარიზაცია, არამედ გარდაუვალი იდეოლოგიური სეკულარიზმი. შედეგი: კაცის ცხოვრებიდან განდევნილია ყველაფერი, რაც უპირობოდ არის სავალდებულო და ამიტომ ადამიანის სულს შემძვრელი სიცარიელე და უიმედობა ეუფლება“ (2).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ეკონომიკის ჰუმანიზაცია, ზომიერების პრინციპის დაცვა დიდი მეტამორფოზის საწინდარი გახდება. კაცობრიობა თანდათანობით უფრო კეთილშობილი, ალტრუისტული გახდება.

ისიც უნდა ითქვას: ადამიანებმა თანდათან უნდა გააცნობიერონ, რომ თანასწორობა, გათანაბრება შრომის ანაზღაურებისას არასოდეს არ ითვლება სამართლიანად, რადგან ისინი თავიანთი შესაძლებლობებით, უნარებით, კომპეტენციებით, მონდომებით, მოტივაციით განსხვავებულები არიან. თანასწორობა (არადიფერენცირება) ცივილიზაციის მოსპობის ტოლფასი იქნებოდა. ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის პირობებით ნათლად ჩანს, წინ წამოიწია მოთხოვნილებათა და მოხმარების საზოგადოებრივი რეგულირების ობიექტივაციის პრობლემა, რათა ადამიანებმა ღრმად გააცნობიერონ მოთხოვნილებისა და მოხმარების ჭეშმარიტი აზრი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში XXI საუკუნე უნდა იყოს ადამიანების, ჰუმანურ ეკონომიკური ჰუმანიზაციის საუკუნე.

ეკონომიკის ჰუმანიზაციის პროცესში გარკვეული როლის შესრულება შეუძლია სკოლას, სადაც როგორც შვაიცერი ამბობს „ჰუმანიზმი ყველაზე შორეულ კუთხეში არის მიკუნჭული“.

ნებისმიერ პიროვნებას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სასკოლო ასაკშივე სწორად გაიგოს ჭეშმარიტი ჰუმანიზმის არსი. ამაში დამარწმუნა ჩემმა გამოცდილებამაც რუსთავის №1 სკოლაში.

„ჰუმანურობა კაცთა მოდგმის მარადიულობის გარანტია, ღვთის ნების აღსრულებაა, არაჰუმანურობა ადამიანთა მიერ აპოკალიფსიის დაჩქარებაა, ადამიანთა მოდგმისათვის სიყვარულის საიმედო საყრდენის გამოცლაა – კიუნგი“.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. კოდუა ე., სოციოლოგია. ნაკვეთი I, თბ., 1995.
2. მალაშხია გ., ეკონომიკურ-ფილოსოფიური ესეები, თბ., 2001.
3. მალაშხია გ., მეტაეკონომიკა ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., 1995.
4. მექვაბიშვილი ე., ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელის შექმნის ზოგიერთი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხი, კრებულში „გარდამავალი პერიოდის სოციალურ ეკონომიკური პობლემები“, თბ., 1999.
5. ჟურნალი „შპიგელი“, 1999, №52, 26 დეკემბერი.
6. ჰანს კიუნგი, მსოფლიო ზნეობის მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკისთვის. გერმანულიდან თარგმნა ზურაბ აბაშიძემ. თბ., 2006.
7. Е. Фромм, Иметь или быть, М., 1986.
8. Касспс В., Колосов Л., Стуруа М., Тирания вешей, М., 1993.


**ნათელა ნატროშვილი**

**ეკონომიკური კულტურა და ჰუმანიზმი**

**რეზიუმე**

ნაშრომი ეხება საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოთხოვნილებათა და მოხმარების რეგულირების პრობლემას. გლობალური საბაზრო ეკონომიკისა და გლობალური ზნეობის თანაფარდობის აუცილებლობას, ეკონომიკის ჰუმანიზაციას.

**Natela Natroshvili**

**Economic Culture and Humanism**

**Summary**

The paper deals with the problem of needs and consumption regulation in terms of market economy. Author attempts to prove the criticality of healthy relationship between global market economy and global morality –humanization of economy.

Натела Натрошвили

Экономическая культура и экономика

Резюме

В статье рассматривается проблема регулирования спроса и потребления с точки зрения рыночной экономики, необходимости глобальной морали, гуманизации и экономики.

**მაია მემარნიშვილი**
**პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი**

## ინტერაქტიული სწავლების მნიშვნელობა უმაღლეს სკოლაში

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ორგანიზაციის ძირითად ფორმას ლექცია წარმოადგენს. თანამედროვე ლექცია რამდენადმე განსხვავებულია სწავლების ტექნოლოგიებითა და სტრატეგიებით. ლექციის მიმდინარეობისას ლექტორის მიერ მთავარი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ლექციას ჰქონდეს არა მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი, არამედ მნიშვნელოვანი იყოს სტუდენტთა აქტიურობისა და მათი ჩართულობის თვალსაზრისითაც. პრაქტიკულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში ინტერაქტიული სწავლებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს. იმისთვის, რომ ინტერაქცია იყოს ეფექტიანი, აუცილებელია ლექტორს ჰქონდეს თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, მეთოდების, სტრატეგიებისა და მიდგომების გამოყენების ცოდნა და უნარი. დღეს უკვე მრავალ უმაღლეს სასწავლებელში გამოიყენება სწავლების შემდეგი უახლესი ტექნოლოგიები და მეთოდები:

- დისკუსია-დებატები
- როლური თამაშები
- გონებრივი იერიში
- საქმიანი თამაშები
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- შემთხვევითი ანალიზი
- სიმულაცია და სხვ.

სწავლის პროცესში ამ მეთოდების გამოყენებისას არჩევანის გაკეთება დამოკიდებულია ლექტორზე, სასწავლო დისციპლინაზე, თემატიკასა და სტუდენტთა კონტინგენტზე. ლექცია ზეპირსიტყვიერი ანუ ვერბალურ მეთოდთა ჯგუფს მიეკუთვნება, რაც ლექტორის მიერ აუდიტორიისათვის ცოდნის უშუალო გადაცემას და სტუდენტის მხრივ მიწოდებული ცოდნის შეთვისებას გულისხმობს. ლექცია ორატორული ხელოვნების ერთ-ერთ ფორმად განიხილება, რომელიც კლასიკური განათლების სისტემაში სწავლების ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ ფორმად არის მიჩნეული. მისი მახასიათებლებია:

- ლექტორის წამყვანი როლი ლექციაზე
- ლექციების კურსის ჩატარება განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად
- აუდიტორიის სტაბილური შემადგენლობა
- ლექტორის მუშაობა აუდიტორიის სრულ შემადგენლობასთან ან სტუდენტთა ვიწრო ჯგუფთან

ლექციას, როგორც სასწავლო პროცესის შემადგენელ ნაწილს, ჰყავს ორი ძირითადი მონაწილე, ერთი მხრივ – სტუდენტები, მეორე მხრივ – ლექტორი, რომელიც მათ გადასცემს ცოდნას. ლექცია აუცილებლად უნდა იყოს შემეცნებითი ხასიათის, ხოლო შემაჯამებელი დასკვნები არგუმენტირებული. ლექცია არის აუდიტორიისათვის უკვე დადასტურებული თეორიული დებულებების, მოვლენებისა და ცალკეული ფაქტების მიწოდება და გაშუქება, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის პროფესიული ცოდნის მიწოდებას. ლექტორის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ლექციის სახით სტუდენტებისათვის სასწავლო დისციპლინაში არსებული პრობლემების განხილვა და დასაბუთებული მიწოდება. ამ პროცესში სხვადასხვა ტექნოლოგიები გამოიყენება სტუდენტებში დამოუკიდებელი მუშაობის უნარის, კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის. ლექციების ინტერაქტიული ხასიათი ითვალისწინებს სტუდენტებში ისეთი უნარების განვითარება-ჩამოყალიბებას, როგორიცაა:

1. ლოგიკურ თხრობა და კრიტიკულ აზროვნება
2. შემეცნებითი უნარები
3. მოტივაციის ამაღლება
4. დამოუკიდებელი მუშაობა

ლექციის მიმდინარეობისას ინტერაქციის მთავარი მიზანია მიღწეულ იქნეს სტუდენტთა ჩართვა სასწავლო პროცესში და მათი მონაწილეობა ახალი მასალის განხილვისას. ამაში გვეხმარება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება. ამ შემთხვევაში სტუდენტი ხდება ლექციის უშუალო თანამონაწილე და არა ლექტორის მიერ წაკითხული ლექცია-მონოლოგის პასიური მსმენელი. შესაბამისად უფრო მაღალდება მათი ინტერესი ლექციისადმი, მათ უფრო მეტი მოტივაცია უჩნდებათ აქტიურად ჩაერთონ ლექციის მიმდინარეობაში და უკვე შემდგომ ლექციაზე მოსმენილ თემასთან დაკავშირებით დამოუკიდებლად გაიღრმავონ ცოდნა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინტერაქტიული სწავლება სტუდენტებს ეხმარება ახალი მასალის ათვისებაში, თავისუფალი და ლოგიკური აზრის ჩამოყალიბებასა და საკითხის კრიტიკულად შეფასებაში. ინტერაქტიული სწავლების დროს ლექტორს შესაძლებლობა ეძლევა შეაფასოს სტუდენტების მასალის ათვისებისა და ანალიზის უნარი; ასევე, თუ რამდენად ლოგიკურად და საფუძვლიანად შეუძლიათ მათ დააკავშირონ მოსმენილი ლექცია და გამოიტანონ სათანადო დასკვნები. ამდენად, ლექციაზე ინტერაქტიული სწავლების გამოყენება ხელს უწყობს სტუდნტთა დამოუკიდებელ შემეცნებით საქმიანობას, ზრდის მათ ინტერესსა და მოტივაციას მოსმენილი ლექციისადმი, ხელს უწყობს მათში კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

წარმატებული ლექციის მოსამზადებლად, სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების გარდა, მნიშვნელოვანია ლექტორის მიერ შერჩეული მეთოდები შესაბამისობაში იყოს ლექციის თემატიკასთან. სასურველია ლექციის მიმდინარეობისას ლექტორის მიერ გამოყენებულ იქნეს პრაქტიკული მეცადინეობა და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა.

უმაღლეს სასწავლებელში მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ინტერაქტიული სწავლების დროს იზრდება სტუდენტთა ჩართულობა და ინტერესი როგორც ლექციის მიმდინარეობისას, ასევე მათი დაინტერესება, რათა მათ წარმოადგინონ განვლილ მასალასთან დაკავშირებული პრეზენტაციები და მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას და მათში დამოუკიდებელი მუშაობის უნარის გამომუშავებას.

ჩემი სალექციო პრაქტიკიდან ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ეფექტიანი აღმოჩნდა. ეს განსაკუთრებით ეხება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნიკურად სომხური, აზერბაიჯანული და ქისტური წარმომავლობის მულტილინგვურ ჯგუფებთან მუშაობას. ინტერაქტიული სწავლებისას სტუდენტებს, რომელთათვისაც ქართული არ არის

მშობლიური ენა, ეძლევათ საშუალება ლექცია-სემინარების მიმდინარეობისას ქართულ ენაზე გამოთქვან საკუთარი აზრი და შეხედულებები, დასვან კითხვები, გააკეთონ დასკვნები. ამ ჯგუფებთან სისტემატური მუშაობა ხელს უწყობს მათ სწრაფ ინტეგრირებას ქართულენოვან უნივერსიტეტებში. სწავლის პროცესში მათ უადვილდებათ ცოდნის მიღება საქართველოს სახელმწიფო ენაზე, ისინი აკეთებენ პრეზენტაციებს, დამოუკიდებლად იყენებენ სათანადო ქართულენოვან ლიტერატურას, ლექციის მიმდინარეობისას აქტიურად ერთვებიან დისკუსიებში და გამოხატავენ თავიანთ კრიტიკულ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მათ მოტივაციას, რათა სრულფასოვნად მიიღონ მონაწილეობა სწავლის პროცესსა თუ სტუდენტურ საქმიანობაში.

ცვლილებები და თანამედროვე მიდგომები საქართველოს განათლების სისტემაში, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში დღეს ინერგება გარდამავალ ეტაპზეა. ეს პროცესი გრძელდება, იხვეწება და უახლოვდება ბოლონიის პროცესით გათვალისწინებულ სტანდარტებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ასათიანი ა., უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბ., 2008.
2. Инновационные педагогические технологии, Казань, 2015.
3. Perkins D., Cognition and the art of instruction, 2007.
4. Muijs D., Reynolds, D. Effective teaching: evidence and practice, 2005.


**მაია მემარნიშვილი**

## ინტერაქტიული სწავლების მნიშვნელობა უმაღლეს სკოლაში


**რეზიუმე**

სტატია ეხება ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენებას უმაღლეს სკოლაში. ჩემი სალექციო პრაქტიკიდან უნდა აღინიშნოს ინტერაქტიული სწავლების ეფექტიანობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტში. განსაკუთრებით უნდა გამოვყო ინტერაქტიული სწავლების მნიშვნელობა მულტილინგვურ ჯგუფებთან მუშაობის დროს, რომელთათვის ქართული ენა არ იყო მშობლიური. ინტერაქტიული სწავლების მეთოდები აძლევს მათ საშუალებას გამოთქვან საკუთარი აზრი, შეხედულებები და გააკეთონ დასკვნები ქართულ ენაზე. ამ ჯგუფებთან სისტემატურმა ინტერაქტიულმა მუშაობამ ხელი შეუწყო მათ სწრაფ ინტეგრირებას უნივერსიტეტში.


**Maia Memarnishvili**

## The Importance of Interactive Learning at the University


**Summary**

The article is about the use of interactive learning methods at the university. Based on my experience with lecturing, I would like to note the effectiveness of interactive learning at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. In particular, I want to highlight the importance of interactive teaching while working with students from multilingual groups, as they weren't native Georgian speakers. Interactive teaching methods

give them the opportunity to express their opinions and draw conclusions in Georgian. As a result, this systematic interactive work with students contributed to their rapid integration at the university.

**Майя Мемарнишвили**

**Значение интерактивного обучения в вузе**

**Резюме**

В статье освещены методы интерактивного обучения в вузе, их значение во время лекционного обучения. На основе моей педагогической практики могу отметить значение интерактивных методов обучения в Тбилисском государственном университете им. И. Джавахишвили. Особенно надо отметить обучение студентов мультилингвальной группы. Студенты, для которых грузин ский не является родным языком, имеют возможность в процессе интерактивного обучения высказать свои взгляды, сделать выводы на грузинском. Систематическое интерактивное обучение этих студентов способствовало их быстрой интеграции в университете.

**ნინო ყანჩელი**

**განათლების აკადემიური დოქტორი**

## ჯონ დიუის დიდაქტიკური სისტემის განვითარების ეტაპები

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სკოლაზე მდგრადი კონსერვატიული, ტრადიციული შეხედულების მიუხედავად, „პროდუქტიული“ განათლების იდეა თანდათან ძალაში შედის. ამ ფონზე, საგანმანათლებლო პროცესის მიზნის მისაღწევად, ახალი ხერხების გამომხატველი ალტერნატიული მიდგომები და ასევე შესაბამისი იდეებისა და კლასიკური პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური კონცეფციის გამთვალისწინებელი მეთოდები შეადგენენ თანამედროვე დიდაქტიკური თეორიის საფუძველს. განათლების მოდერნიზაცია მიმართულია: განათლების ინოვაციური პარადიგმის ძიებისაკენ და სკოლაში, სწავლების პროცესში ოპტიმალური გზების სრულყოფისაკენ. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია წარსულის პედაგოგიური კონცეფციების თეორიული გადამუშავება, მის არსში გარკვევა, თანამედროვე პედაგოგიური თეორიის განვითარებაზე მათი გავლენის დადგენა. ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანია ჯ. დიუის (1859-1952) – ცნობილი ამერიკელი პედაგოგის, ფსიქოლოგისა და ფილოსოფოსის შეხედულებები. იგი გამოირჩევა კრიტიკული აზროვნებით და თავისუფალი ინიციატივით. განათლების მეცნიერების მკვლევარები ჯ. დიუის პედაგოგიური მემკვიდრეობიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ დიუის პედაგოგიური თეორიის ცალკეულ დებულებებსა და მის პრაქტიკულ მოღვაწეობას განათლების სფეროში.

ჩვენს მიერ შესწავლილი უცხოენოვანი ლიტერატურის საფუძველზე გამოიკვეთა ჯ. დიუის დიდაქტიკური სისტემის განვითარების შემდეგი ეტაპები:

**პირველი ეტაპი: 1879-1884 წ.წ.** პირველადი პედაგოგიური გამოცდილების დაგროვების პერიოდი; სასკოლო განათლების პროცესის ჩამოყალიბების ანალიზი; ფილოსოფიური შეხედულებების ფორმირება, რომელმაც გავლენა იქონია რეფლექსური აზროვნების თეორიის ჩამოყალიბებაზე. ამ პერიოდში დიუიმ მიიღო პედაგოგიურ მოღვაწეობაში პირველდაწყებითი გამოცდილება, რაც საფუძვლად დაედო მის მიერ სასკოლო განათლების კრიტიკას. გერმანელი კლასიკოსი ფილოსოფოსების, ჰეგელისა და კანტის შეხედულებების გაცნობის შემდეგ, დიუიმ აღიარა შემდეგი ცნებები: „ინდივიდი და საზოგადოება“, „სხეული და აზროვნება“,

„იდეალური და რეალური“, რამაც განაპირობა ჯ. დიუის მიერ რეფლექსური აზროვნების თეორიის შექმნა.

**მეორე ეტაპი: 1884-1894 წ.წ.** მიჩიგანური პერიოდი, სწავლების იდეების, როგორც მოსწავლეთა გამოცდილების რეკონსტრუქციის იდეების შექმნა, რომლებიც დიდაქტიკური პრაგმატიზმის თეორიის ჩამოყალიბების თანამოქმედად ითვლება. ადამიანის ბიჰევიორისტული ქცევისა და აღქმის განმარტების მიღება. მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში, უ. ჯეიმსის იდეების ზეგავლენით, ჯ. დიუი იძლევა ადამიანის ქცევისა და აღქმის ბიჰევიორისტულ განმარტებას. აქვე ხდება მისი იდეების ჩამოყალიბება მოსწავლეთა გამოცდილების რეკონსტრუქციის შესახებ, რომელმაც შემდგომში შექმნა დიუის დიდაქტიკური პრაგმატიზმის თეორია.

**მესამე ეტაპი: 1894-1904 წ.წ.** ჩიკაგოს პერიოდი - საზოგადოების რეფორმირების გზების ძიების პერიოდი განათლების რეორგანიზაციის გზით. ჩიკაგოს უნივერსიტეტში, სკოლა-ლაბორატორიაში, ჯ. დიუის დიდაქტიკური სისტემის პრაქტიკული რეალიზაცია. დიუი გაეცნო რა ჯ. ადამსის მოღვაწეობას, მან ეს პერიოდი, განათლების რეორგანიზაციის გზით, საზოგადოების სოციალურ პრობლემებსა და საზოგადოების რეფორმირებას მოანდომა. ამ პერიოდში დიუიმ საკუთარი დიდაქტიკური იდეების განსახორციელებლად, ჩიკაგოს უნივერსიტეტში შექმნა სკოლა-ლაბორატორია. მან თავის მიერ დაარსებულ სკოლა-ლაბორატორიაში მოახდინა თავისი დიდაქტიკური კონცეფციების რეალიზაცია. სკოლა ლაბორატორია ჩვენი აზრით ეს იყო, დიდაქტიკური სისტემა, რომელიც მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს: განათლების მიზანს; განათლების შინაარსს; განათლების შეძენის საშუალებებსა და ხერხებს; საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაციის ფორმებს; რეალური საგანმანათლებლო პროცესს, როგორც ადამიანის სწავლების, აღზრდისა და განვითარების ერთიანობას; საგანმანათლებლო პროცესის სუბიექტსა და ობიექტს; განათლების შედეგებს.

**მეოთხე ეტაპი: 1904-1952 წ.წ.** კოლუმბიური პერიოდი ესაა დემოკრატიისა და განათლების პრობლემების შემდგომი თეორიულ-ფილოსოფიური გადამუშავება. პროგრესული სკოლების გამოცდილების განზოგადება; საკუთარი პედაგოგიური იდეების გავრცელება და გავლენა სასკოლო პრაქტიკაზე. ლაბორატორიული სკოლის დახურვის შემდეგ, დიუი კოლუმბიის უნივერსიტეტის კათედრის გამგეა და აგრძელებს მუშაობას დემოკრატიისა და განათლების პრობლემებზე; განაზოგადებს პროგრესული სკოლების გამოცდილებას; აშშ-ში საკუთარი პედაგოგიური იდეების გავრცელებით, გავლენას ახდენს სასკოლო პრაქტიკაზე (2).

ზემოთ განხილული ოთხი ეტაპის პარალელურად ქართულ სინამდვილეში თამამად შესაძლოა გამოიყოს მეხუთე ეტაპი-მე-20 საუკუნის 90-იანი წლები და 21-ე საუკუნის დასაწყისი. ამ პერიოდში განათლებაში პრიორიტეტულია: სწავლების ინდივიდუალიზაცია, მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესებისა და მოთხოვნილებების მუდმივად გათვალისწინება, რასაც მოჰყვა ჯ. დიუის დიდაქტიკური იდეების აქტუალიზაცია: კვლავ დაიწყეს დიუის მეთოდის პროექტის გამოყენება სწავლის პროცესში, ამდენად შესაძლებელი გახდა: მოსწავლეთა ცოდნის ორგანულად ინტეგრირება სხვადასხვა სფეროდან და ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში, ახალი ცოდნის, ფასეულობებისა და იდეების შექმნა (4).

შესწავლილი და გაანალიზებული მასალიდან ირკვევა, რომ ჯონ დიუის დიდაქტიკურ კონცეფციას საფუძვლად დაედო სხვადასხვა პედაგოგებისა და ფსიქოლოგების იდეები. კერძოდ:

1. დიუიმ თავისი კონცეფცია შექმნა იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტის სისტემის საწინააღმდეგოდ და შეძლო თავისუფლების იდეაზე დამყარებული ახალი განათლების ფილოსოფიის დამკვიდრება „სკოლა ბავშვისა და ბავშვისათვის”. იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტის იდეების საფუძველზე დიუიმ დაამუშავა საკითხები: ა) სწავლის საფეხურები; ბ) მრავალმხრივი ინტერესის იდეები; გ) დიუის მიერ სწავლების უნივერსალური ჰერბარტისეული იდეის აღიარების უარყოფა.

ფ. ჰერბარტისა და უ. ჯეიმსის იდეების შესაბამისად, დიუი გამოჰყოფს რეფლექსური გამოცდილების განვითარების შემდეგ ეტაპებს:

- დაუსრულებელ სიტუაციაში მყოფი ადამიანის მდგომარეობის აღქმის-უმეცრება, ამ მდგომარეობაში ჩაურევლობა და ამ სიტუაციაში დაეჭვება.
- ალბათური მომავლის დებულებების წამოყენება, ანუ ცნობილი მონაცემების წინასწარი ინტერპრეტაცია.
- პრობლემის დამაზუსტებელი და გამომრკვევი ყველა მონაცემების დაწვრილებითი შესწავლა (ძიება, მიმოხილვა, კვლევა, ანალიზი).
- წინასწარი ჰიპოთეზის შემდგომი დამუშავება.
- დამუშავებული ჰიპოთეზის, როგორც სამოქმედო გეგმის მიღება.

2. ჯ. დიუის დიდაქტიკური კონცეფციის საფუძვლების ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს ამერიკელი ფსიქოლოგის ს. ჰოლლის შემდეგი იდეები.

- სწავლის მნიშვნელობა კონკრეტული ბავშვის ფსიქიკის ჩამოყალიბების პროცესში.
- ბავშვის მიერ ინდივიდულური განვითარების პროცესში, შემოკლებული სახით, ადამიანთა მოდგმის ძირითადი ეტაპების განმეორება.
- სწავლების პროცესში ბავშვის პიროვნების განვითარების განმაპირობებელი მონაცემების გათვალისწინების აუცილებლობა.

3. კვლევებით დადასტურებულია აგრეთვე, ფ. ფრებელის შეხედულებების გავლენა დიუს დიდაქტიკურ კონცეფციაზე:

- ბავშვისთვის დამახასიათებელი მოქმედების ბუნებრივად თანდაყოლილი ინსტინქტის შესახებ.
- ბავშვი კი არ ემზადება ცხოვრებისათვის, არამედ, უკვე ცხოვრობს შემოქმედებით გაჯერებული ცხოვრებით.
- დიუისათვის მიუღებელია: ა) ფრებელისათვის დამახასიათებელი ფორმალიზმი; ბ) მეტისმეტად მკაცრი სისტემატიზაცია, ხელოვნურობა; გ) ბავშვის დამოუკიდებლობის შეზღუდულობა თამაშებსა და მეცადინეობებში.

4. დიუის დიდაქტიკურ კონცეფციაზე ბავშვის სწავლის პროცესში რეფლექსური აზროვნების ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ გავლენა მოახდინა უ. ჯეიმსის ფილოსოფიამ და ფსიქოლოგიამ. უ. ჯეიმსის შეხედულებების საფუძველზე დიუიმ დაამუშავა იდეები:

- აზროვნება არის ჩვენი ცნობიერების ინტელექტუალური კომპონენტის ექსპილიციტური (მკაფიო) გამოხატულება;
- უწყვეტი აზროვნების იდეა;
- აზროვნების დამოკიდებულება შემეცნებით ინტერესზე;

ამრიგად, ჯონ დიუის დიდაქტიკური სისტემის პრინციპული პოსტულატებია:

- პიროვნული ორიენტაცია, ე. ი. პედაგოგის უნარი, დაინახოს თითოეულ ბავშვში უნიკალური პიროვნება;
- მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთზემოქმედებაში - ობიექტ-სუბიექტური ურთიერთობის დადგენა;
- ბავშვის თვითგანვითარებისა და თავისუფალი თვითრეალიზაციის ურთიერთმოქმედების, როგორც განათლების მიზნის გარკვევა;
- სასკოლო განათლების უკიდურესი ინტელექტუალიზმის უარყოფა და შემოქმედებითი მიდგომის გატარება, რომლის თანახმადაც სასწავლო პროცესის ცენტრია, ბავშვის მიერ მიღწეული დამოუკიდებელი გამოცდილება (3).

ზემოთ აღნიშნული დადებითი იდეების განხორციელება შეუძლებელი იყო ამერიკაში, იმ დროს, როდესაც ჰერბარტიანული სისტემა ბატონობდა. როგორც მ. მელიქიშვილი წერს, ამ იდეების, კიდევ უფრო დაკონკრეტება ჰერბარტიანული სისტემის აშკარა უარყოფას წარმოადგენს. ეს იდეებია:

- მოსწავლეთა შემეცნებითი უნარებისა და მოთხოვნილებითი ინტერესების გათვალისწინება;
- მათი ინტელექტის, გრძნობების, ნების კომპლექსური განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება;
- მოქმედების უნარის არსებობა არასტანდარტულ სიტუაციაში;
- ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გამოვლენის, ჩამოყალიბებისა და გადაწყვეტის უნარის ჩამოყალიბება;
- სწავლების შინაარსისა და ტემპის ინდივიდუალიზაცია;
- მოსწავლეთა მომზადება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის (4).

ჩვენი შეხედულებით, ჯ. დიუის დადებითი დიდაქტიკური მხარეების აღნიშვნასთან ერთად, თანამედროვე პირობებში დიუის გამოცდილების გამოყენებისას, უნდა გავითვალისწინოთ დიუის დიდაქტიკური შეხედულებების ისეთი ნეგატიური კომპონენტები, როგორებიცაა:

- მოსწავლეთა სპონტანური მოღვაწეობის მნიშვნელობის გადაფასება, მათი ემოციური და ინტელექტუალური განვითარების პროცესში;
- სწავლების ფორმების ორგანიზაციის ხარჯზე, შემთხვევითი პრაქტიკული სამუშაოების სიჭარბე, რომელიც უზრუნველყოფს სისტემატიზებული ცოდნის ჩამოყალიბებას;
- სწავლების არაეკონომიური კვლევითი მეთოდის ცალმხრივი უპირატესობა; აზროვნების გასანვითარებლად ცოდნის შეძენის პროცესის მნიშვნელობის არასაკმარისი შეფასება;
- სწავლების შინაარსის განსაზღვრა, მხოლოდ მოსწავლეთა ინტერესებზე დაყრდნობით.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. მელიქიშვილი მ., ჯონ დიუის პედაგოგიკური კონცეფცია, თბ., 2013.
2. Д ыюи Дж., От ребеика – к миру от мира – к ребенку М. Карапузю, 2009.
3. Рогачева Е Ю. Педагогика Джона Дьюи в контексте разных культур М. 2003.
4. Hickman, L. John Dewey’s Pragmatic Technology, 1990.


**ნინო ყანჩელი**

## ჯონ დიუის დიდაქტიკური სისტემის განვითარების ეტაპები


**რეზიუმე**

ჯ. დიუის დიდაქტიკური სისტემის განვითარების ეტაპები შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

**პირველი ეტაპი: 1879-1884 წ.წ.** პირველადი პედაგოგიური გამოცდილების დაგროვების პერიოდი; სასკოლო განათლების პროცესის ჩამოყალიბების ანალიზი; ფილოსოფიური შეხედულებების ფორმირება, რამაც გავლენა იქონია რეფლექსური აზროვნების თეორიის ჩამოყალიბებაზე.

**მეორე ეტაპი:1884-1894 წ.წ.** მიჩიგანური პერიოდი - სწავლების იდეების, როგორც მოსწავლეთა გამოცდილების რეკონსტრუქციის იდეების შექმნა, რომლებიც დიდაქტიკური პრაგამატიზმის თეორიის ჩამოყალიბების თანამოქმედად ითვლება.

**მესამე ეტაპი: 1894-1904 წ.წ.** ჩიკაგოს პერიოდი - საზოგადოების რეფორმირების გზების ძიების პერიოდი განათლების რეორგანიზაციის გზით. ჩიკაგოს უნივერსიტეტში, სკოლა-ლაბორატორიაში, ჯ. დიუის დიდაქტიკური სისტემის პრაქტიკული რეალიზაცია.

**მეოთხე ეტაპი: 1904-1952წ.წ.** კოლუმბიური პერიოდი - შემდგომი თეორიულ-ფილოსოფიური, დემოკრატიის და განათლების პრობლემების გადამუშავების პერიოდი. პროგრესული სკოლების გამოცდილების განზოგადება; საკუთარი პედაგოგიური იდეების გავრცელება და გავლენა სასკოლო პრაქტიკაზე.

**Nino Kancheli**

**The Developmental Stages of John Dewey's Didactic System**

**Summary**

John Dewey is outstanding for his critical thinking and free initiative. His didactic Systemcan be devided into the following stages:

**The first stage:** 1879-1884 -The period of accumulating primary pedagogical experience; The analysis of education process at schools; the formation of philosophical viewpoints, that effected the development of reflective thinking theory.

**The second stage**: 1884-1894 - Michigan period-the formation of teaching ideas as the reconstruction of students' experience.

**The third stage:** 1894-1904 - Chicago period-the period of searching ways for reforming society by means of education reorganization; practical realization of John Dewey's didactic system at his laboratory school.

**The fourth stage:** 1904-1952 - Columbian period-the period of further theoretical and philosophical processing of education problems; the generalization of experience at progressive schools; the spread of his own pedagogical ideas and their impact of educational practice at schools.

**Нино Канчели**

**Этапы развития дидактической системы Джона Диуи**

**Резюме**

Этапы развития дидактической системы Джона Диуи возможно сформулироиать таким образом:

**Первый этап: 1879-1884 годы.** Период накопления первичного педагогического опыта; Анализ формирования процесса школьного образования; Формирование философских убеждений, которые влияли на создание рефлексной теории.

**Второй этап: 1884-1894 годы**. Период Мичигана - идеи преподавания, как создание реконструкционных идей опыта обучающихся, которые считаются соучастниками в формировании теории дидактического прагматизма.

**Третий этап: 1894-1904 годы** Чикагский период - период поиска путей реформирования общественности путем реорганизации образования в Школе-лаборатории Чикагского университета, Практическая реализация дидактическогой системы Джона Диуи.

**Четвертый этап: 1904-1952 гг**. Колумбийский период- теоретико-философский период обработки, проблемдемократии и образования. Обобщение опыта прогрессивных школ; Распространение собственных педагогических идеев и влияние на школьной практике.

**ნინო ჭოხონელიძე**
**განათლების აკადემიური დოქტორი**

## ბავშვის ასაკობრივი პერიოდიზაცია მარია მონტესორის მიხედვით

რეფორმატორულ-პედაგოგიკური მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენელი, ექიმი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე მარია მონტესორი და მისი პედაგოგიკური იდეები XX საუკუნის პირველი ნახევრის უცხოურ განათლებაში არა მარტო შესამჩნევი, არამედ განსაკუთრებული მოვლენაა. მონტესორის მიხედვით, ბავშვთა აღზრდის ამოსავალ წერტილად ითვლება ინტელექტის აღზრდა. ბავშვებს ცოდნა არ მიეწოდებათ პირდაპირ მასწავლებლის მიერ, არამედ ეძლევათ მეთოდი, რომლის დახმარებითაც ისინი დამოუკიდებლად იძენენ ცოდნას და აღმოაჩენენ თავის გარშემო არსებულ სამყაროს.

ძალიან მნიშვნელოვანია მონტესორის მიხედვით ბავშვის ასაკობრივი პერიოდიზაცია, მაგრამ ჯერ გავარკვიოთ განსხვავებები ბავშვისა და ზრდასრულის ბუნებას შორის. მონტესორი თავის ნაშრომებში ამტკიცებს, რომ „...არსებობს სიცოცხლის ორი ფორმა, ზრდასრულთა ცხოვრება და ბავშვის ცხოვრება. ორივე ძალიან განსხვავებულია, აშკარად, ურთიერთსაწინააღმდეგო“ (5, 8), განსხვავებები, რომლებიც მან გამოყო, შეიძლება წარმოვადგინოთ 3 ჯგუფად:

1. განსხვავებები განვითარების დონის მიხედვით;
2. განსხვავებები „მუშაობის“ ხასიათში;
3. გონების განსაკუთრებული შესაძლებლობები და კანონები, რომლებიც მიესადაგება მხოლოდ ბავშვს.

განსხვავებები ზრდასრულისა და ბავშვის განვითარების დონეებს შორის აშკარაა და განისაზღვრება იმით, რომ ზრდასრულები უკვე დადგენილი და ჩამოყალიბებული ადამიანები არიან, ბავშვები კი - არა. ზრდასრულებს სრულად აქვთ განვითარებული გრძნობის ორგანოები, ნებაყოფლობითი მოძრაობები და მათი კოორდინაცია, ნებელობითი თვისებები. ისინი კარგად იცნობენ სამყაროს და არ ესაჭიროებათ ნივთების შეხება. ბავშვები კი ინვითარებენ მოძრაობების კოორდინაციას და ამიტომ მათ სჭირდებათ, რომ ბევრი იმოძრაონ. ბავშვებს სურთ გაეცნონ გარე სამყაროს, მაგრამ მათი გრძნობის ორგანოები ჯერ კიდევ არ არის საკმარისად განვითარებული და ისინი საჭიროებენ მუდმივად შეეხონ საგნებს. მოზრდილებისა და ბავშვების სხეულის პროპორციებიც ასევე განსხვავებულია.

საინტერესოდაა ახსნილი მონტესორის მიერ „ბავშვის მუშაობის“ თავისებურებების შედარება ზრდასრულის მუშაობასთან. მონტესორიმ განაცხადა, რომ „მუშაობა არის საქმიანობა, რომელიც არ არის დაკავშირებული არც სწავლებასთან და არც ზრდასრულის სურვილთან. მუშაობა აახლოებს ბავშვს გარემოსთან“ (5, 8). ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მისი გაგებით „ბავშვის მუშაობა“ წარმოადგენს სპონტანურ შემოქმედებით საქმიანობას რეალურ საგნებთან.

ამგვარად, ზრდასრულისა და ბავშვის მუშაობის ხასიათი განსხვავებულია. ორივე მათგანი მოქმედებს გარესამყაროს ობიექტებთან, მაგრამ ზრდასრულის მუშაობის მიზანი

მის გარეთაა და ბავშვის კი - თავად მის შიგნით. ზრდასრული შეგნებულად გარდაქმნის გარესამყაროს, რადგან მისი მიზანია, ის მიესადაგებოდეს მის საჭიროებებს.

ბავშვი ხშირად მოქმედებს გაუთვითცნობიერებლად, მისი მუშაობა არის ბუნებრივი საჭიროებების განვითარების გამოვლინება და მისი მიზანია საკუთარი პიროვნების სხვადასხვაგვარი ფუნქციების განვითარება. თუ ზრდასრულს აინტერესებს მუშაობის შედეგი, რომლის მიღწევისას იგი წყვეტს საქმიანობას, ბავშვისათვის მნიშვნელოვანია თვით მუშაობის პროცესი და იგი იმეორებს ქმედებებს იმდენჯერ, სანამ არ დაიკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს. თუ კი ზრდასრული ცდილობს მიაღწიოს შედეგს შრომის მინიმალური დანახარჯებით, ბავშვი იყენებს მაქსიმალურ ენერგიას, ერთი შეხედვით უაზრო აქტიურობაზე: მრავალჯერ რეცხავს სუფთა თეფშებს, ხეხავს უკვე დიდი ხნის გაპრიალებულ მაგიდას, აუთოებს დაუთოებულ სარეცხს და ა. შ. ზრდასრულისაგან განსხვავებით, ბავშვი არ იღლება მუშაობით, ეს ზრდის მის ენერგიას. მას არ სჭირდება გამხნევება, არც სასჯელი, იმიტომ, რომ ის იკმაყოფილებს ზრდის მოთხოვნილებას. ბავშვისათვის მთავარია, რომ იმუშაოს, გაიზარდოს და განვითარდეს.

მონტესორი აღნიშნავს, რომ ბავშვს აქვს სხვა სახის გონება, ვიდრე ზრდასრულს და მას უწოდა „შთანთქმითი (შესრუტვითი) აზროვნება“. „შესაძლებელი იყო გვეთქვა, - წერს, რომ ჩვენ ვიღებთ ცოდნას ჩვენი გონებით, მაშინ, როდესაც ბავშვი შთანთქავს მას თავისი ფსიქიკური ცხოვრებით. ბავშვი თითქოს ქმნის „გონების სხეულს“, როდესაც ის უკავშირდება მის გარემოში არსებულ საგნებს. ჩვენ ვუწოდეთ მისი გონების ფორმას „შთანთქმითი აზროვნება“. ჩვენთვის რთული გასაგებია ბავშვის გონების შესაძლებლობების გაგება, მაგრამ უდავოდ, საუბარია გონების პრივილეგირებულ ფორმაზე“ (5, 8).

ბავშვი შთანთქავს გამოსახულებებს მის გარემომცველ სამყაროში, რომლებსაც აწვდის მისი გრძნობის ორგანოები ქვეცნობიერად და დაუღალავად. ასე მაგალითად, ადრეულ ბავშვობაში, ბავშვი ადვილად ეუფლება ნებისმიერ ენას, იღებს ყველა მის გრამატიკულ სტრუქტურას, ინტონაციის თავისებურებებს და ბგერების გამოთქმას, თუ კი მუდმივად არის შესაბამისი ენის გარემოში. არ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად რთული შეიძლება აღმოჩნდეს ზრდასრული ადამიანისათვის, მაგალითად, ჰინდი, ჩინური თუ იაპონური, ბავშვები უკვე ცხოვრების მეორე წელს გებულობენ და საუბრობენ მათზე.

ბავშვის აზროვნებას მონტესორი ადარებს ღრუბელს, რომელიც შეიწოვს წყალს. ისევე, როგორც ღრუბელი შეიწოვს ნებისმიერ წყალს - სუფთას ან ბინძურს, გამჭვირვალეს, მღვრიეს, ან შეფერადებულს - ბავშვის გონება შთანთქავს გარე სამყაროს გამოსახულებებს და არ დაჰყოფს მათ როგორც „კარგი“ და „ცუდი,“ „სასარგებლო“ და „უსარგებლო“ და ა.შ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ კონტექსტში იძენს ობიექტური და სოციალური გარემო, რომელიც მოიცავს ბავშვს. ზრდასრულმა უნდა შეუქმნას ბავშვს ისეთი გარემო, რომელშიც მას უნდა შეეძლოს იპოვოს ყველაფერი, რაც საჭირო და სასარგებლოა მისი განვითარებისათვის, მიიღოს მდიდარი და მრავალფეროვანი სენსორული შთაბეჭდილებები, „აითვისოს“ სწორი მეტყველება, ემოციური რეაგირების სოციალურად მისაღები ფორმები, დადებითი სოციალური ქცევის ნორმები, ობიექტებთან რაციონალური საქმიანობის ხერხები.

განვითარების პროცესში ბავშვის გონება თანდათან ტრანსფორმირდება ზრდასრულის გონებად. ყალიბდება „საღად მოაზროვნე ადამიანად“, ბავშვი კარგავს აზროვნების უნიკალურ შესაძლებლობას, ბუნებრივად და ძალისხმევის გარეშე აღიქვას ცოდნა გარე სამყაროს შესახებ. „ის ქვეცნობიერად შთანთქავს ყველაფერს და თანდათანობით გადადის შეუგნებლიდან შეგნებულ გზაზე, რომელიც აღსავსეა სიხარულით და სიყვარულით.... ადამიანის ცნობიერება, ჩვენი წარმოდგენით - დიდი მიღწევაა. გახდე ცნობიერი, შეიძინო ადამიანის გონება! მაგრამ ამ შენაძენისათვის ჩვენ ძვირი უნდა გადავიხადოთ, რადგან, როგორც კი ჩვენ შევიძენთ ცნობიერებას, ყოველი ახალი ცოდნა გვიღირს ჩვენ დიდ შრომად და ძალისხმევად“ (5, 10).

ცნება „სენსიტიური პერიოდები“ არის მონტესორის პედაგოგიკური კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი საკვანძო საკითხი. ბავშვის განვითარების მგრძნობიარე პერიოდების სრულყოფილი დახასიათება მოცემულია ერთ-ერთ გვიანდელ ნაშრომში, კერძოდ, წიგნში „ბავშვობის საიდუმლო“ (5, 10). ჰოლანდიელმა მეცნიერმა ჰუგო დე ფრიზმა აღმოაჩინა ცხოველებში მომატებული მგრძნობელობისა და მგრძნობიარობის პერიოდები. მონტესორმა კი შეძლო დაედგინა „სენსიტიური პერიოდები“ ბავშვების განვითარებაში და მათი გამოყენება აღზრდის მიზნებისათვის.

საინტერესოა, თუ როგორ ახასიათებს მონტესორი მგრძნობიარე პერიოდებს: „საუბარია განსაკუთრებით მგრძნობიარე პერიოდებზე, რომელიც გვხდება, განვითარებაში, ანუ ცოცხალი არსებების საბავშვო ასაკში... ისინი დროებითია და ემსახურება მხოლოდ იმას, რათა მისცეს ცოცხალ ორგანიზმებს საშუალება შეიძინონ გარკვეული შესაძლებლობა. როგორც კი ეს მოხდება, შესაბამისი მგრძნობელობა ისევ შემცირდება. ასე ვითარდება ხასიათის თითოეული თვისება რაღაც იმპულსის საფუძველზე და ვიწრო შემოფარგლული დროის პერიოდში. განვითარების ამ ფუძემდებლურ სტადიებზე ზრდასრული ვერანაირად გარედან ვერ ახდენს გავლენას. მაგრამ, თუ ბავშვს არ ჰქონდა შესაძლებლობა ემოქმედა მისი განსაკუთრებული მგრძნობიარობის პერიოდების მითითებების შესაბამისად, მან ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა შეიძინოს ბუნებრივი გზით გარკვეული შესაძლებლობა და ეს შანსი დაკარგულია სამუდამოდ“ (5, 11).

ამდენად, მგრძნობიარე პერიოდები ემსახურება იმას, რომ ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა განავითაროს გარკვეული ფუნქციები, რომ შეიძინოს მისთვის აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები, ქცევა და ასე შემდეგ. ისინი შეუქცევადია, მიუხედავად იმისა, რეალიზებულია თუ არა მისი შიდა პოტენციალი და გამოყენებულია ხელსაყრელი პირობები გარკვეული გონებრივი თვისებებისა და პროცესების განვითარებისათვის. თუ ჩვენ ვეცდებით განვავითაროთ ბავშვის გარკვეული უნარი შესაბამისი მგრძნობიარე პერიოდის ჩარჩოებს მიღმა, შედეგი მიიღწევა ბევრად უფრო დიდი შრომის ფასად, ან ვერ იქნება მიღწეული საერთოდ. „მაგრამ, პირიქით, თუ კი მგრძნობელობის პერიოდმა ჩაიარა, წერს მონტესორი, - შემდგომი პროგრესის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ამრეკლი მოღვაწეობით, ნებისყოფის, შრომისმოყვარეობისა და სტრესის ხარჯზე. მოდუნებით კი მუშაობა ხდება რაღაც დამქანცველი“ (5, 12).

მიუხედავად იმისა, რომ ზრდასრულს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს მგრძნობიარე პერიოდის წარმოქმნის დასაწყისზე და ხანგრძლივობის მიმდინარეობაზე გარედან, მაგრამ მან უნდა იცოდეს ამ პერიოდის არსებობის შესახებ, დააკვირდეს და შეამჩნიოს სიმპტომები, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ პერიოდის ყველაზე ინტენსიური მიმდინარეობისათვის და გამოიყენოს დაკვირვების შედეგები ბავშვის განვითარების აქტუალური დონის შეფასებისათვის; განჭვრიტოს შესაბამისი მგრძნობიარე პერიოდის დაწყება და მოამზადოს გარემო იმ სწავლების ინსტრუმენტებით, რომლებსაც ბავშვი ობიექტურად საჭიროებს მოცემულ მომენტში.

მგრძნობიარე პერიოდები არის უნივერსალური, ანუ ჩნდება ყველა ბავშვის განვითარების პროცესში მიუხედავად რასის, ეროვნების, სოციალური წარმოშობის, გეოპოლიტიკური და კულტურული განსხვავებების და ასე შემდეგ. ისინი აგრეთვე ინდივიდუალურია, რადგანაც მათი გამოვლენის დრო, ხანგრძლივობა და დინამიკა შეიძლება იყოს სხვადასხვა კონკრეტულ ბავშვებში. მიუხედავად ამისა, არსებობს სხვადასხვა მგრძნობიარე პერიოდის სამაგალითო საშუალო ზღვარი. თითოეული მათგანის მიმდინარეობა ხასიათდება შესაბამისი მგრძნობელობის ნელი დასაწყისით, მაქსიმალური ინტენსივობის ეტაპით და თანდათანობითი, ეტაპობრივი შემცირებით.

მონტესორის მიხედვით, ძირითად **სენსიტიურ** პერიოდებს მიეკუთვნება: ენის (მეტყველების) განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (0-6 წელი); წესრიგის აღქმის მგრძნობიარე პერიოდი (0 -3 წელი); სენსორული განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (0 - 5.5 წელი); პატარა საგნების აღქმის მგრძნობიარე პერიოდი (1.5-2.5 წელი); მოძრაობებისა

და მოქმედებების განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (1-4 წელი); სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების მგრძნობიარე პერიოდი (2.5-6 წელი).

მ. მონტესორისთან ასაკობრივი პერიოდიზაციის მოდელი ეფუძნება ბავშვთა განვითარების მრავალწლიანი დაკვირვების შედეგებს მათი საქმიანობის, ინტერესების, შემეცნებითი იმპულსების, თავისუფალი გადაადგილებისა და აქტიურობის პროცესში. მონტესორისთან ბავშვის ასაკობრივი პერიოდიზაცია ასეთია:

- 0-3 წელი - „შთანმთქავი(შესრუტვითი) გონება"- საგნობრივ-გრძნობითი ორიენტირება;
- 3-6 წელი - „საკუთარი თავის მშენებელი"- მეტყველებისადმი სენსიტიურობა, ენის ათვისება, თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება;
- 6-9 წელი - „გარე სამყაროს მკვლევარი"- აბსტრაქტულ მოქმედებათა ათვისება;
- 9-12 წელი - „მეცნიერი", სკოლის პირველი საფეხურის (კონცენტრის) დასრულება;
- 12 -18 წელი -„სოციალური მუშაკი"- საგიმნაზიო და უფროსი საფეხური

ბავშვის განვითარების პროცესში მონტესორი გამოჰყოფს 3 ფაზას: 0-დან 6 წლამდე, 6-დან 12-წლამდე და 12-დან 18 წლამდე.

პირველი ეტაპი (0-6) ხასიათდება ბავშვის შემეცნებითი აქტიურობის გლობალური ორიენტაციით გარე სამყაროს მგრძნობელობითი წარმოდგენის ფორმირებაზე. „კოსმიური გეგმის" შესაბამისად ბავშვი „გადაწყვეტს" თავისი განვითარების შიდა ამოცანას, რომელიც ამ ეტაპზე მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას გარემომცველი სამყარო, კერძოდ, საკუთარი თავის და სამყაროში მისი ადგილის ემოციურად შეფერილი სურათი. 0–დან 3 წლამდე ასაკის ბავშვი არის, ასე ვთქვათ, მშობლების ძირითადად დედების, „ემოციური კამერტონი", ზემგრძნობიარე ემოციების რეზონატორი. მისი შთანმთქავი გონება იკრებს მოზრდილთა აზროვნების ემოციური რეაგირების მეთოდებს იმ მოვლენების მიმართ, რაც ხდება მსოფლიოში. ამ მიზეზით, ყველაზე შესაფერისი გარემო ბავშვის ოპტიმალური განვითარებისათვის არის მშობლების სახლი და მზრუნველობა.

3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვი არის „საკუთარი თავის მშენებელი". ამ ეტაპზე მოდის მისი განვითარების რიგი სენსიტიური პერიოდების მაქსიმალური ინტენსივობის ფაზები - სენსორული, სამოძრაო, სამეტყველო, სოციალური. ყველაზე შესაბამისი პირობები ამ ასაკში ბავშვის განვითარებისათვის არის სპეციალურად მომზადებული გარემო, რომელშიც არსებობს ყველა საჭირო კომპონენტი: სენსორული, სამეტყველო, მათემატიკური მასალები, პრაქტიკული ცხოვრების უნარების დაუფლების მასალები, ბუნების გაცნობისა და მთავარი: ბავშვებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ და აირჩიონ საქმიანობა.

მეორე ეტაპი (6-12) - ბავშვის განვითარების გლობალური ორიენტაცია დაკავშირებულია მის მიერ ადამიანის ადგილისა და როლის ძიებასთან ბუნებასა და კულტურაში, ეს იქნება როგორც საკაცობრიო, ასევე საკუთარი ინდივიდუალური როლის ძიება.

ბავშვის გონებაში იქმნება სამყაროს მეტ-ნაკლებად ადეკვატური და გააზრებული სურათი, კერძოდ, საკუთარი თავისა და სამყაროში საკუთარი ადგილის სურათი. 6-დან 9 წლამდე ასაკის ბავშვი შემეცნებითი საქმიანობის განხორციელების თავისუფალ პირობებში არის „მკვლევარი", რომელიც იმ მიზნით, რომ შეიმეცნოს სამყარო, ცდილობს გასცილდეს ადამიანის გრძნობის ორგანოების შესაძლებლობების ფარგლებს ახალი ხელსაწყოების, ექსპერიმენტის და ა.შ. გზით. თანდათანობით ის მიდის იმ დასკვნამდე, რომ არ არის საჭირო ყოველ ჯერზე დაიწყოს რაიმე მოვლენის შესწავლა „ნულიდან", შეიძლება გამოვიყენოთ მზა ცოდნა, წინა თაობის მიღწევები. ამრიგად, ამ ასაკს შეიძლება ეწოდოს: „ბავშვი –მეცნიერის" ასაკი.

დაბოლოს, განვითარების მესამე ფაზა (12-18) ხასიათთება ადამიანის გლობალური ორიენტაციით საზოგადოებაში და საკუთარი ადგილის პოვნით. 12-დან 15 წლის ასაკში ახალგაზრდა ადამიანი პოულობს საშუალებებს, რათა გაზარდოს საკუთარი შემეცნებითი უნარები. 15-დან 18 წლამდე ასაკის ადამიანს კი შეუძლია იმუშაოს და ამავე დროს, თავისუფალ დროს ჩართული იყოს პროფესიული კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სწავლის პროცესში. ეს არის პროფესიული კარიერის დაწყების ასაკი.

ამრიგად, მ. მონტესორს მიაჩნია, რომ დაბადებიდან 3 წლის განმავლობაში ზრდასრულს არა აქვს პირდაპირი შეხება ბავშვის გონებასთან და არ შეიძლება იქონიოს პირდაპირი ზეგავლენა მასზე. 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვი უფრო ექცევა ზრდასრულის გავლენის ქვეშ, მასში ხდება უზარმაზარი ცვლილებები, ასე რომ, 6 წლის ასაკში მას შეუძლია სკოლაში სიარული. 6-დან 12 წლის პერიოდში ბავშვი საკმაოდ მშვიდად იზრდება და ვითარდება განსაკუთრებული შიდა ცვლილებების გარეშე. გარეგნულად ხდება ზომიერი ცვლილებები, მაგალითად, ბავშვის რძის კბილი მუდმივი კბილით იცვლება. 12 - 18 წლის პერიოდი გვახსენებს სკოლამდელ ბავშვობას ინტენსიური ცვლილებებით, რომლებიც მიმდინარეობს მოზარდში. 18 წლის შემდეგ ადამიანი სრულიად ჩამოყალიბებულია, შემდგომ ის მხოლოდ ბერდება, მიიჩნევს მ. მონტესორი.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა მ., ქობულაძე ნ., სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები, ქუთაისი, 2016.
2. მელიქიშვილი მ., ჯ. დიუის პედაგოგიკური კონცეფცია, მ. მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია, თბ., 2013.
3. ჯინჯიხაძე ჯ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, თბ., 2012.
4. Монтессори М., Самовоспитание и самообучение в начальной школе, М., 1993.
5. Сорокова М., Система М Монтессори, Теория и практика, М., 2013.


**ნინო ჭოხონელიძე**

## ბავშვის ასაკობრივი პერიოდიზაცია მარია მონტესორის მიხედვით


**რეზიუმე**

მ. მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში ასაკობრივი პერიოდიზაციის მოდელი ეფუძნება ბავშვთა განვითარების მრავალწლიანი დაკვირვების შედეგებს მათი საქმიანობის, ინტერესების, შემეცნებითი იმპულსების, თავისუფალი გადაადგილებისა და აქტიურობის პროცესში. მონტესორთან ბავშვის ასაკობრივი პერიოდიზაცია ასეთია:

- 0-3 წელი - „შთანმთქავი (შესრუტვითი) გონება“ - საგნობრივ-გრძნობითი ორიენტირება;
- 3-6 წელი - „საკუთარი თავის მშენებელი“ - მეტყველებისადმი სენსიტიურობა, ენის ათვისება, თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება;
- 6-9 წელი - „გარე სამყაროს მკვლევარი“ - აბსტრაქტულ მოქმედებათა ათვისება;
- 9-12 წელი - „მეცნიერი“, სკოლის პირველი საფეხურის (კონცენტრის) დასრულება;
- 12 -18 წელი - „სოციალური მუშაკი“ - საგიმნაზიო და უფროსი საფეხური.

ბავშვის განვითარების პროცესში მონტესორი გამოჰყოფს 3 ფაზას: 0-დან 6 წლამდე, 6-დან 12-წლამდე და 12-დან 18 წლამდე.

**Nino Chokhonelidze**

**Child's Age-related Periodization According to Maria Montessori**

**Summary**

In M. Montessori's pedagogical system, the model of age-related periodization is based on the results of children development observation in the process of their activities, interests, creative impulses and free movement. Montessori's child's age-related periodization is the following:

● 0-3 years – "Absorbing mind" – thematic-perceptive orientation;

● 3-6 years – "Self-builder" – sensationalism of speech, language acquisition, clear-figurative thought;

● 6-9 years – "Observer of the outer world" – acquisition of abstractive actions;

● 9-12 years – "Scientist" – completing the first step of school;

● 12-18 years – "Social worker" – high school or gymnasium.

In the process of child development Montessori separates out three phases: 0-6 years, 6-12 years, and 12-18 years.

**Нино Чохонелидзе**

**Возрастная периодизация ребенка по Мария Монтессори**

**Резюме**

В педагогической системе Марии Монтессори модель возрастной периодизации детей основана на результатах многолетних наблюдений за развитием детей в процессе их деятельности, интересов, познавательных импульсов, свободного передвижения и активности. Возрастная периодизация ребенка у Монтессори выглядит следующим образом:

• 0-3 года - «абсорбирующий (впитывающий) ум» - субъектно-чувствительная ориентация;

• 3-6 лет - «самосовершенствование» - чувствительность к речи, усвоение языка, наглядно-изобразительное мышление;

• 6-9 лет - «исследователь окружающего мира» - усвоение абстрактных действий;

• 9-12 лет - «ученый» - завершение первой ступени (концентра) школы;

• 12-18 лет - «социальный работник» - гимназическая и старшая ступень

В процессе развитии ребенка Монтессори выделяет 3 фазы: от 0 до 6 лет, от 6 до 12 лет и от 12 до 18 лет.

## ავტორთა საყურადღებოდ!

**„მეცნიერება და ცხოვრება“** არის საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც მიეწოდება საქართველოს უმაღლესი სას წავლებლებისა და კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკებს.

**გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;
- ავტორის **სახელი და გვარი, სამუშაო ადგილი და აკადემიური თანამდებობა** მითითებულ იქნეს **სათაურის წინ, ცენტრში;**
- ნაშრომს თან უნდა დაერთოს **რეზიუმე (10-12 სტრიქონი) სამ ენაზე (ქართული, ინგლისური და რუსული).** **<u>სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი;</u>**
- **ქართულ ენაზე ნაშრომი იწყობა Acad Nusx შრიფტით. რუსულ და ინგლისურ ენებზე Times New Roman შრიფტით, (ასევე ამ ენებზე წარმოდგენილი რეზიუმეები). შრიფტის ზომა 11, სათაურებისათვის – 12, სტრიქონებს შორის 1,5 ინტერვალი. მინდორი: მარცხნივ და ზევიდან 2 სმ., მარჯვნივ და ქვევიდან 2,5 სმ.;**
- ნაშრომის **მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის 7 ნაბეჭდ გვერდს**, გამოყენებული ლიტერატურისა (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით; **რეზიუმეების კომპიუტერული თარგმანი არ მიიღება!**
- ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იქნეს ელექტრონულ ვერსიასთან ერთად ამობეჭდილი **A4** ზომის ქაღალდზე **ორ ეგზემპლარად,** მას თავფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: სახელი, გვარი; აკადემიური თანამდებობა, მისამართი (ბინის, სამსახურის, ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართი);
- სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის **შეტყობინება** ხდება წარდგენიდან **3 თვის ვადაში;**
- ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.


მისამართი: **ქ. თბილისი, ეგ. ნინოშვილის №55**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონზე: **2969044**

**WEB-page: www. tu.edu.ge**

**E-mail: info @ tu..edu.ge**

9 771987 937009